

111
1985/2

ISSN 0182-509/X
საქართველოს
ზოგადი განათლების

განათლება



114/2

17

9

1985

9



ენათმეცნიერება

საქართველოს
მწერთა კავშირი

საქართველოს მწერთა კავშირის ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-კოლექტიური უწყისი

წიგნი № 61-0

№ 9

სექტემბერი, 1985 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა კ რ ს ი

პროზა, პოეზია

ნაიკა გელაშვილი — დედის ოთახი. რომანი. ვაგრძელება	3
ლადო სულაბერიძე — წიბი. ლექსი	44
მეზარ კვიციანი — ლექსები	46
დავით ურბანაშვილი — შავი გოჭია და თეთრი ბიოგრი. მოთხრობა	51
გენია ხარაძე — მიწა და რაინდი. პოემა	61
ნუნუ ქადაგიძე — მოთხრობები	70
ბაბუ მუხარბიანი — ლექსები	82
თეიმურაზ ჩხეიძე — ლექსები	84
დავით ასკარაძე — საბავშვო სტუმარი. მოთხრობა.	86
გიორგი ვიგარანი — ლექსები	93
ალექსანდრე ბრეჯინი — გზაგადასასვლელი, დასრულებული მოთხრობა თარგმანი მანანა შიქელაძე	95

XXVII შრილოვის შესახებ

მედიკალური უწყისი — ნიკოლოზ ბრეჯინის ბავშვობა	103
---	-----

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

აკოლონ ტანაძე — თამარ ბიბილოვის ახალი რომანი	108
როინე მთავარი — „დასავლეთ საქართველოში“	116
მირიან ხარაძე — თავის აზრზე	127
ალექსანდრე ბრეჯინი — ავტორული განმარტება	142

მეცნიერება

მედიკალური უწყისი — უკველიანი კარგული თხზულება	151
--	-----

(მ. მეორე კურსი).

შინაარსი (გაგრძელება)

მომონებაჲი, შაქტაჲი

სარკი ზილანა — წიგნიდან „აქინაშული მომონებაანი“

168



მთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაძე

სარედაქციო კოლეგია:

ბრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამბუშაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე),
მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიზაშვილი, გ. დოჩანაშვილი, კ. კალაძე,
მ. ლასურია, მ. ლეგანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრეღაშვილი, გ. ნატრო-
შვილი, რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. შილაძე,
ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

დედის ოთახი*

რომანი

17.542

ქვის კვერცი მიწის თაროზე დადო, ოდნავ დააბზრიალა.. გაჩერდა. ამოიხრა... გიორგის წერილი გაახსენდა, ერთადერთი წერილი უმცროსი ძმისგან: უცნაური, გულისგამხეთქი...

„მათე, ამ წერილს დედას ნუ უჩვენებ, არ შემოძლია, არ მოგწერო, რაც თავს გადაამხდა... ეს ისეთი ადგილია, სადაც ვერა გრძნობ, სამშობლო თუ გაქვს, ან რომელიმე ერს თუ ეკუთვნი... ყველანაირი ჭურის ხალხია და თითქმის ყველა გაბოროტებული, თითქმის. თუ არ აჩვენე, რომ არაფერს დაუთმობ და შეარჩენ, გადაგქელავენ. ბოლო ხანებში ძალიან გამოიჭირდა, თუმცა თავიდან უფრო მტრულად მეტყუოდნენ. არაფერი მიწოდდა, ჩემთვის ვიყავი, მაგრამ არ გამოვიდა. ერთიორჯერ მომიწია მაგარმა ჩხუბმა და მერე ყველაფერი ჩაწყნარდა, ყველა მერიღება და მაინც მერე უფრო გამოიჭირდა. ვიდრე თავიდან. ყველაფერს დაწვრილებით ვერ მოგიყვები, მაგრამ ერთი ვინც ვცემე, ერთი მოხებული ტიპია, გულისამრევი; 18 წლის, ნეფრიტიანი, ელამ, ბიჭს მოისვამს ხოლმე და ის ბიჭი ფერისმკამელებს უღებს... რა ვიცი, რალაც უბედურება სჭირთ...

ზიზღმა შემოიპყრო. მეშინია, ვიდრე აქედან გამოვალწევ, ის ბინაფური კაცი, არ შემომაკედეს, და აქ ძალიან ბევრს რალაცა სჭირს ნერვების მოშლელი, და საერთოდ შემეშინდა ჩემი თავის. თუმცა, კარგი ადამიანიც ბევრი ვიპოვე. სამი ბიჭი აღმოვაჩინე ჩემი სკოლელი. ერთი ჩემს მომდევნო კლასში სწავლობდა, ეგებ გახსოვს, ვატოს ეძახდნენ. ცალი ზელი მოკლე აქვს, სულ თავის უფროს ძმაზე მიყვება, იმას გაუზრდია... ძალიან განიცდის, ძმისა რაცხვენია.

ერთ დღეს საშინელ გუნებაზე ვიყავი, აი, რალაც რომ გემართება, იშლები, იშლები და არც იცი, რა მოგდის, რა გინდა... კედლამდე აკრძალული ზონაა, ესე ოციოდე მეტრის სიგანის... მაგრამ გადავიღვართ ხოლმე...

ნისლიანი დღე იდგა. უმშური, უგემური. გუშაგთა კოშკებში, თუმცა დღე იყო, სინათლე ენთო. გადავედი იმ ზონაში, მივიღვარ, ერთ კოშკს მივუახლოვდი და მივაჩერდი. ვდგავარ, ასე გაშტერებული, ფეხს ვერ ვიკვლი და ვუხურობ... ერთი გუშაგი მოტრიალდა ჩემკენ, მაგრამ ვგრძნობ, ვერა მხედავს, დაიწყო უცბად მოქნარება, ამოქნარებს, ამოქნარებს და... ასე პირდაპირი უღებულები შეშდება, თავი უვარდება

* გაგრძელება. დასაწყისი ნ. უფ. მართიანი, 16 16 7. 8.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

და ეცემა... ეცა მეორე გუშაგი ტელეფონს. ყურმილში რაღაც ჩაპყვირა, მერე ხელში შეაჯანჯლარა და დაავდო. მივიარდა ამხანაგს, დაუწყო ძახილი, ყურების სრესა, მერე გააღო კარი და ძირს მოათრევს. კიბეზე მეორე საგუშაგოდან შენიშნეს. ახლა იქ აიღეს ყურმილი, იქაც ხელში შეაჯანჯლარეს, დაავდეს და იქედან ერთი ძირს დაეშვა, გამოიქცა ამათენ... ამ დროს იქეჭა და დაუშვა წვიმამ... ძირს ჩამოათრიეს, თვალბგადმოკარკლული, პირდაღებული ადამიანი. და მომესმა, ერთმა გადაულაპარაკა მეორეს, აქ დეტოვე და ზემოთ ადი, დენი გამოირთო, ტელეფონიც არ მუშაობსო, და აღარ მახსოვს, მათე, გავიქეცი. ერთ ადგილას, კედელზე, ფეხის მოსაკიდებელი მეგულუბოდა, ქვა იყო გამოვარდნილი... და კედლის თავზე ვიდექი უკვე. მახსოვს, მავთულები რომ დავწიე ხელით და უკვე ძირს ვიყავი, მიწაზე... აქ ორი ასეთი გალაგანია, მეორეზეც გადავბტი... აძრომა ძნელი არ არის, თუ ნავარჯიშევი ხარ, კლდეზე მკოცავი ადვილად ავა... ეზოდან ჩოჩქოლი ისმოდა ისევე, ყური მოვკარი, მოკვდა, მოკვდაო, რომ დაიძახეს... და გავიქეცი. წვიმა რაღაცნაირად სწრაფადვე შეწყდა... ნისლმა გაფანტვა დაიწყო და ვხედავ: წინ სადღაც, ნისლში სუსტად, გულისშემალონებლად ბეუტავს ჩამავალი მზე. მივრბივარ, მოხრიოკებული ველია ირგვლივ, ველი კი არა უბრალოდ მიწა. გულისმომშვეველად ტიტველი, ტიალი... არც ხე, არც ბუჩქი, სულ არაფერი. მარცხნივ ბეტონის თხრილი მომდევს, უწყლო, დამშრალი და ცარიელი. მარჯვნივ რაღაც უფორმო და უფანჯრებო შენობა მოჩანს და მის წინ ქართის მთებია აღმართული. ეუახლოვდები იმ შენობას და ქართის ზვინებს და ვფიქრობ, ასე რომ ვირბინო, ვირბინო და არაფერი გამოჩნდეს ამ ბეტონის ამომშრალი არხისა და ქართის გარდა და თუ სადმე რაიმეს მოვკრავ თვალს, ისიც ბეტონის უაზრო, გაუგებარი

სვეტი იქნება და სხვა არაფერი და უკებ დავეუფვი, რომ ესაა შენობის მთელი იყო: აი, ასე გამოვიტრიალდი... უაზროდ სახლიდან ან ციხიდან და გადამუგულ, ტრიალ მინდორზე აღმოჩნდებოდი... და ტყუილად დავიწყებდი ძახილს და არავინ აღარ მიპასუხებდა... და ვერც ხეს ვიპოვიდი სადმე, და ერთ პატარა ბუჩქსაც კი ველარ... და მივრბივარ და ხერხემლით ველოდები: როდის დაიწვილებს ჩვენი სირენა და ატყდება განგაში. მაგრამ უკან დაბრუნება არ შემიძლია და აღარც იქ ყოფნა, სადაც მივრბივარ... და ადამიანი მინდა შემხედეს, ვინმე, მეგანი, თავისთვის მიმავალი, ან ხეს მაინც გადავეყარო. ნამდვილს, რომ შრიალებს და თბილი ქერქი აქვს, მაგრამ არაფერი გესმის, მათე, არა-ფერი, არ იყო: ბეტონის მინდვრისა და სულისშემხუთავად გაუგებარი, გასაგიყებლად უაზრო შენობის გარდა და ვფიქრობ, მათე, ცოდვამ მიწია, წყევლა ამიხდა, რაღაც, ვილაცის, აზრზე არა ვარ, და ჯოჯოხეთში ვარ და როგორ ვერ მივხვდი აქამდე, რომ სწორედ ეს არის ჯოჯოხეთი და ასეთი უნდა ყოფილიყო, სწორედ ასეთი: გამომატიენებლად უდაბური, უკაცრიელი, უსიცოცხლო ბეტონის სივრცე... და ქართის ზვინებს რომ ჩაუტრბინე გვერდით, წამით შევხედე, დავაკვირდი, ეგებ რაიმე ნაცნობი ნივთი ვიპოვო მეთქი: ველოსიპედი ან სარეცხის მანქანა, და დავიჯერო, რომ მეც ვცხოვრობდი, ნამდვილად ვცხოვრობდი, ველოსიპედი მქონდა, და სარეცხის მანქანით თეთრულს რეცხავდნენ ჩვენს სახლში, აქაფებული წყლის მორევი ჩვენს ზეწრებსა და პირსაწმენდებს ადგაფუნებდა და მტვერსასრუტით ვასუფთავებდით ჩვენს სკამებს, დივანს... მაგრამ ვერაფერი ვერ გავარჩიე. თანგით შექმული, ჩაშლილ-ჩაცხავებული რკინის გორების გარდა. შენობის უკან კი უაზრმაზარი სტეული იდგა. რკინის ქანდაკება. კი არ იდგა კედელზე იყო მიყუდებული: პირჩამსხვრეული, კეფაახდილი, მუ-

ცელგადახსნილი ადამიანი. რკინის ხელებით რალაც იარაღი ჰქონდა ჩაბღუჭული. არ ვიცი, იქ აკეთებდნენ, თუ ჯართად იყო ისიც მოთრეული... და მივრბივარ, მათე, და ცუდადა ვარ. ასე ცუდად არასდროს ვყოფილვარ, უკან დაბრუნება არ შემიძლია. წინ არაფერია და ვფიქრობ, რა იქნება, ახლა მეც შემხვდეს ერთი ირემი, უზარმაზარ-რქებიანი და წყნარად მითხრას: „აქ, ჩემთან დარჩი. ვიდრე ჩემი რქები ცას არ შეეზრდება, არც შენ მოკვდები“. ამ ყველაფერს ვნახო, კუპრისფერი უზარმაზარი ხრამის პირას შემომყრანტალოს: „აქ, ჩემთან დარჩი. ვიდრე ეს ხრამი ჩემი სკლინტით არ ივისება, შენც იცოცხლებ და კარგად იქნები“. მაგრამ მე ზომ ვერაფერს ვერაფერს: დარჩი, ნურაფერს გეშინიათ, არაფერს არაფერს არ დამპირდება, ახლა ამ ქვეყნად ვე-ლარაფერს დამეხმარება. მივრბივარ და ვფიქრობ: „ღმერთო“. კი არ ვეძახი, ფიქრით ვიმეორებ: „ღმერთო“ და „ღმერთო“. და უცებ რალაცს დავადგი ფეხი. დავიხარე. ბავშვის სათამაშო საათი შემრჩა: პლასტმასის, პატარა საათი. გაქვეყნილი და უისრებო. მუშა-მბის ვიწრო სამაჭურიათი. რალაც სა-ცოდაობა. ვუყურებ და ზემოთ ავიხედ-დე მერე. სამად-სამ ვარსკვლავს მოვ-კარი თვალი, ფერმკრთალს, პატარას. „ისევ აქ არიან?“ — გამიკვირდა და „თუ ისინი ზემოთ არიან, ესე იგი, მე დედამიწაზე მივდივარ ისევ...“ და უცებ რალაც ოხვრა მომესმა... ვილა-დიდმა და უბედურმა ამოიოხრა... და ვიხედებ: „რა ხმა იყო? ვინ დაიკვნე-სა? აქ ზომ არაფერია, სულ არაფერი!“ და ვვრძობ გონება მებინდება, და ისევ მომესმა ყრუ ამოოხვრა და ვფი-ქრობ: „აქ მიწის გარდა არაფერია... ნუთუ ის ოხრავს?“ დავწვიქი, მიწას და-ვადე ყური...

მერე ისევ გავიქეცი... სადაც არის სროლა უნდა გაისმას, სირენამ დაიწი-ვლოს... ნეტავ, სადა ვარ, და წინ სი-ნათლებებს მოვკარი თვალი, ერთი მუ-ქა ანთებულ ფანჯრებს... მივუახლოვ-

დი. ერთად მიუყუდილიყო რამდენიმე პატარა სახლი, ფიცრულფერფერ ნაღვეს სახლები, ფანჯრები კაცებს უხმობდნენ რომ არა სცდებო. ერთ-ერთ ფანჯარას აეკარი და შევიხედე. ორი ქალი და ერთი კაცი მაგიდას უსხდნენ... წინ და-ჭრილი ძეხვი ეღოთ, გახსნილი კონსე-რვი და არყის ბოთლი. ერთმა ქალმა თითი გაიშვირა კაცისკენ. ტლანქად, უზაროდ. კაცმა კმა შეწყვიტა და გა-კვირებული მიანერდა მეორე ქალს, თვალეშეშუპებულსა და პომადიანს... ფეხი წამოკვარი რალაცს დავიხარე და ძველი, ზღაგვი დანა ავიღე, ჯიბის დანა, შევტარიანი. მეორე ფანჯარას-თან მივედი: წელზევით შიშველი კაცი ტაშტის თავზე წახრილიყო და წითელ-თმიანი, მსუქანი ქალი წყალს უსხამდა უზარმაზარი მწვანე ჩაიდნით და კაცს ზურგზე ფრთებგაშლილი სვავი თუ არწივი ეხატა და ეწერა: „Счастья...“ და წარწერა ილიის ქვეშ იკარგებოდა... ფანჯარას მოვცილდი და ერთგან ოდ-ნავ შეღებული კარი შევნიშნე „შევალ და დავკვდები“ — გავიფიქრე. „შევალ და დავკვდები. არა. სარდაფი ექნებათ ან საეკუნაო: ბნელი, პატარა. იქ და-ვიციდი. ვინც არ უნდა დამხვდეს, ვე-ტყვი, ჩემად იყოს, ხმა არ ამოიღოს. ვეტყვი, რომ მოვკლავ“ და დანას მო-ვეჭირე ხელი. კართან მივედი და ბავ-შვის წყნარი ტირილი გამოისმოდა და თანაბარი, რბილი დგან-დგარი... და უცებ, გესმის, მათე, იმ ხრიოკში, იმ ჯოჯოხეთში, მესმის: „ეს აკვანი ლეზა-ნოში, ნანავ ნანინაო, შიგა მწოლი ანგლოზი, ნანავ, გეთაყვაო, ეს აკ-ვანი ბეოლისაო, ნანავ ნანინაო, შიგა მწოლი ბროლისაო, ნანავ ბატონო“ და ამ „გეთაყვას“ ისე ტყბილად აგრ-ძელებს მოხუცი ხმა და ამ დროს, ბი-კის ხმა კითხულობს: „ბეოლა რა არის, ბები?“ და „თუთაა, შემოგვევლე“, პა-სუხოზენ და აღარ მესმის, მართლა ხდება ეს ყველაფერი თუ მეჩვენება. ეგებ სახლი ცარიელია და არავინაც არ არის შიგნით? და კარი შევალე-თავი აწვიეს: მოხუცმა ქალმა და პა-

ტარა ბიჭმა, ასანთის ღერებისაგან სახლს რომ აშენებდა: მიყურებენ. ქალმა აყენის რწევა შეწყვიტა. მომჩერებიან სახეში და მერე ჩემს ხელზე გადაიტანეს შებრა... და დანა მიჭირავს მათე, უაზროდ, და პირს ვალებ და აზრზე არა ვარ, რა უნდა ვთქვა და უცებ თითქოს ჩვენს ზღაპარში ვიყო, რომელიმეში. ვამბობ:

— წყალი დამალევინეთ, ღვთის გულისათვის.

და ბავშვი აკვანში, მანამდეც რომ დაიძაბა, ვიგარძენი; — როგორც კი მოხუცმა რწევა შეწყვიტა, და ახლა ჩემი ხმის გაგონებაზე სულ გაისუსა და მისკენ გავიხედე, უცნაურად გატრუნულისკენ, და... ვხედავ: ნიკაპს მკერდზე იჭერს, თავს აჭნევს, რაღაც ნაირად, უნდა სახეზე გადაფარებული ხილაბანდი მიღრიც-მოღრიცოს და გამოიხედოს. წვალბოს და აბერხებს ბოლოს: გამოიხედა. ქვემოდან თვალებში მივაჩერდით ერთმანეთს: მე და ის. და მოხუცი ქალი და ბიჭი ჩემს შებრას არ აცილებენ თვალს, დაძაბულები, და ჭუჭყიანი ვარ. მათე, წვერმოშვებული, დანა მაქვს ხელში და ძალიან სხვა ვარ, აზრზე არა ვარ, ვინა ვარ, ჩემთვისვე უცხო, უნდო, უცნობი, და ბავშვი მიყურებს აკვნიდან თვალებში. შეგიხედავს თვალებში თოთო ბავშვისთვის? ეს რა იყო, მათე, ქლიავისფერი თვალები და სუფთა და საშინელი და რატომ იყო საშინელი, აზრზე არა ვარ, ალბათ იმიტომ რომ სუფთა იყო, ბოლომდე სუფთა, და მიყურა, მიყურა და... ამღერდა. წყნარად, თავისთვის, და ხილაბანდიც ჩამოეფარა, მაგრამ აღარ ებრძვის იმ თეთრ ხილაბანდს და მღერის, ლულუნებს უმშვიდესად: აა-აააა, და რაღაც გაქრა ოთახიდან, გასრიალდა: შიშის ხორკლიანი ქვეწარმავალი. ამოვისუნთქეთ, ყველამ, და:

— წყალს როგორ დაგამადლოთ, შვილო, — ამბობს მოხუცი. მიხედავარა, რომ პატიმარი ვარ, გამოქცეული.

ბიჭს წყალი შემოაქვს თლილი კი-

ჭით, მიწვდის და ვგრძნობ. აშკარად: ვეცოდები იმ პატარა ბიჭს, ვსვამ. სახე მისველდება, ჩამდის წურ-წურით. ხელი მიკანკალებს და: — ნუ ტირი, შვილო, ნუ ტირი, — ამბობს მოხუცი.

მე უხმოდ ვუქნევ თავს და ვიცი უკვე, რაც მოხდება და საერთოდ, რაღაც გავიგე, რაღაც, ოღონდ არ ვიცი რა.

და აღარ მახსოვს, როგორ გავიარე იგივე გზა, არ ვიცი, იყო თუ არა განგაშის რაიმე ხმაური. ვიცი: უკან უნდა მივიდე, და კიდევ, ვიცი: რომ მივალ. ეს იყო მათე გასაგიყვებელი, ვიცოდი, რომ ჩემს ადგილას დავბრუნდებოდი.

ღამეა. ბნელა. ვუახლოვდები ჩვენს გალავანს. ქარი ამოვარდა. ისევ დაუშვა წვიმამ. დაუფიქრებლად მოვექეცი გალავანს თავზე, ხელით დავწიე მავთულები... მსუბუქმა დენმა დამიარა, შემაფრეოლა, გადავბტი. ასე გადავიარე მეორე კედელიც, ჩვენი შენობისკენ გავიქეცი, წელში მოხრილი, და დამიჭრე, მათე, გასაგიყვებელი რამ მოხდა კიდევ: ზედამხედველს შევეფეთე შენობის კართან. ზურგზე ხელი დამკრა „მოდი, მოდი! — და ჩაიცი-ნა, — წამოდი, ჩემს ოთახში დაიძინე ამაღამ“, გაკვირვების თავი აღარ მქონდა. ძილმა წამილო კი არა, შთანთქმა, ჩამყლაპა. მეორე დღეს ვერაფერი დამარწმუნებდა, რომ ეს ყველაფერი სიზმარი არ იყო. მაგრამ ჭიბეში ჩავიყავი ხელი და პატარა, უისრებო, გაქეცილი საათი შემერჩა. ამ დღიდან აღარ მეშინია, მათე, არც ჩემი თავის, რატომ, ვერ გეტყვი.

ექვსი თვე და შეიდი დღე იყო გასული გიორგის დამატიმრებიდან, ეს წერილი როცა მიიღო. ვილაც სახედალაქულმა, პერპიდროლით თმაგადამწვარმა ქალმა მოიტანა. წერილი ზუსტად ექვსი თვის თავზე იყო დაწერილი. რაიმე რომ დამართნოდა, რა უნდა ექნა! მოსამართლისათვის მიცემული სიტყვა თავისას იზამდა. შეასრუ-



ლებდა, დაიღუპებოდა, არ შეასრულებდა, სიცოცხლე გაუმწარდებოდა ბოლმისაგან. ადამიანად ვეღარ ივარგებდა, და ეს წერილი რომ წაიკითხა, უცნაურად მოეშვა, ამოისუნთქა. მიხვდა, რომ გადარჩენენ, ასცდნენ: რალაც საშინელს, მშები, უმცროსიცა და უფროსიც. საფრთხე ამჯერად არიდებულა იყო თავიდან. თუმცა წინ კიდევ 2 წელი და 4 თვე რჩებოდა. „და ნუ შემოყვან ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ბოროტისგან, რამეთუ შენია ძალი...“ ნუთუ შესმენილი ვედრების, ვილაცის ლოცვის წყალობა იყო გიორგის გადარჩენა, თუ, ყველაფერი, მიუხედავად იმ სასწაულებრივი ამბებისა, რასაც ძმის წერილი იუწყებოდა, მაინც შემთხვევად, უპატრონოდ, თავისით მიმდინარე მოვლენათა შედეგად უნდა მიჩნეულიყო... „და ნუ შემოყვან ჩვენ განსაცდელსა“... განსაცდელის პირას კი ხშირად უყვარდა კაცის ჩატარება ლოცვის აღრესატს... თავსხმა წვიმაში ტაქსი გაუჩრა ქუჩის ბოლოს მცხოვრებ შუახნის მღვდელს, ძველი სახლის სადარბაზოში დიდი, შავი ქოლგის გაშლას რომ ლამობდა. კარი გააღო და გადასძახა: „მობრძანდით, მამაო“. მღვდელმა გაშლილი ქოლგა ილლიაში ამოიჩარა, ვეება, შავი ჩანთა აიღო ფილაქანიდან, მძიმედ მიცუბცუბდა და მანქანაში შეჭდა. ქოლგა გარედან აეფარა ღია კარს. პატრონი ამოდ შეეცადა მის დაკეცვას. ჩანთა გამოართვა, სკამზე გადადო და მეზობელს ქოლგის დაკეცვას მიეხმარა, მაგრამ ხელი გაეხლართა მღვდლის მკერდზე. გრძელ, შავ წვერსა და მსხვილ ვერცხლის ჯაჭვში, რომელზედაც ჭვარი ეკიდა, თან ბოდიშს უხდიდა, რის ვაივავლაბით დახურეს ქოლგა და კარი მიიჯახუნეს. მღვდელმა ცხვირსახოცი ამოიღო, შესველებული წვერი ჩამოიწმინდა. „ლოცვას აზრი არა აქვს“ — წამოიწყო თვითონ ცოტა ხნის შემდეგ ხმამაღლა და მოულოდნელად. თანამგზავრმა მშვიდად შეხედდა. „რა აზრი აქვს, თუ ღმერთმა, —

ამ სიტყვაზე მუდამ რალაც გააკენწლავდა ზოლმე სულის სიტყვებში — თავისუფლად ვერასდროს ამბობდა და თვითონვე ღიზიანდებოდა ამის გამო, — თუ ღმერთმა ისედაც ყველაფერი იცის, თუ ყველაფერი მისი ნებაა და თანაც ყველაზე კეთილია ამ ქვეყნად, რალა აზრი აქვს ლოცვას ვინმესთვის: „ღმერთო, გადაარჩინე, უშველე, კარგად ამყოფე, აარიდე ფათერაკს, აღლეგრძელე, მოარჩინე, შეეწიე, გაუმარჯვე, მეოხ ეყავი, გადაეფარე, ნუ შეიყვან განსაცდელსა!“ რალა აზრი აქვს? ჩვენ უნდა შევახსენოთ მას, ყოვლისმცოდნესა და ყველაზე კეთილს, ვილაცას უჭირს და უშველეთ? ხვეწნა-მუდართით უნდა გამოვთხოვოთ ერთმანეთის კარგად ყოფნა მთელი ცხოვრება? არ მესმის!“. „ნუ ქედმაღლობ“, — თქვა თანამგზავრმა წყნარად და ცხვირსახოცი სახეზე დაისვა. „ადამიანი ამაყი უნდა იყოს“, — უპასუხა ამაყად. „თვინიერი უნდა იყოს“, — მღვდელმა სველი ხელებიც გაიშრალა. მაგრამ ეს პასუხი არ იყო, არა მას მართლაც არ ესმოდა, რა აზრი ჰქონდა ლოცვას, თუ ღმერთი არსებობდა, და თუ არ არსებობდა, მით უმეტეს. „არა, თქვენზე უკეთ რომ ვხედავდე, რომ ვინმე... კლდიდან ვარდება, და მხოლოდ იმიტომ გადავარჩინო, რომ თქვენ მეხვეწეთ და კალთები შემომახიეთ, კეთილი ვიქნები? მითხარით!“ „საკვირველი არიან გზანი უფლისანი. ჩვენ ღვთის სამართალს ვერ შევწვდებით, — თქვა თანამგზავრმა სევდიანად და მყარად, — ღმერთს უნდა, — პირჯვარი გადაიწერა, — რომ შენ შეწუხდე მოყვასისათვის, ამოიტანო შენი სულის ძალა, გამოიყენო და სხვასაც გადასცე. შენი საშუალებით სურს დაეხმაროს ადამიანს თუ შენ არ მიიღე მონაწილეობა და მართო უფალმა იზრუნა ქვეყნიერებაზე, საპყარი დარჩები. ლოცვით მლოცველიც ძლიერდება და ისიც, ვისთვისაც ლოცულობს.“ „კარგი, — ჩაფიქრდა, — მაშ ბედისწერა რალა?

სიკვდილი ხომ ბედისწერაა. მე შემოძლია ჩემი ლოცვით ახლობელს სიკვდილი ავირიდო?" „შენ რომ იცოდე, რომ სწული ორ თვეზე მეტს ველარ იცოცლებს, შეწყვეტ მკურნალობას?" „არა. უფლება არა მაქვს. ექიმი ვალდებულია სწული ბოლო დღემდე უმკურნალოს" „რატომ?" „წესია ასეთი... თან... ყველაფერი შეიძლება მოხდეს... „ხომ ხედავ, არა ჰქონია იმის ცოდნას მნიშვნელობა, რომ სწული მალე მოკვდება. შენ შენი საქმე უნდა აეთო... თან ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მე სხვას ვერაფერს გეტყვი, ღვთის სახელით ვერ ვილაპარაკებ". „აბა წელან რა იყო: „ღმერთს უნდაო, რომ ამბობდით, რა იცით, რა უნდა?" „არის რაღაც, რაც იციან, დიდი ხანია იციან, სწორედ იმას გუბუნებოდი და არის რაღაც, რაც უფლის მეტმა არავინ იცის, მაგალითად, ბედისწერა". — ღვთისმსახურმა ხელები ჭვარდინად დაიწყო მუხლებზე და გაიჩინდა. გააღიზიანა მისმა აუმღრევლობამ, და: „მითხარით, მამაო, ყველაფერი მოგწონთ ღვთის მიერ შექმნილი, სულ ყველაფერი?" მღვდელმა თვალები დახარა, ხმა არ გაუღია. „ყველაზე უბადრუკ და უტვირთ ადამიანსაც კი არ მოუვა თავში, აფროდიტეს ქანდაკება საპირფარეოს გვერდით აღმართოს, კანალიზაციის ბინძურ მილებთან! ასე არ არის?" შეშინებული შეაჩერდა ღვთის მსახური, ხელი შეუხტა. მძლოლმა წამით მოხედათ, სარკე შეასწორა მერე, იქედანაც შეათვალიერა. „ეს შეიძლებოდა? ველარ გაჩერდა, — მითხარით, შეიძლებოდა, სიყვარულის ორგანო და სხვადასხვა საჭიროების მილები ერთად რომ მიკუჭნა ბინძურ სარდაფში, სამარცხვინოდ? რა სანიტარული ტექნიკაა, მაგალითად?" გული აუტკერდა, თვითონ. მღვდელმა თავი ჩაპკიდა და მერე „გააჩერეთო", უთხრა მძლოლს, ქაშვეთის ეზოს გაუსწორდნენ. „ჭერ გავშალოთ", — ურჩია თავგზააბნეულ თანამგზავს, თვითონ უცბად დამშვიდებულმა. მღვდელ-

ლმა ქოლგა გარეთ გააყო და ერთად გაშალეს. ერთი შემოხედველად პატრივისმცემელს, დახვეწილად მოწყობილ ქოს რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ღრმად ამოისუნთქა მხოლოდ და მოჭებებებლად გადავიდა მანქანიდან, ანაფორის კალთაზე ფეხი დაიდგა. კართან მიჩოჩდა, თვითონ, და მძიმე ჩინთა გაუწოდა ორივე ხელით. დაძრული მანქანის ფანჯრიდან თვალი მოჰკრა: ეკლესიის წინ პატარა საყდარ-სამრეკლოს კარში ახალგაზრდა, ლოყაწითელი მღვდელი მაგრად ამთქნარებდა წვიმიანი ცისკენ დაილიას იფხანდა. „გამოიჭირე?" — ჩაიხითხითა მოულოდნელად მძლოლმა და სარკეში თვალი ჩაუკრა. გულმა რეჩხი უყო და უცებ, ვიდრე მანქანა რუსთაველზე აქმინდებოდა, უკან მიიხედა. მღვდელი იქვე იდგა: თავსხმა წვიმაში. ჩანთა მიწაზე დაედო და მათ გაჟურებდა. მერე გაშლილი ქოლგა მარცხენა ილიაში ამოიჩარა, შავი ქსოვილის სახურავი ზურგზე მოექცა, და შორიდან პირჭვარი გადასწერა მიმავალ მანქანას.

ჩვიდმეტი წლის იყო მაშინ, სამედიცინო ინსტიტუტის პირველ კურსზე, სწორედ ლექციაზე მიიჩქაროდა დილაადრიან. მესამე კურსიდან ბიოქიმიის ფაკულტეტზე გადავიდა. მერე, შოგვიანებით მაინც აიღო ექიმის დიპლომი. ექსტერნად, ბრწყინვალედ ჩაბარებული გამოცდების შედეგად. მაგრამ ექიმად მუშაობა არასდროს უფიქრია. „რატომ არ ინდომეთ ექიმობა?" — ჰკითხეს ერთხელ ინტერვიუს დროს, უკვე „ირიბირიუსის" აღმომჩენს. ნასვამი იყო და: „რადგანაც მიგვხვდი, რომ სულ სხვაგანაა ძაღლის თავი ჩამარბული". „ძაღლის თავი?" — დაბნეულმა კორესპონდენტმა წიგნაკში მექანიკურად ჩაწერილ „ძაღლის თავს" თვალი მოსწყვიტა და სათვალის ხილზე საჩვენებელი თითი მიიჭირა. „ამას რას ვერჩი, — გაიფიქრა, — ბეჯითად მუშაობს რუბრიკისათვის: „ახალგაზრდა მეცნიერი". „ან „მიეცით ნიქსი



გზა ფართოა, ან „იმაყე, საქართველოვ, შენი შვილებით“, ეტყობა, უშტატოდ, და ილწვის შტატისათვის. მე კიდევ: ძალღოს თავი. პოდა აუხსენი ეხლა. იდიოტი ვარ“.

— როგორ გითხრათ. ადამიანი უფრო რთული არსებაა და უფრო მეტად არის დაკავშირებული მთელს სამყაროსთან, დედამიწასთან, მთელ პლანეტარულ სისტემასთან, ვიდრე დღევანდელი მედიცინა ითვალისწინებს. ასე იზოლირებულად მისი განკურნა არ მოხერხდება. ის კავშირები კი ჩვენ არ ვიცით. ასე რომ, მიუხედივ, წინ დიდი პერსპექტივები არ იყო, იმ გზაზე, რომელზედაც ახლა ვდგავართ.

— ირიბი გზით მიდიხარ? — უმცრად ნამდვილი დინტერესება გაუკრთა თვალებში ახალგაზრდა კაცს. დაკვირვებით უყურებდა.

შეკრთა.

— დიახ, შეიძლება ითქვას... გარდა ამისა, იმაშიც ეჭვი შემეპარა, რომ დიდი, ჯანმრთელი, პატიოსანი ბერძენის ფიცს... ყოველთვის, ყველგან, ყველა ვითარებაში დავიცავდი...

— განიცდით? — კორესპონდენტის მხერამ ყურადღების გარდა თანაგრძნობაც შეიძინა.

„მგონი ესეც კრეტიანდ მთვლიდა, როგორც მე — მას“.

— როგორ გითხრათ, მე საუკუნეს ვერ შევცვლი.

— თქვენი მესხეთე კურსის სამეცნიერო ნაშრომი შეუცვლელად იქნა წარდგენილი დისერტაციად?

— ოღნავ გავაფართოვე.

— რა იყო ზუსტი სათაური?

— „უჭრედების აღდგენის ბიო-ქიმიური საფუძვლები“.

— აღარ აგრძელებთ პრობლემაზე მუშაობას?

— არა. ჭერჭერობით, აღარ.

— რატომ: თქვენ ხომ იმდენი მიგნება და სიახლე გქონდათ. „ირიბირიუსი“ მაინც პასიური გზაა, ალბათ, იქ კი, იმდენ საიდუმლოებას მიაღწევით, სრულიად ახალი ექსპერიმენტებით

დაადგინეთ, რომ ორგანული სიცოცხლეს მკვდრებით აღდგომის უნარი უჭყის, დილეტანტურად ვამბობ, მაგრამ არა? რომ უჭრედში კოდირებულია გაცოცხლების, გამთელების, სიკვდილის დაძლევის უნარი. ნუთუ აღარ გააგრძელებთ ამ საკითხების კვლევას?

— რა გითხრათ, აბა, — გული დაუშობიდა, — ხალისი დაკარგე. გულახდილად რომ გითხრათ, სიცოცხლე აღარ მიყვარს ისე ძალიან, როგორც მაშინ, სტუდენტობისას, თაყვანს რომ ვცემდი, რომ ვაღმერთებდი, ალტაცებული რომ ვიყავი და მინდოდა, ყველანაირი სიცოცხლე უკვდავი ყოფილიყო, მკვდრებით აღმდგარიყო, ეყვავილა, ესუნთქა, არ წარბოცილიყო. იმ სიყვარულმა შემაძლებინა ალბათ ეს ყველაფერი.

— განიცდით? — ბავშვურად შეეკითხა ისევ კორესპონდენტი. გაეცინა. მხრები აიჩეჩა.

— რა ვიცი. ალბათ. ზოგჯერ ველარც გრძნობ, განიცდი თუ არა.

შემდეგ სათვლიანმა, ბრვე კორესპონდენტმა რამდენიმე ფორმალური შეკითხვა მისცა, ეურნალში მათი საუბრის სწორედ ის ფორმალური ნაწილი გამოაქვეყნა, ხოლო ერთი-ორი თვის შემდეგ ამანათით საინტერესო საჩუქარი გამოუგზავნა: „ზოღიაქალური ადამიანი“ — რვეულივით თხელ ალბომში შუა საუკუნეების ცნობილი ნახატის მთელი ისტორია ეწერა. ნახატის კოსმიური აზრი კი გამომცემელთა მიერ განმარტებული არ იყო. დაჰყურებდა თანავარსკვლავედთა სისტემად წარმოდგენილ ადამიანის ფერად სხეულს და შერცხვა, როცა თვალწინ დაუდგა, რა დამრიგებლური ტონით გაესაუბრა დაბნეულ კორესპონდენტს ადამიანის ერთიანობაზე მთელ სამყაროსთან. მისი დაბნეული შეკითხვაც გაახსენდა: „ძალღის თავი?“

უცებ შებრუნდა, საწერ მაგიდასთან მივიდა, ლურჯი წიგნი აიღო და სავარძელში ჩაჭდა. გადაფურცლა! მათე, მარკოზი, ლუკა, იოანე, მოციქულ-

ნი, საქმე 5, 10, 13, 20, 28, ეპისტოლენი, იაკობი, პეტრე, იოანე, იუდა, პავლე... „სად არის ნეტავ, რომაელთა მიმართ თუ კორინთელთა მიმართ? რომაელებში არ ჩანს... თავი 1, 10, 12, 16, მორჩა, აქ არ არის, ახლა კორინთელებში ვნახოთ... სადღაც, მარჯვენა გვერდზე ქვემოთა ნაწილში იწყება... კორინთელთა მიმართ. თავი 3, 9, 10, 13. აი! აქ არის:

1. ენათა-ლა თუ კაცთასა და ანგელოზთასა ვიტყვი, ხოლო სიყუარული არა მაქუნდეს, ვიქმენ მე, ვითარცა რვალი, რომელი ოხრინ, გინა წინწილანი, რომელნი ხმობედ.

2. და მაქუნდეს ღათუ წინასწარმეტყუელებად და უწყიდი ყოველივე სარწმუნოებაი ვიდრე მათთაცა ცვალებადამდე და სიყვარული თუ არა მაქუნდეს, არავე რაა ვარ...

3. და შე-ღათუ-ვაჭამო ყოველი მონაგები ჩემი და მივსენე ხორცი ჩემნი დასაწყეულად და სიყუარული არა მაქუნდეს, არარავე სარგებელ არს ჩემდა.

და წამოხტა, წიგნი ხელეში შეა-ხანზარა, ჩაპყვირა: „არა ხარ სწორი! სასტიკი ხარ! სასტიკი! „არავე რაი ვარ!“ რა ჩემი ბრალია, თუ სიყვარული! ეს ხომ სნეულებაა, როგორც კიბო, როგორც ქლეკი, როგორც ნეფრიტი! რას მიკიენებ, მომარჩინე თუ შეგიძლია!“ და უცებ, რიცხვებს რომ დააჩერდა, ელვასავით გაკვესა, აენტო გონებაში გიყი მზატერის სისინი და გალიიდან მაიმუნების გადმოსროლილი გატყავებული ასანთის კოლოფი: „13, 1, 2, 3. კორ-კორ“. ეს არის! აი, თურმე რა რებუსებს ესროდა: „თავი 13: 1, 2, 3, კორინთელთა მიმართ“. გიყი მოთვალთვალე! ავადმყოფი!“

და თვალწინ დაუდგა ბოლო შეხვედრა მასთან...

...გაკვეთა დაიწყო. № 500 ბოლოსთვის მოიტოვეს. „პალმა“ სწრაფად უსვამდა ლანცეტს და გადახსნილი მუცლის ღრუდან, სისხლის ჭყვავიდან

მოხერხებულად კრიდა...
შემდგარ ღვიძლს...

რძისფერი სინათლი...
ლი შუშის მილები წყნარად...
ნებდნენ.

დააკაენეს.

ამბროსი უკმაყოფილოდ გაემართა, გასალები გადაატრიალა და ძლიერად გამოჰკრა ხელი კარს... გარეთ ელისაბედი იდგა.

— ეურნალისტიკა, ბატონო ამბროსი, — უნდა გაკვეთას დაესწროს, — ოთახში შეხედვას ცდილობს ელისაბედი.

— არავითარი ეურნალისტიკა! არავითარი გაკვეთა! არ უყვარს მეცნიერებას ალიაქოთი და ტაში-ტუში, გვაცალონ მუშაობა! — კარი მიაჯახუნა და სტუმარს ესროლა მზერა.

სტუმარი — სპეციალურად მოწვეული ვეტერინარი, ხანშიშესული ქირურგი, სარგადაყლაპულივით იდგა კუთხეში, ყველასგან მოშორებით დორი უზომოდ გაფშევილი თითით სიგარეტი ისე შორიდან მიჰქონდა პირთან, თითქოს უმიზნებდა.

მეოთხე ძალი გამოათრიეს. თითქმის აღარ უძალიანდებოდნენ ცხოველები, ისიც მორჩილად მიწვა, მიეგდო და ლანცეტი დაუსვა „პალმამ“.

— რა უნდოდა ჩვენთან დედალ ძალს? — ამბროსის ღრიალი ქუხილივით გაისმა ვივარიუმის სარდაფში. „პალმას“ წვერი შეუცანცარდა.

— გეკითხები! როგორ ვერ შეამჩნიე დედალი ძალი, თუ არ იცი გარჩევა! გასპარაშვილი!

— ხომ გავაფრთხილეთ სანეპიდსადგური, რომ დედლები არ გამოეგზავნათ! ეს ერთი შერევიათ! ახლა, ყველას იქ ხომ არ ვუყურებდი, ქვემოთ!

— რატომ არ უნდა გეყურა მაგალითად! ან ეგებ მე უნდა მეყურა, ჰა!

ძალის გაფატრულ საშოში სამცოცხალი, დასრულებული ჩანასახი ტოკავდა.

— თუმცა, — ხმა და სახე შეეცვალა უეცრად ამბროსის — საინტერე-

სოა, საინტერესოა, ზომ იცი... გაკვეთე ჩანასახები!

უტყუმა, ცალწარბაძვებულმა ვეტერინარმა, გაყინული სახით რომ მისჩერებოდა მათ საქმიანობას, ხმამაღლა გადააფურთხა და ზურგი შეაქცია. „პალმამ“ სამი პატარა უკვე დეფორმირებული ღვიძლი ამოჭრა სათითაოდ.

— ხედავთ? ჩანასახსაც კი... დამართვინა, ხედავთ, მათე? — გაიბადრა ამბროსი.

დააკაუნეს.

გული შეუხტა.

— ფუჰ! — პროფესორმა იოდითა და სისხლით დალაქული ხალათი მიადგო ჭერ ისევ თბილ ძალს და კარისკენ წავიდა...

„ნერვიულობს. იმიტომ დარბის ესე, გიყვიო. აღდგომა და ხეაღეო“.

კარში ამბროსის დისშვილი იდგა. გრძელთმიანი, წვერმოშვებული, ყელზე კაშნემოგდებული...

— მე მოვედი, — თქვა უმშვიდესად და თვალები დახარა. ისევ აღაპკრო.

— მე მინდა დაეხატოს ძაღლის თვალები. ო, დიდო მაგისტრო, — უცნარი რევერანსით მიუბრუნდა საკუთარ ბიძას, — ნეტარ ამბროსის „ამბროზიას“ მივესალმები. მე მინდა დაეხატოს თვალები იმ პირუტყვისა, რომელმაც მიიღო ზიარება თქვენის ხელითგან. მხატვარი, რომელიც გადმოსცემს ნადირის მზერას, ო, საოცარ მზერას, სასუფეველში დაიმკვიდრებს ნამდვილად ადგილს, რადგან ეს დღემდე ვერაინ შესძლო.

ამბროსიმ მრისხანედ გაიშვირა ხელი, და მის ქუხილს ყრუდ შეეხმინა, ვრცელი, ოთხკუთხა კორიდორი.

— გაეთრე აქედან, თორემ ისევ იქ ჩაგვამ, სადაც იჭექი!

გიემა სახეზე ჩამოყრილი თმა უკან გადაიყარა, თავის აქნევით, კაშნეს ერთი ბოლო ხელით მტკიცედ ისროლა ზურგზე. მკერდზე ხელები გადაიჭვარდინა და:

— დიდი დერვიშის ძლიერ სიტყვას ვემორჩილები, — თავი დახარა და

უკან რომ უნდა გადაედგა ნაბიჯი, უცბად მისკენ გამოიხედა და საიდუმლო ხმით, შეთქმულივით უჩვენებდა: „13, 1, 2, 3, კორ“.

ამ დროს კიდევც მიახებთა კარი ცხვირ-პირში „მაგისტრამ“ ბიძამ, „ვიი, შენს პატრონსო“, ჩაიღრინა და გადაფატრული დედა ძაღლისკენ გამოემართა...

გალიაში მარტოდ-დარჩენილი რინგო ავად იყურებოდა. თუმცა, დაბალი, ბრუნუნტაკრული ტიხარი მიჭნავდა ქირურგიული მაგიდისაგან, საფრთხეს აშკარად გრძნობდა და ეს შეგრძნება ყალუზე უყენებდა ბალანს.

ძლივს გამოიყვანეს გალიიდან და მაშინვე შეასუნთქეს ნარკოზი... „პალმა“ არ გაკარებია.

ვეტერინარმა პაპიროსი რკინის საფერფელში ჩაჭყლიტა და ნელა მიუახლოვდა მიძინებულ პირუტყვს. ხელით ანიშნა მასპინძელთ, მაგიდას მოშორებოდნენ. მოხედა და რატომღაც ის მიიწვია თანაშემწედ.

ფრთხილად გაკვეთა. ფაქიზად მუშაობდა. ხშირად ითხოვდა ტამპონსა და ანტისეპტიკურ ხსნარს.

გაფაციკებით დასჩერებოდნენ გაუდახსნილ ღრუს და როცა ქირურგმა ხმამაღლა და თითქოს ნიშნისმოგებით გამოაცხადა: „ღვიძლი აბსოლუტურად ჯანმრთელია“ — ამბროსი სკამს დაეწარცხა.

საოცარი ოსტატობით, სუფთად გაკერა და განაცხადა, რომ იმ დღეს და იმ ღამით ძაღლთან თვითონ დარჩებოდა და, როცა ამბროსიმ მაკრატელის მიწოდება მოისურვა, ხელი უბოდიშოდ გაკკრა იდაყვში.

— უმეცარი! პრიმიტივი! ნემსის გაყრა-გამოყრა ჰგონია ყველაფერი! — ბუზღუნებდა მთელი კვირა და წარამარა იფხანდა გრძელბეწვიან ხალს მარცხენა ყვრიმალზე.

რინგომ მალე მოიკეთა. როდესაც „პალმასაგან“ გაიგო შემთხვევით, რომ ამბროსი ხელმეორედ აპირებდა რინგოს გამოკვებას კანცეროგენით, ძაღლს ში-

ნიდან მოტანილი საყელური შეება და დერეფანში გაიყვანა.

— მალხოს წაუყვანეთ, დეიდა ელი-საბედ, ეს ის ძალღია, რინგო.

— გადარჩა? — სკამზე დაეშვა ელი-საბედი — რა მოხდა, შენი ჭირიმი? გაგიყვდება, მოუყვდეს დედა, სხვა რა დიდი სიხარულები მაგასა აქვს.

„სიხარული. სიხარულები. სხვას ვი-სა აქვს. რა უხარიათ, როდის რას შეჰ-ხარიათ. სიტყვას ჩაუყვირდა: სიხარუ-ლი. სი-ხარ-ული. სიხარ-ული. უცებ სიტყვამ რეალური, ნაცნობი კონტური დაჰკარგა გაუუცხოვდა. სიხარული. თითქოს წაიშალა, ბურუსში ატივტი-ვდა. ასე მოსდიოდა ყოველთვის, ბავ-შეობაში. ჩაუყვირდებოდა რომელიმე სიტყვას და მაშინვე დაექვდებოდა. ბავშვი, რა არის „ბავშვი“ საიდან გა-ჩნდა? ნუთუ „ბავ-შვი“. სიხარული მხოლოდ იქ იყო, ბავშეობაში. მერე გვიან, მინარევებით შეიბღალა, დაი-ლაქა: და ნელ-ნელა გადაიქცა დამდო-რებულ სიამოვნებად ანდა ნერვიულ აგზნებად და ალტკინებად, რალაც სიცი-ტედ. რა ლამაზი სიტყვაა: სიხარული. სადა ხარ? სად იყავი? რატომ დავ-ტოვე, საით წახვედი? სიხარულო, ნუ-თუ მოკვდი, გარდაიცვალე, დახუჭე შენი ვარდისფერი ქუთუთოები? სად მილივლივებს შენი აფრები, რომელ ჰორიზონტს უახლოვდები? სიხარუ-ლო. გერმანულად საროსკიპოს „სიხა-რულის სახლი“ ჰქვია. რა იდიოტო-ბაა. ღმერთო ჩემო. რა სიხარული ის არის. მარინა, რა ეტყობა იმას სიხა-რულის დედოფლისა. ტუტუცია. ტუ-ტუცია. გიორგისთვის უთქვამს ერთ-ხელ: მეშინიაო, ღამე მარტო მეშინია, შიშით ვკვდებიო. მარტოობას ყველა-ფერი მიჩვენია, ოღონდ ვინმე იყოს ჩემთან, გვერდით სუნთქავდესო. მე-რედა უთხრა ერთხელ გიორგიმ, იმ ჩხუბის შემდეგ, როცა თვითონ ჩვეუ-ლებისამებრ წაიღრინა დის ამხანაგზე: „გარყვნილიო“. „შეეშვი რა, მარტოა, გესმის? და ეშინია იმ სახლში მარ-

ტოს“. იმის მარტოობას ვადაპტუნენ კინაღამ... ..მანქანა მათ აღმართს მი-უყვება. „გაჩერე — უთხრა განუანგს, — პურს ვიყიდი“. მალაზიაში ათასი ჯურის დიდ-პატარა, თეთრ-შავგვრემა-ნი, ბეჭდებიან-უბეჭდო, ბებერ-ახალ-გაზრდა-ბავშვური ხელი მრგვალ, თბილ პურებში დაფუთფუთებს: თითებს უჭერენ პურის ყუას, სინჯავენ, ამოწ-მებენ, გვერდზე აგდებენ. არჩევენ. სულ ზედა თაროდან ჩამოიღო ერთი თეთრი და ერთი შავი პური, ხალხს გა-დაასწრო, მოლარესთან შავი ფული დაყარა, მანქანაში ჩაჯდა. „აგე! — წარ-ბეჭდებილი სახე აიქნია ვახტანგმა — ის არ არის? თქვენი მარიამ ეგვიპტელი“. მალაზიის გვერდით, ვიწრო ტროტუა-რზე იდგა: ტანაყრილი, თმაჩამოშლი-ლი. მარინა, ენდის კლასელი. თბილი, თალხი პური მოლიავებულ მკერდზე მიეკრა. მეორე ხელით პურს იტენდა, თვითონაც ჰამდა და ხის ძირშიც ყრი-და დაქუცმაცებულს. ბელურები ხის შორიახლო ნერვიულად დასკუპ-სკუპებდნენ. გვერდულად, უნდობლად უთვალთვალდნენ, თვალებით ჩხვლე-ტდნენ შიშველმკლავება დამპურებელს. „დის ამხანაგი. ამხანაგის და. მთელი ამხანაგია ქართველისათვის. დის ამხანა-გი. თანაც შენზე უმცროსი დისა. უც-ნაურ, დამაბულ, მკაცრ-ნაზ გრძობა-თა მორვეი. გულისგამაწვერილებელი პასუხისმგებლობის განცდა ჭიკაყელა-სავით გისავსავენებს გულის ღამეში. პურის ნამცეცებს ეძებს. რალაც ბუნ-დოვანი ტაბუ დაბუტბუტებს, და სირ-ცხვილიც, როცა დის ამხანაგი ან ამ-ხანაგის და მრუშია, მრუში. ალბათ ადრე დაიწყო ამანაც. კი, კი, იმის ტი-პია: წმინდა ტაძრისკენ რომ გაემგზა-ვრა დიდი ხომალდით და საფასური თავისი ნორჩი, მაგრამ უკვე მრავლის-ნაგავი სხეულით გადაუხადა ჯანმრთელ მებღვართ. ესეც ეგრე მოიქცეოდა. ანდა იქცევა, მაგრამ ტაძრამდე ვერ ჩააღწევს და არც იორდანეს უღაბნოში დაიდებს ბინას: მოსანანიებლად. რათა მერე ჰაერში იფარფატოს ლოცვა-გვე-

მით ტანამჩატებულმა და წმინდანური შუქი აფრქვეოს თვალებიდან. ვენერულ დისპანსერში ამოხდება სული. ბატისტინა! კრეტინი! თან თარსები არიან. უბედურება მოაქვთ ყველასთვის. ეზიზღებოდა: დის ამხანაგი, ეზიზღებოდა როგორც ყველა და ყველაფერი, დანაშაულის ბუნდოვან განცდას, რაც აღუძრავდა. მარინამ თავი დასწია და გულში ჩაყრული პური ჩაეკბინა. მერე შეტრიალდა, ნელა წავიდა. ბედურები დაქუცმაცებულ პურს მისკვივდნენ ევილ-ხივილით. იმან კი უცებ მოხედა ჩიტებს და გაიცინა. „ბატისტინა! კრეტინი!...“ ერთი კვირაც არ იყო გასული... კუკიის სასაფლაოზე მიწას მიაბარეს გიორგის ამხანაგის ძმა. გვიან წამოვიდნენ. მაგიდების ალაგებას ეხმარებოდნენ ლარიბი ოჯახის ნათესავ-მეზობლებს. ფეხით დაუყვნენ ბნელ, ვიწრო თავდაღმართს. მგლოვიარე სუფრის ცხრა-ცხრა ჰიქა მაგარი ღვინო ღუნედ უბუბრებდათ ძარღვებში. სტვენა გაისმა. გულმა რეჩხი უყო. შეჩერდა. სტვენა განმეორდა და ხუთნი გადაუდგნენ წინ. „შენთანა მაქვს საქმე“, — ნიკაპი გიორგისკენ აიქნია ყველაზე ჩაფსკვილი. „რა გინდა?“ — შშვილად იკითხა, ძმამ. „აქეთ გამო“. გვერდზე მიდგნენ. თვითონაც გაიწია, ინსტიტუტად. „შენ აქ იყავი“, — გადააუგდო ოთხიდან ყველაზე მაღალმა. არყის სუნით ეცა. „რას ეჩრებოდი, როცა მე იმ გოგოს დაველაპარაკე!“ — ხელებით ალაპარაკდა ჩაფსკვილი. „ვინ გოგოს?“ — გიორგი კითხულობს, ღროის მოსაგებად. „მარინას“. „არ უნდოდა შენთან ლაპარაკი, იმას ეჩრებოდი“. „შენ რა იცი? თვითონ მე რატო არაფერი უთხრა?“ „შევატყვე“. „მერე შენ რას ეჩრებოდი?“ „ჩემი უბნელია“, — ხუთივეს მოაგლო თვალი გიორგიმ. მორჩა. ჩხუბი არ ასცდებათ, დაილუპნენ. გიორგი სამი თვის გამოსულია ციხიდან. გული ამოუყარდა. მერე გაეყინა. თვითონაც შეათვალთვალა: წითელმუწუკებიანი წოწოლა, შავ-

ყვითელი, ლამაზი, მსუქანი. ათაგოდ ჩაქმული ცხვირებიანი თმახუტუტა და მეოთხე — ქუდჩამოფხატული ნიკაპი: ესე, 14-15 წლის წითელმუწუკება და წვრილთვალუბა. „ესენი არაფერი. ამით მარტო გიორგიც ეყოფა. მაგრამ ეგეთი ნაბიჭვრები მუშტი-კრივის იმედით არ იქაჩებიან“. მსუქანმა ჯიბეში ჩაიყო ხელი. წოწოლამ კოვბოიკის უბეში შეიცურა. „ეს კიდევ ჩემი უბანია და რასაც მინდა იმას ვიზამ“. „მაინც რას იზამ“ — ცუდად შეათამაშა ხელი გიორგიმ. მსუქანი მოეშხადა. „ღედას მაინც არავინ შეიგინებდეს“ — ფიქრობს თვითონ, სასაგამშრალი — თუ რამე მოხდა, გიორგი არ უნდა გამოჩნდეს. ყველაფერი ჩემს თავზე უნდა ავილო“. „არ მინდა ჩხუბი — მშვილად ამბობს, ძმა, — შემეშვი. რამე რო იყოს, შენ არ დაიცავ შენ უბნელ გოგოს? თუ არ გესმის ამდენი?“ „ბოზი ყველასია“, — ხელი აიქნია ჩაფსკვილი, — „შენ რას ჩაიჩარე?“ „წადი, ეხლა გეუბნები, არ მინდა ჩხუბი და შემეშვი“. „რა უნდა შეგეშვა, შენი დე...“ — და ველარ დაამთავრა, ერთი შეპყმუველა და ოთხადმოკეცილი მიწას დააწყდა. დანიანმა მსუქანმა გიორგისკენ ისეუბა, მაგრამ თვითონ მოასწრო, უფროსმა ძმამ, ფეხი დაუდო. მსუქანი პირქვე გაიშხლართა. ვიდრე გონს მოეგებოდნენ, ახლა ახმახს ადგერა თავი მუცელში და ორივენი ერთად წაიქცნენ. ცალი ხელით ცხვირპირზე დააწვა, მეორეთი დანიანი მუშტი ქვაზე დაარტყმევინა და დანა წაგლიჯა. მაგრამ წამოდგომა ველარ მოასწრო, ზურგზე დაახტნენ. ყელში ხელები წაუჭირეს და სახით მიწაზე დააყვლიტეს. პირი მიწით ამოეგლისა და იმ წამში განთავისუფლდა კიდევ. გიორგიმ ორი ხელით ააგლიჯა თმახუტუტა და ზემოდან დააწყვიტა მიწას. უკანიდან ვიწროთვალუბა ლლაპი ეპარებოდა წვრილი ბებუთით. მსუქანიც წამოდგა, დანა ხელში იქვს ისევ. გიორგი უცხად შეტრიალდა, მსუქანს ფეხი ამოაქრა ნიკაპში, ლლაპს მოქ-

ნეული დანა დაუჭირა ხელით. ხელი გადაუგრიბა. დანა წაართვა. ღლაპი დაიკლანა და ჩაიყეცა. გიორგიმ არც თუძლიერ ლეწა სახეში. წამით დახედა დანას და მოიაროლა. თმახუტუტა წამოდგა, ნიკაში ამოკრა. თვითონ, უფროსმა, ისევ წაიქცა და ძმებმა გაქცევა რომ დააპირეს, ხუთიოდე ბიჭი ყვირილითა და გინებით გამოვარდა სიბნელიდან... მერე აღარ ახსოვს რა როგორ ხდებოდა... ერთი იყო, ზურგით ზურგზე აეკრა ძმას. მერე, გაბეთქილი შუბლიდან სისხლი თვალებში რომ ჩაუვიდა, მოწმენდა სცადა, და ფერდში დაუნდობლად გლიჯეს ხელი თუ ფეხი, მოიყეცა... თვალი რომ გაახილა, ვიღაცები ძირს ეყარნენ, ორი გარბოდა. გაიქცნენ, და ამ დროს ისროლეს ზურგიდან. ორჯერ ისროლეს. შესახვევიდან გამოვარდნილ მანქანას გიორგი წინ გადაუდგა. ჩასხდნენ. მანქანა დაიძრა. ხმას არ იღებდნენ. მძლოლიც ხმაგამენდილი იჭდა. მეგობრობის პროსპექტზე სხვა მანქანაში გადასხდნენ. გმირთა მოედანზე კიდევ გამოიცივალეს მანქანა. შარტოდ მცხოვრებ ძმაცაც მიადგნენ სოლოლაკში. ხელ-პირი დაიბანეს, ძმაცაცის ტანსაცმელი გადაიცვეს. გიორგის ქურთუკის საყულოში გაველო ტყვიას. ისხდნენ, ეწეოდნენ „ჰოდა, რას ეჩრებოდი, მართლა?“ — წამოიძახა უცებ, გაბოროტებულმა. გიორგიმ ერთი გახედა, მოჭუფრულმა, ღრმად ჩაისუნთქა ბოლი, არაფერი უპასუხია. „ზო არ მოკვდებოდა, პა, ის პირველი?“ — სასოწარკვეთილი შეაშტერდა მერე უფროს ძმას. ძმაცაცი ასულიყო მერე დღეს, გაეგო: იმ უბანში არავინ მოეკლათ.

შუალამისას დაბრუნდნენ შინ. შორიდანვე მოჰკრეს თვალი: დედას აივნის მოაჯირისთვის ჩაველო ხელები და გაქცევებული გადაპყურებდა ქუჩას...

სად უნდა წახვიდე, სად უნდა გაიქცე, რომ შენთვის იყო. შენთვის. რა უნდა ქნა? — ხელები სახეზე ჩამოი-

სვა, — რომელ ერთს უნდა დემყოლო. შეებრძოლო, აჯობო? რუჟდენიწყოფა: მტარას და ხიფათს და ძღუდღრმამამამკარას, ნილბიანს, ძველსა თუ ახალს? „აჰა, ყარბო, ბალი იგი — წალკოტოვანი. ხეხილნარი და ყვაილნარი სუნთქავს თბილ მზეში. ანკარებს წყარო, გალობს ჩიტი, მო, მოისვენე, მოიღრიე დაღლილი თავი. დაქანცულ შუბლზე წმინდა სიო გაემზორება, შენს დამსკადარ ტერფებს ეამება ლორთქო ბალახი, დამაშვრალ ხელებს სხივტალლოვანი წყალი განგიბანს და იჩურჩულებს მწვანე ტევრი წყალჩიტანი: ჩუუ, დაგვიბრუნდა, დაიღალა, ისე მტანჯველი გზებით იარა... ჩუუ-ჩუუ-ჩუ... აი, ისვენებს, ისვენებს იგი...“ ვისი სიტყვებია? რად გვატყუებენ, რად გვატყუებენ? არ არსებობს ასეთი ბალი მწვანე და ჩუმი. შენი პატარა, მყუდრო საიანე. აღარ არსებობს სიჩუმი შენთვის, აღარ — აღარ, „იქ ვეძებდი ნაცნობ ადგილს განსასვენებლად“. არ არსებობს მყუდრო ადგილი, სადაც დაღლილის წყნარად ჩათვლენა გაეხარდებოთ, თითის წვერებზე შედგებიან მძინარის გვერდით და გულშეძრულნი, ნაზად მიუყურადებენ იმის ჩუმ სუნთქვას: ხეები, ადამიანები და ქვეწარმავალნი. ამ ხრიოკი გზის ბოლოსაც ღრიანცელია: მტრობა და ყროლი და შშორი. ერთმანეთი სძულს ყველას და ყველაფერს. კაცს — კაცი და მთელ სამყაროს — ადამიანი: ყველაფერი მტრობს, უფროთის, თავს ესხმის: წყალიც და ქვაც და ვარსკვლავიც და ქარიშხალიც და ქვეწარმავალიც. უბრალო, შეჩვეული ნივთებიც მტრობენ, სახლ-ოთახების უტყვი ბინადარნი, მტრობენ, უჩუმრად უმხედრდებიან: ეკარგებიან ან ხელ-ფეხში უთავბოლოდ ებლანდებიან, ნერვებს აწყვეტენ. დაფრთხო სამყარო და დაფრთხა თვითონ: უბედური, უჯიშო, უმწიფარი. ტივტივა — ნისლში. ნაფოტი ნისლის მორევში. „მხოლოდ ტივილი არის ნათელი, სხვა

ყველაფერი ბუნდოვანია“. ვისი ლექსია. სწორა. სწორე. ჩემიანის ნათქვამია, ჩემი თანამედროვის, თანაზიარის თანატანჯულის. სხვა ყველაფერი ბუნდოვანია, ბუნდოვანი... ბუნდოვანია ყველაფერი ბედისწერასავით, სიყვარულივით, დროსავით... თითქოს წყალში სხედან, წყალში აქვთ თვალები გახელილი. მუცლის წყალში თვალებლია წვეს ნეტავ ნაყოფი, თუ რომ იზადება მაშინ ახელს პირველად თვალებს? და დროის წყალში თვალებგახელილი ისევ ნისლია... მკაფიოდ ვერაფერს ხედავს და არაფერი იცის დაბეჭივებით. ნეტავ მუცლიდან ხომ არ გამოჰყავს ეს უცნაური, მოუშორებელი განცდა: რომ თითქოს წყალშია, წყალში აქვს თვალები გახელილი და იმიტომ ასე ბუნდოვნად ხედავს ყველაფერს: მოვლენებს, საგნებს. და მტანჯველი, მტანჯველი სურვილი აწუხებს: წყლიდან ამოყოს თავი, ამოიხედოს: კრიალა, ელვარე, მკაფიო სივრცეში და ერთბაშად დაინახოს ზემოდან მიმტოლოავი ნაკადი, სადაც ჩაძირული იყო აქამდე, ერთბაშად დაინახოს ყველაფერი, რაც იმ ნაკადის სიღრმეში იყო და ტივტივებდა: ცხოვრება. უბედური. მაშინ ამოყოფს თავს როცა მოკვდება. სიკვდილის ბიძგი სჭირდება. როგორც კოსმოსურ ხომალდს — აფეთქება, რათა ამოსხლტეს, ზეაიჭრას ცხოვრების წყლიდან! ერთხელ კიდევ გატოპავს მდინარეს, დაიწყების წყლებს და გადაეცლება თვალისა და ლიბრი: გამკაფიოვდება არსებობა. უბედური, უმწიფარი, თვალლიბრიანი. აღარ ელირსა სიმწიფეში შებიჯება, სიცოცხლეშივე ზრდადმსრულდება... ველარ ისწავლა სამყაროში მოქცევის წესები, თავის დაჭერა, გონი. ეკალბარდებში, წყლის ჯაგებში გახლართული...

მოვიდა როგორც იქნა. გიორგი. სასტუმრო ოთახის კარში გაჩერდა და განაცხადა:

— გეგმები შეცვალე!

— ცოლი მოგყავს? — დაინტერესდა ენდი.

— აღარ ვაბარებ უნივერსიტეტში! — აბა? სად? — ნინო

— საერთოდ აღარ ვაბარებ, არსად... — გაგიყდი? — თვითონ გაგიყდა ლამის, უფროსი ძმა.

— რა სიგიჟეა.

— ამისთვის ემზადებოდი მთელი წელი?

— დიდი საქმე!

— რას აპირებ?

გიორგი დედას უყურებს: ანთებულ ტორშერთან ზის, ხიჭვის ამოღებას ცდილობს ხელისგულიდან. თითქოს არ ესმის, ირგვლივ რა ხდება.

— მთხოვეს... დაეხმარო... მეცნიერთა ჯგუფს ტბის ფსკერის შესწავლაში. მყენითავე სჭირდებათ. მე და ოთარს გეთხოვეს, პირადად. ოთარის ბიძა ხელმძღვანელობს... ასეთ შემთხვევას როგორ გაუშვებ!

— რა უნდა შეისწავლონ?

— რა ვიცი. წყალმცენარეები ისე

გაჯაგრულა, ლამის მთელი ტბა ამოავსოს. კაფავენ — იზრდება. ჩამოიყვანეს უცხო ჯიშის თევზი, რომელიც

იმ წყალმცენარეებს ჭამს. მაგრამ ის თევზი, ჯერ თითქოს გამრავლდა, მერე კი ერთბაშად გაწყდა. მთელი ტბის ზედაპირი მკვდარი თევზით მოფენილა.

წყალი ხან დაბლა იწეეს, სადაც მიყოწაწას, ხან დიდდება... რალაცები ხდება. მოკლედ, უნდა გაიგონ, რა ემართება ტბას.

— მერე, რომ გაიხლართო იმ წყალმცენარეებში და იქ ჩაიხრჩო? — დონჩი შემოიყარა ენდომ.

— გავიხლართო არა ის! ენდი კი არა ვარ!

— აი, ვნახოთ. შენი ამბავი არ იცი, ყველაფერი შენ რომ უნდა გეძგეროს!

— ბიჭო, ორწელნახევარი პატიმრობაში დაკარგე, მერე იმის მონელებაში!... ეხლა მაგეების დრო გაქვს? დედი, შენ უშვებ?

— ჯერ ერთი, ჩემთვის არავის უთხოვია ნებართვა, და მეორეც... რომ



ეთხოვათ, რა თქმა უნდა, გავუშვებდით... — თავი არ აუღია.

— დედი, კარგი რა, დედას გეფიცები... როგორ არა გკითხავდი, სწორედ შენთან მოვიდოდი, ეგრე გამოვიდა, ესენი რომ კაცს დაეძვრებინა, ხო იცი... თორემ უნდა მეკითხა... თუ არ გინდა, არ წავალ... მაგრამ, დარწმუნებული ვიყავი, რომ გამიშვებდი...

— მართალი ხარ.

— როგორ, ეს მომზადება წყალში უნდა ჩაყაროს? ხომ დაავიწყდება ყველაფერი, რაც ისწავლა. მერე სულ ვეღარ დაუღებს გულს...

— ნუ დაუღებს. ზრდადასრულებული კაცია, ვერავის ვერაფერს დააბრალებს. თანაც კაცმა ის უნდა აკეთოს, რაც ეხალისება. თუ სწავლა არ უნდა, ძალათი ხომ ვერ ისწავლის.

— კი, მაგრამ... იქ, იქ რომ რამე დამართოს, ხომ იცი ამის ამბავი.

— არაფერი არ დამართება. არაფერი ცუდი, — დედამ ბიჭვი გამოიღო, და ხელისგული ტუჩებთან მიიტანა.

— რა იცი!

— რა ვიცი... გული მიგრძნობს. ეეჰ, ტბის ფსკერი, ალბათ რა საოცრებაა, რომ შემემძლოს მეც ჩავიდოდი. ბავშვობაში რამდენს ვოცნებობდი. გუშინწინ გიორგის მწერთნელი შემხვდა, მიფხრა, ბრწყინვალე აქვალანგისტია, დიდ იმედებს ვამყარებო... მართლა ბრწყინვალე ხარ, გიო? როდის იწყებთ?

— მაისის პირველი რიცხვებიდან... მთელი ზაფხული ვიმუშავებთ. დედი, ოთარის ბიძას გამოუწერია ოთხი ისეთი აქვალანგი, გაგიტლები, უკვე ვნახეთ დღეს, წყლის ფანრები. პროექტორებივით ანათებენ, გენიოსი ლასტები, მთელი მოწყობილობა... ხო აზრზე ხარ, რა ხდება, აუჰ, ბიჭო, გავაფრენ, ვიდრე წავალთ...

— მეც წამიყვანე, რა, გიო — გამელავნდა ენდი, — არ შეიძლება მეც ჩავეყინო?

— წამოდი, ჩაგიყვან და ჩაგახრჩობ იმ წყლის ჭაგებში, მოგათავსებ უჩრბულის ხაზაში და მოვისვენებთ ყვე-

ლანი... იჯექი იქ და წერე შენი ლექსები, — ხელები გულზე მიიკრა და თვალდახუჭულმა ყელი მოიღვრა: —

„ო, ჩემი გული და უფრო სული!“ — მერე დაეძვრა, მხრებზე მოიგდო ენდი და დაატრიალა. ენდომ მუშტები დაუშინა და ყურზე უჩქმიტა.

— გიორგი! — წამოდგა დედა, — ჩვენ რომ წყლის საათი გვაქვს! რა კარგია! გამოგადგება! ფოსფორის ციფერბლატი აქვს. სიბნელეში ანათებს!

— დედი, დედი, ბარემ გეტყვი ოთარის ბიძამ გკითხრა, მერე ჰიდროარქეოლოგიური კვლევა-ძიება იწყება სოხუმის ყურეში და იქ გაგავზავნითო... ხო აზრზე ხარ. ძველი ქალაქის ნანგრევები, ჩაძირული ხომალდის ნაშთები და ეგეთი რალაკები უნდა ვიპოვოთ... იქ ნამდვილი ბატისკაფი გვექნება, გესმით, ნამდვილი ბატისკაფი!

— შურიტ კვადები, — ოხრავს ენდი.

— მეც, — აღიარებს დედა, — გიო, თუ გენდომება, დაუსწრებლად ისწავლი...

— დედი, დედი, შენი ჰირამე! და საერთოდ — დიმიტაური! დამიტიტაური! დიმიტიტაური! დამიტი — ჩამოუარა გიორგიმ, ენდის დასტაცა ხელი და მაგიდაზე შემოსვა.

ისევ ღიმილი გაჩენილიყო მის სახეზე. მაგრამ, მერე, იქვე ქვის კვერცხთან ვიწრო, მოგრძო ვერცხლის ვაზაში ლამაზად მიმოგრეხილ, პატარა, გამხმარ ტოტზე დაკიდებული გოგრის თესლების მძივი ჩამოხსნა... თესლებს ზემოდან რალაც მბზინავი ლაქი ესვა და სადაფის ღილებს წააგავდა. დასჩერებოდა გოგრის თესლებს და ღიმილი გაუქრა... სოლოლაკის ჩანწლებულ ქუჩებს ჩასდევს, ნასვამი ამღვრეული. შუალამეა. ერთი-ორგანდა თუ ანთია ფანჯრები. რალაც უწრიალებს გულმკერდის ხაროში, რალაც უსიამოვნოს მოლოდინში მთლიანად წვიპხეა შემდგარი, გაფაციცებული. ჩაწყვდილდა ჭვავნილიანი ქუჩა და ერ-

თადერთ ადგილას მინახელა წევს სინათლის ღვარი. გოგრის ხორცის ფერი, ყვითელ-მონაცრისფრო, მუქი შუქი... სარდაფის ოთხკუთხა ფანჯრიდან გამოდის, მუხლის სიმალეზე რომ სცილდება მიწას. წინ ორმო იქმნება: ფანჯარასა და ასფალტს შორის. და ჩაიხედა. აუუ, რა შორს, რა ქვემოთ, რა ღრმად მოსჩანდა რალაც ოთახი და... ოთახში ახლადამბინებული საფლავი თრთოდა, მწვანე ბორცვი. დააკვირდა და საფლავი ქალად გადაიქცა, რომელსაც უზარმაზარ მუცელზე ბაყაყისფერი შალი ეფარა. თეთრი, გაწამებული, პატარა სახე გაშლილი თმის ვარაყში ესვენა. ვილაც კუზიანი, ბებერი ქალი ბუზებს ხოცავდა და დროდადრო ქალისკენ იშვერდა ბუზისსახოცს და ეჩხუბებოდა... ბებერი, პირში ყალიონ-განრილი კაცი გოგრას ჭრიდა ვეება, შავი დანით და გოგრის ლორწოიან შიგთავსს — თესლებდასხმულ ნარინ-ჭისფერ თმას ნელა ჰყულებდა ბებერი ხელით და შავი კატა იწვა ელემტროჭურბრთან, რომელზედაც თავახდილ ვედროში ორთქლამდინარე წყალი დუღდა და იქვე, სარკმლის განიერ რაფაზე ტანსაცმლის ჯაგრისში, რომელსაც შავ ჯაგარში შერეული თეთრი ჯაგრით 1937 ეწერა, იოდისფერი სავარცხელი იყო ჩარკობილი, წარწერას რომ შუაზე კვეთდა. მერე კაცი მწოლიარე ქალისკენ მიბრუნდა, დანიანი ხელი მისკენ გაიშვირა და რალაც უთხრა, ავი და მწარე. ქალმა დაიკვნესა და ცრემლები დასდინდა და საიდანღაც გამოჩნდა ათიოდე წლის ცალფეხა გოგო, ყავარჯნებით მოფორბილობდა, ქალს ჩაეხუტა და ერთად ატირდნენ... და უეცრად ქალმა ფანჯრისკენ ამოიხედა... და ხომ შეუძლებელი იყო, თუმცა რა იცის, თითქოს დაინახა და სახე გიყურმა სიხარულმა გაუცისკროვნა. ხელი ფანჯრისკენ გაიშვირა და დაიძახა: „მოვიდა! აი, მოვიდა! ხომ გუტუნებოდით!“ თმა ყალუზე დაუდგა, გული გაეყინა და გონს რომ მოეგო, რუსთაველზე მირბოდა უკვე,

მირბოდა და ვერ ჩერდებოდა.

„სად იყავით 13 მარტს, ექვთიშვილ საათზე?“ — სუბუბუბუბუბუბუბუ ედგა ყურებში, მერე, დიდხანს იტანჯებოდა უაზრო მოლოდინით, რომ როცა იქნებოდა, პასუხს მოსთხოვდნენ, ოღონდ არ იცოდა რისთვის, იმ სარდაფის დანახვისა თუ იქიდან გაქცევისათვის. „რა უპასუხოს. რა უპასუხოს დამაჯერებელი?“ უაზროდ ეძებდა უაზრო პასუხს, უაზროდ შესაძლებელ კითხვებზე. „ბატონებო, დიდად შემცდარი ბრძანდებით. მე მაგ დროს უკვე მკვდარი ვიყავი. ორი-სამი დღის“. ძლივს არ მოიფიქრა! ძლივს დაიძვრინა თავი. უაზრობა. რეალური შიში არარეალური განსაცდელის წინაშე. უაზრობა — მშობლიური, თანდაყოლილი, ნამდვილი — რადგან ნამდვილი ტანჯვით კვებავდა, არასწორი, მაგრამ ნამდვილი ტანჯვით გონსა და გულს.

გოგრის თესლების მძივი ისევ გამხმარ ტოტზე დაკიდა, შეასწორა და მერე ის აიღო: ფოსფორის ჯვარცმა. სახესთან მიიტანა, ახლოდან დააკვირდა, პეშებში მოიქცია და: განათდა ფოსფორი...

— დღეს წითელი პარასკევია, — ძალიან ხმადაბლა ამბობს დედა, — შენი დაბადების დღეს დაემთხვა. ჩვენც ზეგ გადავიხადოთ, კარგი? ზეგ საღამოს მოიყვანე ამხანაგები. თქვენმეტი წლისა ხარ უკვე, აუუჰ!

ენდროს სამი პატარა შეკვრა მაგიდაზე დადო, ოხრახუშისა და ქინძის სურნელოვან, ხასხასა კონებთან...

— დღეს კევრცხებს შევლებავთ, — მოწითალო კაბა აცვია. ჩუმდება. თვლები გაცურდნენ, გავიდნენ ფანჯრიდან და სადღაც, ქუჩის პაერში გაჩერდნენ, — წითელი პარასკევია.

ბოლოზე ქალალღამოცმული სანთლების კონა ენდროს მიუწვინა. „პირველი კლასის ქართული წერის რვეული. იმის ფურცელში გაუხვევია ვილაცას, ალბათ მოხუც, ღარიბ ქალს, სანთლები“.

იის სამი კონა, მუქლურჯი, გულის-
მომწურავად სურნელოვანი და გამა-
გიებელი, ოხრახუშის სიმწვანეში ჩა-
იძირა. ენდროს ღეროებს კანი აქა-იქ
გადაყვლეფიათ და თეთარ-მოალის-
ფრო მერქანი მოჩანს. თითს აჭერს —
კანი ბაციოდისფრად ეღებება. მერე
ქინძის ფოთოლს სრესს ორი თითით.
ღაწყდნენ მცენარის უჩინარი, სუსტი
ძარღვები და ჭანსალი, ახირებული
სურნელი ეცა. დედას უყურებს.

— ამაღამ კეერცხებს შევღებავთ, —
ძაფი შემოხსნა, იებმა ამოისუნთქეს,
თეთრ, გამკვირვალე ფილაში ჩაეშე-
ნენ, იქ წყალში მათი ძირები ძაფები-
ვით ლივლივებენ, — სანთლები ჩემ-
თან შეიტანე, — უწვდის. იდაყვამდე
შიშველი, თეთრი ხელი: ცისფერი ვე-
ნები ატყვია. მკრთალად.

— დღეს რომ გადაგვხადა, რა მო-
ხდებოდა? — განა თვითონ კი უნდა,
მაგრამ განგებ.

— დღეს? — მწვანე ბაიები შუაში
შეჩერდნენ, ქუთუთოები ოდნავ დას-
ცილდნენ თვალის კაკლებს, — წითე-
ლი პარასკევია!

სანთლები აიღო და სამზარეულოდან
გამოსულს „ფრთხილად იყავით!“ და-
ეწია დედის ხმა.

ენდი, აჩაჩული, თმააწეწილი, სახე-
მოქუფრული გამოდის ოთახიდან. თა-
ვისნაირადვე გაჩეჩილი, გაუბედურე-
ბული თოჯინისთვის თმაში ხელი ჩა-
ვლილი... შიშველ, ვარდისფერ, პრილა
ფეხებს იატაკზე მიათრევიანებს მობე-
ზრებულ, ათვალწუნებულ სათამაშოს.
რაც სკოლაში დადის, ეს თოჯინა აღარ
გახსენებია... ახლაც, თითქოს დასას-
ჯელად მიჰყავდეს საღმე.

— აჰა, სანთლები, დედასთან შეი-
ტანე, ოთახში! — გაუწოდა, განგებ.

— შენ შეიტანე! შენ გითხრეს!

— დიდი ამბავი მოხდება, არა, რომ
შეიტანო, უფროსი როცა გეუბნება!
— თმა უხეშად აუჩეჩა შუბლთან, ვი-
თომ ხუმრობით.

გაფითრდა და ავად ჩააფრინდა ხე-
ლში, ფრჩხილები ჩაასო ღამ.

— რატომ ჩამარტყი! შენი ხელები!
— არ ჩამირტყამს! გეგებუძრე! —
არა, სწორედ გალიზიანებულადა,
გალიზიანებულს და უცვლელად
ამგლები აირჩია: თმის ჩამოჩაჩვა.

— ჩამარტყი! — ცრემლები უცახ-
ცახებს თვალეში, — მხეცო!

ხელი გამოვლიჯა უფროსმა და მა-
გიდას მეორე მხარეს მოექცა.

მთელი ძალით მოქნეული ხელ-ფეხ
გაჩაჩხული თოჯინა მისკენ გამოფრინ-
და, ოვალურ მაგიდას თავს გადაეკლო.
გვერდზე გადახტა, აიცილა, და:

— ვაიმე, დედა! — გაისმა გიორგის
ყვირილი, სახეზე ხელუბაფარებული
უცბად შეტრიალდა და ლიად დარჩე-
ნილი კარის მინას შეასკდა.

ზრიალით ჩაიმსხვრა მინა და სისხ-
ლმა შეუღება თავი და ხელები.

— გიორგი! — დედა გამოჩნდა:
მიტყლისფერი, მიიბზინა, ხელები ჩა-
მოაღებინა, აბაზანაში გააქცია, ცოტა
ხნის შემდეგ უკანვე შემოაჰყავს: ხე-
ლებზეხვეული, ტუჩებგამოსკდარი, თვალ-
ამობრუცული, ლოყავასერილი. ფარდა
ირხევა, დედის ოთახის კარზე, და
ორივენი იქ უჩინარდებიან... მთელი
დღე აღარ გამოჩენილან.

სამზარეულოში შეტკნა მწვანე
კონები, გაუხსნელად მაგიდაზე დატო-
ვებული, გაშრა ახალი, სველი, ქათქა-
თა ყველი, წითელი ბოლოვი.

ენდი ხმამალა ღნაოდა დედის კა-
რთან და თვითონაც მოშხამული და-
ბორიალობდა ოთახიდან ოთახში და
ორივემ იცოდა, გიორგი კიდევ შეიძ-
ლება გამოჩენილიყო, თუ კარგად იქ-
ნებოდა, დედის იმედი კი არ უნდა
ჰქონოდათ, და ენდომ ტირილ-ტირი-
ლით შეალაგა ყველაფერი მაკივარში.
თვითონ კი გარეთ გავიდა მოწამლე-
ლი, მაგრამ — გამოფხიზლებული.

ასე იცოდა ყოველთვის. ჩხუბს ატე-
ხავდნენ თუ არა — ძმები ან და-ძმა,
ხმას არ ამოიღებდა, ადგებოდა და ფა-
რდის მიღმა უჩინარდებოდა...

— მომეცი ჩემია, შენ ხომ გაქვს
შენი, წადი და აიღე! — დაეძგრა



თვითონ გიორგის და ხელიდან წაგლიჯა ბადმინტონის ჩოგანი.

— არ მოგცემ! რას დამეძგერე, წესიერად ვერ მეტყვი! — ჩაბლუჯა იმანაც, ათი წლის იქნება.

ხელი ჰკრა და გიორგი ჩოგანიანად ჩაენარცხა სავარძელში, წამოვარდა გაფთვრებულნი..

დედა ადგა და ხმაამოუღებლად შევიდა ოთახში. გიომ ცივად მოისროლა ჩოგანი და თავის ოთახს მიაშურა. ერთმანეთი რომ დაეხოცათ, სიტყვას არ ეტყოდა, ადგებოდა და გაუჩინარდებოდა. თავის ოთახში. შემრიალდებოდა თავის ნიჟარაში და სიკვდილივით ეშინოდათ მისი შეყუყვისა. ისეთი მარტოობა და გულისგამსრესი სიცარიელე წებებოდა მთელს ბინაში, თითქოს წყალჩამდგარ ფულუროში დაქრიალებდნენ, სახლის ყველა კუნძულში რაღაც მტრული და ავბედითი ისადგურებდა და ისინიც მარტოები იმაბებოდნენ... რიგდებოდნენ, ერთიანდებოდნენ. მარტო დარჩენილნი ჩხუბს ერიდებოდნენ, გიორგის უჩვეულო ღონის გამო სულ უფრო საშიში რომ ხდებოდა.

ისედაც, უყვარდა მათი მარტო დატოვება. ხუთი-შვიდი დღით მაინც მიდიოდა, გადაიკარგებოდა ხოლმე, ზღვას აკითხავდა, მამიდამის. „უკვე დიდები ხართ, თავს მოუბრეთ, სოფიკოს მოეხმარეთ ენდის მოვლაში“ — ასე თქვა და წავიდა. ენდი ოთხისა იყო მაშინ, პირველად რომ დატოვა დედამ, მთელი შვიდი დღით გადაიკარგა და როცა მიდიოდა, თმა ჰქონდა გაშლილი და უცნაურად უბრწყინავდა თვალის კაკლები. მიუხაროდა გარეთ: შორს ოჯახისაგან, ბავშვებისაგან თანისუფალი, ფრთაგაშლილი დღეების მხარეში... მაშინ კი ასე ჩაიარა ვნების კვირის პარასკევა. შაბათს, დილით კარზე დარქევს. თვითონ გაალო. კარში სასულიერო პირი იდგა. უღიმელო შუახნის კაცი, რომელსაც მხოლოდ ცალი წარბ-წამწამი გათეთრებოდა. მი-

სალმების ნიშნად ოდნავ დახარა თავი და დედა იკითხა.

სასტუმრო ოთახში შეიკვანეს მკვირე საუბრის შემდეგ შავკაბიანმა კაცმა მაგიდაზე რაღაც ფუთა დადო და წავიდა. დედამ ნელა, სათუთად გახსნა და სევდიანად გაშალა ულამაზესად მოჭარბული, განიერი, სალუქი ქსოვილი. განსაცვიფრებლად ცოცხალი, მოვარდისფრო ვარდები ჩანდნენ მოცისფრო ქსოვილზე, შუისფერი ჭკრები და სუროს გრძელი, მწვანე რტოები.

— შენი მოჭარბულია, დე? — მუდარით შეჰკითხა ენდომ, შერიგებას ეკვდრებოდა.

— პაპიდა მთვარისასი და ჩემი. დიდი ხნის წინათ მოვჭარგეთ. მაშინ მე თექვსმეტი წლისა ვიყავი. აქამდე იქ, ეკლესიაში ეკიდა.

— რატომ მოგიტანა? — ის კაცი, ვისი სურვილითაც ეს ქსოვილი მოვჭარგეთ, გარდაიცვალა. ახალ ეპისკოპოსს კი ეს ვარდები არ მოსწონებია და დაგვიბრუნეს.

მამიდაჩემმა კი ჩემთან გამოატანა.

— ეხლა რას უზამ, დე?

— არ ვიცი. ეკლესიას ვაჩუქებ ისევ, აქ, რომელიმეს...

— ძინ. ძრინნ! — ზარი აწკრიალდა, კვირა დილით — ძინნ! ძრრ! ძრრ!

— ქრისტე აღსდგა! — მანგლისელ მერძვეს ცალ ხელში მაწვნის თავმობილი ქილა უჭირავს, ცალში — წითელი კვერცხები.

— ჭეშმარიტად! მარო, გენაცვალე! — დედა სოფოს ოთახში შემოჰყავს მწვანე თავსაფრიანი მანგლისელი მერძვე.

— ქრისტე აღსდგა! მათე, — მერძვეე წითელ კვერცხებს უწვდის — გიო! ენდი!

— ჭეშმარიტად! — ყვირის ჭერ ისევ სახეშეშუპებული გიორგი და გარბის. მაგიდას თოვლივით თეთრი სუფრა აფარია, ზედ სამი პატარა პასკის წრეში მალალი, თავთოვლიანი პასკა აღმართულა. ხასხასა მწვანის კანიდან ეღვრება სიმწვანე, წითელი, ალაგ-ალაგ

თეთრად აფცქვნილი ბოლოკი ეშმაკურად ამხიარულებს სუფრას. ფაიფურის ქათქათა, ოვალურ ლანგარზე ძოწისფერი კვერცხები იბინდებიან. ლურჯ, ინდურ ლარნაკში თეთრი იასამანი გადაპენტლი-გადაფიფქულა და დეიდა სოფოს საგვირგვინო ნახელავი — შაქარლამის ფიფქოვანი მინანქრით დაფარული ნამცხვარი — ბატყანი მწვანე სინზე თვინიერად წამოწოლილა. თხლად დაჭრილი, მოშვინდისფრო ლორი მადისაღმძვრელ სურნელებას აფრქვევს და დამამშვიდებლად თეთრია წვნიანი, ახალი ყველი და წითელი ღვინო დგას გამჭვირვალე მინის სურაში და თონის პური ირიბ ნაჭრებად დაუჭრიათ და ტანწერწეტა ვერცხლის შანდალში ერთადერთი სანთელი იწვის...

— ნამცხვარი-ცხვარი! ნამცხვარი-ცხვარი! — დაბტის ენდი.

აივნის ღია კარიდან ბაღში მოყვავილე იასამნისა და ატმის ხის სურნელი მოიფრქვევა, მზე ქვლებად იღვრება ოთახში, სკის დახუნძლული ძილიდან ახლად ამოფრენილი ფუტკრები გაიზუზუნებენ ზოგჯერ ღია კარში და მერცხალი ასხლტება აივნის წინ, ამფორიაქებლად სურნელოვან ჰაერში...

სამზარეულოდანაც ცნობისწამლები სურნელი მოიფრქვევა — და დეიდა სოფოს საზეიმოდ შემოაქვს საგანგებო კერძი — ახალ ტყემალში ჩახრახული ბატყანი და ის-ის არის სუფრას უნდა შემოუსხდნენ, რომ — ძრანნი ძიინ!

და დედა გაშრიალდა და ენდიც მიჰყვა.

— მამიდა! — გაისმის დედის განცვიფრებული ხმა.

დაწუთის შემდეგ მაღალი, გამართული, შექარივით თეთრი, მოზუცი ქალი მშვიდად ამბობს სასტუმრო ოთახის ზღურბლიდან:

— ქრისტე აღსდგა!

— კეშმარიტად! — ერთხმად პასუ-

ხობს ყველა და — პაპიდაა! — მუხლებზე ეხვევა ენდი.

შორიდან აღწევს გულსერიან ზარების ხმა, ფუტკარი ზუზუნებს, სურნელებით სავსეა ოთახი... და მაგიდას უჯდება ყველა...

ისევ პეშეში ედგა ფოსფორის ჭვარცმა. მომწვანო-ძვლისფრად უნათებდა პეშეების თბილ, დაღარულ, ჩაბურცულ-ამობურცულ გამოქვამულს. ფოსფორი. ფოსფორი. მანათობელი ტანჯვა... მაშინ ბრწყინდება, როცა ბნელდება.

— დედი, გეხვეწები, შენ წამიკითხე რა ლექსი, შენ რომ კითხულობ, უფრო მალე ვსწავლობ, — ეუბნება დედას ენდი.

— რა გაქვთ?

— ვაჟას ერთი ლექსი, რომელიც გინდათო.

— რა კარგი ქართულის მასწავლებელი გყავთ, ეგრე რომ იცის. თქვენ თვითონ რომ გარჩევიანებთ.

— ჰოდა, მაგის გულისთვის ხსნიდნენ სწორედ. უჩივლეს, მაგრამ ისეთი ამბავი ავტებნეთ მოსწავლეებმა, ხომ გახსოვს...

— რომელი აირჩიე?

— შენ ამირჩიე, რა.

— ეგ რაღა გამოვიდა. ხომ გეკითხებათ ხოლმე, რატომ აირჩიეო.

— როგორ არა. მაგრამ შენი არჩეული, ვიცი, მომეწონება, და რატომაც მომეწონება, ვიტყვი. ამიტომ ავირჩიე მეთქი, სულ ერთი არ არის!

— ეე, ენდი, მოიგონებ ხოლმე რა რაღაცას. მომიტანე წიგნი.

წიგნს ფურცლავს და ენდი ავიწყდება. შუა ოთახში სხედან.

თვითონ ფანჯრიდან გაჰყურებს ქუჩას:

— მოწვევა მივიღე ლენინგრადიდან. ასპირანტურას მთავაზობენ.

— მერე?

— რა მერე?

— რას ფიქრობ?

— რა ვიცი. წასვლა ჯობია, შენც

იცო, იქ დავიკავდი და ბარემ იქვე დავრჩებოდი. აქ რა უნდა გავაკეთო. სული მეხუთება, ყველანაირად ხელ-ფეხი მაქვს შეკრული. თან სამი ამხანაგია ლენინგრადში, იქ მუშაობენ.

— დაიცავი და ჩამოდი.

— რილასთვის ჩამოვიდე?

— რილასთვის? — კითხულობს დედა და ფიქრში მიდის. თავდახრილ დასწერებშია ძირს რაღაც წერტილს — რილასთვის? — ამოიოხრა და ოდნავ აიწურა მხრები, — როგორც გინდა.

— ნუ გეფუყვებიან, რა მათე, ვსწავლობ! — საავდრო ღრუბლები იგრძნო ენდომ. ცამეტი წლისაა.

„როგორც გინდა, რა უნდა ამას: როგორც გინდაა შენი ჭირიმი! თუ გინდა გააგიეთ ადამიანი: როგორც გინდა, როგორც გინდა, უნდა უძაზო!“

ბალახი ვიყო სათიბი,
არა მწადიან ცელობა,
ცხვრადვე მამყოფა ისევა,
ოღონდ ამშორდეს მგელობა...

ხმა ჩაიწურა, დარდის ზრამში ჩაიღველფა: წყნარია, საღამოსნაირია.

— იკითხეთ! ასწავლეთ! „ცხვრადვე მამყოფე ისევა, ოღონდ ამშორდეს მგელობა!“ — ვილაყას გააჯავრა: სენტემენტალურსა და ყალბს. — ლაჩრის ნათქვამია და მეტი არაფერი! მგლები როცა გესვებიან, მგლად უნდა იქვე, მგელზე უარესადაც, ცხვრებად გადაცმულები რომ მოკიციანებმს, ტყავი უნდა ჩამოადლიზო და პანდური ამოუჭირო, რომ შენსავე მიწაზე არ გადაგვეგონ!

— ვაჟა-ფშაველა იყო, ბიჭო, მშინშარა? — გაშტერდა, ენდი.

— და საერთოდ, რაღა დროს ეგ არის, გოგო! როდემდე უნდა ისხდეთ ჭურში! — ხელი სტაცა ტრანზისტორს, — უსმინეთ! უსმინეთ!

აღღვებული ხმები სხვადასხვა ენაზე, მაგრამ ერთნაირ რეგისტრში იუწყებოდნენ რაღაცას — საერთო საფრთხეს. მრავალნაირ ხმათა და ენათა ერთნაირი სიმძაფრე შიშისა და გამოუვალობის ერთიან ვალს ქმნიდა.

და უცებ გაახსენდა: სათბე დთხე-და.

— მოიცადეთ! — წამოხტა უკვე მთლად ავზნებული, — სწორედ ახლაა მე-9 არხზე! — და ტელევიზორი ჩართო: ეკრანის ბურუსი განათდა, გაიფანტა და გამოჩნდა უცნაური ტრაქტორიით მოძრავი საგანი: „ნეიტრონული ბომბი... — იუწყებოდა დიქტორი. ბომბის მატარებელი რაკეტა ფრინველივით მოქნილად ევლებოდა თავს ქალაქებსა თუ მთებს, ხან სულ დაბლა იწევდა, ხან სულ, სულ მაღლა იზიდებოდა: მოუხელთებელი, წინაღუდგომელი. და მერე წარმოსახვითი ფილმი აჩვენეს: ნეიტრონული ბომბის აფეთქების შედეგი ერთ პატარა ქალაქსა და მის შემოგარენში. ბოლი ავარდა და მერე თითქოს უზარმაზარი ფოთოლცვენააო: უჩუმრად, უბგეროდ ცვიოდნენ, უტანჯველად ეფინებოდნენ დედამიწას: ადამიანები, ცხოველები და მცენარეები.

დერეფანში გავარდა და ვიღრე სადარბაზოს კარს გამოაღებდა, ხმა შემოესმა: მშვიდი, ნირჟცველი:

„ბალახი ვიყო სათიბი,
არა მწადიან ცელობა...“

ხელი გაუშეშდა კარის სახელურზე, ყური მიუვლო:

ნუ დამასვენებ ნურასდროს
მამყოფე შეძრწუნებული,
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,
როცა ვარ შეწუხებული!

— მაზოხიზმი! მარადიული მაზოხიზმი! — დაიყვირა და კარი გაიხათქუნა. მაგრამ იმას რომ არ ამბობდა, რასაც ფიქრობდა! რად იქცეოდა ეგრე ტკივილი, გულს თანშეზრდილი, სულ სხვა სახელი რომ ერქვა და სხვა სახელს ირჩევდა.

წვიმდა ქუჩაში. წვიმდა ირიბად. ცერად სერავდნენ სივრცეს წვეთები, როგორც ხაზები პირველ-მეორე კლასის რვეულებს. სველ, დანაწევმარ რუსთაველს მიუყვებოდა. ქაშვეთის ქვარს ზიტი შეაფრთხილდა და მწუხრის ზარიც გაისმა. პატარა სკვერის წი-

თელ მიწაზე რტოებჩამოღვენთილ ტირიფს პატარა გოგო და ბიჭი შეფარებოდნენ, ნამცხვარს იყოფდნენ.

ფოსფორის ჯვარცმა ნელა დადო მინის თაროზე. გაასწორა. არსადაც არ წასულა. უარი თქვა ლენინგრადზეც, რიგაზეც, სადაც ასპირანტურასაც სთავაზობდნენ და სამსახურსაც და ყოველგვარ ხელისშეწყობასაც პირდებოდნენ. ხელმძღვანელს, რომელიც დაჟინებით ურჩევდა წასვლას, ისევ გაღიზიანებული ელაპარაკა, როგორც დედას. მაგრამ გაოგნებული მერე დარჩა, რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ხელმძღვანელმა, ყოველგვარი ჩხუბი უკვალოდ რომ ავიწყლებოდა, ხელი გადახვია და გაუცინა: ისე კი მითხრა დედაშენმა, არა მგონია, წავიდესო. როცა დააზუსტა, როდის შედგა მათი საუბარი, აღმოჩნდა: სწორედ იმ დღეს დაერქვა ხელმძღვანელს მათთან, გარეთ რომ გავარდა, და ისევ თავიდან გაღიზიანდა დედაზე, ლამის ისევ გადაწყვიტა წასვლა. მეხუთე კურსს რომ ამთავრებდა, მაშინ მოხდა ეს ყველაფერი, მერე კი მისი სამეცნიერო ნაშრომი დისერტაციად წარადგინეს. დაცვაზე მოსკოველმა ოპონენტმა — ცნობილმა ბიოქიმიკოსმა — აღფრთოვანებით ილაპარაკა ნაშრომის სიღრმესა და მნიშვნელობაზე, ნაშრომისა, რომელიც, მისი სიტყვებით, თავისი სინთეზური ხასიათის გამო გამორჩეულ მოვლენად უნდა ჩათვლილიყო, რაკი ერთნაირად საფუძვლიან ცოდნას ამქავე ნებდა მედიცინის, ბიოქიმიისა და ბიოფიზიკის სფეროში. დიდხანს არამე ვდა ხელს დისერტანტს და უდიდესი მომავალი უწინასწარმეტყველა, რითაც მრავალი ადგილობრივი კოლეგისა და თანამშრომლის სახეზე გაჭირვებით დაფარული წყენა, ტყვილი და შუქი ამოაფრქვეია...

მინის კედელზე შეუმჩნევლად მიყუდებულ პატარა ხავერდოვან მუყაოს მისწვდა. ზედ სირმის წვრილი გრეხილით შეიღქმიანი ვარსკვლავი თუ

რაღაც ამგვარი იყო გამოსახული: „ეს რაღაა? პენტაგრამა? ატყუოდეს შეუშინებია, ნეტავ რა არის ეს პენტაგრამა? ნუთუ მართლა პენტაგრამაა? აესულებს თავგზას უბნევს, კოვხს ნაცარში უგდებს. ასე სჭეროდით, რა, ჯვარზე ძლიერი ეგონათ, თუ რაში იყო საქმე, ეგზომ დიდ იმედებს რომ ამყარებდნენ. არა. ეს პენტაგრამა არ იქნება. შემთხვევითი გამოსახულებაა. მოსირმვის ხელოვნება. ალბათ, იქ კი: შავ ძაღლს დანახვე, ააფარე დრუნჩზე და გაიგებ: ეშმაკი ყავს თუ არა ტანში შემძვრალი, გულ-მუცელში უტროკავს თუ არა. ექვ, რაღას არ ცოდვილობდა საწყალი კაცი, რაში აღარ გაიზლართა რაღას არ მიაწყდა თავგზააბნეული... მაინც ვერ მოიშორა ავი სულები.

— გაგვექცა ძაღლი გაგვექცა — დაუზუსტებლად და ოდნავ დაუდევრად მოახსენა ამბროსის.

— გაგვექცაო? — ამბროსი სავარძელში ჩავსვენა და უაზროდ მიაშტერდა, — სად გაიქცა?

— ეშმაკმა უწყის! — ყალბ-არტიტულად წარმოთქვა: ქართულად რომ ახმოვანებენ უცხოურ ფილმებს, იმ ხელოვნურობით.

— აღარ შემძლია! ნერვებმა მიმტყუნა! — გაბზარული ხმით აღიარა, ამბროსიმ და ხელისგულზე ჩამოდო თავი. თან ჩვენი ბიჭიც ავად არის, ჩემი შვილიშვილი, ჯაბა. წითელა აქვს, კინალამ დაგვეხრჩო ბავშვი — ცრემლი გაუქრთა თვალში, — არა, მაინც სად ჭირში გაიქცა? — უმწეოდ შეხვდა, — მაინც გავიდა ეს ამბავი ლაბორატორიიდან და ჭორები გამოივრცელეს, გაბუქულია ალკილ... „ამბროზიას“ ამბავიო. არადა, შენ ხომ იცი, ეს ერთადერთი შემთხვევა იყო. მეგონა ჩემი კანცეროგენით გადავახტი ამ საზიზღარ გამონაკლისებს, შემთხვევებს, მთელს კანონსა და სიზუსტეს წირვას რომ გამოუყვანენ ხოლმე. მაგრამ მეც მიწია, მეც გამომიტყვრა და წყალში ჩამიყარა მთელი ასპროცენტიათობა.

არადა, როგორ მძულს, იცი, აუხსნელი რალაცეები? გაუგებრობა? ოჯახშიც და სამსახურშიც! ვერ ვიტან. მე მიყვარს: წყალი სველია, ქვა — მაგარი! ეს ეს არის, ის — ის. მორჩა! რა მოხდა? გეკითხები, რა? რა ძალი იყო ამისთანა! ჭერ იყო და იმ ზორცს პირი არ დააკარა: რატომ? მერე წყალში გახსნილი ის ჩავაცეცხლეთ, ის, რა ქვია ალკილიტროზ... ფუჰ, „ამბროზია“, წესით, ყველაზე სწრაფად მავას უნდა დამართნოდა და არაფერი, გესმის? არაფერიც არ დაემართა! ამიხსენი, შენ ხომ გიყვარს ფილოსოფოსობა! რა-ტომ?

„ტომ — რა“.

— რატომ? — ხალი შეუხტა ამბროსის.

„ტომ — რა. ამიტყდა ეხლა იდიოტურად“.

— გუებნები! მეორედ ნამდვილად გამოვიდოდა!

— მეორედ აღარ ითვლება. „ნიჩურტა“ ხომ არ იყო! — თვითონვე ჩაეციანა.

ამბროსის არ გაუგია:

— მეორედ ნამდვილად გაუჩნდებოდა! ნამდვილად! თუ არა და აქ, ამ ლაბორატორიაში ჩამოვიხრჩობდი თავს. ამ კოლბებს შორის.

— ჰოდა, თავი რომ არ ჩამოგებრჩოთ, იმიტომ გავუ... გაიქცა! კეთილშობილი პირუტყვი!

— დამკინი? არა, მათე? მაშ, ფიქრობ, რომ არც მეორედ გამოვიდოდა? არა? არა! შეუძლებელია. — ისევ მოეშვა — აი, ეს არის ჩვენი ბედი, ეგრეთ წოდებულ ზუსტ მეცნიერთა ბედი, ცხრაჯერ გამოვა, მეათეჯერ რატომღაც არა. ოთხმოცდაცხრამეტჯერ გამოვა, მეასედ არა. აღარ. იგივე ნივთიერება. იგივე ცხოველი. იგივე პირობები. იგივე დრო. და რატომღაც, — თითები ვაპარტყა და თითების ბრტყელი ბალიშები ისე მიაჭყლიტა ერთმანეთს, თითქოს „რატომღაც“ გასრისაო, — აღარ გამოვა, აღარ! რატომღაც!

„მლაც — ტომრა“ — აქვეიატი ისევ — და გაქრა ჩვენი სტუდენტ საპნის ბუშტივით და ვერაფერი ვერაფერი ვერაფერი ამქვეყნად, რატომ აღარ გავრცელდა უმარტივესი, 1999-ჯერ შემოწმებული კანონი იმ ერთადერთ წვირიან ძალზე! მაშ გამოდის, რომ არაფერია მყარი, ასპროცენტიათი, არც კანონი, არც ნივთიერება, არც მდგომარეობა, არა?

— ეგრეთ. ყოფიერება ელასტიურია, რას იზამთ. ქალობა და კაცობა არ არის მყარი, არც აღამიანობა და არც არაფერი. „ამბროზია“ რალა გახდა!

— ქალობა და კაცობა?

— დიახ. გადაგვარდება რალაც ჰორმონი და ქალი წვერ-ულვაშით დამშვენდება, ხმა დაუბოხდება და მერე კაცის მოძრაობებსა და ჩვევებსაც შეიძენს. კაციც ეგრეთ. და ისედაც, გარდამავალი ფორმები ისედაც არსებობენ: ქალ-კაცი, კაც-ქალი, და რა ვიცი. თუ აღამიანი ცხოველებში აღიზრდება, ცხოველი გახდება... ესე რომ...

— ეგ სხვაა, რასაც ამბობ, მე მგონი ეგ არაფერ შუაშია...

— რატომ? უმყარობაზე ელაპარაკობდით. მყარი არაფერია — ეს არის აღამიანური ყოფიერების მთავარი ნიშანი... ეჰ, რა ვიცი, — უხალისოდ ლაპარაკობდა, რალაც აუტანელი სიცარიელისა და მოწყენილობის გასათანტავად, — თუმცა, „ირიბირიუსი“ მყარია: არის კიბო — უჩვენებს, არ არის, არ უჩვენებს, — წაიმღერასავით.

ამბროსის ხალი შეუკუნტრულდა.

— არა, გეკითხები, ხომ არაფრით განსხვავდებოდა ამ 499 ძაღლისაგან, ქუჩის ძაღლებისაგან, უპატრონო ძაღლებისაგან, ქალაქის ნაგავივით, ნაყარ-ნუყარივით არაფის რომ არა სჭირდება, ზედმეტია, არაფისა ჰყავს! რა ენალელებათ ხელოვნების ხალხს! ყველაფერს ბუნდოვნად ამბობენ, რასაც ამბობენ, საერთოდ ბუნდოვანებასთანა აქვთ საქმე და წადი და ამოწმე, სწორია თუ არა. გულს შეგიძრავს და მო-

ჩჩა! ეგ არის და გორის ციხე! ჩვენ, ჩვენ ვართ განწირულები.

— განსხვავდებოდა, — მთვარეულივით ჩაილაპარაკა. მონუსხული მიშტერებოდა ამბროსის მუქი ხალის თამაშს, პატრონის სათვალის ბლაგვეკუთხა მინაში არეკლილს.

— ვინ? რა: ვისგან?

— ის ძალღი სხვებისაგან.

— რითი მაგალითად?

— სახელი ერქვა, — გამტერებულ თვალს ვერ ახამხამებს, — ისინი უსახელო ძაღლები იყვნენ.

— არ გამაგიერო. სახელიო? სახელი რაღა ჭირია? შენ რა პოეზიაში ვადავარდი? ხუმრობ, არა?

— „თქვენი სახელი? ეს კითხვა მისთვის უმნიშვნელოა, ვინც ჰგმობს სიტყვას“.

— ბატონო მათე, ძალიან გთხოვთ, ნუ ხუმრობთ.

— „თქვენი სახელი? ეს კითხვა მისთვის უმნიშვნელოა, ვინაც ჰგმობს სიტყვას“. მაში გარდა ამისა, იმ ძაღლს სოყვარული გაუჩნდა, პირველად ცხოვრებაში და იბრძოდა...

— ვინ, რა, რა მოგივიდა, ბოდავ? ის დედალი ძაღლი მაგისგან იყო ორსულად? ფუჰ, მაკედ?

— ვინ იყო ორსულად აა, დედალი, თქვენ რომ გაფატრეთ, ე. ი. ჩვენ? ჰოო, ეგ არ ვიცი მაგაზე თავს ვერ დავდებ. ის რინგო იყო.

— რა რინგო, რის რინგო, რეებს ბოდავ!

— ეჰ, შალბოს ძაღლი იყო და იმასთან გაუშვიო, — წაიმღერასავით.

— სხვისი ჭირიო, არა, ძვირფასო? — წამოღდა. — მაშ შენ გაუშვიო? აჰაა. გახსოვდეს, კარგო, შენი „ირიბირიუსი“ დავიდებს კვანტს, ერთხელაც იქნება, შენ რომ ურყევი გგონია. ასეთია ზუსტთა ცხოვრება, მაში მაშ სახელი, არა?

...რას ნიშნავდა ის წუთები, როცა ასე უაზროდ ეჩვენებოდა ყველაფერი, მთელი ცხოვრება, როგორც მაშინ, ამბროსისთან საუბრის დროს და ამ

განცლისაგან ისე დუნდებოდა და ისე სულ ერთი ხდებოდა ყველაფერი: როგორც მკედრისთვისაა სიტყვა „ჩაჩაჩა“ და კაცმა რომ თქვას, ყოველთვის უმიზეზოდ, თავისით, თვითნებურად ეწვეოდა ხოლმე ეს განცდა. არაფერი განსაკუთრებით ცუდი რომ არ ხდებოდა მის თავს. ან ეგებ ცუდის წინათგამობა იყო? უაზრობა და ამოება ერთი და იგივეა? ალბათ არა. ამოებაში აზრია. უაზრობაში — ამოება. და მაინც არ არის ერთი და იგივე.

ისევ ნანის ფაჩუჩებს შეხედა... „ერთი სტუმარი მეწვია... მის დღემში უსტუმრებელი...“ სიკვდილი არ არის, თურმე...

— სად იყავი? — დედას ეკითხება. არ უყურებს, ისე.

— რამდენიმე ადგილას.

— მაიას სახლთან რა გინდოდა, იქ იღვა მანქანა.

— შენ რა გინდოდა.

— თანამშრომლის მანქანით ჩავიარე, იქით ცხოვრობს...

— რა დახუთულია, ფანჯარა გამოაღე.

— ზვალ მივდივარ.

— კონფერენცია როდის იწყება?

— ოთხ დღეში.

— ასე ადრე რა გინდა?

— რა ვიცი, წასვლა მინდა.

— ჰოო. თვითმფრინავით?

— ჰო. თვითმფრინავით. მაიასთან იყავი?

— ვიყავი.

— რა გინდოდა?

— ისე. ჩაალაგე უკვე?

— ჩავალაგე.

— მათე, ის გოგო ვინ იყო, გუშინ რომ მოგყვათ შენ და ვახტანგს?

— ამხანაგია... ამ ზაფხულს ზღვაზე გავიცანი. რა იყო?

— არაფერი. რა გვარია?

— როდის იყო, გვარს კითხულობდი?

— რა ვიცი... ვილაცას მივამგვანე. ძალიან მოგწონს?



— ეგეც შენიშნე? ძალიან. შენ რა, არ მოგწონს?

— რა ვიცი... რა გვარია?

— რა იყო? — და გვარი უთხრა.

— არაფერი — თავი აქვს დახრილი. ჭაჭვს ახვევს რგოლებად — არაფერი. — სადღაც ჩასრიალდა ხმა, მერე ისევ ამოიზარდა.

— სად ცხოვრობს?

— აქ — დეიდასთან. ისე სოჭაში. სოჭელია.

— რამდენი წლისაა?

— ჩვიდმეტის. რა გეშარება? რა უცნაურად ლაპარაკობ! — იფეთქა უცებ, მორჩილად რომ პასუხობდა, იმიტომ.

— არაფერი, — ყვითელი ხმა, ნაღველში ამოვლებული. ჩაიწრიტა ისევ, ჩაიკარგა. მერე, გრძლად მიმოიკლაკნა ჭაჭვი მაგიდაზე, მკერდის წინ — მათე — თუ სახელით მიმართავს, რაღაც ხდება მნიშვნელოვანი, — მათე, მამაკითხე... — ვარდისფერმა გადაჰკრა სახეზე.

— ?

— მე არასოდეს ჩაერეულვარ. იცი, მაგრამ ახლა... მინდა გკითხო: ახლოს ხართ?

სირცხვილის ლორწომ გულმუცელი გადაუღიპა. საზიზღარი რამ გაახლტა გულისკენ.

— არა, — უფრო შეეზიზღა: რა, არა? ვერ იტყოდა — არა, მაგრამ შეიძლება ეიყოთ. რა მოხდა? რა გეშარება!

— არაფერი, — ხმა ისევ ჩაიწრიტა: ნაღველის ყვითელ ხრიოკში, ჩაშრა: ვერცხლის გველს საკუთარი კული უჭირავს პირში და: — ხვალ მიდიხარ? უცებ ამოიზარდა ასკილის ბუჩქი: ხმა — ახალი, ფხიზელი.

— ჰო მეთქი, ხომ გითხარი.

— მარტო მიდიხარ?

— მარტო.

— ძალიან კარგი.

— რა კარგი?

— არაფერი, — ქვა დააფარა სოროს; გველისას.

— მაიამ... რაო?

— გაინტერესებს?

— რა ვიცი.

— მაშინ რად გინდა.

— არც მინდა, წავალ, გავემზადები... ისე, მართლა ძალიან მომწონს ის გოგო, ნატაშა.

— მაია ბავშვს ელოდება.

— ვისგან?

იელვა უდაბნოში. საიდანღაც, გვერდიდან გამოცურდნენ: მწვანე, ციციხლოვანი დისკოები. სიტყვა არ დასჭირვებია: ის შემოხედდა იყო, ის: გამანადგურებელი. რასაც ვერასდროს ვერ გაუძლებდა.

— მამაკითხე, — აღმოხდა უნებურად, — შენ... რა ურჩიე?

— ეურჩიე, — ამოიხუნთქა, — რომ გააჩინოს.

— რატომ?

— იმიტომ რომ უყვარხარ.

დილით დაუმშვიდობებლად გავიდა სახლიდან და ტაქსით გაემგზავრა აეროპორტში...

კონფერენციის მესამე დღე მიიწურა. მისმა მოხსენებამ „ირიბირიუს 1“-ის შესახებ სენსაცია გამოიწვია. ფაქტიურად, ეს ქიმიკატ-ინდიკატორის პირველი ოფიციალური განხილვა იყო. ექსპერიმენტის შედეგებმა ყველა განაცვიფრა. ამერიკელი მეცნიერები — ერთი ექიმი, ერთი — ბიოქიმიკოსი, — შესვენებაზე დიდხანს და აღუღებელი ცლაპარაკნენ: დაწვრილებით ეკითხებოდნენ ექსპერიმენტის მიმდინარეობასა და სპეციფიკაზე. ახალგაზრდა ქიმიკოსი გულლია აღფრთოვანებით წარამარა „ვერი გულ“-ს გაიძახოდა და ხმამაღლა იცინოდა. ექიმმა აღნიშნა, რომ მრავალი მასკენიერებელი აპარატის მიუხედავად, რომლებიც მთელ ორგანიზმს ძირისძირობამდე ამუშავებდნენ, „ირიბირიუს 1“ მაინც უბადლოდ უნდა ჩათვლილიყო: ამ სითხით უტყუარად დგინდებოდა სიმსივნის არსებობა უადრეს სტადიაზე. სხვა თერაპული თუ ათასგვარი უკვე არსებული აპარატებით კი შეიძ-

ლებოდა სიმსივნის ადგილის ზუსტი განსაზღვრა. ასე რომ, მათ თანამშრომლობას უდიდესი წარმატებების მოტანა შეეძლო მედიკინისათვის. ახალგაზრდა ბიოქიმიკოსმა ჰკითხა, საიდან მოდიოდა ინდიკატორის სახელწოდება, „ილიდიბიუს“-ო ამბობდა. „ეს ჩემი საიდუმლოა“, უთხრა და ახალგაზრდა მეცნიერს ეს პასუხიც უზომოდ მოეწონა. კიდევ ერთხელ დასძახა „ვერ გულ!“ მერე სახესავსე, სედიმანტი ინდოელი ონკოლოგი მიუახლოვდა. ინგლისურად ელაპარაკა ისიც და დასძინა: „სწორედ მოიქცეით, სისხლს რომ მიმართეთ. სისხლი მთელ სამყაროს შეიცავს და ძველია სამყაროსათვის. წესით, სამყაროს ყველა ცვლილება უნდა არეკლოს“.

ინსტიტუტიდან გამოსულს კარგი მანძილზე გამოჰყვა ერთი ბავშვური სახის კურდღლისტუჩა ბიოფიზიკოსი. მთელი მისი მოხსენების მანძილზე ტუჩებს აცმაკუნებდა და ბოლოს, სხვათა აღფრთოვანებული გამოხმაურებისა და უამრავი დამაზუსტებელი შეკითხვის შემდეგ, სიტყვა ითხოვა. ადგა, გაწითლდა, სათვალე მოიხსნა და ჰკითხა: რატომ დაანებეთ თავი ცხოველური მაგნეტიზმის შესწავლასო. მისი სტუდენტობისდროინდელი ნაშრომის თეზისები ჰქონოდა წაკითხული. „ირიბირიუს 1“-ის მიმართ სრული გულგრილობა ეწყრა სახეზე. ლენინგრადადღმა მეცნიერებმა ირონიულად ჩაიციინეს დარბაზში და თითები მაგიდაზე აკაკუნეს. ეტყობა, შექანებულად სთვლიდნენ. „მიტომ, რომ არავითარი პირობები არ იყო“ — უპასუხა. რა თქმა უნდა, მიხვდა, ან რა მისი პასუხი სჭირდებოდა, თვითონ კი არ იცოდა, რომ ცხოველური მაგნეტიზმი ბიოველთან იყო დაკავშირებული და მაშინ, იმ დროს ამის კვლევა, თანაც საქართველოში საეჭვო და ფუჭ საქმიანობად ითვლებოდა.

ახლა გზაში ამცნო, რომ ექსპერიმენტების უფლება მიეღო მცენარეთა მგრძობებლობის შესწავლის სფეროში,

სთხოვა სწევოდა ინსტიტუტში, სადაც ამჟამად ოცდაათ კაქტუსი იყავი და ცდას. „ძალიან მგრძობებლობის მქონეა, ძალიან, — გაიმეორა რამდენჯერმე, — მათი ბიოველი ოთახის კედლებს მიღმა ვრცელდება. თქვენ თვითონ ნახეთ, რა ძლიერი რეაქცია აქვთ ყველა შესულზე“...

დაპირდა მისვლას. დაემშვიდობა და ნევის პროსპექტს გაუყვა. თან დაღლილი, თან აგზნებული. თითქოს თავისი სახელი შემოესმა. ყურადღება არ მიექცია. კიდევ დაუძახეს. მიიხედა და... მამა შეიკნო იმ კაცში, დაბნეული რომ იყო და უზერხულად იღიმებოდა. უკანასკნელად ეჭვსი წლის წინ ნახა, თბილისში. შეცვლილიყო: მოტეხილიყო. ხელების დახვეწილი მოძრაობა კი მაინც შეენარჩუნებინა. გული აუჯანკაღდა. გაულღვა. გაეყინა. დაიძაბა.

ხელი ჩამოართვა და ერთად გაუყვნენ ქუჩას.

— რა უცნაურობაა.

— რა?

— ხვალ თბილისში მივფრინავ. დღედაღამ დაამირეკა გუშინწინ. შენ როდის ბრუნდები?

— სამი დღის შემდეგ. დედა გიბარებს?

— ჰო... მიბარებს.

— რა უნდა?

— რა ვიცი, მაგისას რას გაიგებ...

— ძალიან ცდილობდი, გაგეგო?

— რა ვიცი. მე მეგონა, რომ ვცდილობდი... შენ რა, გაბრაზდი?

— აქ რას აკეთებ?

— დღეს ჩამოვედი... საქმეზე... სალამოს ისევ მივდივარ მოსკოვში. ენდი და გიორგი როგორ არიან?

— გმადლობ. არა უშავთ. შენ? ერთი შვილი გყავს ისევ?

— უკვე ორი... პატარა ორი წლისაა. ტანია ჰქვია, დეიდის სახელი.

„რა საინტერესოა!“

— შენი ცოლის გესმის?

— რა იყო, ასე გაბრაზდი? მოთხარი, დედაშენი როგორ არის?

— კარგად.



— გათხოვებას ხომ არ აპირებს?
 — ეგ ჩვენ არ ვეხება.
 — ვიცი. მაგრამ ვიფიქრე. შეიძლება თხოვდება და რაღაც საქმე გაუჩნდა მეთქი... დაუშვავთ, თქვენთან დაკავშირებით. როცა დავშორდით, მითხრა, რაც უფრო ნაკლებად ნახავ ბავშვებს, მით უფრო უკეთესი იქნება მათთვის... და თუ სულ არ ნახავ, ძალიან დამავალბო...

— კიდევ კარგი, ვითხრა.
 — რატომ? მაინც მასე მოვიქცეოდლი, არა? შენ რა, დედაშენს იცავ ჩემგან? ჯერ ერთი, იმას სხვისი დაცვა არა სჭირდება, შენც იცი, და მეორეც... არც მეჭაფვრება და სამწუხაროდ... არც გულგრილი ვარ, — ფიქრში წავიდა და ნაღვლიანად დაუმატა, — პირიქით.

— შეიძლება, მე მოვიყვანო ცოლი.
 — კარგს იზამ. დროა. ცალკე იცხოვრებთ ალბათ... დედაშენთან ძნელი იქნება.

— რატომ გგონია? შენით ზომავ?

— იმიტომ, ჩემო კარგო, რომ მე, რომელსაც გადაწყვეტილი მქონდა, როგორც უნდა დავთხა, მაგ აღმამინისკენ აღარ გამეხედა, რადგან მართლა ვიყავი გაბრაზებული და გასრესილი, ჩვიდმეტი წლის შემდეგ მიჩვევას, უნდა გნახოთ და ცოლი გვერდით მიდგას, თვალებით მბურღავს, და მე ვუხანები, ჩემთვისაცე მოულოდნელად: თუ გინდა ამ საღამოსვე გამოვფრინდები მეთქი და მზად ვარ, იმავე წუთს გავქანდე. ყურმილს ვდებ და საკუთარ თავზე ვცოფდები: ერთი დამიქნია ხელი და კისრისტეხით გავქანდი, ისიც კი არ მიკითხავს, რა საქმე გაქვს მეთქი: ხმა ჰქონდა ისეთი... და საერთოდ... ამიტომ არის ძნელი, მიმიხვდი?

მიუხვდა, როგორ ვერ მიუხვდა. მაგრამ ენდი და გიორგი ნამდვილად ვერ მიხვდებოდნენ, რას ამბობდა ეს კაცი. განსაკუთრებით გიორგი. ისინი არ იტანჯებოდნენ დედის „სიძნელით“. არ თვლიდნენ, ალბათ, ძნელად. აღიარებდნენ, სჯეროდათ: მისები იყვნენ.

თვითონ კი უცხო იყო. უცხო საზღვიდან, უცხო სხეულიდან, უცხო სხეულიდან მოსული. აქი ზღვიდან! ადგეს და ჰკითხოს ახლა ამ კაცს, ბოლოს და ბოლოს ჰკითხოს: „ვინა ხარ ჩემი? ვინა ვარ შენი? შენი შეილი ვარ? თქვენი შეილი ვარ? ნამდვილი შეილი? მამ რა ტრიალებს ჩემს თავს, რა შემართება?“ მაგრამ არ შეეძლო. სიამაყე ვერასდროს შეაძლებინებდა, და თან რომ ჰგავდნენ ერთმანეთს! მამა და შეილი რაღაც შინაგანი იყო ეს მსგავსება, უსახელო, გამოუთქმელი, მაგრამ მუდამ საკარნობი, ყველა ასაკში.

შეჩერდა. შეხედა: ნეტავ შეეძლოს, მხარზე დაჰკრას ხელი, უბრალოდ, ძმაცკურად და ერთად წავიდნენ სადმე, პური გატეხონ ერთად, ერთად დალიონ. სულ სხვა ნაბიჯით წავიდოდნენ, ლაღად, ჩვეულებრივად, მხარში გაშლილნი. ლაპარაკ-ლაპარაკით, სიცილითა და შიგადაშიგ ხმამალალი წამოძახილებით, არც ერთად დუმილის მოერიდებოდათ. მაგრამ ეს უკვე შეუძლებელი იყო, სამუდამოდ შეუძლებელი: თუ სადმე შეხვდებიან, სადმე, შემთხვევით, მუდამ ასე ილაპარაკებენ: წაღმა უკუღმა და შორიახლო, და მათი სიტყვები გასუსული გველების ხაროზე გადაფარებული ქვები იქნება, შიში რომ გიპყრობს, უცაბედად არ გადაცურდეს, ქვა, და არ ამოიკლავნოს, არ ამოსხლტეს შხამუხვი, ცივი ქვეწარმავალი: რადგანაც უმამობის მტანჯველი წლებით იყო ის ხარო შედუღაბებული, შელახული თავმოყვარეობითა და მყიფე ხმამალობით მიჩქმალული სირცხვილის წლებით... და ილაპარაკებდნენ მუდამ ამ მთისას და იმ მთისას და მუდამ იფიქრებდნენ იმ ამოსახლტომად განაბულ, ლიბ სხეულებზე და არასოდეს გაიცინებდნენ უშუალოდ, ძალდაუტანებლად...

დაემშვიდობნენ.
 იდგა და გასცქეროდა ნელა მიმავლის ზურგს და უეცრად რაღაც უმწეო მოძრაობა წასცდა მამამისს. ვი-

ლაც ბრვე ქალმა შარფის ბოლო მოიქნია, მხარზე გადაიგდო, და გრძელი ფოჩები მამას მწარედ მოხვდა სახეში... და მან ისე ბავშვივით, საცოდავად აიფარა ხელი სახეზე და ისე რაღაც-ნაირად მოიხარა მხრებში...

„მამა!“. უნდოდა დაეძახა, მაგრამ ვერ შესძლო და თანდათან ხალხმა დაფრა თვალზეხელაფარებული.

საშინლად მარტო იგრძნო თავი ამ დიდ, ძველ, მშვენიერ, მაგრამ მაინც უზომოდ უცხო ქალაქში. ტირილი მოუნდა... მაგრამ „ირიბირიუსი!“ რისთვის იყო „ირიბირიუს 1“ და თუ ღმერთი მოინდომებდა, შეიძლება „ირიბირიუსი 2“-ც! — ელექსირი გულისშემქმელი მარტოობის, განუხორციელებელი სურვილების, ვაწილებისა და ყველაფრის წინააღმდეგ, რასაც გაძლება უნდოდა! ყველაფრის სამაგიერო, მას რომ მილიონობით უსახო, ჩვეულებრივ ადამიანზე მაღლა აყენებდა... ნაცრისფერებზე, უღიმღამობებზე, ამობურთულ დედამიწას როგორც ყინულს უნატერფალოდ რომ გადადიოდნენ. სულ მალე იგი აშკარად მოველინებოდა ქვეყანას, ყვითელი, როგორც დამდნარი მთვარე, ხელოვნურ-ბუნებრივი ნაერთი, სისხლის უჯრედებს უსასრულოდ რომ შლიდა, ანამცეკვბდა.

შინ რომ დაბრუნდა, დედა მარტო იყო, სამზარეულოში.

— ჩამოხვედი? — ჰკითხა დაძაბულად და სახეში შეხვდა.

— ჰო.

— რა ქენი, როგორ ჩაიარა?

— კარგად. ძალიან კარგად.

— მოგვიყვები?

— რა? ჰოო თუ გაინტერესებთ... მამაჩემი შემხვდა...

— ვიცი. მითხრა.

— რა საქმე გქონდა?

— არა გვია?

— ცოტა.

— დაჭეჭი.

თეთრი ხელსახოცი გადახადა ყველს, მწეანის...

— შენს სანახავად ჩამოსულა/ლენინგრადში. რომ დაეუბნებოდა მამას ვუთხარი, იქ არის მეთქი!... მამას... სადმე, დამეპატიყა, ერთად სადმე დავმსხდარიყავით, მეცა მშოიდა და ისიც ალბათ მშოიერი იქნებოდა, მაგრამ ვიგრძენი, უარს მეტყოდა და აღარაფერი ვუთხარიო...

ძაფი გაუწყდა თითქოს გულში.

— სხვა? სხვა რა ხდება თქვენთან?

— ...არაფერი... ისეთი, რომ უცბად გითხრა... ხვალ გახვალ სამსახურში? — პური დაჭრა.

— რა? ჰოო. ალბათ. დედა... ალბათ ნატაშას ცოლად მოვიყვან.

სიჩუმე.

— ვერ მოიყვან, — კი არ აუკრძალა, აღიარა: გარდაუვალი. ჩაშრა ხმა: ქვიშა ჩაცვივდა კლდეზე, გორად აიბურცა.

— რატომ?

— ...ნატაშა მამაშენის შვილია... შენი ნახევარდა. მამაშენის ერთ-ერთი შემთხვევითი გატაცების ნაყოფი. — „შემთხვევითი“ ხაზგასმით წარმოთქვა და ადგა. გავიდა. გაუჩინარდა.

საწოლზე ეგდო. „ღმერთო დიდებულო“, — გადარჩა: წარწყმედას. ამხრზენი სირცხვილის თქეში მიდგაფუნებდა ძარღვებში... გულს უხეთქავდა. უსახური ტანჯვით გასენოდა ყველა უჯრედი. თავის ხელებს ხედავდა ვარდისფერ, თეთრწრემშოვლებულ ძუძუსთავებზე, გამალიზიანებლად რომ გამოირჩეოდა მზეზე გარუჯულ, სპილენძისფერ სხეულზე და თავის ტუჩებს... დაუნდობლად, თვითგვემით იხსენებდა იმ წამებს, იშორებდა, იხსენებდა... კიდევ ერთი მარცხი დედის წინაშე. კმაყოფილი იყო ალბათ, სრულყოფილად რომ გამოხსნა კვანძი. ქსოვდა, არღვევდა, ქსოვდა — ხელობა ჰქონდა ასეთი. როგორ იგრძნო! ცივმა, მტრულმა ბრაზმა აავსო, გალიზიანებამ... დედის მიმართ და თან: კიდევ კარგი, არ დაილუპა! და „კიდევ კარგი, რომ არ მიყვარს“ — სხივივით გაკვეთა უეცრად გონება ამ მიგნებამ,

თუმცა ადრევეც ხომ იცოდა, მაგრამ არ სურდა ცოდნა, და ახლა რაღაცნაირად ამოისუნთქა.

— რა მოგივიდა?

ენდი იდგა ზღურბლზე და თვალბგაფართოებული შესცქეროდა — რა მოგივიდა?

ზღურბლზე იდგა უკვე ცხრამეტი წლის, ნაზი, გამხდარი, და უცებ გაახსენდა. მოყავისფრო რაღაც ნიშანი, ორივეს — დისა და ნახევარდის — ზურგზე და:

— გადიი! — დაიღრიალა.

მეორე დღეს დილა უთენია წავიდა სამსახურში...

— რა მოხდა, დეიდა ელისაბედ, ეგ რა გიჭირავთ?

ელისაბედმა უილაჯოდ გაუწოდა ნაცნობი საყელური.

— რა არის?

— საყელური.

— ეხედავ. მე რომ მოგიტანეთ, რინგოსთვის. რად მინდა?

— შენ მომეცი, შვილო, მათე, და აი, ისევ ხელში მაქვს.

— რა ამბავია? ორი თვის წინ ეგ საყელური მოგეცით და მას შემდეგ ხელში გაქვთ?

— რინგო გაიქცა.

— სად?

— შინ.

— სად შინ? შინ არა გყავდათ?

— ჰოდა. სახლში გაიქცა, მაღბოსთან. ამბროსიმ მიიხრა საიდუმლოდ, როგორმე ძალლი მომიყვანეო, ხელმეორედ უნდა ექმია ის რაღაც ოხრობა, შენ მივლინებაში იყავი, მაშინ უნდა მომიყვანა. მაგრამ მეც ავად გავხდი და აი, დღეს წამოვიყვანე. შემოვუხვიეთ თუ არა ამ ქუჩაზე, ჯერ ჩვენი შენობა არცა ჩანდა, ერთი შეხტა და გაიწია, მეც ველარ შევუშვი ხელი და ძირს გავიშხლართე ამხელა ქალი, კინალამ იქვე გავაფრთხე სული. ეგლა მინდოდა? ძლივს ამაყენეს გამვლულეზმა, ეს საყელური კი ხელში შემჩრა

და აი, აქა მაქვს... რინგო შინ წავიდა, ანდა სკოლაში...

— დაანებეთ თავი, ცოდნა. მიჭირს ცოდნა.

— გადამევიდა ამბროსი, შვილო, თვალი მაგასაც დაუდგეს. ძალლი სკოლასთან ელოდება ხოლმე ბიჭს, შინ ერთად მიდიან...

— მერე, მაგიტომ გაიმეტეთ?

— რა ვიცი, შვილო, თან მაგისი რჩენაც მიჭირს, იმ ბიჭს ძლივს ვარჩენ.

დედამისს ეს პრობლემა არა ჰქონია: რჩენა. იმ სასწაულებრივი სალაროს წიგნაკის წყალობით. ფული ყველაფრისთვის ჰყოფნიდათ. ჰამისთვის, ჩაცმისთვის, დასვენებისთვის, მგზავრობისთვის. ენებს სწავლობდნენ სამივენი. მუსიკას. ფული ოჯახში არ ილუვოდა და ფულისთვის არავინ ზრუნავდა. ნეტავ რას იზამდა, სიმდიდრე რომ არა ჰქონოდა, იბულებული რომ ყოფილიყო, დღე და ღამე ესწორებინა შვილების სარჩენად! დედა და მძიმე სავალდებულო შრომა! არა, შეუძლებელი იყო. იმ მცირეოდენ და მსუბუქ საქმესაც, შინ რაც უწევდა, ისე აკეთებდა, თითქოს მას არ ეხებოდა, თითქოს ვილაც სხვა ამოძრავებდა ხელებს წყალსა და ქაღჭი... თვითონ კი უყურებდა და ერთობოდა. რასაც მთელი არსებით ეძლეოდა, ეს ქარგვა იყო. ქარგვა და მოსმენა. ესე გისმენდა, გრძნობდი, მთლიანად ირეკლებოდი მის არსებაში, იქა რჩებოდა შენი ხმა, სიტყვები და გამოხედვანი. რჩებოდა, აღიბეჭდებოდა. ოღონდ, შეიძლება ერთი სიტყვაც არ ეთქვა ნუგეშისა თუ თანხმობის გამოხატვლი.

ენდიმ ჰკითხა ერთხელ: „დედი, რატომ არ ისწავლე უმაღლესში? „რაში მჭირდებოდა? — სავარცხელი დაისვა ჩამოშლილ თმაზე, — ხელობა ისედაც ვიცი, წიგნებს ისედაც ვკითხულობ და ბავშვების გაზრდას იქ არ ასწავლიან“. სხვა იტყოდა: „აბა, როგორ უნდა მეს-

წავლა! ოთხი შვილი მყავდით, მარტო ვიყავი, თქვენ ვერ ავდიოდით...“

სუნამოს ციკქნა მომინანქრებული ბოთლი აიღო. თავი ახადა: ჩამშრალი, ძველი, მიმქრალი სურნელი ამოიშალა. ამოიშალა და ბუნდოვან შეგრძნება-მოგონებათა ნაღვლიანი კორიანტე-ლი ამოაფრქვია...

ახლადაყვავებული აკაციის უნახესი სურნელი იდგა უცნობი ქუჩის შებინდულ ქაერში... ამხანავს გამოჰყვა ქალაქის შორეულ გარეუბანში, ვილაც შინაურ ექიმს, უსინათლო მოხუც ქალს ეძებდნენ. ამხანავი კითხვა-კითხვით მიგნებულ ეზოში გაუჩინარდა. თვითონ გარეთ უცადა ერთხანს, მერე კი თეთრ მტევნებად მოყვავილე ხეთა გულისგამძობ სურნელებას ველარ გაუძლო, აწრიალდა და აფორიაქებული აუყვა უსაფაღლო-უქვაფენილო პატარა ქუჩას, რომლის ბოლოშიც, სადაც დაბალი აკაციები და აგურის მომცროს სახლები წყდებოდა, დიდი და ველური მინდორი მოსჩანდა, და იქ, ქუჩისა და მინდორის შესართავთან ჩამავალი მზის ელვარე ჩქერალში ქალის თხელი სილუეტი გააჩნია. რაღაც მანქანასთან გაქვავებულიყო უცნობი ქალი და ვილაცას გაჰყურებდა მზის მიმართულე-ბით. მიმწუხრებული მნათობის შუქით ნარინჯისფრად შეღებილ ბილიკზე, მაღალ ნარსა და ოროვანდებში აკაცის მუქი სილუეტი მიიჩნეოდა: მაღალი, ძლიერი. წამიც და იმ მანქანაში თავიანთი მანქანა და იმ უცნობ ქალში საკუთარი დედა შეიცნო „დედა? — აღმოხდა. მოხედა, არ გაუღიმიო და მშვიდად ჰკითხა: „რა უცნაურად ჩადის მზე, არა?“ თითქოს დათქმული ჰქონდათ შეხვედრა გადაკარგული ქუჩის ბოლოში, რათა ერთად შეეხედათ მზის ჩასვლისათვის... რა უნდოდა იქ, იმ შორეულ გარეუბანში, ვის გაჰყურებდა: რას გაიგებდი. ძაფის საყიდლად ქალაქის ყველა კუთხე-კუჩქულში უწყევდა ყოფნა. ვისგან აღარ ყიდულობდა დიდ-პატარა გორგლებსა თუ მოგ-

რომ ხვეულებს. შალსა და ბაწარს ფშავ-ხევისურებისა და კახელებისგან, მულინეს მზინავ, უნახავს ქაერ-თი მოხუცი ჩინელი ქალისაგან, აბრე-შუმისას ვილაც ყრუ-მუნჯი ყირგიზი ქალი აძლევდა თურმე... ნაწილს მაში-და უგზავნიდა ზღვისპირეთიდან... და ასე, ყველა ადგილიდან იკრებდა ძაფებს, იგროვებდა და წნავდა მერე, ქსოვდა, ქარგავდა... „რა უცნაურად ჩადის მზე, არა?“ და აკაციათა მოტყუბო სურნელში დაბრუნდა ისევ...

სუნამოს პატარა, ამომშრალ ბოთლს თავი დაახურა და თაროზე დადო.

ეგებ დაისვენოს? ეგებ აღარაფერი არ დაინახოს? კედელთან მივიდა, სინათლე ჩააქრო. მარტო სარკე ლიცილიცებდა უცნაურად — ფარდებში შემოღწეული მთვარისა თუ ნათურის შუქის სუსტი, დაბნეული ქველი ეღვრებოდა... თვალი მოავლო სიბნელით აესებულ, საგნებისაგან დაცლილ ოთახს. კარგია სიბნელე, შავი თოვლი. გადაეფარება ყველაფერს, აუჩინარებს, და გასვენებს. მინის კარადაში ძვლისფერ-მომწვანო-მოყვითალოდ ბრწყინავდა ჯვარცმა. ფოსფორი. რა უცნაურია. წყვილიაღში მანათობელი საგანი, შთამბეჭდავია ყველაფერი, რაც სიბნელეს არ ეპუება, მასში ბრწყინდება. რაც არ უნდა იყოს: ცეცხლი, ნაკვერჩხალი, გინდა ტყის დამპალი კუნძი, კატებისა და ცხვრების, ტურებისა და მგლების ფოსფორული თვალეტი. რატომ აღამიანის თვალი არ ანათებს? გულებს დაუხეთქავდნენ ერთმანეთს. შემზარავი იყო ელექტრონის მზინავი თვალეტი...

...ლიფტში შევიდა და მეშვიდე ლილაცს დააჭირა თითი.

რბილი რწევით, უხმაუროდ დაიძრა კაბინა. მეხუთე სართულზე გაჩერდა, და თეთრხალათიანი ნამტირალევი ქალი შემოვიდა. მეექვსე ლილაცს დააჭირა გამხდარი, იოდით დალაქული თითი და მთელი ერთი სართულის მანძილზე აღარ აუღია. ღრმად ამოისუნთქა და გავიდა.

მეშვიდე სართლის გრძელი, თეთრი დერეფნის ორივე მხარეს ნადირფრინველთა, თევზთა და ქვეწარმავალთა ტვინის გადიდებული ფოტოები იყო ჩამოჭრივებული. თვითული ტვინის ქვეშ კი შესაბამისი ჩანასახის სურათი მიეკრათ. ვეშაპის ტვინსა და ჩანასახთან შეჩერდა, მერე დელფინისას უცქირა ერთხანს, გველისას წამით შეავლო მზერა; მიმდინას თვალი აარიდა და კარი შეაღო.

პირდაპირ კედელზე ადამიანის ტვინის გადიდებული ფოტო პრიალეზდა: დანაოჭებულ-დაღარული ჰემისფროები, ქვეშ კი ადამიანისვე მოკუნტული და თავკომბალა ჩანასახი მოსჩანდა. ხოლო მათ გვერდით ორდანაოჭებულ-ლებნიანი ნიგოზის ზუსტი, ვეებერთელა ფოტო იტაცებდა თვალს.

— ო, მათე! მოდი! მოდი!

— სისხლი ამობრძანდა, ჩვენც გავახსენდით! ცოტა ხშირ-ხშირად ამოგვკითხეთ, თორემ ეანგბადი აღარ გვყოფნის! დავშრით, დავობდით!

— რამ გამოიწვია თქვენი ტვინში ამომგზავრება?

— თქვენ არ დამიძახეთ! აბა რა მოგივიდათ, რა გავიჭირდათ! გამარჯობა, ილო, სად დაიქარგე?

— ეჰ! ეხლა ვიქარგები, მივიქარგები! აქამდე სამშობლოში ვწოწილემბდი! დასამშვიდობებლად შემოგვიარეთ! არაფერი არ გამოვიდა. მივდივარ რუსეთში! სულ მივდივარ, — დიდი ხნის უნახავმა ნაცნობმა ბუნებისმეტყველმა კბილზე ნერვიულად მიიკაუნა შავი, მბზინავი ყალიონი.

— რას ამბობ! რომ აღარ გამოჩნდი, ვიფიქრე, საქმე კარგად არის მეტი. შენი ბავშვია?

მაგიდის ფეხთან ჩაცუცქული თმახუტუტა გოგო ასანთის თავმომწვარი ღერებით იატაკზე ხაზებს ავლებდა.

— პო. ჩემია. ზოოპარკში მყავდა. რალაც ვერ არის კარგად. დასუსტებულია.

— რა გინდოდათ იმ აქოთებულ ზო-

ოპარკში! — დაამთქნარა წოწოლა და ცხვირკეხიანმა მეცნიერ-მეტყველმა.

— ცოლ-შვილიც მიგყავს? — მკაცრად თვითონ.

— ჯერ მე წავალ, დავბინავდები, მერე ამათ წავიყვან.

— აი, ეს შენ ჯეონდეს, — ჯიბიდან შავი, უცხოური ფლომასტერი ამოიღო და ბავშვს გაუწოდა.

ბავშვმა შავი თვალეები შეინათა, ჩუმად გამოართვა და მავიდას მიუჭდა.

— მადლობა? — უნიათოდ შეახსენა მამამ, მაგრამ გოგონას ყურადღება არ მიუქცევია. ცერის ფრჩხილს იხაზავდა გულმოდგინედ.

გამხდარმა, თეთრშარვალ-ხალათიანმა ლაბორანტმა ქალმა ბავშვს თეთრი ფურცლები დაუწყო წინ, თმაზე რბილად მოუთათუნა ხელი, გრძელი სწორი თმა უკან გადაიყარა და ფანჯრის რაფაზე შემოჭდა.

— რაო, რა გითხრეს?

— რაო და არაო, რას მეტყოდნენ! ვინმე რაიმეს ჰქვიანურს გეტყვის თუ რა! არაო და მოჩა. სად არ ვიყავი, ინსტანცია აღარ დამრჩა სოფლად თუ ქალაქად, რაიკომი, მეცნიერებათა აკადემია, შენ ხარ ჩემი ბატონი, მწერალთა კავშირი, მხატვართა კავშირი — რა შეუშია და რა შეუძლიათ, მაგრამ მაინც, ყველანიერი სამინისტრო და, რა ვიცო, შენც არ მომიკვდე, ისიც კი ვერ გავაგებინე, ვერ მოვასმენინე, რას წარმოადგენს ბიოსფერული ნაკრძალი. ხო აზრზე ხარ. არადა, მე რაზეც ვმუშაობ, ბიოსფერული ნაკრძალის გარეშე იმ საკითხის შესწავლა შეუძლებელია და მეც რომ არ ვიყო, ეგეთი ნაკრძალი აუცილებლად უნდა შეიქნას ყველა ნორმალურ ქვეყანაში. უკვე თერთმეტია საბჭოთა კავშირში. — უენერგიოდ ბორგავდა ბუნებისმეტყველი.

— ილო, თუ შეიძლება ამიხსენით, რა ნაკრძალზე ლაპარაკობთ, მე შორსა ვარ მაგ საკითხებისაგან, — ტანმკერივმა მეცნიერმა ქალმა სათვალე

შეისწორა, ფეხი ფეხზე გადაინარცხა და ილოს მიმართულებით გაგზავნა ბოლის მორუხბო ჰავლი.

— ეს არის ნაკრძალი ნაკრძალში, — უნუგემოდ წამოიწყო შევყალიბონიანმა ბუნებისმეტყველმა და ქალის ზედა, აქანავებული, მძლავრი წვივიდან მზერა მის ბოლგამომდინარე, ბოლოკისფერ ტუჩებზე გადაიტანა, — ესე იგი, სამზონიანი, სამშრიანი ნაკრძალია, გარეთა შრეში ადამიანის სამეურნეო საქმიანობა ნებადართულია: გამხმარადამპალი ზის მოჭრა-ვაზიდვად, ბალახის მოთიბვა, ნაყოფის მოკრეფა და ა. შ. მეორე შრეში ეს საქმიანობა, რაც შეიძლება შემკირებულია, ხოლო ბირთვში ანუ გულისგულში — მთლიანად აკრძალული. იქ, საკუთრივ ბიოსფერულ ნაკრძალში ჩხირის მოტეხვაც კი არ შეიძლება. ქვა ქვას არ უნდა მოაშორო და კენჭი კენჭს. ნაყოფი მწიფს, ცვივა, ლბება, ნადირ-ფრინველი მრავლდება, იხოცება — ამოიოხრა და ახალა ჩამოჭდა სკამზე — იხრწნება, ესე იგი, ბუნებას ხელშეუხებლად, ბუნებრივ მდგომარეობაში იცავენ და ინარჩუნებენ. სწავლობენ, აკვირდებიან. თავისუფალს, უადამიანოს. მარტო იმ სამი შრის შედარებაც კი ააშკარავებს, რა გონიერია ბუნება და რა იდიოტია ადამიანი, — თქვა უშფოთველად და თვალი გაუშტერდა.

— ჰე! უყურე ერთი! — დონიჯი შემოიყარა ტანდაბალ-პირმრგვალმა მეცნიერ-მუშაკმა და ქლავი უღვაშის ბოლო გაიწიწკა.

— აბა, თქვენ რომ აქ მკედრების ტვინებს სწავლობთ, დამფრთხალ ცხოველებს ჭიჭენით და ელემტრონს უერთებთ, ტყავისა და ხორკის ნაგლეჯებსა თუ ხისხლის კოლტებს ხან რომ სპირტში ჩაყრით და ხან ვაკუუმში, მასე რა უნდა შეისწავლოთ, რა აღმოჩენებთან უნდა მიხვიდეთ, თუ ღმერთი გწამთ.

— საწყალი! იმიტომ ვერ მივიდნენ აღმოჩენებთან! — ქლალულეაშამ და ზირმრგვალმა ხალათის ჭიბიდან კამფე-

ტი დააძრო, უგულისყუროდ დახედდა შავად აჭრელბულ ფურცელს და აცხოჩალ, ყოჩალ, რა შშეენიჭრბაჰქრსაშემაზე გადაუსვა ხელი ბავშვს, თავგადახრილი და ენაგამოყოფილი რომ ხატავდა და მთლიანად დანთქმული ჩანდა.

— რა გინდა, მათე ხომ მივიდა აღმოჩენასთან! — შეეშველა კოლეგას წოწოლა.

— „ირიბირიუსი“ უფრო გამოგონებაა, ვიდრე აღმოჩენა. — თქვა თვითონ.

— აბა, რა გინდა შენ — ისევ ილოს მიუბრუნდა შესწორებული, — ცოცხალ ადამიანს ხომ ვერ ავხდით თავის ქალას და ვერ ვუჭყიტინებთ!

— ჰოდა, იყავით ეგრე. ორგანიზმის გარეთ იცვლიეთ ორგანო, ჰე — ჩაიციხა, — ეგ არის თქვენი ბედი.

— რატო, ცოცხალი ტვინის პროცესებსაც ხომ ვაკვირდებით! თან ჩვენს საკუთარს. აი, გუშინ მე მჭონდა ეს აპარატი შეერთებული და ეს ყმაწვილი აკვირდებოდა ჩემი თავის შინაგან პროცესებს. ა, ბატონო ჩემი ელემტროგრამის სურათი!

— მოიცა, ეს შენი ამპლიტუდაა? შენი „ცნობიერების ნაქადის“ მრუდი? არა ყოფილა, გენაცვალე, ეს აპარატი სწორი, შენი ელემტროგრამა იქნება თუ რადიოგრამა, სწორ ხაზს უნდა აჩვენებდეს.

— უყურე ერთი! ქალეზმა გაიციინეს და გამხდარმა ისევ გადაიყარა თმა ზურგსუკან და ფანჯრის რაფიდან ჩამოხტა.

— და შენ რომ გაიძახი ბუნებრივი ბუნებაო, კაი ბატონო, არ გავჩეხეთ ტყე და არაფერი, ეანგბადი? ეანგბადი ხომ მოწამლულია, ყველგან, მთელ დედამიწაზე, მინც ბუნებრივი გამოგია ის ბუნება?

— წადი, წადი! — პასუხი აღარ დაეცალა ქლალპირბადრმა ილოს, — იმ ველურ ჭაგებში მოგისწრებს ნეიტრონის ბომბი, ესე, საუკუნის დამლევეს.

— არადა, ჩვენ ჩამოვალთ მაგ დროისათვის. ჩამოგაკითხავთ, გესტუმრე-

შვილმა და ისევ შემოჭდა ფანჯრის რაფაზე.

— აბა რას ვინამილი.

— კაი, ერთი, თუ ძმა ხარ, — ხელი აიჭნია სერგომ, — რა აზრი ექნებოდა?

— რა და მორალური! სხვა რა აზრი აქვს საერთოდ რაიმეს! მარტო მაინც აღარ იგრძნობდა თავს.

— შენ რომ საბჭოსა და დარბაზის განწყობილება გენახა, არა მგონია, რაიმეს თქმა გაგებოდა. ერთი სტუდენტი გოგო გამოვიდა და გააჩუმეს.

— რა, რა ხდებოდა ამისთანა?

— რა და მაგან რომ თავისი დასკვნა ჩააბულბულა...

— დასკვნებიც ესე პირდაპირ მოახსენა საზოგადოებას? მე ხომ ვიცი მაგისი კონცეპცია. თუმცა მაგისი კი არა, თუორიულად ძალიან ძველია, მაგრამ ბიძინას ახალი და უნიკალური ექსპერიმენტული მასალა აქვს შეგროვილი, თავისი ტესტებით, თავისი მეთოდებით.

— პო. ძველია. მაგასაც ვილა არა ჰყავდა მოხსენიებული: დანტედან მოყოლებული, გოგებაშვილის, უშინსკის, ფოტისა და სხვათა გავლით და თანამედროვე უცხოელ მკვლევართა ჩათვლით.

— კი, კი ერთი დამამახსოვრდა, — რაფიდან წამოიწია თეთრ-შარვალხალათა ლაბორანტი — ვილაც ფილოსოფოსს უთქვამს ენა ყოფიერების სახლიაო და ვილაც პოეტსა თუ მეცნიერს — ენა ყველაზე საშიში საჩუქარია, რაც კი ადამიანს ღმერთმა უბოძაო.

— პოდა, იმას გეუბნებოდი, — წამოდგა სერგო, — რომ ჩამოძერწა თავისი დასკვნა და ჩამორეკა იმ კათედრიდან — სკამი წინ დაიდგა და საზურგეს ჩაავლო ორივე ხელი — ა, მიყურე და მისმინე, როგორ იყო! — ხელით ჰაერი აკვეთა და მგზნებარედ დაიწყო, — ორი ენა ისევე ეხლება ბავშვის ფსიქიკაში ერთმანეთს, — ხელისგულები ერთმანეთს მიაკვლიტა, —

და ისევე არყევს მას, როგორც ორი გალაქტიკის შენარცხებზე შეპარყვედა სამყაროს! ერთი ერთგუნებში ადამიანი სხვა ენაზე რომ იღვამს ენას, უკვე მაშინ ჯანყდება გენეტიკური კოდი! რადგან ყოველი ადამიანის გენეტიკური ფსიქო-ფიზიკური კონსტიტუცია: ცნობიერება, ზორბი, სამეტყველო აპარატი თუ სახმო სიმები სწორედ მისი მშობლიური ენისთვისაა მზად, მისთვისაა მომართული და მოწყობილი! ამიტომ ბავშვის ამეტყველება არა მშობლიურ ენაზე იგივეა რაც ბულბულს ენაზელი ან ზმულილი რომ დააწყებინოთ! და ეს ფსიქიკური გადაზრდა დაძაბულობა, საშუაზაროდ შეუმჩნეველად მიმდინარეობს და ძნელი დასადგენი ხდება, რომ გვიან ჩამოყალიბებულ ნერვოზს ფესვი ენობრივ გარეებაში აქვს გადგმული! ასეთივე ფსიქიკური დაძაბულობა იქმნება, როდესაც ბავშვს შვიდ წლამდე ვაძალებთ უცხო ენის შესწავლას და თან ისევე ინტენსიურად, როგორც მშობლიურს! ის წარმოუდგენლად მძაფერი და მრავალფეროვანი ინფორმაცია სამყაროზე, რასაც ბავშვი იღებს ჯერ სამ წლამდე და შემდეგ სამიდან შვიდ წლამდე, მხოლოდ მშობლიური ენის საფუძველზე უნდა იქნეს შეწოვილი და შეთვისებული! ეს გახლავთ აუცილებელი, ფუნდამენტური პირობა ბავშვის ფსიქო-ფიზიკური სიმტკიცისა და პიროვნული მთლიანობისათვის! ამიტომ, უცხო ენის შესწავლა ბავშვს უნდა დაეაწყებინოთ შვიდი წლიდან და ისიც დამზოგველი ზომიერებით, ისე რომ იგი კონკურენციას არ უწევდეს მშობლიურ ენას.

მეტენიერების კანდიდატი ქალი ჩუმალ ახითხითდა.

— ზოლო თუ ბავშვი, — განაგრძო სერგომ, — პირველდაწყებით განათლებას არამშობლიურ ენაზე იღებს, ეს ნიშნავს: ა) აზროვნებისა და შემოქმედებით პოტენციათა დამუხრუჭება-დაქვეითებას, ბ) პიროვნული მთლიან-

ნობის რღვევას, რაც ძალზე ხშირად ელინდება ფსიქიკური პათოლოგიის სახით: ნევრასტენთა, ბოღვითი იდეები, დევნის მანია, შიში თუ ნებისყოფის მოდუნება, რადგან, ისევე გოგებაშვილის სიტყვებით რომ ეთქვათ: „დედა ენა როდი ჰგავს ტანისამოსსა, რომლის გამოცვლა ადვილად და უვნებლად შეიძლება. მას აქვს ღრმად გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, ძვალსა და რბილში, მთელს მის ბუნებაში“, და თავად განსაჯეთ ახლა, რა დღეში გვეყავს ქართული ბავშვები, უმეტეს სკოლებში პირველი კლასიდანვე ერთდროულად რომ ითვისებენ ორ უცხო ენას! თანაც ამას ემატება გაძლიერებული მათემატიკა. მაშასადამე, მშობლიური ენა ბავშვის ფსიქიკაში ყოველმხრივ მიკუჭქულ-მიკუღმტელია! — სერგომ სული მოითქვა.

— და აქ იყო სწორედ, რომ იყვირეს დარბაზიდან: „რალა დროს გოგებაშვილი და უშინსკია, მაგათ შემდეგ მთვარეზე ავიდა ხალხი!“ „მაშ უმეცრებაში დავტოვოთ ჩვენი შვილები“. „რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარ, არ გაგიგია!“ „ქართული მარტო ოჯახშია საჭირო! ქართულით შორს ვერ წახვალ!“ „არა ხართ სწორი მინდია ბიძინაშვილო!“ — ხელების ქნევით განასახიერა ქლალწვერამ დარბაზი და უცბად გაჩერდა.

გაჩუმდნენ.

ბიძინა მინდიაშვილი გამოვიდა. მაგნიტოფონსა და საქალაღდეს ქალაღდის გრძელი გრაფილეები დამატებოდა და მთელი ეს აღჭურვილობა თანაბრად იყო გადანაწილებული ორ ხელსა და ორ ილღიაზე. ქლალწვერამ კარი გაუღო და ისიც უმადლობოდ და უხმოღ გავიდა.

— აყვირდებოდნენ, აბა რას იზამდნენ! — ყალიონი დაფერთბა იღომ.

— ჰოდა იმათ სახეები რომ გენახა, — მიუბრუნდა სერგო — ველარაფრის თქმას ვერ გაბედავდი! ისე, ბიძინამაც კარგად დასტეჟა, ნუ გეშინია:

„გაიგეთ, წიწილა, რომელსაც ყვერცხიდან გამოძრომისას დედის ხმის ნაცვლად ტრაქტორის გუგუნე! გავაღწეს, იმ ტრაქტორისავე გარბის შერე! ინსტიტუტურად. დედა ჰგონია! და იმდენს გარბის, ვიდრე ბოლოს შიგ არ ჩაუვარდებაო!“ თან, დააძრო დამატებითი სქემები, ბავშვების ნახატები, ჩართო მაგნიტოფონი: მოგვასმენინა ბავშვებთან საუბრები. მაგარი ტესტები აქვს, რაც მართალია, მართალია. უამრავი მასალით გვიჩვენა, რომ ფანტაზია, შინაგანი თავისუფლება, მორალური საყრდენები: თანაღმობისა და თავგანწირვის იმპულსები, ნებისყოფა და ადამიანური ურთიერთობის ნიჭი ენობრივად გაორებულ თუ გასამებულ ბავშვებს მართლაც შესუსტებული ჰქონიათ. ბავშვებზეც ჰქონდა ექსპერიმენტები და დიდებზეც, და რა იყო, იცი, საინტერესო? რაც უფრო აშკარა ხდებოდა ბიძინას სიმართლე, მით უფრო მეტად ყვიროდა დარბაზი: „არ გვინდა, სწორე არ არისო!“ ბოლოს გაჩუმდა საწყალი მინდია. გამშრალი და გაოგნებული მიაჩერდა ხალხს, ერთი კი დაიყვირა გამწარებულმა: „თქვენზე იყოს თქვენი შვილების ცოდვაო“ და დარბაზიდან გავარდა. სკანდალური დაცვა გამოვიდა, არადა, ლამის ოცი წელია უკვე, მაგაზე მუშაობს, მთელს ჩვენ ულტრა-თანამედროვე ხელსაწყო-აპარატებს ბიძინასავით ვერავინ იყენებდა. რამდენი იწვალა...

— ვაი, ჩვენს პატრონს! — გადააწიტა იღომ.

— და იმაზე საერთოდ აღარაფერი ეთქვამს, — განაგრძო სერგომ, — მშობლიური ენის საშუალებით ნერგული ავადმყოფები რომ განკურნა.

— როგორ, კაცო? მართლა? — გიოცდა იღო.

— კი. ენის საკუთრივი ბირთვიდან, გულისგულიდან, — შენთვის რომ გასაგები იყოს, — ენის ბიოსფერული ნაკრძალიდან, იღებს თურმე ძირეულ სიტყვებს და მარცვლებს და ავადმყოფებს, არ ვიცი აწერიანებს, ასმენინებს

თუ სიტყვებს ადგენინებს, მაგრამ ერთი სახეობის ფსიქიურ აშლილობას, რომლის დიაგნოზსაც თვითონ სვამს და პირობითად „დარდილას“ ეძახის, თურმე მთლიანად კურნავს...

— ფილმიც აჩვენა? — იკითხა თვითონ, მთლად მოშხაშულმა.

— არა. უნდოდა, მაგრამ საბჭომ საჭიროდ არ მიიჩნია, — უპასუხა ლაბორანტმა გოგომ.

— გადაჭარბებულია ეგ ყველაფერი! — მეცნიერმა ქალმა დაამთქნარა და ხელი აიფარა პირზე.

— გოგებაშვილს მივმართავთ, — დარბაისლურ ქართლურ კილოზე წამოიწყა სერგომ, — „თუ კაცი გენიოსად იყო დაბადებული, გამოვა მხოლოდ შესანიშნავი ნიჭის პატრონი, თუ ნიჭიერად იყო გაჩენილი, საშუალო ნიჭის ადამიანი შეიქნება და თუ ბუნებისაგან დაყოლილი ჰქონდა უბრალო ნიჭი, მტყნარს სიტუტუცეზედ ჩამოხტება“ მაშ! შენ, ეტყობა, გენიოსად იყავი დაბადებული!

— გოგებაშვილი, ეს ის არ იყო, „Что смогла колыбельная“ რომ დაწერა?

— არჩილი რაღას აკეთებს? — იკითხა თვითონ, გულს დაწოლილი უემური რომ გაეფანტა.

— ჩაკეტლია თავის ლაბორატორიაში. ერთ კვირის წინ ჩვილის ტვინი მივიღეთ მორგიდან, იმას უზის. რაღაც ახალი ნივთიერება აღმოაჩინა.

— ახალიო? „ყრმის ტვინზე უფრო ყრუ ზამთარი“... სად წაიკითხა? ვისი სიტყვებია? „ყრმის ტვინზე უფრო ყრუ ზამთარი“.

— არც აცტილბოლინია, არც ადრენალინი, არც ნორადრენალინი, არც სეროტინინი, არც არაფერი, რაც დადგენილია ტვინის ქსოვილში — ქალმა ისევ გაუგზავნა ბოლის რუხი, დახვეული ამბორი.

— ეგ, პათანატომისტს ადვია ან ლელვის არაყი დაეღვრებოდა გაკვეთისას, იმით იქნება გაყენთილი! — დაუზუს-

ტებული მისამართით შოიობა გული ილომ.

— ვისი ტვინი, ვისზედ უნდა ვიღო ბავშვმა.

— ბავშვის, პატარა, სულ პატარა ბავშვის, გენაცვალე, — უაზროდ მიესიყვარულა ბოლოკისფერტუჩება და ხელით პატარა სხეული აჩვენა.

ბავშვს მიწისფერი დაედო და ხელი გაუშეშდა.

— იმ ადამიანის ტვინს, რომელმაც სიკვდილი გააცნობიერა და იმ ადამიანისას, რომელმაც ეს ვერ მოასწრო, ერთნაირი ქიმიური შედგენილობა აქვთ? — იკითხა თვითონ თავისთვისვე მოულოდნელად.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— მართლა გენიოსი ხარ, ხო იცი, მათე, მაგაზე არც მიფიქრია — დაძაბული მისჩერებოდა სერგო.

— უკარნახე პრობლემები ამ უბედურებს, ეგებ ცოტა გაუნათღეთ ტვინი — ჩაიქირქილა ილომ.

— წესით არ უნდა იყოს ერთნაირი — ჩაილაპარაკა ლაბორანტმა ქალიშვილმა და თმა უკან გადაიყარა — დიდი შიშის დროს ადრენალინი დიდი დოზით იქნება გამოყოფილი.

— მათე! მათე! მოხვედი? — გამოსძახეს გვერდითა ოთახიდან — შემოდი, მე გირეკავდი, შემოდი, თუ ძმა ხარ!

— homo electricus მოგვეშალა, ააფრინა ოფოფები! — ხელი თავთან აიქნია სერგომ.

ჩაბნელებულ ლაბორატორიაში ადამიანის სხეული იდგა და კაშკაშებდა. მიუახლოვდა: ხელოვნური, გამჭვირვალე კუნთოვანი ქსოვილი მთლიანად დაქსელილი იყო ელექტრონერგებითა და სისხლძარღვებით და ელექტროგულის რითმიული შეკუმშვა-გაფართოება ვითომ სისხლს ალმა-დალმა და შეუსვენებლივ ამოძრავებდა. ნათლად მოსჩანდა სისხლის მთელი მიმოქცევა და მომოსრბოლა. ძვლები თეთრად ენთო, ნერვები ცისფრად, სისხლძარღვებში კი წითელი სითხე არბოდ-ჩამო-

ბოდა: დიოდნენ სისხლის შვეული და ვიწრო მდინარეები, წყაროები, რუ-ები და ნაკადულები, მიიმდობრებოდნენ, მიწანწყარებდნენ. ფერად, ერთ-მანეთი ჩაწულ-ჩაქსოვილ დენის სა-დინართა ურთულესი ნაგებობა ხის კვარცხლბეკზე იდგა უძრავად — ადამიანის შიგნიდან მოძრავი ელექტრო მოდელი.

წინიდან შემოუარა და თუმცა ერთ-ხელ უკვე ნანახი ჰქონდა, მაინც და-ზრინა: მთლიანად გამჭვირვალე თვა-ლის კაკლებში ფსკერი მოსახნდა, ყვე-ლა ძარღვი, ყველა ხაზი და წერტილი ერთო. „ისიც ასე ილაპლაპებდა ალ-ბათ, ჰეჰა-ჰუხილისა თუ ცეცხლის ღმე-რთი, ბუნებრივი ელდენის კერპი, უზარმაზარი ოქროს ქანდაკება, გად-მომდგარი მცხეთისა თუ ზედაზნის თავზე: თვალბად — თვლები, გოგ-რისხელა ბივრილები ან აღმასები, იასპები, სარდიონები, და მზე რომ მიაფრქვევდა პირველ სხივებს, ფეთქ-დებოდა ოქრო-ბროლი, დამაბრმავებ-ლად კაშკაშებდა და დაუდგა აღსას-რული: ფერმკრთალმა, სალუქმა ხელ-მა ჰაერში პირველი ჭვარი რომ ამოტ-ვიფრა“.

— ხომ იცი ეს, ხომ ნახე ერთხელ — შავილაკებიანი პულტიდან გაწა-მებული და მძიმე, უცნაური შუქით განათებული სახე აიღო ამხანაგმა: პი-რდაპირ, კედელზე ადამიანის სხეულის ორ დაბაზულ-დანომრილ სქემას მია-ჩერდა.

— რა მოუვიდა?

— ეშმაკი და ქაჯი — რიგ-რიგო-ბით დააპირა თითო ლილაკებს — შე-ხედე! აი, ეს ლილაკები ხო მაგ დე-გენერატის ნერვებთან არის შეერთე-ბული, შეხედე სქემას. რომელიმე ლი-ლაკს თითს რომ დავაქერ, ესე იგი, ნე-რვის დაბოლოებას ვუერთდები და მა-შინვე ტვინის შესაბამისი უბანი უნდა გაეპასუხოს — ციმციმი დაიწყოს, ან თავში ან ზურგში, აბა, ნერვები რა ჩემ ჭირად გვინდა, თუკი გაღიზიანება ტვინს არ აცნობეს, არ გაატარ-გამოა-

ტარეს უყურე, თუ ძმა ხარ, არაფერ-ზე აღარ იძლევა რეაქციას!

ელექტროტვინი მონათესავეა თანაბრად ერთო. მისი მრავალი ნაწი-ლი კი საერთოდ ბნელში იყო ჩაძირუ-ლი.

— და აქ სიბნელე რატოა?

— ეგვეც გაფუჭდა, მაგისი პატრონი დედაც... რაც ახლა ბნელია, ადრე მუქ-ლურჯად ერთო. ეგ ტვინის პასიური, უმოქმედო უბნებია, რომლებიც ადამიანს ჭერ. ათვისებული არა აქვს. ეგ ადგილები სულ ჩაქრა. ცისფრად რომ ანთია ეგ, მუშა, მოქმედი ტვინია და მანდ ციმციმს უნდა იწყებდეს შესა-ბამისი უბნები გაღიზიანებისას. ეს გახლავს ამ აპარატის მთელი მულამი, თვალნათლივ გაჩვენებს სისხლის მი-მოქცევას და ნერვიულ ინფორმაცია-რეაქციებს. ეს კიდე დადგა გაჭირ ვი-რივით და არაფერზე რეაქციას აღარ იძლევა, ამისი გამომგონებელის დე-დაც... — შუბლი ხელზე დააყრდნო და ლილაკებს დააშტერდა — არადა შე-მოვა დღეს დირექტორი და სულ ბოლს აგვადენს, ხო იცი მაგისი სიგიჟე, თუ ყური მოჰკრა, სადღაც რაღაც ახალი გამოუგონებიათო, თავს მოიკლავს და გამოიწერს, თავის ხელფასსაც ზედ მი-ახარჯავს, ოღონდ კი ყველანაირი აპა-რატ-დანადგარი ჩვეწთან მოხვდეს! გვიყრია მერე ეს ხელსაწყოები და გვიოხრდებო, ვინ არის მაგათი ამთვი-სებელი. ამისი გულისთვის, მაგალი-თად, ორი თვე იჯდა მოსკოვში და რო-ცა მივიღეთ, სპეციალისტიც ჩამოჰყვა თან შტატებიდან, დაიტონიდან, ბიო-ნიკის სიმპოზიუმში რომ იყო სამოც წელს, დადგა, ჩართო, ამუშავა, დაგ-ვიტოვა „ომი და მშვიდობას“ ხელა ინ-სტრუქცია და წავიდა. ჩახედე ერთი, თუ ძმა ხარ, ინგლისურ და გერმანულ ენებზეა, ეგებ გაიგო რამე.

— მე კი ჩახედავ, მაგრამ ინგლისუ-რის სპეციალისტი ხომ გყავთ?

— ზელიმხანა? ვაიი, მაგისი ინგლი-

სური არ გაიშვა! — გამწარებულ-
მა ჩაპკრა თითი ლილაქს.

— რამდენად ზუსტია? რამდენად
შეესაბამება ადამიანს?

— ზუსტი არა, ის, რა წამოდგენაც
დღესა აქეთ ადამიანზე, იმას შეესაბა-
მება. გულის მუშაობისა და სისხლის
მიმოქცევის პრინციპითაა აგებული.
ნერვებიც, რომელთა მოქმედებაც შე-
სწავლილია, ისინია მოცემული. პატა-
რა ელექტროსადგურია რა, მუშაობს
თავისთვის, სისხლს ატრიალებს.

— მაინც საოცრებაა. არა, კაცი
ჩხირკედლაობაში გენიოსია. ვერ წა-
ართმევ.

— ეპ! — ხელი ჩაიჭნია, — ერთი
კვირა კარგად იმუშავა და ერთი თვეა
რაც კანი გაუსქელდა: ნერვს აღარა-
ფერი უტოკებს.

— არცერთს?

— ა. სამი-ოთხი ნერვილა მუშაობს.
აჰა, უყურე, აი 18. ხედავ? აი, ესეც —
38. ხედავ?

ტვინის ცისფრად განათებულ ნაწი-
ლში ვარსკვლავით აციმციმდა რამ-
დენიმე წერტილი, ერთი — ღრმად ში-
გნით.

— ხომ ხედავ და ესეც — 3. მორჩა,
სულ ეს არის.

ტვინში საგანგაშო შუქურებივით
ციმციმებდნენ სხვადასხვა წერტილე-
ბი.

— რომელი ნერვებია?

— რომელი და, — სქემას შეხედა,
clunium, gluteus sup....

— საჯდომის, კაცო? — სქემას უყუ-
რებდა, სადაც ადამიანის მუჭვერ, უსი-
ცოცხლო ორგანოებს ისრებივით ჰქო-
ნდათ შერჭობილი ბოლოში რიცხვდას-
კუპებული სწორი, შავი ხაზები.

— ჰო. ეს კიდევ კუქისა და სასქე-
სო ორგანოსი 38 და 3.

სქემაზე მამაკაცის სასქესო ორგა-
ნოსთან შეერთებული შავი ხაზი შა-
ვივე მრგვალი სამიანით მთავრდებო-
და.

— ა, სულ ეს არის.

— ვენაცვალე სულში! — ყალიონი

შემოიჭნია და მერე შემოაბოლო-
იხითხითა ილომ.

— ვისა? — დაბნეულად ჩეფე კო-
ტემ. გამოფიტულ სახეზე ელექტრო
სხეულის ფერადი შუქი ეფინა.

— მავას. ჰომო ელექტრიკუსს. გა-
ქართველებულა, გენაცვალე! და იმ
აუთვისებელ ტვინს რაც შეეხება —
ელექტროკაცს თავის ქალაზე მიუკაჟუ-
ნა იქ, სადაც უნუგეშოდ ჩაბნელებუ-
ლიყო ტვინის უბანი... — იმას მაინც
ველარ აითვისებს დღევანდელი ადამი-
ანი, მით უმეტეს საქართველოში, ისე,
რომ სწორედ აჩვენებს ეს აპარატი,
რას უჩივიანებთ!

— დაიცა, ერთი — მწარედ ჩაილა-
პარაჟა კოტემ და ისევე პულტს დააშ-
ტერა დამშრალი. ცისფერი თვალები.

— აბა 33-ს დააჭირე! — პამიდურის-
ფერი გულის მწვერვალიდან ძლიერად
აკლანკილ შავ ნერვს მისჩერებოდა
სქემაზე.

— არაა. არ პასუხობს აჰა!

— ამ ინსტრუქციის შესწავლის ერ-
თი წელი მაინც მოუნდება. დასვით
ზელიმზანა და ათარგმნინეთ, სხვას რას
აკეთებს!

— ვაა, ისევე იმას ამბობ? მაგ მუტ-
რუკის ნათარგმნით რომ ავამუშაოთ,
ამას ისეთი ერექცია დაემართება,
ჩვენს ქალებს ვილა ჩივის, ჩვენც ზედ
მიგვაყოლებს, ამისი გამომგონების
გვარი და ჯიში...

— თქვენი არ ვიცი, შეიძლება ჯერ
არა გაქვთ სამაგისოდ საქმე, მაგრამ
იმათ მადლს ნაღდად მოისხამს — ხმას
დაუწვია და თავი ქალებიანი ოთახისკენ
გადააქნია ილომ.

— კაცო, მავაზე გამახსენდა, —
პულტს მიუახლოვდა იმ წუთს შემო-
სული ახმაზი სერგო, — დამლუპა მგო-
ნი ჩემმა საქმიანობამ, ზო იცით! რო-
გორ ლამაზ და გადასარეე ქალთანაც
არ უნდა ვიყო...

— სხვანაირთან შენ როგორ იქნები!

— დაიცა! — ხელი აუქნია ილოს, —
როგორ ლამაზთანაც არ უნდა ვიყო,
კოტა თუ მოისულელებს, და აბა სხვა-

ნაირი ქალი მე ცოტა შემხვედრია, მაშინვე იმისი ტვინი წარმომიდგება თავლწინ: გლუვი და უნაოკო. რა საზიზღრობაა, არა! ჰოდა, მორჩა! — მწყარალად ჩაიქნია ხელი შარვლის უბისკენ. — არაფერი აღარ გამოდის!

— ტვინზე კი არა, საქმეზე უნდა იფიქრო, ტვინი რა შუაშია მაგ დროს, გეცია ეს ოხერი! — ყალიონი აიქნია ილომ.

— კაცო, მეფიქრება და რა ვქნა! აქეთ ვაწეები ჩემს ფანტაზიას, იქით ვაწეები, არა და არა. დავინახე გლუვი, ოღნავ, აქა-იქ დანაოკებულ ტვინს და მორჩა!

— რით ველარ შეგხვდა ტვინნაოკიანი, ბიჭოს! — გაბრაზდა კოტე და ისევ ჩაპკრა თითი მესამე ლილასკ.

ტვინში ძლიერად აციმციმდა ორი წერტილი.

— ახლა საიდან მოგიყვანოთ ფილოსოფოსი და მეცნიერი? — გააბოლა ილომ.

— ჰო, იმ ვილაკამ სწორედ იმიტომ იწვალა მთელი ცხოვრება და შეისწავლა ფილოსოფია, რომ ამან იმასქნას რა ქვია... ისიამოვნოს ბოლოს — იუმორის კვალიც არ ეტყობოდა კოტეს. წამოდგა და პულტის დახურვა დააპირა.

ჭერ ხუჭუტა თავი შემოაყოს კარში და მერე შემოირბინა: ბავშვმა. გაჩერდა. ანთებულ სხეულს მიაშტერდა ზურგიდან. მერე ფრთხილად შემოუარა, წინ დაუდგა, სახეში შეაკაქერდა და შემზარავი კივილით მოიკვლა.

ელექტროტვინს ნარინჯისფერ-რისფერი ცეცხლი ავარდა. კოტე პულტს ეცა. ილო — გულწასულ ბავშვს. თვითონ მოიფიქრა და როზეტი გამოგლიჯა კედლიდან. სხეული ჩაქრა. ბავშვი გაიყვანეს. სინათლე აანთო. გაფითრებულ კოტეს პულტის მძიმე სახურავი მიეკრა მკერდზე.

— რა მოხდა?

— გადაიწვა. ბავშვმა რომ დაიკვივლა, ეს ოხერი ხელიდან გამივარდა და

ყველა ლილასკ ერთად დაეცა. მორჩა. გადაიწვა.

მეორე ოთახში გავიდბ. მანუშვი მხაპთან გაეყვანათ. თან გაპყოლოდა ყველა.

მაგიდასთან მივიდა და შავად მოხატულ ფურცელს დააჩერდა, თეთრი ფურცლების წრეში რომ ეგდო. აილო ჰაერში ირიბად გაფშევილ უსწორ-მასწორო საქანელაზე ადამიანის მსგავსი, პატარა ხელფეხ-გაჩაჩხული, თმა-ხუჭუტა არსება იჭდა. უშნო, მაგრამ საყვარელი მუშტებით მაგრად ჩაებლუჯა სქელი თოკები და გაუბედავად ილიმებოდა უშნო და საყვარელი პირით. ხიდან დამფრთხალი ჩიტი მიფრინავდა. ძირს მიწაზე შავეშვებიანი 'საცეცებიანი ქვეწარმავლები დაბტონდნენ, ხოლო ხე, რომელზედაც საქანელა ეკიდა, სანახევროდ მიწიდან იყო ამოთხრილი და ამოყრილი ფესვები გაწვდილი ხელივით სავსავებდნენ ჰაერში...

ისევ ჩაბნელებულ ოთახში იდგა. სარკესა და ფოსფორის ჭვარცმას შესცქეროდა. სწრაფად მიტრიალდა და სინათლე აანთო. ამოიხუნთქა. ფოსფორის სული ორი საგანი ჰქონდათ. მანათობელ-ქვებიანი საათი გიორგის ერგო, როცა ტბაზე ასვლა გადაწყვიტა...

...კარი გაიღო.

— გიო! — წამოფრინდა ენდი და იქვე დაუწია ხმას — მოხვედი, ბიჭო?

— გიორგი? — დედა გამოდის ოთახიდან.

— როგორა ხარ? სად დაიკარგე! — ეკითხება თვითონ.

გიორგი ღუმს და ისე ათვალეირებს სამივეს, თითქოს სხვა პლანეტის არსება იყოს და დედამიწის შვილთ პირველად ხედავდეს. გაოგნებული შესცქერა მათ ხელებს, თმას, სახეებს... შეტბნენ.

— რა მოხდა? — ძალიან ჩუმიად კითხულობს დედა, და სავარძელში ეშვება.

— რა მოგივიდა, ბიჭო, დამუნჯდი?
— ენდომ მკლავზე მოკიდა ხელი. შე-
აჯანჯლარა.

— გიორგი ჩუმად უყურებს სახე-
ში... მერე თვალები აახამხამა და თი-
თქოს ჯადო რამ ჩამოეხსნაო, ამოისუ-
ნტა.

— არაფერი... რა მოგივიდათ?

— ჰე! ჩვენ მოგივიდა?! — გაოგნდა
ენდი.

— რა მოგივიდათ? რატომ მიყურებთ
ასე უცნაურად? — განაგრძო გაოცე-
ბა გიორგიმ: ხელებზე დაიხედა და
რომ შესძლებოდა, სახეშიც შეხედავდა
საკუთარ თავს, — რა მჭირს?

— ჩვენ გვეკითხება!!! — გადაირია
ენდი.

— რა მოხდა? — კითხულობს დედა.
გიორგი სავარძელში ეშვება, საათის
გვერდით. სახეზე იფარებს ხელებს.
სიჩუმე.

„რა მოხდა?“ — გაბმით კითხულო-
ბენ დედის თვალები.

„ისევ რალაც უბედურებაში გაება.
რომ ამტყიცებდა, გული მიგრძნობს,
ცული არაფერი შეემთხვევაო?!“ —
გაიფიქრა თვითონ.

— არაფერი, — თავი აიღო გიო-
რგიმ, მაგრამ იქვე გადაიფიქრა: —
წყალქვეშა მღვიმე ვიპოვე, დედი...
ხმაა უცნაური, თითქოს ჩარახული
საგანძურის კარი გაიღო და ამიტომ:
სიჩუმე.

— წყალქვეშა მღვიმე? — ამოთქვა
ენდი.

— მერე? — კითხულობს თვითონ.
და აქ გიორგი დედას უყურებს და
მერე უცნაურ, აუხსნელ რამეს კითხუ-
ლობს.

— ვთქვა?

სიჩუმე.

— თქვი, — ამბობს დედა, თითქოს
იციოდეს, რა არის სათქმელი...

— მერე! — სკამიდან წამოხტა ენ-
დი.

— ლელქაშისა და გორების მხარეს...
ფსკერზე უზარმაზარ ზვრელს გადავაწ-
ყდით. რალაც ღრმა ორმოს. იმ ადგილას

წყლის ჰავლი ამოვარდება ხოლმე შად-
რევანივით, ზოგჯერ რაღაც უფუდიდრო.
სწორად იფიქრეს, რომ ზამთრისგან
უნდა ისროდეს დედამიწა იმ ძლიერ
ნაკადს... სიგრძის გაზომვას ვერ ვახე-
რებდით. ძალიან ღრმა ჩანს. სიგანით
კი იმხელა, რომ ხელებგაშლილი ჩაე-
ტივი... ლელქაშს თეთრი თოკი შემო-
ვახვიეთ, იმ ზვრელისთავზე.

ამას წინათ, რალაც დარდი შემომა-
წვა, ნაცნობი და გაუგებარი, და ასეთ
ღრმად, ასეთ გუნებაზე რომ ვარ, მინდა
ხოლმე რალაც დამემართოს: ძნელი,
მწარე, მოკლე, ვერ ვამბობ. რომ გა-
მოვერკვე, უფრო მეტი ტკივილით ის
ჯავრი გამეფანტოს, თუ რა ვიცი, რა-
ტომ. აი რალაც ეგრე ვიყავი და რა-
ლაცნაირად გამწარებული ჩავცურდი
ფსკერზე და არც დავფიქრებულვარ,
პირდაპირ იმ ზვრელში ჩავეშვი თა-
ვით... სხვა დროს ალბათ ვერ გავბე-
დავდი. მიცურავ თავქვე, წყლის
წყვდილში, ფანარი მინთია, მაგრამ
არაფერია დასანახი, ზოგჯერ ხელებს
ვშლი, ზვრელის სიგანე მაინტერე-
სებს... თითის წვერებით ვეხები კედ-
ლებს, ვხვდები, თანდათან ვიწროვდე-
ბა... და უცბად მარცხენა ხელმა კე-
დელი ველარ იგრძნო... იქეთ მივბრუნ-
დი: ზვრელია შეჭრილი გვერდით. დე-
რეფანივით გრძელდება... ისიც წყლით
არის სავსე. მაგრამ ვიგრძენი, გვი-
რაბი ოდნავ ზემოთ იწევს და წყა-
ლი კლებულობს, იკლო, იკლო და
ფეხზე დავდამქი. წელამდე წყალ-
ში, თანდათან მუხლებამდე რომ და-
იწია. სინათლეც მატულობდა, მა-
ტულობდა, მატულობდა, მე მივდი-
ოდი და უეცრად გვირაბი დიდ მღვი-
მეში გადაიზარდა, რომელიც რალაც
დამამბრმავებლად კაშკაშა სვეტით შუ-
აზე იყო გაკვეთილი. ფსკერზე თხელი
გუბურები ბრწყინავს სარკესავით და
წყლის ხავსია მოდებული და ალაგ-
ალაგ მწვანე, შრიალა ლელი, ყანასა-
ვით რომ ირხევა, ოდნავ, ირგვლივ
მარჩლის ბრწყინავი კოყრებია, ნექ-
რების მტევნები... და ზემოდან სინა-

თლის ირბი სვეტია დაშვებული, ლაპლაპა, ელვარე, თვალს ვერ გაუსწორებ. ედგავარ გაოგნებული. არ ვიცი რამდენხანს, და უცბად სვეტმა დამოკლება დაიწყო და მისი ბოლო ნელა მოშორდა მღვიმის კუთხეს, სადაც მთელი ეს ხანი იყო მიბჯენილი. ნელა გაცურდა და შუა სივრცეში შეჩერდა ერთხანს. გავფიქრე, რომ გარეთ მზემ ადგილი იცვალა და ხერულს გადასცილდა, რომელიც მღვიმიდან სადაც მიწის პირზე, გორების მხარეს უნდა აღიოდეს... და ამ დროს... ისევ ის...

სიჩუმე.

„რა?“ „რა ის?“ — კითხულობს სამი წყვილი გაფართოებული თვალი. — ოხერა მომესმა... ვიღაც უზარმაზარმა და უბედურმა ამოიოხრა. შემაჩრყოლა. მიმოვიხედე. არავინ ჩანდა და უცბად წინ... სვეტის იქითა მხარეს მბრწყინავ, ლაპლაპა რაღაც საგანს მოვკარი თვალი... და...

სიჩუმე.

„და რა?“ „და რა“ — მოთოკილი კითხვების რკალშია გიორგის სახე, გამხდარი, ფერმკრთალი.

— აკვანი — ამოიოხრა გიორგიმ — ოქროსი.

სიჩუმე.

— ...და ნიავე თუ რა უბერავდა, არ ვიცი, ის ლელი თუ რაღაც მცენარე ყანასავით ირბეოდა და შრიალებდა ძლივს გასაგონად... და სველი ფსკერი ბზინავდა ირგვლივ და აკვანს იქით კედელზე თუ კედელთან, არ ვიცი, მაგრამ ნამდვილად მოსჩანდა... თეთრებშიჩაცმული, თავდახრილი: ქალი. თუ... ეგებ ფრესკა იყო კედელზე მიხატული და ცრემლები სდიოდა ღვარად. ან ეგებ წყალი ჩამოდიოდა კედელზე და იმ ფრესკას ზედ დასდიოდა, მაგრამ, სულ ერთია... მე განვიცდიდი. რომ ქალი ტიროდა, ქალი ტიროდა. უხმოდ. და ისე ჰქონდა ხელები გაშლილი, თითქოს... ჭვარზე იყო გაკრული და იმ ოხერის ექო ისმოდა ისევ, იმ დიდი ოხერის, და ვიბრაცია ჰქონდა უცნაური და აკვანი ოდნავ

ირწეოდა... ეს იმან ამოიოხრა, ვინც თუ რაღაც უბედურმა, რომელიც კედელგან იყო და არსად სჩანდა... დღე მთელი ოხერაც მესამედ მომესმა ჩემს ცხოვრებაში... მაყრიალებდა... მუხლებზე დავეცი, ღვარტყაფად მდიოდა ცრემლი და ხელები გავიწოდე იმ ქალისაკენ და ვიძახდი: „მამატიე, შემინდე, შემინდე მეთქი“. და მზის ჰავლი ისევ გაცურდა ზემოთ, დამოკლდა, აიკრიფა და გაუჩინარდა. ჩამოწყვდიადდა. გონს რომ მოვეგე, საათზე დავიხედე: გაჩერებულიყო. ჯოსფორის ქვები კიაფობდნენ უძრავი ისრების ირგვლივ. ჩემის აზრით, დაახლოებით იმ დროს აჩვენებდა, როცა მღვიმეში უნდა შევსულიყავი. ჭერ გამოვბრუნდი და მერე ავანთე ფანარი. შევეცურდი შევეულ ხერულში, ავცურდი მაღლა, ფსკერზე და მერე სული მაღლა ზედაპირისკენ. კარავში შევედი. დავწექი, ხელები თავზე წავიფარე და ძილმა წამილო. ოღონდ, ვიდრე ჩამეძინებოდა, ყურში საათის წიწყი ჩამესმა.

სიჩუმე.

— ასეც ვიცოდი, რომ მაგას იტყოდი!

„რას?“ — სევდიანად გაცოდნენ გიორგის თვალები.

დედაც გაცოებული აბრუნებს თავს. ენდი ისევ მღვიმეშია: უცნობი მღვლვარებისაგან მომუშტული ხელები გულში ჩაუკრავს, ნელ-ნელა გახსნა მუჭები და ჩაჭერილი ფრჩხილების თეთრი ძეწყვი ნელა წაიშალა ხელის-გულებზე. უაზროდ უყურებს უფროს მამს.

— მისმინე! — სიფხიზლე და აზრი სურს შეიტანოს ამ უსახელო ბურუსში, რითაც გიორგის მღვიმე ჩაწვა სასტუმრო ოთახში: გაფანტოს, უბრალო, დღის სინათლით გაანათოს საგნები, სიტყვები — მისმინე! რამდენჭერაც ბაზალეთს ახსენებენ, ხომ იმდენჭერ ის გაგონდება: „ბაზალეთისა ტბის ძირას ოქროს აკვანი არისო?“

— მაგონდება, — მორჩილად და ნაღვლიანად დაეთანხმა გიორგი.

— ყველანი ეგრე ვართ. ვისაც ბავშვობაში გვასწავლეს ეგ ლექსი. ასე ხდება საერთოდ. იმიტომ გვასწავლიან ათას რამეს ბავშვობაში, — მრავალმნიშვნელოვნად გაიმეორა, — ათას რამეს. ჰოდა, როგორც კი იმ ხერხელში ჩაეკურდი, სულ მაგაზე ფიქრობდი, ასეა თუ არა!

გიორგი კვლავ დაეთანხმა: თავის დაქნევით.

— რაზედაც ფიქრობდი, ის მოგჩვენა! ცხაზე ცხადი ამბავია, განწყობის ფაქტორი ელემენტარული საკითხია ფსიქოლოგიაში.

მაგრამ აქ დედამ, მანამდე, რომ თვალის ჰქონდა გაშტერებული, თავი მოაბრუნა და სახეში შეხედა. მკაცრად შეწუხებული იყურებოდა, როგორც მაშინ — ბავშვობაში — სამი მწვანე თვალისა და რომ უმზედა, და თქვა: — ხოლო თუ განწყობილი ხარ, რომ რაც არ გინდა, არ დაინახო, ვერც დაინახავ, ასე გამოდის არა, მაგ ფაქტორის მიხედვით?

„ფაქტორი“ მისი ხმით წარმოსთქვა, უფროსი შვილის ხმით, მაგრამ დაცინვის გარეშე. მისი ღენადი, დარბეული, იის მუქი ფოთლოვით ხმა ადვილად გადაიღვრებოდა ხოლმე ნებისმიერ რეგისტრში. ზუსტად ბაძავდა სამივე შვილს და ხშირად სთხოვენ მიბაძვას. და გიორგის მიუბრუნდა:

— ცუდადა ხარ?

გიორგიმ მუბღზე დაისვა ხელი:

— ცუდად... არაა. რალაცნაირად ვარ. — და ისევ შეხედა დედას და იკითხა. — უნდა მეთქვა?

დედამ უხმოდ დაუქნია თავი.

— გუშინ იყო, — თქვა გიორგიმ.

— ხვალ წამოგყვები და მეც ჩაეყვინთავ... ვნახავ ერთი!

გიორგი უცნაურად უყურებს და მერე ამბობს: ნაღვლიანად და მორიდებულად:

— შენ იქ ვერ ჩახვალ, მათე.

— რატომ, მაგალითად?

— არ ვიცი. ამ დღით, რომ გავიღვიძე... ოთხს ვუთხარი, რომ ხერხელში ჩაეკურდი და წამოვხვიყვინთავ ვიპოვე მეთქი. თუმცა სხვა არაფერი მითქვამს, უცხად მივხვდი, რომ არც ეს უნდა მეთქვა. წამოხტა, გაემზადა და ჩაეშვა წყალში. ამოვიდა ცოტა ხნის შემდეგ და მუშტი ჩამაზილა: რად მომაცუხე, იქ არაფერი გვერდითა დერეფანი არ არისო. არ ვიცი, შეეშინდა და საერთოდ აღარ ჩაეკურდა ფსკერის სიღრმეში თუ მართლა ვერ იპოვა: ან გასცდა, ან ვერ მიადწია. იმან კარლო გააგიჟა, მე და გიორგიმ წყალქვეშა მღვიმე ვიპოვეთო. „ახლავე შევამოწმებო“ — იმან, აიკიდა ფოტოკამერები, ხელსაწყოები და ჩაქანდა. სწორედ მაშინ ამოვარდა წყლის ქველი და კარლო ზედაპირზე ამოსტყორცნა ბურთივით, თავის ხელსაწყოებიანად. ფოტოაპარატები და ფანარი გაუტყდა, თვითონაც ძლივს გადარჩა. წარმოიღვინე, რა ძალის ნაკადია. გეიზერით ამოიფრქვევა ხოლმე და ორ წუთში ქრება. ვერ დაადგინეს, რა კანონზომიერებას ემორჩილება. ძალიან ვინანე მაშინ. მთელი დღე ვიჭეკი, გაოგნებული და შინ წამოვედი. მთვარე იყო უკვე ამოსული, მცხეთაში რომ შემოვედი... „მკრთალი ნათელი სავეს მთვარისა... მკრთალი ნათელი სავეს მთვარისა“, ამეკვიტა რატომღაც, გულში სულ ამას ვიმეორებდი. — სევდიანად დაასრულა გიორგიმ.

სიჩუმე. წყალქვეშა მღვიმისებური.

— აკვანი... ცარიელი იყო? — გაბედა ენდომ.

გიორგიმ ნელა აიწურა მხრები: — არ ვიცი. რიკულებიანი იყო, თავზე ჭვარივით რალაც უზზინავდა... იმ კენისის... სიო ადვილად არწევდა. ყველაფერი ბღღვრიალებდა დამაბრმავებლად...

— მაგიტომ, სწორედ მაგიტომ! გზის სინათლე ერთ გარკვეულ დროს იღვრება ალბათ იმ მღვიმის ყელში და მერე სცილდება! — დღის სხვა მონაკვეთში იქ სრული წყვედიანი იქნება.

მზემ თვალი მოგჭრა და ის მარილის ქვა იქნებოდა, ან რაიმე მინერალი, მოლაპლაპე! შენ კი აკნად მოგეჩვენა!

— როცა ისეთი რამ ეჩვენებათ, — წამოიწყო დედამ: ხმადაბლა, თავისთვის, — რაც არ არსებობს, ის შთაბეჭდილება მალე იფანტება ან არადა ავადმყოფობაა...

— ჰე, კარგი რა, დედი! მე მინახავს სიზმარი, ნამდვილი აბსურდი! უაზრობა! დაზაფრულს, გაყინულს გამლვიებია და ის ზაფრა დღემდე არ გამიფანტვია. ერთხელ ვნახე: შავმა კატამ თვალი ამომაცალა, ბრჭყალებით. მაგრამ კი არ შექამა, როგორც ველოდი, ბეწვზე მიიკრა, ჭვირფასი თვალივით, გულსაბნევივით. თან კუდს თითივით მიქნევდა: „მეორეც მიინდა, მი-აუორეც, შიამიინდა, ასეთი მძივები მაქვს შინ, სარდაფში“, ვერ გადმოგცემ, როგორ კნაოდა და მთელი ცხოვრება ეგ იდიოტური უაზრობა ვერ დამვიწყებია და მაშინ ხომ, იმ ხანებში მთლად გაუბედურებული ვიყავი.

ვერცხლის ჭაჭვს პეშვი დაეხურა.

დედა: შეძრული და მიტკლისფერი, ყოყმანით ამბობს:

— შეიძლება... ეგ რასაც ნიშნავს... ის არის მართალი... ნამდვილად არსებული... სიზმარშივე ხომ გრძნობ ხოლმე, რომ რაღაც სხვას ნიშნავს?

გიორგი ადგა, თავის ოთახში შევიდა.

— მერე, გიორგიმ რაც ნახა, სიზმარია? იმ მღვიმეში დაესიზმრა ვახელილი თვალებით? ჰა? სიზმარია?

— ...რომელიც თავისთავს ემთხვევა, თავისთავს ნიშნავს...

მხრებს იჩეჩავს, უფროსი შვილი,

ფანჯარასთან მიდის... ფარდას წევს... მთვარე იღვრება ოთახში...
ენდი მუხლის ჩოჭზე ღამდგანაქმად და მისის წინ.

— დედი, რა საოცრებაა, არა? როგორ გაბედა, როგორ ჩავიდა! მე შიშით მოვკვდებოდი. რა ბედნიერია, არა, გიო? ჩვენ ხომ იქ ვერ ჩავალთ — ცრემლი გაუკრთა, — როგორ იდგომებოდა იქ წყლის ხავსში, წყლის სარკეებში! სულ თვალწინ მიდგას. მე შიშისაგან მოვკვდებოდი. ჩვენ იქ ვერ ჩავალთ, დე, არც ყვინთვა ვიცი, არც ჩაგვიშვებენ, — ცრემლი დაუგორდა, — ეგენი, კაცები, ყველგან წაელენ, ყველაფერს ნახავენ. მეც მინდა, — ყელს ქვემოთ ჩურჩულებს.

— შენ სხვაგან წახვალ, სხვაგან შეხვალ. რაღაც, მაგ მღვიმის მაგვარი ყველგან არსებობს, ალბათ. რა გატირებს, — ყვითელი ფოთოლი გაცურდა წყალზე. ხმა: სევდა — ჩამოქნილი.

— არ მინდა, არ მინდა. სულ სახლში, სულ ოთახში, ან ჩემთან, ან ჩემს ამხანაგებთან, სულ კედლებში. მეც მინდა გარეთ, შორს, მწვერვალებზე, მღვიმეში, ოკეანეში... დე, ვინ იყო ის ქალი? — ყელს ქვემოთ ჩურჩულებს, ჩაგუბებული ტირილის თავზე, რომელიც მალე წალეკავს სიტყვებს.

ფანჯარა გამოაღო, თვითონ. ღამის ნიავი შემოფრინდა და ორმაგი ფარდა ატივტივდა, შუა კარზე, ამოიბურცა. წინ წამოვიდნენ თევზის მრგვალი, სველი თვალები. ფანჯარაში გაიხედა. „მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა... მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა“ — გადაედო.

ს რ ე

წიგნიდან: „შემოდგომა“

1

მანდვე იყავი, მანდვე დარჩი,
იბოგინე მაგ ხეობაში.
მწიფე ყანებში გამოკვანძულს
დროის ქარი მახეებს დაშლის.
განა მარტოდენ ის ხარ, რაც ხარ,
მაგ ნუშებთან რაც ხარ, ისა ხარ?!
შენი ხატება ჩემს ტაძარში,
მაშ, რაღაღლა გამოისახა?!
აჰყე და დაჰყე მაგ წარათებს,
მაგ ქარათებს მუხლი აკაწრე.
წრე, წრე, მანდაც წრე წუთისოფლის,
ღვთაებრივო, აჰა, აქაც წრე.

2

მანდვე იყავი, მაგ ხეობის
მწვანე წრეში ქარს ეშაირე.
მაგ ბილიკებზე შენს კვალდაკვალ
ქარი ირმის ჯოგსაც გაირეკს.
იმ კლდის ლიბოსთან წყაროს პირთან
ქვამარილი ყრია საირმე.
ქლდის ჯოხები ააძგერებს
კლდეთა ღრუბლის დაფდაფ-
დაირებს.
წრის ქარშოშინი შემოგაჰკნობს
შენც ყვაილებს ნაირ-ნაირებს.
ჯერ მანდ იყავი, მაგ ხეობის
მწვანე წრეში ქარს ეშაირე.

3

მაგა მდინარის ქვიშა ვრეცხე...
 ცხრილუ შენაც რკინის საცრითა.
 მაგ წრეში დამრჩა, — ამოჰყარე
 ნაკვერჩხლები იმა ნაცრიდან.
 ქვიშის ნაწრეტი მაგ ცხრილიდან
 მე საწუთრომ უხვად მაწრიტა.
 ოქროს მარცვალთა გამოკრეფას
 ქვიშნარიდან ვინ დამაცლიდა?!
 მანდვე დაფრინავს ჩემი ჩიტი,
 ჩემი ანგელოსი ნარჩიტა.

მაგა მდინარის ქვიშა ვრეცხე,
 ცხრილუ შენაც რკინის საცრითა.

4

რამბელაც გინდა შემოხაზე
 თეთრი ცარცით წრე შავ დაფაზე.
 თონის ყელიდან, — ცხელი წრიდან, —
 აუხტებათ შოთი ხაბაზებს.
 ამოშანთული წრეებიდან, —
 სალამურის ნასვრეტებიდან, —
 გაგთანგავს, გაგლევეს, გაგაოგნებს
 ხმები ამონასხლეტები და
 წუთისოფელი საფლავების
 წრეში ჩადგამს ბინდის დარბაზებს.

რამბელაც გინდა შემოხაზე
 თეთრი ცარცით წრე შავ დაფაზე.

ემზარ კვიციანი

ნ ა ტ ვ რ ა

ახლა რამდენი ქართველის
თვალში უყურებს ცას,
მე მინდა ათი იმდენი
აკვანი დაირწას.

ახლა რამდენი ირემიც
ტყეში იღერებს ყელს,
რამდენ სურვილსაც ეს გული
გამოთქვამს, გაამხელს,

შენთვის იმდენი სიცოცხლე
და სიხარული მწადას...

რამდენი ჩიტი გიგალობს,
შევენატრი ფრენას მათს.

იყოს მარადი, რასაც კი
ცის სუნთქვა გადაწვდეს;
ვლოცავდე ურღვევ სამებას —
მიწას, მთვარეს და მზეს.

რამდენი ვაზიც, ნაზარდი,
მწვანეს ამოყრის რქას,
იმდენ გოგო-ბიჭს ქართული
სახელი დაერქვას.

ს ა ლ ა მ ო ტ ყ ვ ი

მაყვლიანზე მაყვალივით შაშვმა გადიკისკისა,
ამ ქრუანტელს რა ქონება შეედრება, რის ჭისა...

რა იქროლა, ოქროთი გული როგორ ამივსო,
სხვა რომელი ვახსენო სიამე საამისო.

ბლუჯა-ბლუჯად ნაყარი, ბრწყინავს მოლი ზახახა,
მთვარის დაცურებული, ღამემ ცვარი მსახასო.

დასრიალებს, დაგოგავს შაშვი ყვითელნიკარტა.
ახლა ამ ქვეყანაზე არვინაა მის გარდა.

გაწვენილი სხივები ძნებად რომ იცელება,
ბეწვზე ჩამოკიდული, უყვარს მზის გაცილება.

გეგონება, თავზე ვარდი დამაყარეს ცხრა კონა.
სამარეშიც გავძლებდი, ეს ხმა რომ გამაგონა.

ზაიფურის სპილოები

(დეიდა ნადია, ხუნდაძე)



I.

წვიმა მოგვყვებოდა, გბანდა,
ლანდების ტევრში გადასულო,
ნავეში გადასმულო, ანდა
საკუთარ თმებით გათასმულო.

მიწამ შეგიჟამა განა
მაგ თვალთა დაღლილი კილოები,
აწ ვის კარადაზე დგანან
შენი თავდახრილი სპილოები.

სად მიირწევიან წყნარად —
თეთრი, დაშვებული ხორთუმები;
ან სად იჩრდილებენ კარავს
რაჭები ფეხებმორთბმულები...

დავეძებ იმ გამჭრალ ვარსკვლავს,
მწყინს, მოვიწყინე ამიტომაც,
გნატრულობ, მე შენმა წასვლამ
ცალკე სადარდელი დამიტოვა.

II.

აწვიმს მანქანის ცხვირზე
შენს გადიდებულ ფოტოს,

ლიმით, მოწყალედ მიმზერ
აფარფატებულ ფოთოლს...

ვინ იცის — ახლაც ობრაე,
ვინ იცის — ახლაც კენესი,
ფიცარზე მიწის მოყრა,
ის დაწყევლილი წესი.

ჩემი გული და ცრემლი
იმ გამგზავრებას საშიშს;
შენ — უშვილობიროდ წაშლილს,
შენ — დასახლებულს ცაში.

მტებს საფეთქელი, კეფა —
დამზრალა, შეფეთქილა...
ის თაფლი მენატრება,
მაწვნის ჭათქათა ქილა...

ვინღა დამიდგამს, აწვიმს
(თვალეები ნისლში ცურავს)
შენს გადიდებულ სურათს,
შენს გადიდებულ სურათს.

შავი მოგველო ჩარჩო,
უხმოდ, უკვლოდ გადნი;
ე, სპილოებიც არ ჩანს —
დიდ-პატარები, ათნი...

გარს ვუვლით, ვმორჩილებთ ხეს ჩვენსას, მარჩენალს,
არ დადგეს ის დღე — ნაყოფი აღარ ებას;
ბოროტის, კეთილის ვიცოდეთ გარჩევა,
სულ ცოტა ჭირდება კაცის გახარებას.

შიში, სნეულება... არ გვდევდნენ მსტოვრებად,
მწყურვალს არ დაუხვდეს წყარო ამომშრალი,
ცა დაგვშრიანებდეს და იყოს ცხოვრება
ლამაზი სიზმარი და არა — კოშმარი.

გუშტაპი წვიმის გუგავში



ქართული
წიგნების
კავშირი

აღარ მიკვირს, კი ვიცოდი —
ბედი რა თვალთმაქცია;
წვიმის ბუშტში დამატანა,
ფრჩხილისტოლად მაქცია.

ველარ მიხსნას უფლის თვალმა
და ვერც სიმამაცემო,
წაშში ვქრები, ისევ მაჩენს
წყალზე წვეთის დაცემა.

გაჩენილო წვიმისაგან,
დაგშლის წვიმის წვეთივე,
აღმა-დაღმა, ქარდაქარ,
დაქანაობ მეთივე.

ნაპირს ვერსად მიადგე,
ვერც ეღირსო საღირაალს;

* * *

არ მინახავს მხატვარი
შემოდგომისთანა...
ისევ თრიშლის ბუჩქები
და ფოლადის დანა —

მკრელი, ჭრელტარიანი,
კრაეის დასაკლავი...
დაწყვეტილი სიმეხი,
მოწყვეტილი მკლავი.

ბზარავს კედელს, გამჭდარი,
ნესტი ანუ ტენი...
მოსწოლია ყელს, ბეჭებს
სისხლი დასადენი.

კლდიდან ბროწეულებმა
გადმოკიდეს ტოტი,
ნახო, შეგიქანდება
გული დასაკოდი...

ტბორმა წითელ-ყვითელმა,
მოვარდნილმა თქეშად,
მერამდენედ წამლეკა,
შემძრა, გამაშეშა.

გაჭრილ წრეში ტრბტტტტტტტტტტტ
დამდგარი თავდაყირა.

მოგდევს ქვის მოაჯირი
მარჯვენა და მარცხენა...
საით გასწევს ბუშტი შენი
ან რას შეენარცხება.

დასრიალებს გუბე-გუბე
და გაუდის ლაპლაპი,
აგორდება თბელ მუცელზე
გადაკრული ქაფ-ლაფი.

წელს იწყვეტ, ეწვალეხი,
მისდევ ამინდს ცვალეხადს;
სიფრიფანა ბუშტები
სკდება და ირკალება.

იწურები, ფეთღები,
ფერიც ისე მიგდის,
იმხელა მზე თქრიალებს,
მოგანდომებს სიკვდილს.

ჯერ არ შემოვლებია
ბსოვნას რკინის ლობე;
არ დამჟკნარა ხელები —
გულზე დასაწყობი...

ქარი არ მოვარდნალა,
მთებზე თოვლი დევსო;
თეთრად არ შეგყინვია
ლაყუჩები, თევზო...

ხეივანი ჩახჩახა
ხელმა მორთო ვისმა...
დაჭერება არ გინდა,
იმდენად გავს სიზმარს.

წენგოს იხსნის კაკალი —
მკერივი, დასაკროლი;
თავბრუს გახვევს, გახვევა
ცის უძირო ბროლა.

როგორ გინდა...



თითებიდან სისხლი მწვეთს,
ვის ახსოვხართ — შფოთო, ლბინო...
ასე უწერია ბედს,
როგორ გინდა აიცილინო.

წყაროს წმინდას გვალვა შრეტს,
არ მერგები, მიწის წვენო...
წავალ, ველარ გნახავ მეტს,
ვერასოდეს გაგიხსენო.

გადავდივარ ბოლო ქედს,
მეწურება მწყურვალს ალო,
დაყრილ ფოთლებს ქარი ხვეტს,
როგორ გინდა დაემალო.

ცაში გაჭროლება მწაღს,
უნდა აზრიადღე, ზარო...
ველარ ვარჩევ სიზმარ-ცხადს,
მეტად ველარც გამამწარო.

ლ ა ნ დ ი

სინათლემ კედელს მერამდენედ შემოატარა ჩემი ლანდი,
გასაბალთავი თავი ჩემი, ბნელში ნაქსოვი, მონაბლანდი.

ვერ მოიშორებთ, ვერ მოაშთობთ, თუგინდ უფსკრულში დენეთ, ტენეთ,
ჩემზე ნამდვილი, ჩემზე მარდი, წამომართა მერამდენედ.

მიარბევს კალთას, არ იხევა, არც იცრიცება უშნო ფლასი,
მოწყდება პატრონს, გაქანდება მანქანის ყოველ ჩამოვლაზე.

აიშლის ბალანს, იბურცება, ახლოდან — მუჭი, შორით — ბაცი,
ხელის გაქნევას, ყოველს, ბაძავს — ლანდი, კედელზე მობარბაცე.

ნარბენი, ძარღვებდაბერილი, მობორიადე ცოდვა-მადლად,
ჩაყირულია, ჩაყრულია, მკვდარია იგი უსინათლოდ.

იხევს, კისერი მხრებში ძვრება, ხან იწელება, როგორც კევი,
მიიპარება ღამის ხვრელში, თითქოს წყალია დასაქცევი.

ასეა სისხლიც — სული ჩემი, იპოვა ბზარი, იპარება,
სხვა ლაქვარდები მონატრა, უყვარს თვალთაგან მიფარება...

საიდან დამცქერ, სად კრიალებ, ვარსკვლავო — ღმერთის თვალისჩინო,
რა სიმალლიდან შენ დამცინი, შენ გინდა დამცე, შემაშინო.

მეწერა — ასე ვიწრიალო, ვიდრე მიგრძენია მხარზე თათი,
ვიდრე წამიყვანს ლანდი ჩემი — განმეორების დიდოსტატი.

გაზაფხული თოვლში



შოშებიც მოფრინდნენ —
 შავნი, შავნიკარტანი,
 სხედან, შავად უელავთ
 დაწინწკლული მხარტანი.
 ბარდნის, არ დაჩეკილან
 ბალში ჭია-ლუანი,
 მარტი ისევ აჭინჭყლდა,
 ჭირვეული, მტყუანი.
 ყინავთ, უგვიანდებათ
 კვირტებს აფეთქებთ...
 მაინც ჭყვივის ბელურა,—
 გაზაფხული დგებთ.

შავი გოგია და თეთრი გიორგი

მოთხრობა

გამრჯე და დაუზარელი ანთოკელი* გლეხის, ფირუზა მეკოკიშვილის ღონიერ ოჯახში გიორგობა-დღეს დაბადებულ, რიგით მეშვიდე ბიჭს რომ სახელად გიორგი უნდა დარქმეოდა და არა რობინზონი ან გულივერი, ეს ყველასათვის თავისთავად ცხადი იყო და არც არავინ შეეყოყმანებულა, ხოლო მთელ აღმოსავლეთ საქართველოში ფრიად გავრცელებული, მეტსახელი — შავი გოგია კი, კახეთის ცხარე მზით გარუჭულს, უფრო მოგვიანებით მიეწება და სამუდამოდ შერჩა.

ბიჭი თუმც თავიდანვე გარეული გოჭივით შეეტუხა, ჯმუხი და ჭანმგარი იყო, მაგრამ თორმეტ წლამდე თავის ტოლებსიგან მაინც დიდად არ გამოირჩეოდა, მერე და მერე კი სხეული თანდათან ჭაგრცხილას ჭირკვივით დაეკუნთა, ცოტა ტანმორჩილი დარჩა, კანის ფერი კი უფრო და უფრო გაუშუქდა და ბნელ ღამეებში ღამის უჩინ-მაჩინად ქცეული, თავისიანებსაც და უცხოელებსაც, უნებურად შიშით გულეებს უხეტოვდა.

— აი, დაგლახვრა თეთრმა გიორგომ! რამ გაგაშავა ეგრე ბუხრიდან გამომპერალივითა, შე სატანავ შენა?... — მოყვებოდა ხოლმე წყევლა-კრულ-

ვას ყვიამყრალი ევა, როდესაც მოსალამოვებულზე ბნელ ორღობეში, გოგიას მოულოდნელი მისალმებისგან გულშემოყრილი, ძლივსძლივობით გონს მოვიდოდა.

პასუხად შავი გოგია ერთს გულიანად გაელრიჭებოდა და, პიანინოს კლავიშებივით ზორბა კბილების თეთრი გაელვებით, გაკაპასებულ ევას თავს ეხლალა დაანახებდა.

— შენ კი დაგაყარე მიწა და იმ შენ ტახივით მამასა! ამ შუალამისას გარეგარე რა დაგაწანწალებს, შე ტარტაროზო შენა?! სინსილა კი გაწყდა თქვენი და ჭილაგი ამოწყდა!... — არ ცხრებოდა ევა და გულმოდგინედ განაგრძობდა პირიდან ვარდების ფრქვევას.

მარტოხელა დედაბერი, ყვიამყრალი ევა, მთელ სოფელში ცნობილი გახლდათ არამარტო თავისი მწარე ენით, არამედ ბოროტი გულითაც: შაშვი რომ შაშვია, იმასაც არ აკლებდა „ღვთის ცეცხლს“, „ზახრუმასა“ და „დარდუბალას“, თუ კი ის გაბედავდა და ევას გაპარტახებული კარ-მიდამოს შორიახლოს დაუსტვენდა ან დაიჭახჭახებდა. მაგრამ სოფელს ისიც კარგად მოეხსენებოდა, რომ ამ გულბოროტი დედაბრის დაუნდობელ წყევლა-კრულვას

*ანთოკი — სოფელია საგარეჯოს რაიონში.

არავითარი პრაქტიკული ძალა არა ჰქონდა. ძალი ყვეს და ქარავანი მიღისო, იცინოდა ევას დაწყვეტილი სოფელი და ცხოვრობდა თავისთვის ძველებურად, ღონივრად და ლაღად.

არც გოგიაზე მოქმედებდა, კერძოდ, ეს წყევლა-კრულვა და იზრდებოდა ისიც, ერთი შეხედვით, სრულიად ჩვეულებრივ, ნორმალურ სოფელ ბიჭად. უყვარდა ყორულის ნაქრძალში შეპარვა და ხობების ფრთხობა, მერე კი — აფრენილი მამლების ზღაპრული სილამაზით თვალის დატყობობა. არაფრად უღირდა ერთი საათის სავალი იორამდე, რომლის რიყეზეც დიდიდან საღამომდე ეყარა სოფლის ბიჭბუჭობა. ისიც სხვებსავეთ ჭყუმპალაობდა, ხელაობდა და ბილწისტყვაობდა. ჭიდაობაც პატარობიდანვე უყვარდა და, რაც თორმეტი წელი შეუსრულდა, მისი წამქცევი არამცთუ ტოლებში, უფროსებშიც ძნელადღა თუ ვინმე მოიძებნებოდა; მაგრამ, იმის მაგიერ, რომ ამით მოეწონებინა და გაყოყონებულყო, როგორც ხშირად ხდება, პირიქით, რატომღაც გული გაუგრინდა და თითქმის აღარც ჭიდაობდა; ათასში ერთხელ, ძალისძალად თუ შეაგდებდნენ ბიჭები წრეში, სიდანაც, ისევე და ისევე, უეჭველად გამარჯვებული გამოდიოდა.

სოფლის ბოლოში, განცალკევებულ შემალღებაზე, სათამაშოსავით პატარა, კირით შელესილი ერთნავიანი ბაზილიკა იდგა და ასწლოვანი მუხნარის რუხ-მწვანე ფონზე თეთრად ქათქათებდა. საყდარს თეთრი გიორგი ერქვა, რაც ერთერთი უძველესი ქართული რელიგიური კულტის სახელწოდებიდან მომდინარეობდა, და არა თვით ნაგებობის ფერიდან, როგორც ეს, შესაძლოა, ზოგს ჰგონებოდა.

ივრის რიყის მერე თეთრი გიორგი იყო სოფლის ბიჭების თავშეყრის უსაყვარლესი ადგილი. მთელი დღის ბანაობითა და ბლარბუნით დაღლილნი, უმეტესად საღამოობით მოლასლასდებოდნენ ზოლმე აქა, ჩამოსხდე-

ბოდნენ საყდრის ირგვლივ უწყსრიგოდ მიმოფანტული ძველი საფლავების ერთნაირ ქვებზე და რაღაც გამოუცნობი ძალის წინაშე უნებური რიდითა და კრძალვით, ყმაწვილურ ნატვრასა და ოცნებებს მიეცემოდნენ.

რატომღაც ჩურჩულით იტყოდა თითოეული თავის გულისნადებს და რატომღაც სულგანაბული მოისმენდა ყველა დანარჩენი ამ აღსარებას; ზოგჯერ ამა თუ იმ საკითხზე კიდევ წაიკამათებდნენ, მაგრამ არავის არასდროს ამოსვლია აქ პირიდან რაიმე სიბილწე, ის კი არა და, ფიქრშიც არავის გაუვლია; პირიქით, რაღაც გასაოცარი, ყოველსმომცველი სიკეთე მთლიანად ეპატრონებოდა მათ პატარა გულებს და ასე, თითქოსდა თავისთავად განწმენდილნი და ცრემლების მომგვრელი ნეტარებით აღვსილნი უბრუნდებოდნენ ხოლმე კვამლისა და ახლადგამომცხვარი პურის შათობელა სურნელში ჩაფლულსა და ბინდის ნაბადში გამოხევეულ სოფელს.

ერთი შავი გოგია იყო მარტო, რომელზედაც თეთრი გიორგის ძალა თუ მადლი არა და არა სჭრიდა. მისი ფიქრები და ზრახვები საყდრის მიდამოებშიც თავიანთ ჩვეულ, მუდმივ კალაპოტს მიუყვებოდნენ და მხოლოდ სალი გონების კარნახითა იკავებდა ხოლმე თავს, რომ ესა-თუ-ის ნაზრევი ენამდე არ მიეშვა და სხვებისთვის არ გაეზიარებინა. იჭდა ხოლმე უჩინრად და უბრად მუხების ჩრდილში ვრილ საფლავის ქვაზე, უსმენდა ცალი ყურით თანატოლთა ჩურჩულს და გულში ჩუმად ეცინებოდა. „ნეტაი თქვენა, რო მოგულიათ და წისქვილივითა ფქვათ ამ თქვენ ფუქ ოცნებებს! სად არი, თორემ, აი, მე რო ნატვრისთვალი მომცა, მე ვიცი რასაც ვინატრებდი!“ — ფიქრობდა გოგია, მაგრამ იმ წუთას რომ ვინმე ჩასციებოდა, მაინც რას ინატრებდი ასეთსაო, ზუსტი და გარკვეული პასუხის გაცემა გაუძნელებოდა.

რას ინატრებდა?



რასა და... აი... ყველაფერს!
 როგორ თუ ყველაფერს?
 როგორ და, ძალიანაც კარგად!
 დიახაც, ყველაფერს! ყველაფერს,
 რაც კი ამქვეყნიურ სახელსა და ქო-
 ნებას მოუხვევდა. სწორედ რომ ამ-
 ქვეყნიურს, თორემ იმქვეყნიური გო-
 გიას არავისი არაფერი შურდა...

თუ რა იგულისხმებოდა ამ „ყველა-
 ფერში“, იმ დროს არც ეს იყო გოგო-
 ასთვის სავსებით ნათელი და კიდევ
 ბევრმა იერის წყალობა მოასწრო ჩავ-
 ლა, ვიდრე ამ განყენებულ ცნებას მის
 ცნობიერებაში სრულიად გარკვეული
 აზრი ჰქონდა სახელიც შესატყვისი მიეცე-
 მოდა, მაგრამ ამაზე — მერე.

დაუდგა ერთ მშვენიერ დღესაც
 ჩვენს გოგიას ისეთი ხანი, როდესაც
 ბიჭებს, ჩვეულებრივ, გოგოებისაკენ
 ეპარებათ თვალი, მაგრამ გოგია ამ სა-
 კითხშიც ერთობ თავისებური გამოდგა
 და გულმა, გოგოების ნაცვლად, საჭი-
 სკენ გაუწია, თანაც, ისე ძლიერ, რომ
 შამთრის გრძელ დამეგებაც კი სულ
 თეთრად ათენებდა. შოფერი უნდა გავ-
 ხდეთ, დაიჩემა დედ-მამის გულის გა-
 სახებთქად და სიტყვას აღარ გადავიდა,
 ჯორზე შეჯდაო, რომ იტყვიან, ისე გავ-
 ხადა საქმე.

— შოფრობა შენა თამაშა ხომ არ
 გგონია? — ბობოქრობდა შვილის ჭი-
 უტობით გააცეცხლებული ფირუშა და
 ვეებერთელა მუშტს მაგიდაზე მთელი
 ძალით აბრაუნებდა. — რო გამოტე-
 ნილხარ კოლმეურნეობის ბელელივით
 ამ ორიანებითა, საქვს ვინ მოგანდობს,
 შე უწიგნურო შენა? ოთხ კლასს ვერ
 გააუცდენიხარ, ვირო, და გაიგონე,
 რასაც გეუბნებიან! შენი საქმე თოხი
 და ნამგალია! მე შენ გეტყვი და, ან
 მზე რამეს დაგაკლებს და ან კი წაღუ-
 ნვა დაგვირდება სამკალშია!...

ეკ, რა ტყუილა დუღდა და თუხთუ-
 ხებდა ფირუშა, რა ტყუილა აზანზარე-
 ბდა მთელ სახლს და ატირებდა თავის
 ცოლ მაროსა!

გოგიას თოხის და ნამგლის გაგონე-
 ბაც კი არა სურდა.

თქვა და კიდევაც თავისი გარტამა,
 წადილი მალე აისრულა. *მარტონეშვილი*
 ჯერ იყო და, კოლმეურნეობის
 ფერს, ექვსთითა ლაღუას შეგირდად,
 ანუ თანაშემწედ დაუდგა და მთელ
 დღეებს მის გვერდით, აკაბიტალურ
 რემონტში მყოფი თვითმცლელი მან-
 ქანის ქვეშ ატარებდა; მერე ხომ, რო-
 დესაც მანქანა საბოლოოდ შეეკეთდა,
 მთლად ლაღუას ჩრდილად იქცა: ან
 რადიატორში წყალს უსხამდა, ან ძრავაში
 ზეთს უმატებდა, ან დაჩუტულ
 საბურავს უშლიდა, ისევ თავიდან უწი-
 ყობდა და უბერავდა... თავიდან ფეხე-
 ბამდე ტაოტსა და ზეთში ამოთხვრი-
 ლი გოგია სოფელში საქმიანად და
 თავმოწმონედ დაიარებოდა და ის კი
 არ იცოდა, რომ, ისევ და ისევ თავისი
 მუქი კანის წყალობით, ეს შოფრული
 ჭუჭყი, ძალიან თუ არ დააქცერდებო-
 დით, არც ეტყობოდა. ძალიან კი არა-
 ვინაც არ აცქერდებოდა.

ექვსთითა ლაღუა ისეთი მადლიერი
 იყო ამ ცით მოვლენილი შემწეობისა,
 რომ გოგიას მალე უკვე საჭესაც გულ-
 მშვიდად ანდობდა, მით უფრო მამინ,
 როცა მინდვრებში გადიოდნენ სასი-
 ლოს მოსავლის ასაღებად. პაპანაქება
 სიციხეში კომბაინის გვერდით კუს ნა-
 ბიჯით ლოღვა ექვსთითა ლაღუას
 ქვეყნად ყველაფერზე მეტად ეჯავრე-
 ბოდა, ამიტომაც უხვეწურად და ხალი-
 სიანადაც კი სთმობდა თავის ადგილს
 საჭესთან, თვითონ კი სადმე, აკაციების
 წყალ-წყალა ჩრდილში მიგდებული,
 ისეთ გოლიათურ ხერინვას ამოუშვებ-
 და, რომ კოლო და ბუზი ახლოსაც ვერ
 ეკარებოდა.

გოგიასთვის ხომ ამ დროს ნამდვი-
 ლი ბაირამობა დგებოდა. აღარ არსე-
 ბობდა მისთვის აღარც სიციხე, აღარც
 კომბაინის მოსაბეზრებელი გუგუნი,
 აღარც ბუზი, კოლო ან თუნდაც ქინქ-
 ლა. მილოდავდა მანქანა ამ გაუთავე-
 ბელ, გადაბიზინებულ მინდორში და
 ბიჭის მეოცნებე გონება გზადაგზა
 ათასნაირად დახლართულ შოფრულ

თავდადასაველებს თხზავდა და ხატავდა...

აგერ, ტრასაზე გასულს, ავტონისპექტორი მედიდურად აუწევდა ხელს და გადამეტებული სიჩქარისათვის ულმობლად დასჯას დაუპირებდა, მაგრამ — ნურას უკაცრავად! — გოგია ისეთ ტკივინა „საბუთს“ დაანახებდა, რომ, წამიც და, მისთვის ყველა გზა კვლავ ხსნილი ხდებოდა...

აგერ, ციკაბო, ტალახიან აღმართს შეუყვებოდა თავის ყველგანმავალ, საშიდიან მანქანას და, თუ კი სხვები ამაოდ წვალობდნენ, გოგია სულ ქარით აიჭროლებდა...

აგერ, სოფლის მალაზიის წინ, ისეთი მარწყვივით გოგო ჩაუჭდებოდა კაბინაში, რომ საწყალ გოგიას ლამის საქვ ხელიდან გაქცეოდა და მანქანა გზისპირა ჯაგებში შეეგდო... ეკ, კარგი კი იქნებოდა!...

კი მაგრამ, აკი გოგიას გოგოებისაკენ თვალი არ გაპარვიაო?!

ტყუილი ყოფილა.

გაპარვია კიდევ და უფრო მეტიც, მაგრამ თუ სხვები ამაში ერთმანეთს უტყდებოდნენ, რითაც თურმე რაღაცნაირ შეებას გრძნობდნენ, გოგია, პირიქით, ყველაფერს გულში ღრმად ინახავდა და მალავდა, წამოცდენით კი, აბა, ვინ რას წამოაცდევინებდა. ამიტომაც, ცდებოდა სოფელი, რაკილა გოგიას გოგოების მტრად და მოძულედ მიიჩნევდა.

ცდებოდა ფირუზაც, საბრალოს, რა ტყბილად დაეინებოდა, შვილის გულში ჩახედვა რომ შესძლებოდა. მაშინ მაინც ხომ ირწმუნებდა, რომ ბუნებას აქაც თავისი გაეტანა და მარწყვივით გოგოების დარდი, როგორც სხვებისთვის, ამ ურჯული ბიჭისთვისაც გულში დროულად ჩაეწვეთებინა.

ეს კი იყო ასე, მაგრამ გოგია, აბა, რისი გოგია იქნებოდა, თუ კი გულის კარნახს გონებისას არ ამჯობინებდა. ჯერ საქმე და მერეღა — სიყვარულის ბნედეები და ვიი-ვიიო, უყვარდა ხოლმე თქმა თავისთვის, როდესაც თეთრ-

გოორგის მუხებქვეშ. უიმედოდ შეყვარებულ თანატოლთა კვასკვულს, კლასრებებს ისმენდა. *სიხლმინოშენა*

ასე და ამრიგად, გოგია თავის ბედის საქვს თავისი ღონიერი ტორებით თავიდანვე მაგრად ჩააფრინდა და ერთხელ ნარჩევი გზიდან მერე აღარსაით გადაუხვევია.

თვრამეტი წლისამ წარმატებით დაამთავრა თბილისში ექვსთვიანი საშოფრო კურსები. თეორიაში თუმცა გაუჭირდა, მაგრამ, სამაგიეროდ, პრაქტიკულად იმდენად ძლიერი გამოდგა, რომ გამომცდელებმა მის ცალკეულ შეცდომებზე თვალიც დახუჭეს და ყურიც წაიყრუეს. სიმათლე მაინც ბოლომდე უნდა ითქვას: ეს მათ არც თუ მთლად უანგაროდ უქნიათ და ამ საქმეში ბოლოს და ბოლოს ბედსშერიგებული ფირუზას ზორბა, მამა-პაპურმა ხურჯინმაც თავისი როლი ითამაშა.

ასე იყო თუ ისე, გოგიამ გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს მესამე კლასის შოფრის შინდისფერი ცინცხალ მოწმობა უბის ჭიბეში კოხტად ჩაიკურა.

ის დღე იყო და ის დღე, გოგიას კუშტ და შეგვგრემან სახეს გულლია ღიმილი აღარასდროს მოსცილებია. ათასნაირი სიძნელე კი შეხვედრია მას შემდეგ ცხოვრების გზებზეცა და სამანქანო გზატკეცილებზეც — თუმც ეს ორი ცნება მისთვის ერთი იყო, — მაგრამ კრიკაშეკრული ის არავის უნახავს.

ერთი-ორი წელი კოლმეურნეობაში წაიშუშავა, მერე მეორე კლასზე გადააბარა და, როგორც თვითონ ამბობდა, „გეოლოგისტების“ მანქანაზე დაჯდა.

უცნაური ხალხი გამოდგა ეს „გეოლოგისტები“: სულ ტყე-ღრეში, უგზოუკლოდ დახეტიალობდნენ; ტომარებში ეძინათ; უყვარდათ ქეიფი, მაგრამ ხშირად შიმშილი უწევდათ; გზას და, საერთოდ, ადამიანებთან სიახლოვეს განზრახ გაურბოდნენ და რაც უფრო უკაცურ ადგილს მიაგნებდნენ, მით

უფრო უხაროდათ... შოფერი კი, აბა, უგზოდ ვის გაუფია?!

ისე, ზოგი ჭირი მარგებელიაო, რომ ამბობენ, მართალი ყოფილა: უნახავი არ დარჩენია გოგიას არცერთი ივრის-პირა ჭალა და არცერთი ალაზნისპირა ღრანტე: ისეთ ველურ და გულწარმტაც ადგილებში მოუწია ყოფნამ, რომ ვერც ვერასდროს წარმოიდგენდა და არც არასდროს დაესიზმრებოდა; ნადრობის ეშხიც გაიგო და თევზაობის გემოც იგემა. სხვა ხეირი კი ვერაფერი ნახა: ამიტომაც, ზოგი ჭირის მარგებლობას დიდხანს ვერ გაუძლო, სამუშაო კიდევ ერთხელ და, როგორც შემდეგ გამოიჩვენა, უკვე საბოლოოდ გამოიკვალა.

სრულიად შემთხვევით, ნაცნობი გეოლოგის მეშვეობით, გოგიამ თბილისში ერთ ისეთ დაწესებულებას მიაგნო, რომელიც რაღაც დიდ წარმოებას ედგა სათავეში და რომლის საქმიანობაში ღრმად ჩახედვა არც ჩვენი და არც მკითხველს საქმე არ არის. და სულ სხვა, საგანგებო დაწესებულების პირდაპირი მოვალეობაა. საქმე რომ საქმეზე მიმდგარიყო და, როგორც გაზეთებში იწერება ხოლმე — ვისაც „ჭერ არს“, სადაც „ჭერ არს“, იქ რომ მართლაც, როგორც „ჭერ არს“, ისე ჩახედვა, მაშინ იმ დაწესებულებაში თურმე დიდიან-პატარაიანა ყველა დასაჭერი აღმოჩნდებოდა; მაგრამ რატომღაც (იქნებ სწორედ იმიტომაც) არსადაც არავინ იხედებოდა და ეს წარმოებაც ყვაოდა და იფურჩქნებოდა ამ სიტყვის გადატანითი და პირდაპირი მნიშვნელობითაც. ანუ, გეგმებსაც ასრულებდა, გარდაშავალ დროშებსაც იღებდა და სხვა მოწინავე წარმოებათა შორისაც იხსენიებოდა; თვით სათავო დაწესებულების ფასადი და ინტერიერი ხომ სულ ბრინჯაოთი, მარმარილოთი და ჭყეტია მოზაიკით იყო მორთულ-მოკაზმული, ხოლო შენობის წინ გაშენებული სკვერი თავისი შადრევნიანი აუზით, ეგზოტიკური ბუნჯალოთი, პალმებითა და ყვავილნარებით, მნახველს

უთუოდ ბოტანიკური ბაღის ფიქლოლი ეგონებოდა.

მიაგნო გოგიამ ამ ნახევრად-ზრდასრულ, სეზამისებურ დაწესებულებას და უცბადვე მიხვდა, რომ ეს სწორედ ის იყო, რასაც ეძებდა; მიხვდა და ჭლიბასავით ჩაებლაუჭა.

ახალთახალი, რვაცილინდრიანი და სამხიდიანი ვეებერთელა სატვირთო მანქანა, რომელიც გოგიას, მართვის უფლებისა არ იყოს, არც თუ მთლად ღვთის მადლითა და წყალობით ერგო, საჭიროების შემთხვევაში, არამცთუ ერთ მეექვსედს, მთელ დედამიწასაც სულ ციმციმ შემოიჩვენდა. მტრის თვალსაც კი გაახარებდა ამ ყოვლის-შემძლე გოლიათის დანახვა და, აბა, გოგიას რაღა დაემართებოდა. ერთი კვირა ისე იარა, მიწაზე ფეხი არ დაუკარებია. მერე, როცა ცოტა გაგრილდა და ღრუბლებიდან ძირს ჩამოეშვა, პირველ რიგში მანქანის ისედაც უზარმაზარი ძარა სიმაღლის ხარჯზე კიდევ უფრო გაადიდებინა, რითაც მისი ტევადობა ლამის უსასრულო გახადა. მერეღა შეუღდა თვით ტვირთზე ფიქრსა და ზრუნვას. თუმცა, ასეთი არნახული მანქანის პატრონს, ამ მხრივ ბევრი არაფერი დაჰიჩვენებია: პირველი კლიენტიცა და ტვირთიც, შეიძლება ითქვას, თავისთავად გაჩნდა. ათი ტონა მზესუმზირა ათას კილომეტრზე იყო წასაღები და შოფრის გასამრჯელოც, ცხადია, შესაბამისად მსუქანი და შთამბეჭდავი ციფრებით განიზომებოდა.

პირველივე რეისმა სრული წარმატებით ჩაიარა და მოლოდინს გადააჭარბა. მას მეორე მოყვა, მერე — მესამე და, ძალიან მალე გოგიას ამ თავლივით გამტკბარი მისვლა-მოსვლის სათვალავიც კი აერია. ზამთარი მისთვის აღარ არსებობდა და შემოდგომა. სეზონი სეზონია, მაგრამ უსეზონო საქმეს კიდევ თავისებური ეშხი და მეტი ბარაქაც ჰქონიაო, უყვარდა ხოლმე თქმა. პოდა, სად და როდის არ ნახავდა კაცი ჩვენს გოგიას თავისი მწვანე გოლიათით: რუსეთისა და უკრაინის

თვალუწვდნელ, დათვლილ ველებზე თუ შუა-აზიის მზით გადახრუქულ უდაბნოებში, აზერბაიჯანის ვრცელ ტრამალებზე თუ მთიანი დაღისტნის გარმონივით დაკეცილ გზებზე, ჩრდილო-კავკასიის სტეპებსა თუ სხვა, გოგის არშინით „ახლო-მახლო“ მიდამოებში.

არაფრის ზიდვას არ თაკილობდა შავი გოგია. არც იცოდა ზოგჯერ, რა შეადგენდა მაგრად დალურსმული ხის ყუთებისა ან საიმედოდ ამოკერილი ჭვალოს ტომრების შიგანს. მისთვის მთავარი იყო ტვირთის საერთო ოდენობა და გასარბენი მანძილის სიგრძე, სხვას არც არაფერს გამოჰკითხავდა კლიენტს და არც არაფერს მოისმენდა მისგან.

ამ იშვიათმა თვისებამ გოგიას საქმიან ხალხში კარგი სახელი გაუთქვა და კლიენტებიც, როგორც ბუზები თაფლის წვეთს, ისე ეხვეოდნენ.

თავიდანვე მოყოლებული, გოგია მუდამ მარტო მუშაობდა; თვით უძნელეს რეისებშიც კი შემცველი არ დაჰყავდა და მხოლოდ თავის ჯანის იმედად იყო. ჭერჭერობით კიდეც უმართლებდა: მთელი ოცი წელი ისე იარა, პატარა ავირიაც კი არ მოსვლია და თვით საქმეც სერიოზულად არასდროს ჩავარდნია. შიგადაშიგ მცირეოდენი შეფერხებები, ცხადია, ჰქონია, მაგრამ ასეთი, ყოვლად გარდაუვალი წვრილმანები სალაპარაკოდ არც კი უღირდა.

თუ როგორ და რა გზით ახერხებდა ეს უსწავლელი კაცი სინამდვილეში არც მთლად იოლ დაბრკოლებათა გადალახვას, ეს არავინ იცოდა და, ამავ დროს, ყველამ იცოდა. ზედმეტი ლაპარაკი გოგიას ხომ ბავშვობიდანვე სძულდა და, როცა ვინმე გაიკვირებდა, ამ რუსეთში მაინც ენის უცოდინრად როგორ დადიხარო, პასუხად მხოლოდ თავის თეთრად მოქათქათე კბილებს თუ დაანახებდა, ახლობლებში კი, ამავე კითხვაზე, ზოგჯერ ასეთი პასუხი წამოცდებოდა:

— ენაო?! ენა რად მონდა? ანუ ჩემი ენა! — და ცნობისმოყვარე შინაურს ჯიბიდან ბლუჯად ამოღებულ ბოშინიანსაც დაანახებდა.

კარგა ხანი იყო, რაც გოგიას ეს ფრიად შთამბეჭდავი ჩვევა დასჩემებოდა: რომელ ჯიბეზეც არ უნდა გაეკრა ხელი საბუთისა თუ ცხვირსახოცის ამოსაღებად, თან უეჭველად დაჰმუჭუნული მსხვილი ფულიც უნდა ამოჰყოლოდა.

ფლანგვა გოგიამ არ იცოდა, თორემ ისე, ხარჯვასა და გასესხებას არ გაურბოდა. ღვინო კი უყვარდა, მაგრამ ადრევე არ ეძალეობოდა, საჭმელ კი ლამის სამუდამოდ გადააჩვია, იმ უიშვიათეს შემთხვევებშიც კი, როდესაც მცირე ხნით შინ მშვიდობით დაბრუნებულს ვინმე აუხირდებოდა და ერთ-ორ ჭიქას დააძალეობდა, რაც კახეთში თითქმის არასოდეს ხდება, გოგია ბევრს არ გაჭიუტდებოდა, დალევდა ხოლმე და ენასაც ცოტა მაშინლა თუ ამოიდგამდა:

— რუსულიო?! თორემ უშანგამ რო კარგა იცოდა, ძაან არ გამაადგა? — იტყოდა და გულიანად გადაიხარხარებდა.

გოგიაზე სამიოდე წლით უმცროსი მეზობლის ბიჭი, უშანგა, ტოლებში მუდამ თავისი კარგი სწავლითა და სიბუნწით გამოირჩეოდა. გოგიას მიბაძვით მანაც სწავლის გაგრძელებას შოფრობა ამჯობინა და აგრეთვე შორეულ რეისებში მოსინჯა ბედი. მოსინჯა და... არ გაუმართლა. ან კი როგორ გაუმართლებდა, როცა, თუ კი ბოროტ ენებს დაეჭერება, სულ რაღაც ოცი ცალი ხუთთუშინიანი დაინანა და ამით სულ უბრალო საქმე თვითონვე საციხოდ გაიხდა. ეს ამბავი მეორე თუ მესამე ცდაზევე დაემართა და მას შემდეგ დღემდისაც იჭდა.

ბურისაგან გასაოცარი ოსტატობით ნაკეთები შავი ფერის ჭვარი, რომელსაც გოგია გულზე ატარებდა, სწორედ იმ უშანგას გამოგზავნილი იყო. ეს ჭვარი ვითომდა დომინოს ქვევისაგან შედგებოდა და გოგიას ამის გამო ძა-

ლიან უყვარდა; დომინო ის ერთადერთი გასართობი იყო, რომელზეც ის უარს ვერ ამბობდა. თეთრი წინწყლებისა და საკმაოდ დიდი ზომის მიუხედავად, შავი ფერის ჭვარი გოგიას მუქ და ბანჯველიან მკერდზე დაუყვრებლად არც კი მოჩანდა და, პირდაპირ გასაკვირი იყო, რა უცებ შენიშნა ის ერთმა ბეცმა, წვერგაბურღნულმა კაცმა, რომელიც შინიდან ქალაქისკენ უტვირთოდ მიმავალ გოგიას ერთხელ საგარეჯოშივე დაემგზავრა და თბილისამდე ჩაყვა; დავითგარეჯას მონასტრიდან ბრუნდებოდა თურმე, „არქიგეოლოგისტიო“ თუ ვიღაცა ვარო, მაგრამ უფრო კი უნათფორო მღვდელსა ჰგავდა; ჩაუქდა თუ არა, წამსვე გოგიას გაღლილი მკერდზე მოქანავე ჭვარს დაადგა თვალი; დაადგა და... მოჰყვა და მოჰყვა. მთელი გზა ქალაქამდე სულ ჭკუის სწავლებასა და ქადაგებას მოანდომა; ესაო, შვილოო, ანუ ასეთი ჭვრის ტარებაო, დიდი ცოდვა და მკრეხელობაო, ისეთივეო, როგორიც მარცხენა ხელით პირჭვრის გადაწერაო... კიდევ ათასი სულ უბრალო და წერილმანი სხვა რამ ჩამოთვალა, რაც, თურმე ნუ იტყვიო და, აგრეთვე მკრეხელობა და საშინელი ცოდვა ყოფილა; აბა, რას მოიფიქრებდა გოგია, რომ რაკილა ადამიანად დაბადებულა, უკვე ამით, თავისთავად, ცოდვა უქნია?! იმ დღიდან მოყოლებული. რაც ევას თურმე ადამი შეუცდენია და აკრძალული ხილი უჭამია, საბრალო კაცობრიობა წინაპართა იმ ძველისძველ ცოდვას ისყიდის, ისყიდის და ვერ გამოუსყიდია; ის კი არა და, ყოველდღიურად სულ ახალს და ახალს უმატებს, მერე ინანიებს, მერე ისევ სცოდავს და ასე, უბოლოოდ და გაუთავებლად... რალა შორს წავიდეთ და, ერთი ასეთი ახალთახალი ცოდვა თურმე ჩვენს გოგიას, აგერ, მკერდზე არ ჰკიდებია?!...

უსმინა გოგიამ ქადაგად ქცეულს, უთმინა ემშში შესულს და... ბოლომდე მაინც ვერ მოუთმინა. არა, ცუდი

კი არაფერი უქნია, ერთი თავისებურად, გულიანად გაეღრიჭა და ნუთხრა: იცი რა გითხრა, მამაო! უნდა წაგანაკითხ კაცსა ჰგვებარა და, ნეტაი შენა, რომ ე მაგ პამპულაობისა და ზღაპრებისათვის მოგიცლიაო.

ამასობაში სწორედ თბილისამდეც მიულწევიათ. გოგიას მანქანის წესიერად დაყენებაც ვერ მოუხსწრია, რომ მგზავრი მოჩვენებასავით გამჭრალა და კამაიიც ამის გამო აღარ შემდგარა...

თუმცა, ვინ თქვა, გოგია კამათს აპირებდაო?!

არც უფიქრია!

ისევე როგორც თვით ის საკამათო საკითხი, მის ირგვლივ თითქოსდა მოსალოდნელი, მაგრამ არშემდგარი კამათიც გოგიას აგრეთვე „პამპულაობად“ და გართობად მიიჩნდა. ხოლო, როგორც უკვე მოვახსენეთ, ის ერთადერთი გართობა, რომელსაც გოგია უარს ვერ ეუბნებოდა, დომინო ვახლდათ; სხვა რამისათვის მას არც ეცალა და არც თუ გული წყდებოდა ამ მოუცლელობის გამო.

რეისსა და რეისს შორის და კიდევ — ყოველი თვის ბოლოს, ჩნდებოდა ხოლმე ორი-სამი ან ზოგჯერ მეტი თავისუფალი დღეც, რომელსაც იმეამად უჭმად მყოფი შოფრები დომინოს თამაშში ატარებდნენ. დაუნდობელი ბრძოლები ჩაღებოდა ზემოხსენებულ დამწესებულებების ერთ-ერთ, წითლად გაწყობილ ოთახში, საიდანაც, დერმატინაქრული შავი კარის მიუხედავად, დიდიდან საღამომდე დომინოს ქვების ქახა-ჭუხი და საანგარიშო ჩხა-კუნი მოისმოდა.

გოგია ზარტული მოთამაშე იყო, მაგრამ გარეგნულად, როგორც ყველაფერს, არც ამას იმჩნევდა. თუკი სხვები წაგებისას ლამის თითებს იკვნეტდნენ და ულვაშებს იგლეჯდნენ, ის მთელ თამაშს თავიდან ბოლომდე გალიმებული ატარებდა და ხშირად იგებდა. თუ წააგებდა და, არც ამას დარდობდა, ისევ და ისევ გალიმებული ჩაიყოფდა ხელს რომელიმე უახლოეს

ჯიბეში და წაგებულ თანხას უდიერად დაკმუტუნული ფულით, როგორც მართლაცდა ხელის კუჭყით, ისე დაუნანებლად და უწუწუნოდ გადაიხდიდა. ან კი რა უნდა წაეგო-მოეგო იმდენი გოგონას, რომ მის სქელ ჯიბეს და მის კარგ გუნებას დასტყობოდა?!

ყოველი ახალი ხელის დაწყება ახალი ხალისითა და ენით აესება.

როგორც ყველა კარგ მოთამაშეს, გოგონასაც თავისი სათამაშო მულამები ჰქონდა: უყვარდა, როცა მეტოქე დუბარათი დაუწყებდა და თვითონ კი ამ დროს ხელში დუბაქე აღმოაჩნდებოდა; დაუყოვნებლივ მიუჭახუნებდა, სიფთა-ბარაქაო, დააყოლებდა და ფრჩხილწაზრდილი ნეკით საანგარიშოზე პირველ ხუთიანსაც ჩამოიჩხაკუნებდა... განსაკუთრებით უყვარდა ერთ ბოლოში დუშაშინი კომბინაციისთვის მეორე ბოლოში დორჩარის უხმოდ მიცურება და ოცი ჭულის წერა... და იყო კიდევ ერთი ვითარება, რომელიც გოგიას თამაშის დროს უყვარდა და სიხარულს ანიჭებდა: როგორც კი მაგიდაზე დომინოს ქვებისგან წესიერი ჯვარი აეწყობოდა, რაც შემთხვევით არც თუ ისე იშვიათად ხდება, გოგია უშუქვლად გულზე დაკიდებულ თავის შავ ჯვარს აკოცებდა, მერე პირჯვარს გადაიწერდა და, ღმერთო, შენი სახელის ჭირიმყო, დააყოლებდა... ესეც მისი ერთ-ერთი სათამაშო მულამი იყო და სხვა არაფერი, თორემ ღმერთი გოგიასგან აკი უფრო შორსაც იყო, ვიდრე მომავალი რეისის ბოლო პუნქტი — ამ წითლად გაწყობილ ოთახიდან.

და მართლაც, თუ კი ვინმე მისი ამ ჩვევით დაინტერესდებოდა, რაო, ღმერთი მართლა გწამსო, გოგია გაულიმებდა, აი, ჩემი ღმერთიო, უპასუხებდა და ჯიბიდან კვლავ უძებნელად ამობღუჭულ თუმნიანებს მაგიდაზე შემოდგომის ფოთლებივით დაახვავებდა...

ასე გადიოდა დრო და ასე გადიოდა გოგიას ცხოვრება.

თანდათან ყველაფერი გადახდა თავს, ზოგი რამ უდროოდ უნდა შეწყვიტოდა დროულად: კარგად მოსწონდა თო და სამი შეატუბა ბიჭი უდიზედ მიაყოლა. ორი უფროსი ძმაც დაეარგა და ას წელს მიღწეული ფირუზაც გააცილა ბოლოს მოუსავალ გზაზე, მაგრამ ვერა და ვერა, ვერაფერია გამოცვალა შავი გოგია. ვერც შინაგანად და ვერც გარეგნულად. ერთი ეგ იყო, კუბრივით შავი თმა საფეთქლებზე სულ ოდნავ შეუქალარავედა, თორემ სხვამხრივ ვერაფერი შეამჩნევდა აკცი. ისევე ძველებურად მომღიმარი და ხალისიანი დაბაჯბაჯებდა; ისევე ძველებურად ქარივით დააქროლებდა უსასრულო გზებზე თავის უბერებელ, გოლიათ მანქანას, რომელსაც ისევე ძველებურად თვალის ჩინივით უვლიდა და უფრთხილდებოდა; არც არაფრისა ეშინოდა კვლავაც, არც არაფერს გაუზრობდა და ემალებოდა, და იღბლიც მულამ მის მხარეზე იყო: არ არსებობდა გოგიასთვის გაუვალი გზა და ან გამოუვალი მდგომარეობა, არც წლისა თუ დღის დრო არსებობდა, ყოველივე განსაკირს ძველებურად იოლად იტანდა და ეგუებოდა, და ისევე საესე ჰქონდა გული იმედით, ჯიბე — ფულით და თავი კი — მხიარული, ფერადი ფიქრებით...

ასე იყო და ალბათ მულამ ასე იქნებოდა, რომ ერთხელაც ჩვენს გოგიას ერთი პატარა და თითქოსდა უმნიშვნელო საგზაო თავგადასავალი არ გადახდენოდა.

დღედაღამ მანქანის საჭესთან მჯდომსა და გზაზე გაკრულს, თავგადასავლების მეტი ნეტა რა ჰქონია, და რაღა უნდა მომხდარიყო თითქოს ისეთი, რომ შავი გოგიაც კი გაეკვირვებინა, და თან ჩვენი ყურადღებაც მიეპყრო ამ გაკვირვებითა?

თურმე, ნუ იტყვივით! ნუ იტყვივით! თვით საუყეთესოდ ნაცნობი, ათასჯერ გავლილ-გატყეპნილი გზაც კი მულამ მოულოდნელობითა და ზიფათით საესე ყოფილა.

თითქოს თავის ნებით ადგილზე გაქვავდა. თეთრი და ბუნდოვანი, ლივლივა ლაქა უცებ მკვეთრად შემოინაცვთა და პატარა, თეთრ ბაზილიკად იქცა.

კისერწაგრძელებული გოგია გაუნძრევლად იჯდა და საკუთარ თვალებს არ უჭერებდა. ზედ შუა გზაზე თეთრი გიორგის საყდარი იდგა!

თუ თვითონ ის არა და, მაშინ — მისი ტყუპის ცალი, მისი ორეული, ზუსტად ისეთი, გოგიას სოფლის ბოლოში, განცალკევებულ შემადლებას რომ ამშვენებდა.

ჰო, მაგრამ, საიდან და როგორ?!...

გოგია თუმც უსწავლელი კაცი კი იყო, იმდენი მაინც გაეგებოდა, რომ ისტორიულად მუსულმანურ ქვეყანაში ქართულ ქრისტიანულ საყდარს არაფერი ესაქმებოდა. და მაშ არც შეიძლებოდა მდგარიყო. მაგრამ, რომ იდგა?! თანაც, სადა, კაცო? ზედ შუა გზაზე! არა, შეილოსა, აქ რაღაც სხვა-ნაირად იყო საქმე...

ერთხანს კიდევ იჯდა გოგია ასე შესასავით და გაოგნებული შესცქეროდა იმას, რაც არ შეიძლებოდა ყოფილიყო და მაინც იყო. შერე... გაელეობა...

...მანქანა, საჭესთან ჩაძინებული შოფრით, გზიდან ტრამპლამდე გადასულიყო, კარგა დიდი მანძილი გაეგლო და ხრამის პირას, სულ რაღაც ერთ ნაბიჯში არც კი, გაჩერებულიყო.

სიბნელეში არაფერი ჩანდა, მაგრამ ეს ხრამი უთუოდ ღრმა და მშრალი უნდა ყოფილიყო, როგორც იცის ამ უმეტესად უწყლო და ხრიოვ ქვეყანაში. ყოველ შემთხვევაში, მანქანის გადასარჩენად და კაცის დასალუბად უეჭველად საკმარი იქნებოდა.

სიმწრის ოფლმა დაასხა სახეზე გოგიას, სველი შუბლი ხელით მოიწმინდა და საბოლოოდ მერეღა გამოფხიზლდა. სწრაფად გაუარა წამიერმა აღელვებამ, მიიხედ-მოიხედა და კიდევ ერთხელ დააწმუნდა: თეთრი გიორგი უკვალოდ გამქრალიყო.

ვითომც აქ არაფერი მომხდარაო, ისე მშვიდად ჩართო და ააშუშავა გო-

გიამ ძრავა, მერე ბერკეტს შეაჩქარეში ჩააგდო და ფრთხილად წაძრა მანქანა ადგილიდან.

უცხო და უჩვეულო ფიქრები აეშალა და აეწეწა თავში. მიხვდა, რომ აქამდე არასდროს დაფიქრებულა თავის წარსულზე, არც აწმყოზე უტეხია როდისმე თავი; მხოლოდ და მხოლოდ მომავალზე ჰქონია მეტნაკლებად გარკვეული რაღაც წარმოდგენა, და ისიც, უეჭველად, გადასატანი ტვირთის წონასთან, გასარბენი მანძილის სიგრძესთან და სხვა რიცხობრივ სიდიდეებთან იყო მუდამ დაკავშირებული.

ნაღდ სიკვდილს სასწაულებრივ გადარჩენილმა, ეხლავა გადახედა განვლილ ცხოვრებას ახალი თვალით, გადახედა და... შემზარავად ეცარიალა.

საქე და გზა... ტვირთი და გზა... ფული და გზა...

კი მაგრამ, საით მიდიოდა ეს გზა? ვისთან და რისთვის მიდიოდა? ბოლო სად ჰქონდა? ნუთუ ერთ ასეთსავე ღრმა და უწყლო ხრამში, როგორსაც გოგია ამჯერად გადაურჩა? ანდა თვითონ ეს, უკვე წარსულად ქცეული სასწაულებრივი გადარჩენა, რისი ნიშანი უნდა ყოფილიყო? გადარჩენაც არის და გადარჩენაც! რაღა მაინცდამაინც, როგორც ყოიამყრალი ევა იტყოდა — თეთრმა გიორგმა გადაარჩინა და არა ავტონისპექტორმა ანდა ფულის გროვამ?...

ჭიუტად აკვიტებულ კითხვათა ეს კორიანტილი ქალაქამდე გაჰყვა გოგიას, მაგრამ ვერც ერთს საკადრისი პასუხი ვერ მოუძებნა.

ვერც მოუძებნიდა, არ ჰქონდა გონება გაჩვეული ბევრ ფიქრს და წვლებას, და გოგიამ ძველებურად განაგრძო ცხოვრება. თუმცა ერთი რამ კი მაინც უეჭველად უნდა აღინიშნოს: იმ ღამის შემდეგ თურმე გოგიას გაღელვილ მკერდზე შავი ჯვარი აღარავის უნახავს და დომინოს თამაშის დროს პირჯვრის წერასა და ღმერთის ხსენებასაც ერთხელ და სამუდამოდ გადაჩვეულა.

მეფე და რაინდი

1

„ჭკრეტს“ — თავდაპირველად
ასე იყო ხელნაწერში,
მერე გადაეშალათ და „ხედავს“ ჩაეწერათ
და ახლა ის ადგილი
ასე იკითხებოდა:

„როგორ დაიჩივლებს
კეთილშობილი რაინდი თავის ჭრილობებზე,
როცა ხედავს რომ მისი მეფე დაჭრილი არის“.

როგორი სულის უნდა ყოფილიყო ის ადამიანი,
რომელიც ასე მოერიდა მალაღმადროვნებას? —
მრავალი საუკუნის შემდეგ გაიფიქრა
იმ ხელნაწერის ერთმა წამკითხველმა,
ასწია თავისი სათვალეთი შემკული სახე
და გრძნობამორეულმა
სამკითხველოს დარბაზის სარკმლებს მიღმა იწყო ყურება.

ახალი დილა იყო.

მზით განათებულ

და ხეებით უხვად დაჩრდილულ ეზოში
საინსპექციოდ გამოსული შუახნის დირექტორი
დინჯად რაღაცას განუმარტავდა ახალგაზრდა კაცს,
რომელიც, ეტყობა ისე იყო მოწადინებული,
რომ არა მარტო დამუწეებით უსმენდა უფროსს,
არამედ მზიან ადგილებზეც მუდამ თვითონ აღმოჩნდებოდა,
გაზონებს შორის ბილიკებზე თავს ივიწროვებდა,
და ერთადერთი უბედურება ის იყო მხოლოდ,
რომ სხვა არაფერი ზდებოდა ისეთი,
თავი უფრო რომ ენაცვალებინა.



საქართველოს
წიგნების
კავშირის
სამსახური

ქვეშევრდომის გრაცია დირექტორსაც გადასდებოდა და ისე იყვნენ გართულები ამ რიტუალით, რომ აღზნებულნი ვეღარაფერს ამჩნევდნენ ირგვლივ. როგორ მოიტანეს ინსტიტუტის ბუფეტისთვის რძის პროდუქტები, როგორ ეგლისებოდა მებუფეტე ქალი გულგრილ ექსპედიტორს, რომელსაც ბანჯგვლიანი ხელებით გადმოჰქონდა ნაზმუცლებიანი არსებების მსუბუქი საკვები და როგორ აიტუზა ამათ შორიახლოს ბოროტი ოცნებებით დაქანცული ძაღლი...

იმ ხელნაწერის სათვლიანი მკითხველი კი კვლავაც მოუწყენლად სარკმელს გაჰყურებდა და ამოად ცდილობდა რომ წარმოედგინა სული იმ უცნობი ადამიანისა, რომელმაც ასე გამოხატა თავისი პროტესტი ფსევდოადამილებულისა და ფსევდოადამიანურისადმი და ალბათ საერთოდ იმ სიცრუისადმიც რომელიც ასე მკვეთრად გამოარჩევს იმ შორეულ და სევდით პირსავე ეპოქას.

შორეული წინაპრის სულს როცა იხმობდა (ნეტავ რა იმედით, ნეტავი რისთვის?), ხელნაწერის მკითხველმა ვერცკი შეამჩნია, რა ცვლილებები მოხდა ინსტიტუტის ეზოში: თუ როგორ შეიქნა დირექტორი ცუდად, თუ როგორ გაივსო ეზო თანამშრომლებით, როგორ შემოსრილდა სასწრაფო დახმარება და საკაცებზე უბრად დადებული დირექტორი როგორ შეაძვრინეს მანქანის კარებში. და რომ ამ ფუსფუსში ყველაზე მოცადი იყო დირექტორის წელანდელი მზღებელი.

სამკითხველოს ეზოსკენ კვლავაც თვალეზივით იყურებოდა ხელნაწერის ჭიუტი მკითხველი...
ეზო დაცარიელდა,
ჩრდილები დაეშენენ,
დღე ჩამოიბურა,
ის იყურებოდა.

II

სასახლე მწუხარე ფუსფუსს შეუბყრია.
დაპრილი შეფე ზედა სართულზე ვერც კი აიყვანეს,
დაბლავე დაასვენეს, სათათბირო დარბაზში.
ვეებერთელა სარკმლებზე ფარდებს პირი შეუკრეს,
კუთხეებში ძუნწად დაანთეს სანთლები,
ერთგული ძაღლების ჩრდილებიც გაქრნენ კედლებიდან.
მიჩუმდა ყოველი — სასახლეშიც და გალავანს გარეთაც.



მესამე დღეს მეფე თითქოს გამომჯობინდა:
ზიარება მიადებინეს.

მერე სიცხე კვლავ აუვარდა, პირი გაუშრო, თვალები მეფის ძეც და ასულიც ახლო-მახლო მიდ-მოდიოდნენ — ნანატრი ცვლილებების მოლოდინით აღვსილნი.
საქარცხულზე ესვენა დაღლილი დედოფალი.

ეს იყო ერთ-ერთი უაზრო ბრძოლა,
რომელიც კი მეფეს გადაეხადა.
მისი ბრძანებით
ცხენოსანთა პატარა რაზმმა,
თითქოს იმის დასამტკიცებლად,
რომ ხორცისაგან არ იყვნენ ნაგებნი,
არა მარტო მტერს,
რომელსაც, როგორც ცეცხლის გორგალმა
ჩამოუქროლეს და კალთებზე ცეცხლი წაჰკიდეს,
არამედ თავის ხალხსაცა და მის მომავლებსაც
მაგალითი დაუტოვეს უგუნური ვაჟკაცობისა.

მეფე სადილობდა.

ხოლო დედოფალი, ალბათ მეათასედ,
რატაც წყალობას გამოსთხოვდა თავისი ძმისთვის.
წინდაუხედავი დედოფალი მწარედ ცდებოდა,
როცა ხელყოფდა მეფის წმინდა და ურყევ ჩვევას:
— არავითარი უცხო ლაპარაკი სადილობის დროს!
(დედოფალი: სხვა დროს კაცი ვერ დაგიჭერსო!)
— არავითარი უცხო ლაპარაკი დარბაზობის წინ!
(დედოფალი: სხვა დროს კაცი ვერ დაგიჭერსო!)
— არავითარი უცხო ლაპარაკი, როცა ვიძინებ!
(დედოფალი: სხვა დროს კაცი ვერ დაგიჭერსო!)
დედოფალი ისე იყო თავის ძმასა და ძმის შვილებზე გადაყოლილი,
რომ ამის გამო სანუკვარი ოცნებაც კი დაეწიებოდა:
როგორმე ას ოც გირვანქამდე რომ მიეღწია.
კეთილი და გლახაკთა შემწე,
მთელი სასახლის საყვარელი არსება იყო
და მეფის გულის მოგებაზე არც უფიქრია.
ალბათ ჭვრისწერა გულუბრყვილო და მიამიტ ქალს
სიყვარულის საუკუნო გარანტიად წარმოედგინა.
ცოლი მხოლოდ ცოლობით და შვილი — შვილობით
სიყვარულად მეფისათვის არა კმაროდა.
ხოლო დედოფალს არჩევანი ვერადავერ გაეკეთებინა
და საუკუნო სიმარტოვით იყო დასჯილი.

მეფე სადილობდა.

დედოფალი ისევ თავის ძმისთვის ზრუნავდა
(ასე ეგონა).

მძიმე დღე იყო მეფისათვის, მძიმე საათი და...
მძიმე წუთიც?



ქართული
წიგნიერების
კავშირები

— ეს უნდა მეკდეს ახლა მე აქო?!

მეფეს ერთი ვილაც გაახსენდა.

აღმოსავლური ყაიდის არ გახლდათ — თავისუფალი ცხოველები
კოფორეულმა მუშტი დაკკრა მაგიდას და ზე წამოვარდა.

თავისივე მოძრაობამ, პოზამ თავისამვე
(შემართული იდგა, ხმაზე ხელდადებული),

უგუნური სიტყვა წარმოათქმევინა:

დააბარებინა რაინდი სასწრაფოდ

და რაზმის საბრძოლოდ დაწყობა ბრძანა.

ნახევარი დღის სავალზე მტერი ბანაკობდა,

ნაცნობი მტერი, შეჩვეული მტერი,

მიმსვლელ-მომსვლელი მტერი,

რომელსაც ხან ებრძოდნენ და ხან ხარკს უხდიდნენ.

ოშს არც მეფე ფიქრობდა და არც მომხედურები,

ეს ბრძოლა მეფის ხუშტურად ჩათვალეს.

მტრის ბანაკში დიდხანს ტკბილად ეცინებოდათ

მეფის და რაინდის გასეირნებაზე,

როცა მტარვალის ღიმილით იქრობდნენ

ცეცხლმოკიდებულ და აბოლებულ კალთებს.

ყვებოდნენ მალრიბელი ეამთაღმწერლებიც

და აბრეშუმით მოვაჭრე მექარაუნეებსაც

ეს ამბავი მიჰქონდათ მაშრიყის ბაზრებზე.

მეფე კიდევ იმანაც გააცეცხლა,

რომ სასახლეში ერთი ქალის მოყვანა სურდა,

მაგრამ ის ქალი ტყუილ საბაბზე არ თანხმდებოდა

და გალავნის გარეთ ცხოვრობდა.

გაზაფხულის წყალდიდობისას ხდება ასეთი:

როდესაც მთაში დამდნარი თოვლი

ბარში მოსული თბილი წვიმით გაათმავდება

და კალაპოტებს ღვარცოფებით მიასკდება კაცის სისხლივით.

იმ სადილობისას,

მეფე თავის ბოლო სიყვარულზე როცა ფიქრობდა

(ახლა იმ ქალის ბედკრული სული

ფარვანასავით აწყდებოდა გალავნის კედლებს),

კოლმა ისევ თავის ძმაზე არ წამოუწყოი..

სულ რაღაცა საჩივარი ჰქონდა ამ კაცს, სულ რაღაც აკლდა,

მეფეს კი ის აგიჟებდა,

რომ ასე ძნელი იყო იმისთვის

გალავნის გარეთ ერთი გასვლა... და საერთოდაც,

ნაბიჯებით კი არ იყო გაზომილი მისი ცხოვრება,

ფეტვის მარცვლებით...

თანაც ამ დილით შეთქმულების დასჯას დაესწრო.

„ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს

პირველითგანვე თვისთა უფალთა.

რამეთუ, რაჟამს განდიდნენ,



განსუქნენ და დიდება პოონ და განსუენება,
იწყებენ განზრახვად ბოროტისა,
ვითარცა მოგვითხოვს ძეული მატთანე
და საქმენი აჲ ხილულნი..."

მტერი ნახევარი დღის სავალზე იღგა.
ნაცნობი მტერი, შეჩვეული მტერი,
მომსვლელ-მომსვლელი მტერი...
რომელსაც ხან ეომებოდნენ და ხან ხარკს უხდიდნენ.
დღეს თუ ხვალ უნდა დაწყებულყო მოლაპარაკება.
ერთი სილა გავკრათო! --- ასე ბრძანა მეფემ.
მწარე თამაში იყო,
სისხლიანი, უხეში.

III

მეფე დიდად იყო განებვირებული რაინდის მიერ.
ჯერ კიდევ იმ დღიდან,
როცა მეფის მამაცმა ასისთავმა
მგლის ლეკვივით შეპყრობილი მოიყვანა უცხო ქაბუცი.
როცა საშულლო წესებს ერთად აბეჯითებდნენ,
როცა ხარიხებშემოვლებულ მწვანე გორებზე
ცხენებს გაკრულნი თვალით მაინც ერთურთს ზვერავენენ.
რაინდი ზუთი-ეჭვსი წლით უფროსი იყო.
მეფემ შეიყვარა და მამას მისი თანხლება სთხოვა.
ერთად ეძინათ, ერთად ჰამდნენ, ერთად იბრძოდნენ.
ყველაფერი, რასაც მეფე იმ სწავლის დროს გულს ვერ უღებდა,
რაინდისათვის სიყვარულის საგანი იყო.
მერე და მერე, გაზრდილები, ერთად სვამდნენ და გარეთაც
იპარებოდნენ,
ვიღრე მათ შორის სამეფო საქმეებმა ხათრი არ დაბადა.
ახლა მეფეს ემატებოდა მხოლოდ ასაკი,
ჰალარა კი რაინდს ერეოდა
და ისეთ ასაკს მიიღწია, როცა კაცისთვის
არც არაფრის მიმატება შეიძლება, არც გამოკლება.
ის იმად იქცა, რაზეც მეფე ოცნებობდა თავის თავისთვის:
სიქველით აღსავსე, კეთილი და კეთილშობილი,
სიტყვაძუნწი, ჳირისუთქმელი.
ყველა თამაშიდან, რომელსაც მეფე
გულის კარნახით წამდაუნწუმ წამოიწყებდა,
რაინდი მეტ სიამოვნებას იღებდა ხოლმე.
ვერვის ენახა ცეცხლი, რომლითაც იგი იწვოდა.
რალაც სევდა, მისი გულის, გამოუცნობი,
თანაგრძობას არავის არ აბედვინებდა,
რადგან პატრონი იფარავდა და სისხლს ასმევდა,
რომ არ გაცლოდა, რომ სულ მასთან დარჩენილიყო.
დიდი ხნის სევდა, ჳვიშის ფერი, საიდანაც თან მოყოლილი.
თითქოს ისიც უთვისტომო და უპატრონო,



სევდა, რომელსაც ვერაფერი შეარბევს ქვეყნად,
რადგანაც კი არ იბრძვის იგი — თავისთვის არის, ^{ეროვნული}
და მის ბაგეებსაც თავის დროზე უყვავდებათ ხოლმე ღიმილად. ^{ღიმილი}
— აგერა, ბავშვი,

შენს ეზოში შემოვარდნილ ბურთს რომ შემოჰყვა
და უცებ რომ შეგამჩნია შენც იქვე მჯდარი
და რომ შეტბუნდა, შეეშინდა პირისპირ დამჩაღს
და შენც უხმოდ რომ ამშვიდებ ტკბილი ღიმილით:
ეგეთი რამ მეც მომსვლიაო!

— აგერა, მგზავრი!

შენს ეზოდან გადაშვერილ ვაშლს რომ ეწვდება
და ვიდრე ორნი თვალს ერთმანეთს გაუსწორებდით,
უკვე მორცხვი ღიმილით ხარ შემზადებული.

— აგერა, ქალი!

რომ ვიდრე შენ თავს შეაბრუნებ,
იმან უკვე სისულელე მოიმოქმედოს.
რომ გაწითლდეს, გააჩქაროს უჭკო ფეხები
და სხვა ხის ჩრდილში გაისწოროს კაბის კალთები.
რომ წაიყოლოს შენი სახე ღიმილიანი,
რომელსაც მერე, როცა უნდა მაშინ დახედავს,
რადგან ეს უკვე შენი საქმე აღარ იქნება.

აო, ასეთი ღიმილები გააჩნდა რაინდს
(ვირის ჩოჩორი, ძაღლის ლეკვი არ დაგავიწყდეს)
და იქნებ მიტომ უჭერებდა ყოველთვის მეფეს,
რომ ბედისწერის სჯეროდა და თავს შეიჭყედა,
თორემ შეეძლო მეფისათვის სიტყვის შექცევაც,
შესწორებაც, შეპაექრებაც.

მათი ცხოვრება იყო მეტაფორა —

ამ ორისა — მეფის და რაინდის.

სუსტი ქვეყანა ებარათ და გამოსავალს ვერ პოულობდნენ,
ერთიდაიგივე იყო ორივე — განსაცდელიც, გამოსავალიც
და თან გარკვევით ეტყობოდა, რომ სულ ასე გაგრძელდებოდა.
და აი ამ ორმა,

მეფემ და რაინდმა

გადაწყვიტეს არ მიეღოთ შემოთავაზებული.

IV

დალლილობისგან თვალეზრაცვივნილი მკურნალი
სასახლიდან მარანივით გრილი დარბაზისკენ მიეშურებოდა.
იქ იწვა რაინდი.

მაგრამ მარტო როდი ცხოვრობდა.

რაკი საერთოდ არავინ ჰყავდა

და უმეტეს დროს სახლიდანაც წასული იყო,
სამეფო კარის გადამწერი შეისახლა თავის სურვილით.

ნაომარი, დალლილი და ძალა ნაგრძნობი

თავისი გრილი სახლის კარს რომ შეაჭრიალებდა,

შუბს კედელზე რომ მიიყუდებდა,



აბჯარს რომ მოიხსნიდა და რომ მიწვებოდა
(მცირე ხნით, ვიდრე მეფე აბანოში დაუძახებდა),
მარანივით გრილი დარბაზის კუნჭულიდან
კალმის წრიბინი აკრთობდა ხოლმე.

იქ, კედლის კუნჭულში, ობობასავით ხელსაქმობდა მუნჯი
გადამწერი.

რაინდი გრძნობდა, რომ იმ კუთხეში
რალაც უფრო მარადიული და დროგამძლე რამე ხდებოდა.
ხმლების ქლრიალი, ფარ-შუბის ჯახანი,
კენესა და ყვირილი, მოთქმა და ვაება
არაფერი იყო იმ კალმის წრიბინთან.

მიწყდა ხმლების ქლრიალიც,
მომაკვდავთა კენესაც ლამემ ცეცხლებრ ჩააქრო,
მხოლოდდამხოლოდ ამ კალმის წრიბინია
მარადიულობას რომ ეხმიანება —

დროსავით უვნებო და მოუხელთები.

საქმითა ჰგავდა ობობას გადამწერი,
ხოლო სხეულით თვითონ იყო ობობისგან გამოწოვილი.
სულ ცოტა ხნის წინ გამთააღმწერლის პატივი ეპყრა,
მაგრამ კაცისთვის სახიფათო ჩვევასაც ფლობდა:
ორივე ერთად იყო იგი — ჭიუტი და პატიოსანი,
როგორებიც არ უყვართ,

თუმც ცინიკურად ღირსებასაც არ უქარგავენ.

მისი ნაწერი,

გარდა იმისა, რომ ყოველთვის საქმიანი და ზუსტი იყო,
თავდადებულ სიმართლითაც განირჩეოდა,

მაგრამ მერე, ვილაც მეორემ,
რომელმაც დროს შესაშურად აულო ალლო,

პათეტიკური სტილი დანერგა,

სასახლეშიც მოიწონეს და წავიდა ის საქმე მერე...

და ახლა, ყოფილი სახელიანი გამთააღმწერი

ერთი უსახელო გადამწერი იყო,

და თვალსლა აყოლებდა სხეების გიჟურ თამაშებს.

გადამწერი კეთილად იყო განწყობილი მეფისა და რაინდისადმი,

უცნაურად რომ ეჩვენებოდა მათი სიყვარული,

იმ გრძნობამ ახლა უკვე გაუარა,

ისევე, როგორც სამეფო კარს,

მთელ ჭვეყანასაც გალაუნის აქეთ და იქით,

მტერსაცა და მოყვარეებსაც,

ბაზრებსაც და ციხე-კოშკებსაც.

კველა ტკბებოდა ამით უჩრდილო, უთავებელ სიყვარულითა,

მთელ სამეფოს ანათებდა კეთილშობილ, მართალი შუქით,

ამათი მეგობრობა, ამათი განუყრელობა

და მიჯნურებივით რომ იყვნენ გადაკიდებულნი.

— როცა ორი ბედი ასე გაინასკვება,

მხოლოდ სიკვდილი გაათავთავადებს!

ეს სიტყვები უნდა წარმოითქვას,



როცა მოფიქრალი სკამიდან წამოდგება
და შეწუხებული ადგილს გამოიციკლის,
რომ გულიდან გადიგდოს ცუდი წინათგარძნობა!

გადამწერი სევდიან გულითა ხედავდა,
რომ ქამთაღმწერთა მეტაფორულ სტილით
ჯერ ნელ-ნელა იცვლებოდნენ რეალური ამბები,
მერე კი სინამდვილეს მთლიანად წყდებოდნენ.

„არა არს წესი ჩუენ ქართველთა,
უკეთუ ვიხილოთ მტერი ჩუენ კერძო მომავალი,
შეუბმელად ზურგი შემოვავაქციოთ,
დაღათუ იყოს სიკუდილი“.

მეფის ეს განთქმული სიტყვები რომ ჩაწერა
იმის განსჯაში შევიდა თუ მოულოდნელად
დარბაზის კართან შეყოვნებულ შუქს წამოუდგა შესაგეგებლად,
თუ რაინდის კენესამ სკამზე არ გააჩერა,
ყველაფერი ერთად მოხდა:
ის და მკურნალი მომავლადვის საწოლთან შეხვდნენ.

V

გეყურებოდეს,
გალავანგარეთ მცხოვრებო ქალო,
შენი სული
ფარვანასავით რომ აწყდება თლილი ქვის კედლებს:
შენი სიყვარული მეფეს ცოდვას ჩაადენინებს.

„მაინც მოვასწარი შენი სახელის თქმა,
ცოდვა ჩავიდინე ზედ სიკვდილის წინ,
როცა უკვე მქონდა ზიარება მიღებული.
რამდენი თვალი ველოდებოდა, რამდენი ყური... ჭირისუფლების.
მე კი შენი სახელი დავიჩურჩულე.

გაკვირვებულნი უმზერდნენ ერთურთს მეფის საბლელნი:

— არც ერთის სახელი სიკვდილის წინ,

ვიღაც მათთვის უცხოსი!

„როდინდელი ცოდვაა მისი, როდინდელი ნაოქმედარი?“

არასოდეს გაეგონათ ეს სახელი — ამდენ მიოქმა-მოთქმაში.

სიკვდილის წინ —

როდესაც ერთნი სინათლეს ნატრულობენ,

მეორენი ჰაერს...

მე კი შენი სახელი დავიჩურჩულე,

სიცოცხლეში ჩემთვის მუდამ აკრძალული,

ნამალავი, ჩემს ბაგეს რომ არ დაცდენია...

ცოდვა სიკვდილის წინ,

რომლის შემდეგაც უკვე ვეღარ ვეზიარები,

ბოლო სუნთქვას ამოყოლილი,

კენტი ცოდვა... ობოლი ცოდვა...

ისე უმწეო, თვით ცოდვაც რომ შეგეცოდება“.

VI



ვიდრე ბრძოლაში ჩავიდოდნენ
 მეფეც და რაინდიც
 ცხენებს უბრად მიაჭენებდნენ,
 დაუმძრახებულ, დამღურებულ სატრფოებივით.
 მაგრამ როგორც კი პირველი ხმლის ელარუნი ისმა,
 ერთუროს შეჰკლიმილეს,
 გამოუჩინეს უშურველად თეთრი კბილები,
 მოიღერნეს ყელნი ლამაზად
 და შეცურეს მდორედ მდგარ მტერში.
 ეამებოდათ, ვიცი, კიდევ ერთუროთის ცქერა,
 მაგრამ რადგანაც ამის გამო
 ხშირად ლამის თავიც წააგეს,
 დიდი სიფრთხილით,
 თვალის კიდით გახედავდნენ ხოლმე ერთმანეთს:
 იმ წამებში შესვენებისა,
 როცა მახვილდაკრული მტერი
 ცხენიდან ძირს დაემზღვლეოდა.
 მეფეს თუ ხმაზე ცნობდა რაინდი,
 მეფე რაინდის სიჩუმეს ისმენდა.
 დინებით ხშირად ერთუროთისგან დაცილებულნი
 კვლავ ერთუროთისკენ მიიწევდნენ, თავს იწონებდნენ,
 მტერში ყვინთავდნენ, მიაპობდნენ, გზას მიიკვლევდნენ,
 თან მუდამ მეფის ვალი იყო, გამოეცნო რაინდის ფიქრი,
 თორემ რაინდი ხომ არ იტყოდა — გვეყოფაო! — დღეს ვიკმაროთო!
 დავიღალეო! — ამას ხომ არ დაიძახებდა,
 იმას ხომ არ იყვირებდა — დავიჭერიო!
 სისხლმდინარი ცხენზე ეკიდა
 თუ ილეთს რამეს მტერს უშზადებდა — ვერ გაიგებდი.
 მეფე უნდა მიხვედრილიყო,
 მეფეს უნდა დაეყვილა — დღეს ვიკმაროთო!
 მაგრამ ახლა აღარ ყვიროდა...

ახლა ორივეს ხევხევ მოასვენებდნენ.

მოთხრობები

უცხო ხილი

მის ნახუქარი ხამლი ხურჯინში ჩა-
ვაწყე, არ მინდა გამიცვდეს ამხელა
გზაზე. შენკენ ფეხშიშველა მოვეშუ-
რები და ამისთვის ნუ დამძრახავ, დე-
დოფალო. როცა მოვატან შენს კარიბ-
ჭეს, მაშინ კი ჩავეცემ. მანდ ხომ უა-
მრავი ხალხი იქნება, დიდებულებიც
იქნებიან ბევრნი, ოქროქსოვილით და
დიბა-ატლასით შემოსილები. შემრტბ-
ვება მათი, უფრო მეტად კი — შენი.
აქი ამბობს ჩემი რძალიც, ფეხშიშველა
სიარული სირცხვილიაო. ამიტომაც
ხალხში არ მაძლევს უხამლოდ სიარუ-
ლის უფლებას. ხალხისა რცხენია, არა
თქვან, მული ფეხშიშველა დაუდისო,
თორემ ჩემი რა დარდი აქვს. ერთი პი-
რობა ვცადე, ყოველდღე შევლო ხამ-
ლით. შავი დღე დამაყარა მე უბედუ-
რსა. რაღა არ მაკადრავ: პი, შე ტკუა-
თხელო, ქათმებთან და ინდაურებთან
მოლაპარაკევ, (ეს იმაზე გადმოჰყრა,
ფრინველებს და ცხოველებს ხანდახან
ადამიანებზეთ ველაპარაკები, მცენა-
რებესაც, მათაც ხომ სული უდგათ).
ისღა ვაკლია, ტყეში ხამლით იარო.
რაო, მეხი კი დაგაყარე, არ გეკადრე-
ბა? განა რამდენი უნდა იშოვნოს შენ-
მა ძმამ, რომ კიდევ გასვას, გაჭამოს
და თან მუდამდღე ხამლებით გატარო-
სო. მეტისმეტი მოსდის, დედოფალო.
განა მე არ ვშველი ჩემს ძმას, კარგი
ვაჟკაცივით ვუდგავარ მხარში. ჩემი
შრომით, საცა სამართალია, კი უნდა

ვკამდე დაუყვედრებელ ლუკმას. მაგ-
რამ უენო კაცია, ცოლმა დაჭაბნა. თან
არც აბადია რაიმე. დიდი სარჩო-საბა-
დებელი არ გაიმეტა მაგათთვის ღმე-
რთმა. ოთხნი ძმანი იყვნენ, რომ გაი-
ყარნენ, არც-რა დარჩა მამისეული
ქონებიდან თითოეულს. მე უმცროს
ძმასთან დავრჩი, მამაჩემის კერიაზე.
არც მინდა სადმე სხვაგან წასვლა. აქ
უნდა ამომხდეს სული. მეშინია მეტად,
არ გამაგდოს ჩემმა რძალმა. მანაც იცის
ეს და არ მზოგავს, დედოფალო. რა
ვქნა, რა ჭირს შევეყარე...

ჩემს ძმებს წვრილშვილი ახვევით,
თავისი თავისთვისაც ვერ მოუვლიათ,
ჩემთვის ვილა მოიცილის, თანაც, რაღა
დაგიმალო და ცოტათი ერცხვინებთ
კიდევ ჩემ გამო, დედოფალო. ბავშვო-
ბიდანვე მეტად ჩუმი და მფრთხალი
ვიყავი, თან შეუხედავი და უმარჯვო.
მერე ყვავილი შემეყარა და სულ და-
მიკენკა სახე. მე თვითონაც არ მსია-
მოვნენბს ჩემი პირისაბის დანახვა, ხან-
დახან დამდგარ წყალში ჩამიხედავს და
თვალი ამირიდებია. გარეშეთ რაღა
მოუვათ ჩემი ნახვისას. ეს კია, მეტად
მახარებბს სხვათა სილამაზის ხილვა,
დედოფალო. გული სიხარულით მინათ-
დება მაშინ. ასე მგონია, წყალობის
თვალთ გადმომხედდა ღმერთმა-თქო,
როცა ვინმეს დავინახავ პირლამაზსა
და მოხდენილს. ბალოობისას ჩუმიად
უკან დავდევდი ლამაზ ქალებს, მათი



ჭკვრით ვეღარ ვძლებოდი. მღვდლის ქალი ცხოვრობდა ერთხანს ჩვენს მეზობლად, მეტად ლამაზი. კოკით წყალი რამდენჯერ ამიტანია მისთვის, რომ ახლოდან მეჭკვრიტა მისი მწყაზარი სახისთვის.

ღვთისმშობელიც ხომ ლამაზია, დედოფალი. ხშირხშირად დავყურებ ღვთისმშობლის ხატს, მიხარია მისი სათნო იერის ხილვა. ალბათ, შენც ასეთი ლამაზი იქნები. აკი გამიგია, თამარ მეფე ღვთისმშობელივით ლამაზიაო. ამ ხატის მეტი არაფერი მამა-ღია ამ ცის ქვეშ. ბებიაჩემის ნაჭონი ხატია. ვუყვარდი ბებიაჩემს, ვებრალეობოდი. ისღა იყო ჩემი ერთადერთი ქომაგი და გულშემატივარი, რაც დედ-მამა გარდამეცვალა. ბატანივით სულ უკან დავდევდი, ნაბიჯზეც არ ვშორდებოდი. ბევრი საინტერესო ამბავი იყოლა, ღმერთი სწამდა მეტად. ზღაპრებს მიყვებოდა, ლექსებსაც. ჰოი, რა ნათელი დაადგებოდა მაშინ სახეზე, რომ იყოლე, დედოფალი. ისეთივე ნათელი, ღვთისმშობელს რომ ავლია სახის ირგვლივ ხატზე. ერთხელ ვუთხარი კიდევ ეს. გაიცინა და თან დამტუქსა: ღვთისმშობელზე ეს როგორა თქვიო, მაგის თქმა ცოდვააო. მე კი მოხვდი, გულში ეამა მეტად ჩემი სიტყვები.

სიკვილის წინ მე მაჩუქა ეს ხატი. თან ასე მითხრა, ჩემს შვილებსა და შვილიშვილებში ყველაზე მეტად შენ მგავხარო. გამიკვირდა მეტად, ეს რომ თქვა. ბებიაჩემი კარგა ლამაზი, თან მეტად ყოჩალი ქალი იყო. ჩემისთანა საწყალსა და გონჯ არსებას როგორ შეიძლებოდა ჰგვანებოდა. ალბათ, მომეფერა ბებიაჩემი. ყურადღებას არ ვაკლებდი, ყოველთვის ვიკლიდი მისთვის, რაც უნდა ბევრი საქმე მქონოდა. მის შვილიშვილთაგან ყველაზე ხშირად მე ვიჯექი მის სასთუმალთან.

დიდი სიოზღე ვიგრძენი, დიდი, როცა ბებიაჩემი გარდაიცვალა. ეს იმიტომ დედოფალი, რომ ოჯახი არა მაქვს ჩემი, შვილები არა მყავს. მარ-

ტო ვარ, სულ მარტო, ჩემთან სალაპარაკოდაც კი არავინ იცულებოდა. შეუჩერდებოდა ჩემზე ღმერთს ვუყვარდი. მე ხომ არც შეხედულება მაქვს, არც ქონება, არც მოზერხება. ეს მეც კარგად ვიცი და არც ვყვედრი ღმერთს. რა ვქნა, ასეთი ბედი მქონია...

განა ერთხელ და ორჯერ მინახავს, როცა მახინჯი, ავადმყოფი წიწილა გამოჩეკილა. მე ყოველთვის განსაკუთრებით მებრალეობდა ასეთი წიწილა, დედოფალი. ცალკე ვუყრიდი საკენეს, ვცდილობდი გამეზარდა და ვერ ვახერხებდი, ან ქორი წამართმევდა, ან კატა, ან თავისი დაძმები მოჰკლავდნენ ცემით. ასე ყოფილა ეს ქვეყანა მოწყობილი.

მეც ასეთი წიწილა ვარ, დედოფალი, მაგრამ მე ვახერხებ თავის შეფარებას ტყეში. იქ არავინ არ მიგდებს ახუჩად, არც მიყვირის. როცა მწვანე ხეების შრიალს ვუსმენ, ასე მეჩვენება, მათი ლაპარაკი მესმის თითქოს. სისხლით და ხორციით ჩემი ახლობლები მგონია ისინი ხანდახან, როცა წვენიით სავსე ნედლი ტოტების ქნევით თავისკენ მიმიხმობენ. გასუსული ვუგდებ ყურს და ამ ყურის გდებისას რაიმე სიტყვაც წამომკდება ხოლმე. ასე მივეჩვეე ხეებთან და ტყის ბინადრებთან ლაპარაკს, ჩემი რძალი რომ ასე მავყედრის.

მერე რა ლამაზები არიან ისინიც. განა ადამიანზე ნაკლები სილამაზე აქვთ ხეებს და ტყის ცხოველებს, ან ფრინველებს. მეტად მადლიერი ვარ უფლისა, რომ თვალისჩინი არ წამართვა ავადმყოფობისას, შემოძლიც თვალი გავახილო და დავინახო მისი გაჩენილი ქვეყანა. მეზობელ სოფელში ერთი საწყალი ქალი დააბრმავა ყვავილმა, მე კი სახე დამიკენკა მხოლოდ. ყოველდღე შევხურობ ამ ნათლით სავსე ქვეყანას. დიდი მადლია ეს ჩემთვის, დიდი!..

მზის ამოსვლისას, სანამ ცვარი შემოვრებოდეთ ტანზე, ხის ფოთლები ჩურჩულავდნენ ბრწყინავდნენ. ახლა ყვა-

ვილებს არ იკითხავ, როგორ იფერებენ ამ ცის ნაჩუქარ სამკაულს. ყელს ნამდვილი კეკლუცი ქალებივით იღერებენ. ფრინველნი რომ მათ შორის დაგოგმანობენ, მათ ნახვას ხომ არაფერი სჯობს. ისინიც ხარობენ ყვავილთა სილამაზით, თან თავის უცხოდ მოხატულ ბუმბულსაც ამაყად უჩვენებენ სამშენოს: აჰა, ნახეთ, ჩვენც რა ლამაზები ვართო. რამდენჯერაც არ უნდა ვნაბო ისინი, მაინც ასე მგონია პირველად ვხედავ-მეთქი, ისე მაოცებს მათი მოყვანილი თავ-კისერი და ჭრელი ფრთა-ბუმბული. მიკვირს, ასე ლამაზად რომელმა ხელმა დახატა-მეთქი ისინი. რა ენა აღწერს, რასაც თვალი ნახავს ტყეში, დედოფალო. რა ჩამოთვლის იმ უცხო სილამაზის ნიშნებს, ღმერთი რომ უხვად მოფანტავს ამ დილოცილ მიწაზე, რათა გაგვაოცოს და გაგვაბაროს თავისი ჯადოთი, შენთვისაც მომაქვს ერთი რამ უცხო ნიშანი ამ ზღვა სილამაზისა, ამიტომაც დავადექი ამხელა გზას...

თიკანი დაგვეკარგა ერთხელ ტყეში. ბევრი ვექებე. ჩემი ძმაც წამომყვა მერე მის საძებრად. მე მარტო ღრმად ვერ შევიდოდი ტყეში. მაისი იყო. ყვარდა ყველაფერი. ხეები და ყვავილები ზეიმობდნენ, სიცოცხლის წვენივით პირთამდე ავსებულნი. ჰაერში თაფლივით ტბილი სურნელი ტრიალებდა. ფრინველები ისეთი გაცხარებით გალობდნენ, თითქოს ქეიფი აქვთო და ამ ტბილი ჰაერით დამთვრალანო. ერთ ახოს მივაგენით, დედოფალო, იმ თიკნის ძებნაში, ისეთი არაფერი შენახა. ბუჩქებით ისე იყო შემოღობილი, თითქოს საგანგებოდ დაურგავს ვინმესო. პატარა იყო, სიფართით სამი ნაბდის გაშლა თუ იქნებოდა, მეტი არა. უცნაურად წითელი მარწყვი ამოსულიყო იმ ახოში. ჰოი, რას ლეღაყებდნენ, სიზმარში მეგონა თავი მათ შემყურეს. მარწყვის მეტი რა მინახავს ტყეში, მაგრამ ის მაინც სხვა იყო. რალაც უცხო ფერი გადასდიოდა. ბევრი თვალი და მარგალიტი გექნება, ვიცი,

დედოფალო, მაგრამ მათ შორის ასეთი ლამაზი თუ იქნება ნეტავი. რუმდღეიმე პატროსანი თვალი, რუმდღეიმე მარწყვი იყო, შხის სხივებით გაბრწყინებული. წითლად ღუოდა იქაურობა. ახლა სურნელს არ იკითხავ? რა საუცხოო სუნი იდგა მარწყვისა. ლამის ღვინოსავით დამათრო და გამაბრუა მისმა სურნელმა. ჩემმა ძმამ თქვა, ეს გველების მარწყვიყო. მე არაფერი გამეგონა მაგის მსგავსი, წაქწვდი იმ უცნაურად ლამაზ მარწყვს საჭმელად. ძმამ დამიშალა, უწმინდური ხილია და ღმერთი გაგირისხდებო, მხოლოდ გველები სჭამენ მაგასო. არ დამანება მისი ჭამა. მართლაც, შეიძლებოდა კაცს რაიმე უცნაური ეფიქრა იმ მარწყვზე და შეშინებოდა მისი ჭამა, იმდენად უცხო სილამაზისა იყო.

მაგრამ მე არ შეშინებია, დედოფალო, იმ მარწყვის ჭამისა. პირი მოვარიდე ჩემს ძმას და ჩუმად გავუსინჯე გემო. გემოც ისეთივე ტბილი და უცხო ჰქონდა, როგორც იერი. გულმა მიიბხრა, დედოფალო, რომ იმ მარწყვის ჭამა არ იყო ცოდვა, ღმერთი არ გამირისხდებოდა მაგისთვის. როცა გული ასე მიიტყვამს რაიმეს, ის უტყუარია ჩემთვის. გულის ხმას ავეყვი მაშინაც, დიდ ყორესთან რომ ჩავიარეთ და არ დავუჭერე ნათლიაჩემს, მთელს სოფელში ცოდნით განთქმულ ქალს. მან მიაშბო: იქ თურმე ერთი ცოდვილი ქალი ჩაუქოლავთ. გაუთხოვრად დაფეხმძიმებულა და სახლიდან გაუგდიათ შინაურებს, როგორც შემარცხენელი. მერე მთელ სოფელს ქვევით ჩაუქოლავს. ახლა, ვინც კი გაივლის იმ ყორესთან, ყველამ თითო ქვა მაინც უნდა მიავდოს, თორემ ცოდვად ჩაეთვლება. ნათლიაჩემმაც მიავდო ერთი ქვა იმ ყორეს, მე კი არ მივაგდე. განა არ ვიცი, დიდი ცოდვა ჩაუდენია იმ ქალს, მაინც შემებრალა ის საცოდავი. მისი ჯავრი გამყვა, ველარ მოვისვენე. მერე ერთხელ ახალ-შემოღამებულზე მივიპარე იმ ყორესთან და ორი დიდი ქვა, რასაც მოვე-

რიე, ჩემად გადავაგორე გვერდზე: ერთი ქვა დედისა და მეორე მისი დაუბადებელი შვილისა. ჩემი წილი სიმძიმე, რაც კი შევიძელი, გულიდან ავაცალე დედა-შვილს. თუ ცოდვა იყო, ღმერთი დამსჯიდა. არა, არ დავეუსჯივარ. პირიქით: ის ორი ქვა თითქოს მე მომცილდა გულიდან, ისეთი სიმსუბუქე ვიგრძენი. გულმა მიიბზრა მაშინ, გულმა, რაც გავაკეთე. ისიც გულმა მიიბზრა, არააო ცოდვა ამ ლამაზი მარწყვის ჭამა, არც მოგწამლავსო და სწორი აღმოჩნდა ჩემი გულის ხმა. არც მოგწამლულვარ, არც ღმერთი გამრისხებია.

მერე და მერე ხშირად ვაკითხავდი იმ ახოს, ვჭამდი იმ უცნაურად ლამაზსა და ტკბილ მარწყვს. მართლაც, თურმე გველებს ჰყვარებიათ იგი. ვნახე ერთხელ, როგორ შეექცეოდნენ გემრიელად. თვითონაც ლამაზები იყვნენ გველები, ჭრელად მოხატულები. ტანი მზის სხივებზე უპრიალბდათ. მათაც დამინახეს, არ შეშინებიათ ჩემი. არც მე ვერჩოდი იმათ რაიმეს, რას მიშავებდნენ. თან თამაშობდნენ გველები, ერთმანეთს ესიყვარულებოდნენ. არც ვიცი, თუ გველებსაც შეეძლოთ სიყვარული. რა გასაკვირია, ისინიც ხომ ღმერთმა გააჩინა. კარგად ვარჩევდი იმათ ნაჭამ მარწყვს, არ ვეკარებოდი. ჩემთვის სხვაც ბევრი იყო იმ ახოში. ჩემს გარდა კი არავის არ სჭირდებოდა ის მარწყვი. მთელ სოფელში არავის არ უნდოდა მისი ჭამა, თუმცა ყველამ კი იცოდა თურმე, გველების მარწყვი რომ ხარობს ტყეში. მეც ვმალავდი ამ ამბავს, არავის არ ვუუბნებოდი, შეშინოდა სოფლისა.

ერთხელ კინალამ გაიგო ყველამ ჩემი საიდუმლო: იმ ახოში ყოფნის შემდეგ საუცხოო სუნი მომყვებოდა თან მარწყვისა. მე თვითონ კი ვგრძნობდი მის სუნს მთელ ტანზე, ხელებზე, ტუჩებზე. თურმე სხვებსაც უგრძნობიათ და ეჭვი შეჰპარვიათ. ერთმა მწყემსმა გოგომ პირდაპირ მკითხა, გველების მარწყვი ხომ არ გიჭამიაო. არა-მეთქი,

ვიუარე. შემეშინდა რძალთან არ დავებულებინე. მან მიყურებდა და მერე ჩემსკენ სამჯერ გადამიხედვინა: „ცოდვილი ხარ, ცოდვილიო!“ მას შემდეგ ფრთხილად ვარ, მუდამ დიდი გულისყურით ვიბან ზელოპირს იმ ახოში ყოფნის შემდეგ. იქიდან მომავალი ვცდილობ თავი მოვარიდო, თუ ვინმე შემხვდა.

და ერთხელაც, იმ ახოში ყოფნისას, შენზე ფიქრი მომეძალა, დედოფალო. მე ასეთი გონჯი, საბრალო არსება მივირთმევე ამ საუცხოო ხილს, თან შენი სახელის მოზიარეც რომ ვარ. მეცა თამარი მჭვია, დედოფალო, შენსავით. ოღონდ შენ ამ სახელთან ერთად „მეფესაც“ გეძახიან, მე კი მხოლოდ თამარიას ვეძახის ყველა. „გოგო, თამარია“. — ამის მეტი არა გამიგონია რა ჩემს სიცოცხლეში, როცა მე მიხმობენ. გულმა რეჩხი მიყო, დედოფალო, შენი გახსენებისას. შენ რად არ უნდა იგემო ეს უცნაურად ტკბილი მარწყვი. აქ უწმინდური არა არის რა. ეს არაა ცოდვა, ამაზე ღმერთი არ განრისხდება, იმაზე კი შეიძლება გაწყურეს, რომ მე, თამარიამ, ვჭამო ეს უცხო ხილი, შენ კი თვალითაც არ ნახო იგი. შენ ტაძრებს აშენებ, დედოფალო, მე საბრალოს ერთი ქოხიც ვერ ამიშენებია, რომ ჩემი კაპასი რძლის რისხვას თავი მოვარიდო და რითღა მეჭუთენის მეფის საკადრისი ნუგბარი მივირთვა? მაპატიე, დედოფალო, თუ ისე ვერ გითხარი, როგორც გეკადრება. მე ხომ უბირი ვარ, წერა-კითხვაც არ ვიცი, მაგრამ გულით გელაპარაკები, ასე ვეუბნები მე ღვთისმშობელს, როცა შემოწმებას ვთხოვ. მას ესმის ჩემი, შენც უნდა გაიგო ჩემი გულით ნათქვამი სიტყვების, და ნუ გამიწყურები, შენი ჭირიმე. მე საბრალომ შენთვის დავკრიფე ეს წითლად მოლავლაე მარწყვი, ცოდვის ხილს რომ უხმობენ. ჩემი ხელით მოწულ კალათში რბილი ფოთლები ჩავადინე და მათზე ფრთხილად დავალაგე. ხურჩინში ჩემს ხამლს ზემოდან ადევს

ეს კალათა, დედოფალო. შენთვის მო-
მაქვს, უცილობლად უნდა გასინჯო ეს
მეფეთა საკადრისი ხილი. ჭერ შენს
ნაფეხურებს ვეამბორები, როცა სასა-
ხლეში მოვალწევ. მერე დიდის მოკ-
რძალებით მოგართმევ ამ უცნაურად

ლამაზსა და ტყბილ მარწყვს. ეცი, არ
გამირისხდები ამისათვის, დედოფა-
ლო, არც დამსჯი. პერუტოვკი მადლსაც
მომაგებ და იგემებ კიდევ ჩემგან მო-
ტანილ უცხო ხილს. ასე იქნება ნამდ-
ვილად. გული მიოქვამს, გული.

პანღური

ერთხელ, დღისით-მზისით, ხალხით
სავსე ქუჩაში ყველას თვალწინ პან-
ღური ამოარტყეს.

ზაფხული იყო, ივნისის პირველი
დღეები, როცა სიცხე დღითი-დღე იკ-
რებს ძალას, სულისშემზუთველ ხვა-
ტად კი ჭერაც ვერ გადატყეულა. ქა-
ლაქელები აგარაკებზე წასვლას არ
ჩქარობენ, ჭერჭერობით ქალაქის ქუ-
ჩებში სეირნობა ურჩევენიათ. მსუბუ-
ქად ჩაცმულნი გალაღებულები მიდი-
მოდიან, უკვე მოასწრეს ზამთრის სი-
ცივეების საბოლოოდ გადავიწყება.
მანქანები გადასწრების დროს მიჯრით
აწყდებიან ერთმანეთს, მინებს იქით
მძლოლთა მოუთმენელი, დაძაბული სა-
ხეები ილანდება.

თანაც დღის მეორე ნახევარი იყო,
როცა ლექსთან ჭიდილში ღამენათევი
პოეტებიც კი ვეღარ ძლებენ ოთხე-
დელს შუა.

ძალიან სწყუროდა. თუმცა შეიძლე-
ბა არც ისე ძალიან. ტროტუარზე გა-
ზიანი წყლის ურიკა შენიშნა და მაშინ
იფიქრა, მწყურიაო. გარეთ რომ არ
გამოეტანათ, შიგნით, ვასტრონომში
არ შევიდოდა წყლის დასალევად.
ურიკა ცისფრად იყო შეღებილი. (რა
ფეტალურად დამამახსოვრდა ყველა-
ფერი, თითქოს ტვინის გარსზე გახუ-
რებული შანთით ამოუწვესო). მის წინ
ოარიოდე ადამიანი იდგა, მალე გაიკვ-
ლია გზა დახლისკენ. გამყიდველს ფუ-
ლი მიაწოდა, ერთი პიტნაო, ანიშნა.
მწვანე ფერი განსაკუთრებით საამოდ
ელამუნებოდა თვალს ამ სიცხეში.
შეჰყურებდა, როგორ ეშვებოდა ჭიქა-
ში წვრილი მწვანე ჭავლი. მერე ეს მუჭი

სიმწვანე ცივი წყლით შეივსო და გაბა-
ცდა. დასალევად უკვე მზად იყო, სა-
ამური მწვანე ფერის, დაორთქლილი,
გამაგრებელი. ხელი მისკენ გაიწო-
და. ამ დროს კარგა მაგარი წიხლი
ამოსცხო ვილაცამ უქანიდან.

არ წაქეუულა, ორივე ხელით ური-
კას დაეყრდნო. სასმელით სავსე ჭიქა
მწვანე ბუნდოვან ლაქად იქცა. სამაგი-
ეროდ გამყიდველი დაინახა ძალიან
მკაფიოდ, უფრო სწორად, გამყიდ-
ველის კბილები, უსწორმასწორო მსხვი-
ლი თეთრი კბილები. პირს ირგვლივ
სახის სხვა ნაკვთებიც ექნებოდა, უთუ-
ოდ, მაგრამ ისინი სამუდამოდ ჩაინთ-
ქნენ უცხად ჩამოწოლილ მეწამულ-
ვარდისფერ ბურუსში. ბურუსიც ჭი-
ქასაკვით დაორთქლილი იყო, ოფლის
სიმწარით და სიმყრალით, უამრავი
დაღებული პირიდან ამოფრქვეული
ნერწყვით და ოხშივარით დაორთქლი-
ლი.

მალე გასწორდა, უკან მიიხედა. იქ
არავინ იყო, ანუ ზუსტად მის უკან,
ამ მანძილზე, საიდანაც ეს პანღური
შეიძლებოდა მიეღო, არავინ არ იდგა.
მოშორებით კი, დაახლოებით ორ ნა-
ბიჯზე, უამრავი ხალხი იყო. უამრავი
დაღებული პირი, კბილებით გამოვსე-
ბული. ნაირნაირი კბილები, სხვადას-
ხვა ზომისა და ფერის, აქა-იქ — ოქ-
როსი.

— ვინ იყო? — იკითხა. — ვინ
ამომარტყა?

პასუხი არ მიუღია, მხოლოდ კბი-
ლები ხარხარებდნენ. ყველაზე მკაფი-
ოდ ისევ კბილებს ხედავდა, სახეებს
კი სრულებით ვერ არჩევდა. შეიძლე-

ბა ესეც იმ მეწამულ-ვარდისფერი ბურუსის ბრალი იყო, დიდ მდინარესავით ყველა სახე თავის წიაღში აატივტივე და უფორმო ლაქებად აქცია. უამრავი სახე, უამრავი და არცერთი ამავე დროს, სახეთ უსახობა...

— ვინ იყო? — მზერაარეულმა ვილაკას ჩაავლო ხელები და მაგრად შეანჭლია. უფორმო ლაქა ბურუსიდან გამოიკვეთა და უცხო სახემ შემოხედა, კბილები ტუჩებს მიღმა შეიმალნენ.

— მე რა ვიცი, ვინ იყო, თავი გამანებე. — იმ ვილაკამ მაგრად უბიძგა და თავი გაითავისუფლა. მისი სახე გვერდზე გაცურდა, ისიც იმ უსახობაში გაითქვიფა.

თითქოს ვილაკამ დაუძახა, მოქალაქეო, ასეთი ზოგადი ფორმით, აბა მისი სახელი აქ ვის ეცოდინებოდა. მოიხედა, მართლაც, გამყიდველი ხურდას აწოდებდა.

ის ხურდა როგორღა გამოართვა? გამაგრილებელი წყლით სავსე კიპა დაინახა ცხვირწინ, აიღო და დალია. ან ის წყალი რაღამ დააღვივინა? დალია... მომწარო-მწკლარტე გემო დაუტოვა პირში. გამოტრიალდა და წამოვიდა.

ვილაკ ნაცნობი შეხვდა. ვინ იყო, წარმოდგენაც არ ჰქონდა. მგონი კარგა ხანს ილაპარაკეს. მერე იმ ნაცნობმა რაღაც ანეგდოტი მოუყვა და თვითონვე ატეხა სიცილი. კბილები, კბილები... იქნებ ესეც იქ ერია, იმ კბილებში...

სწრაფად მიატოვა გაოცებული თანამოსაუბრე და წამოვიდა.

— ყარამანი მაინც არ გერქვას. — უთხრა თავის თავს სარკეში შინ მისულმა, საბაზანოში ჩაკეტილმა. ირგვლივ სიგრილე და სიმყუდროვე სუფევდა, ისმოდა წყლის საამო ჩხრიალი. საკუთარი სახე, ეს იყო ერთადერთი სახე, რომელიც იმ დღეს მკაფიოდ დაინახა. და ამ სახეს, თუ ჩაწითლებულ თვალებს და მომეტებულად ლაქაფა ფერს არ ჩავთვლით, არაფე-

რი არ ეტყობოდა, სრულიად არაფერი. მერე დღეს იმ ლაქაფა ფერმაც გადაუარა, თავისი ჩვეულ ფერს დაუბრუნდა.

არაფერი შეცვლილა, სრულიად არაფერი. ყარამანი ისევ ყარამანია, შინ თუ გარეთ, ნაცნობ-მეგობრებში, ნათესავებში, სამსახურში... ყველგან კარგი ავტორიტეტით სარგებლობს, მის სახელს ასე უბრალოდ აუგად ვერავინ ვერ ახსენებს. ყარამანს ყოველთვის შეეძლო და ახლაც შეუძლია მტერს მტრულად დაუხვდეს და მოყვარეს — მოყვრულად.

ჰო, ყარამანი ისევ ყარამანია, მაგრამ...

— ყარამან, შესვენებაზე აღარ მიდიხარ? — ჰკითხა თანამშრომელმა სამუშაოზე თავწახრილს. — ნახევარი შესვენება უკვე გავიდა. რა იყო, რა დაგემართა?

ეს ბოლო შეკითხვა იმით იყო გამოწვეული, რომ ყარამანმა რაღაც უცნაურად, ახალგაზოგინებულევით მიამტერა თვალები. თანამშრომლის სახეში დაცინვის ნიშნებს ეძებდა გაფაციცებით, ხმასაც ყურს უჯდებდა, ცდილობდა დაცინვის ნოტები დაეჭირა.

— არაფერი, დავიღალე, წუხელის არ მეძინა. — წაიბურტყუნა ყარამანმა და თვალების სრესას მოჰყვა. თანამშრომელმა სრულიად ბუნებრივად ჩათვალა ეს პასუხი, ჰო, ხდება ხოლმეო, ჩაილაპარაკა და ზურგი შეაქცია.

— ყარამან-ყანთელი სად არის? — ხმამალა, განგებ გაბრტყელებული ტონით იკითხა საყოველთაოდ ცნობილმა ხუმარამ, მეტსახელად ჰინჭრაქას რომ ეძახდნენ. ყარამანს მკედრის ფერი დაედო, როდის-როდის ძლივსლა გაახსენდა, რომ აღრეც ასე ეხუმრებოდა ჰინჭრაქა, სხვაც ხშირად ვახუმრებია ასე, მაგრამ ახლა, მგონი აჭარბებენ... რაღაც ზედმეტი მოეჩვენა წინანდელთან შედარებით...

— მაგას ყარამანის მეტი ვერავინ შეძლებს...

— ეგ თუ ყარამანს მოერევა...

რა ფატალურ მნიშვნელობას იძენდნენ ახლა ყარაამანისთვის ეს უწყინარი ზუმრობით წარმოთქმული სიტყვები. ნეტავი უწინ როგორ ეღერდა მათი ხმა? როგორ წარმოთქვამდნენ მის სახელს?

— ყარამან, ჩაი გაგიცივდა. — შინ, ცოლის ამ ტრივიალურ სიტყვებშიც, დაიცინვის ნოტებს ეძებდა:

ადრეც ასეთი ხმით მეძახდა? არ ვიცი, არ მიმიტყევიან ყურადღება.

„ადრე“ ნიშნავდა: პანლურის მიღებამდე. ნელნელა ყარაამანისთვის მთელი ცხოვრება ორ ნაწილად გაიყო, პანლურამდე და პანლურის შემდეგ, სადაც არ უნდა ყოფილიყო. ერთი წამითაც არ ავიწყდებოდა ის ბედუჯულმართი წამი, როცა ვიღაც მისმა მსგავსმა არსებამ, მასავით აღამიანმა, არავინ იცის, რისთვის და რატომ. კარგა მაგარი ჭიტლაყი უთავაზა, ისე რომ თვითონ უზილაყი და მიუწვდომელი დარჩა ყარაამანისთვის. ხომ იქვე იღვა, იქვე, ორ ნაბიჯზე, სხვებთან ერთად ისიც ხარხარებდა, მაგრამ უზილაყი იყო, მისი სახე უკვალოდ ჩაინთქა იმ მოხარხარე უსახობაში. მიდი და ჩაავლე, თუ ბიჭი ხარ, გამოარჩიე იმ უსახო სახიდან.

არასოდეს ასე უმწეო არ მოსჩვენებია თავისი თავი ყარამანს. არასოდეს არაფერს გაუმწარებია ასე. რაც კი ოდესმე ტყვილი და წყენა უგრძვნია, ყველაფერი ერთბაშად დაავიწყდა.

— ამოურტყამს თუ არა თქვენთვის ვინმეს ოდესმე პანლური? — ქუჩაში მიმავალი ასე ეკითხებოდა ყველას თავის გულში. — არა? თუ კი?.. რა ვიცი. ისეთი თავდაჯერებული და ღირსეული იერი გაქვთ, პირდაპირ ასე გაწერიათ სახეზე: ამქვეყნად ვერავენ ვერაფერს გამოჩრჩება და ვერც მკადრებს ზედმეტსო. და მაინც თუ ვინმე გამოჩნდა ასეთი თავზეხელაღებული, ვაი მისი ბრალი, უჯობს თავისივე ხელით გაითხაროს საშარეო. ჭკვიანური, გალოკილი სახეები, დავარცხნილი თმა... არაფერი გეტყობათ. აბა, ერთი

მეც შემომხედეთ, მეც თქვენსავით არაფერი მეტყობა, მეც თქვენსავით ღირსეული და თავდაჯერებული გამომეტყველება მაქვს. ერთხელ და ორჯერ ხომ არ მინახავს საკუთარი სახე სარკეში. ჰოდა, მე ამომარტყეს პანლური, ამომარტყეს დღისით-მზისით, ყველას დასაწახად. პანლური არც ღამითაა სასიამოვნო, მაგრამ ისე მწარე მაინც არ იქნებოდა! როგორ ხარხარებდნენ... სწორედ ეს იყო ყველაზე უარესი: მოხარხარე უსახობა... მხოლოდ კბილები ჩანდა, უამრავი კბილი ერთად...

თუ ვინმე რაიმეს შეეკითხებოდა ასეთ ფიქრებში გართულ ყარამანს, მაშინვე სწორ პასუხს გასცემდა. იგი ორ სამყაროში ცხოვრობდა ერთდროულად. ერთი იყო მისი შინაგანი ტყვილის, პანლურის სამყარო, მეორე კი გარემომცველი საგნები და ადამიანები. საჭირო შემთხვევაში დაუბრკოლებლად ჩაერთვებოდა გარემომცველ სამყაროშიც ისე, რომ პანლურზე ფიქრი ერთი წამითაც არ ავიწყდებოდა. და არაფერს ისე საგულდაგულოდ არ მალავდა ყარამანი, როგორც ამ შინაგან ტყვილს. მთელი თავისი სული და გული რომ გადაეშალა ვინმესთვის, ყველა სატყვივარი რომ ეამბნა, რასაც კი ოდესმე შეუწყუხებია სიყრმიდან მოწიფულობამდე, ამ პანლურზე ხმას არასდიდებოდა არ ამოიღებდა. იგი იყო სადღაც სიღრმეში, ძალიან საიდუმლოდ მიჩქმალული, ვერავის თვალი ვერ მიაგნებდა. ეს იმას ჰგავდა, როცა აღამიანს ვთქვით, ძირმაგარა აქვს გამოსაჩენ ადგილას, მაგრამ იმაზე მეტად სულ პატარა მუწუჯი აწუხებს სადმე სხეულის უფრო მგრძნობიარე წერტილში. იმ პატარა მუწუჯზე ხომ არავის არაფერს ეტყვის, მხოლოდ ძირმაგარაზე მოპყვება წუწუნს და ჩივილს.

საკუთარ შინაგან ტყვილში ჩაფლული ყარამანი დროის დინებასაც ველარ გრძნობდა თითქოს, დრომ შეწყვიტა მისთვის არსებობა. პანლურის მიღების წამი, ეს მთელ მარადისობას

უდრიდა და ეს მარადისობა მოხარბა-
რე უსახობით. იყო ამოვსებული. რო-
გორ შეეძლო მისი გაზომვა და აღრი-
ცვა. პალტო იყიდეთ, ცოლმა რომ
ურჩია, იმას კი მიხვდა, ზამთარი მო-
სულაო, მაგრამ მერამდენე ზამთარი
იყო იმ პანლურის შემდეგ, წარმოდ-
გენაც არ ჰქონდა.

იყიდა ყარამანმა პალტო და პარი-
კიც იყიდა იმავე დღეს, პარიკიც სჭი-
რდებოდა პალტოზე არახაკლებ, სჭი-
რდებოდა თავის საიდუმლო ჩანაფიქრის
განსახორციელებლად. თანდათან, დღი-
თი-დღე ყარამანი დარწმუნდა, პანლუ-
რზე ფიქრი ან ჭკუაზე შემშლის, ან
ბოლოს მომიღებსო. ან მე, ან ის პან-
ლური. რაღაცა უნდა ვიღონო, — გა-
დაწყვეტით უთხრა თავის თავს, —
სხვა გამოსავალი არ არსებობს, ვერა-
ფრით დაემშვიდდები. რაო? ქრისტი-
ანული მორალი? ერთ ლოყაში რომ
გაგარტყან, მეორე მიუშვირეთ... კი,
ბატონო, ოღონდ ჭერ სახეში შემომ-
ხედე, ვიცოდე ვინა ხარ. შეიძლება,
დავლუნო თავი და ხელი არ შევიბ-
რუნო, ღეთის სახელით, წამებულის
სახელით, სიცოცხლის შენარჩუნების
სახელით, მაგრამ ეს მოხარბარე უსა-
ხობა?.. კბილებით ამოვსებული. ამა-
ზე საშინელი და საზიზღარი აღარაფე-
რია ამ სამყაროში, ეს სწორედ ისაა,
რისი მონელებაც არ შემიძლია, სამა-
გიერო უნდა გადავუხადო, მეც უნ-
და ამოვარტყა პანლური.

კი მაგრამ — ვის?

ამ კითხვამ ბევრი თავსატეხი გაუჩი-
ნა ყარამანს. მართლაც, ვისთვის უნდა
ამოვარტყა პანლური, მოხარბარე უსა-
ხობისთვის? კი, მაგრამ მას ხომ არც
სხეული აქვს. ეს კითხვა დაცინვასა-
ვით ეღერდა. რა ცხადად, რა გამომწე-
ვევად იგონო ეს დაცინვა, როცა ერ-
თხელ შემთხვევით უცხო ოჯახში მოხ-
ვედრილმა ადამიანის თავის ქალა ნა-
ხა საწერ მაგიდაზე დადებული. იმ სა-
წერი მაგიდის პატრონი მგონი მხატ-
ვარი იყო და ეს თავის ქალა მწვავე
განცდებისთვის სჭირდებოდა, ნერვე-

ბის შესალიტინებლად. ყარამანმა კბი-
ლები დაინახა, მიჯრით ჩაწიკვირებუ-
ლი მოხარბარე კბილები და იმეხსუ-
ლივით მიაჩერდა, მთელ სხეულზე კა-
ნი დამდულრულივით აეწვა.

— სწორედ ისა ხარ, ვისაც მე ვე-
ძებ. — უთხრა თავის ქალას ჩუმიად,
გულში. — კბილები გაქვს და სახე არა,
მაგრამ აღარც უქანალი გაქვს, პან-
ლურს ვერ ამოვარტყამ.

მოულოდნელად კბილები გვერდზე გა-
ცურდნენ. ყარამანმა თვალი გააყოლა.
ეს მასპინძელმა გააცოცა თავის ქალა
გვერდზე, ყარამანს ეჭვით უთვალთ-
ვალედა.

ვინმე ხორცშესხმულ, კონკრეტულ
პიროვნებას უნდა ამოვარტყა პანლუ-
რი, ეს ისე აუცილებელია ჩემთვის,
როგორც პაერი, მგონი პაერზე მეტა-
დაც, მაგრამ ვის, შენ ხომ არა? —
ეკითხებოდა ქუჩაში შემხვედრებს თა-
ვის გულში და თვითონვე ეცინებოდა,
ნეტავი იცოდნენ, ახლა მათზე რას
ვფიქრობო.

მოსისხლე მტერს ხომ არ ამოვარტ-
ყა? ამაზეც ჩაეცინა. მყავს მერე მო-
სისხლე? უსიამოვნება ბევრისგან შე-
მხვედრია, მაგრამ მოსისხლეს ვერ ვუ-
წოდებ. თუმცა რატომ ვერ ვუწოდებ.
— შეეკამათა თავის თავს. — სასიკე-
დილოდ არ გაუმეტებიხარ? ვინ გით-
ხრა, რომ არ გაუმეტებიხარ. ვერ მო-
გწვდა, თორემ შენგან ერთ ძვალსაც
არ დატოვებდა მთელს. არის ასეთი...
ახლაც იქაა, ბევრი ანგარიში მაქვს მა-
სთან გასასწორებელი. იმას რომ ამო-
ვარტყა?

დაწვრილებით წარმოიდგინა მთელი
სკენა: მიეპარება ერთ მშვენიერ დღეს
უკნიდან და მთელი ძალით ამოვარტ-
ყამს პანლურს. იპოვის ასეთ მომენტს,
სულ ერთად არ არიან?

— მივიღებ მერე მე ამით იმ პან-
ლურის კომპენსაციას? — ჩაუღრმავე-
და თავის ფიქრებს. იმაზე აღარაფერს
ვამბობ, თვითონ როგორ გადამიხდის
სამაგიეროს. და... საერთოდ, ერთი ამ-
ბავი ატყდება, უფრო სასაცილო მდგო-

მარეობაში ჩავვარდები. ვის აუხსნი, ვის რას გააგებინებ. არა, არ ივარგებს. — თქვა გადაწყვეტით. — იმას სხვა დროს სხვანაირად გავუსწორდები, პანლური სულ სხვა ვინმეს უნდა ამოვარტყა.

— კი მაგრამ ვის? ვის?

ვინმე სრულიად უცნობს, იმისთანას, თვალით რომ არასოდეს მინახავს, მხოლოდ მაშინ ვიგრძნობ შვებას, ყველა ვალს გასტუმრებულად ჩავთვლი. — მოიფიქრა თავის თავთან დიდი სჯა-ბაასის შემდეგ. ეს განზრახვა როგორღაც თითქოს თავისთავად ამოტივტივდა და თანდათან დაიპყრო ყარამანი. ეს მართლაც ყველაზე შესაფერისი, ყველაზე საუკეთესო ვარიანტად მოეჩვენა. ის ვილაცა, მართალია, არ იქნება მოხარხარე უსახობა, მაგრამ რაღაცით მისი ნაწილი იქნება და სწორედ ეს მჭირდება მე ნებისმიერ მოსისხლე მტერზე მეტად. ამოვარტყამ პანლურს და გავიქცევი. თუმცა არა, მაშინვე არ გავიქცევი, სახე უნდა ვნახო მისი, სახე... უსახობის სახე. რა საინტერესო სანახავი იქნება; დაფეთებული, გაოცებული, ნაწყენი... მერე გავიქცევი.

რომ გამომეკიდოს? — დაფიქრდა ისევ. — იქნებ ვერ მოვასწრო დროულად გვერდზე გადაგომა იმ... იმასავით, მე რომ ამომარტყა. ხომ იქვე იდგა იმ წუთში, ჩემს წინ, მაგრამ რას გამოვარჩევდი. იქნებ ვერ მოვასწრო უხიფათო მანძილზე გაცლა. თანაც ვინმემ რომ მიცნოს?

— პარიკს გავიკეთებ. — მოიფიქრა ბოლოს. — თუ გამომეკიდებიან, სასწრაფოდ მოვიხსნი და გადავადგებ. ერთი სიტყვით, ასე: მივდივარ ქუჩაში, ან სხვაგან სადმე, სულ ერთია. ვნახავ ვინმეს შესაფერის პოზაში, მივალ, პანლურს ამოვარტყამ და ვითომც აქ არაფერი, იქვე მის ცხვირწინ გავჩერდები მამა აბრამის ბატკანივით. თუ მიხვდა, მაშინ გავიქცევი. სარისკოა, მაგრამ რას ვიზამ, სხვა გამოსავალი არ მაქვს: ან მე, ან ის პანლური.

ასე გადაწყვიტა ყარამანი და მისი გადაწყვეტილება ურყევად იცხოვრა სხვისი პირით რომ მოესმინა. უნდა იქნებოდა, იქნებ სულიერ აკვიატებად მოსჩვენებოდა ყველაფერი. „თავი დაანებე, მაგაზე ფიქრიც კი არ ღირს“. — ასე ეტყოდა ალბათ იმ სხვას. — „რომელი ჩვენგანი არ იღებს ამქვეყნად პანლურს? ამ ხალხს რომ უყურებ, ასე გაბლენძილები რომ დადიან, აქაოდა მაგარი ბიჭები ვართო. რაო, შენ გგონია, მაგათვის ჭერ ცხვირზე ბუზიც არ აუფრენიათ? ვინ რა იცის, ვისგან, როდის და საიდან იღებს პანლურს, იღებს ისეთნაირად, რომ ამაზე თვითონ წარმოდგენაც არა აქვს, ვერ გრძნობს ამას. ნაცნობს ხომ არავის დაუნახივარ? არა? ჰოდა, რა გაღელვებს? ანდა ვთქვათ, დაგინახეს. მერე რა მოხდა? ყველას აქვს თავისი პანლური, უჯობთ იმაზე იფიქრონ, შეეშვი, ცხოვრებას ნუ იწამლავ...“

ასე ეტყოდა ალბათ სხვას, მაგრამ თავის თავს ასე ველარ დაარიგებდა ჰკუას. სხვა სხვის საქმეში ბრძენიაო, ნათქვამია. თავის ფარულ სატყეივარს ყველა თვითონ უწერს წამალს, ჰკვიანურია თუ სულელური. თვითონვე იცის, რა უშველის და რა არა. და ვერაფრით ვერ მოისვენებს, თუ თავისი არ სცადა. ამ შინაგან, ფარულ სატყეივარს მხოლოდ რჩევა-დარიგება ვერასოდეს ვერ დააცხრობს, როგორც მღუღარე ქოთანს ვერ გააგრილებს სულის შეებრევა, თვითონ ცეცხლი თუ არ გაწელდა.

პარიკის ამორჩევაშეკაც საკმაოდ გააწვალა ყარამანი. არ ეგონა, თუ ეს საქმე ასე რთული იქნებოდა. ვერა და ვერ შეარჩია საჭირო ფერისა და ზომის. ზოგი დიდი იყო, ზოგი პატარა, ზოგიც ზუსტად მისი თმის ფერი იყო, ყველაზე მეტად კი სწორედ ამას გაურბოდა ყარამანი. ბოლოს, ბევრი რჩევის და ჯახირის შემდეგ გამყიდველმა გოგონამ უშველა, გამოუძებნა კუპრივით შავი ფერის პარიკი, და მხრებამდე ჩამოათბატა თავზე. შუბლზე

ჩამოყრილი თმა თვალებამდე უწევდა. მერე მისი შესაფერისი წვერულვაშიც მოინდომა. აქ უფრო დიდ გასაპირში ჩაეარდა, გამყიდველმა გოგონამაც ველარ უშველა, ვერ გამოუძებნა მისი მოსაწონი წვერულვაში. იყო ერთი საჭირო ზომის, ოღონდ — ქლალი. ყარამანს გულზე შემოეყარა. ვის გაუგია სხვადასხვა ფერის თმა და წვერულვაში? მაგრამ უცბად გაახსენდა ერთი თავის ნაცნობი. იმასაც კუპრივით შავი თმა ჰქონდა, მაგრამ წვერი კი ქლალი ამოსდიოდა რატომღაც. ამის გახსენებაზე იყოდა ყარამანმა ის წვერულვაშიც. უკმაყოფილო იყო, მაგრამ შინ რომ გასინჯა დამწვინდებით საბაზანოში ჩაეკტილმა, კმაყოფილი დარჩა, ასე კაციშვილი ვერ მიცნობსო.

რაკი ეს საქმეც მოაგვარა, და სამოქმედო გეგმაც მზად ჰქონდა, ყარამანი შეუდგა თავის განზრახვის აღსრულებას. შინ მისული ყოველ საღამოს, ცოტას შეისვენებდა თუ არა, გამოვიდოდა სახლიდან, შევიდოდა სადმე მუდრო ადგილას, გაიკეთებდა პარიკს და საყვლოაწიქული დასეირნობდა ჭალაქის ქუჩებში. შუბლზე ჩამოყრილი თმიდან ქვეშევშე უთვალთვალებდა შემხვედრ ხალხს, ეძებდა ვინმე შესაფერის პოზაში ენახა და პანლური ამოერტყა. ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა, როგორც ერთი შეხედვით შეიძლებოდა მოსჩვენებოდა ადამიანს. არც ისე ხშირად იყო ვინმე შესაფერის პოზაში მდგარი, ანდა ძალიან ცოტა ხალხი იყო ირგვლივ, ყარამანს საშუალება არ ექნებოდა „მასავით“ გათქვეფილიყო სხვებში. ბევრი ხალხიც იყო ხანდახან, შესაფერისი სიტუაციაც, მაგრამ ყარამანმა ვერ იქნა და ვერ გაზედა, ფეხი ვერ მოსწყვიტა მიწას. ახლა, აბა ახლა... შესძახოდა თავის თავს, მაგრამ ფეხი ტყვიასავით დაუმიძიდა, ველარაფით ველარ მოიქნია.

— ძნელია, — ხენეშოდა თავისთვის ცივ ოფლში გაწუწული, — ეს მართლა ძნელია. მკვლელობაზე უფრო ძნელი,

მე თუ მკითხაეთ. მკვლელობა მკვლელობაა, ეს... ეს რა არის, რაღაც სწინლად სამარცხვინო, სულ ადვილად შეიძლება სასაცილო მდგომარეობაში ჩავეარდე.

თანაც ჭუჩაში პარიკით სიარული არც ისე უხიფათო აღმოჩნდა.

— გამარჯობა, ყარამან, კინალამ ვერ გიცანი, კინოში გიღებენ?

ყარამანმა აიხედა, ვილაც აყლაყულა დასდგომოდა თავზე.

— ჰო, მასობრივ სცენებში.

— გიხდიან რამეს?

— ისე რა...

— მიაგენი ხომ მაინც შენს მოწოდებას, კარგად იყავი, აბა. — ხელი ისე დაარტყა მხარზე, ყარამანი კინალამ ჩაიკეცა. კარგა ხნის ფიჭრის შემდეგ გაახსენდა, მისი სკოლის ამხანაგი იყო, ერთად დადიოდნენ სკოლის დრამაწრეში.

ამ შეხვედრის შემდეგ ყარამანმა გადაწყვიტა ხალხით საცხე ჭუჩისთვის თავი აერიდებინა, სანაპირო არჩია. პირველივე, თითქოს იძულებითი გასეირნების შემდეგ დარწმუნდა, აქ სიარული სჯობიო. სანაპიროზე ხალხი ყოველთვის ცოტაა, მით უმეტეს ზამთრის თვეებში. მართალია, ხალხი რომ არ იქნება ირგვლივ, ჩემს ჩაფიჭრებულ სცენას ერთი მეტად მნიშვნელოვანი დეტალი აკლდება, მაგრამ ასედაც არა უშავს, მაინც კარგ ეფექტს მოვახდენო, ფიჭრობდა ყარამანი. მე ხომ მისი სახის დანახვა მინდა, ამისთვის ერთი წამიც მეყოფა, არა, წამის ნახევარიც საკმარისია, მერე მოვასწრებ გაქცევასაც და მიმალვასაც. ჰო, ნამდვილად აქ სჯობია. — საბოლოოდ გადაწყვიტა ყარამანმა, როცა თვალის შეავლო ჭებირზე გადაყუდებულ ადამიანებს, რომლებიც მდინარეს თვალს არ აცილებდნენ. სხვაგან სად ენახავ საპანლურედ ასეთ მოხერხებულ პოზაში ხალხს?

ამ აღმოჩენამ გუნება გამოუკეთა, სიგარეტს მოუკიდა და წელგამართულმა მხნე ნაბიჯებით დაიწყო წინ და

უკან სიარული. — აქ უნდა მოვსულიყავი თავიდანვე, ახლა უკვე მოშორებული შექნებოდა ის წყეული პანლური. აგერ, რა კარგად დგას, თითქოს მე შელოდებო.

მხნე, დაჭერებული ნაბიჯებით მიუახლოვდა, სიგარეტსაც ხაზგასმულად ლაღად აბოლებდა, ვითომც აქ არაფერიყო. კრიტიკულ მანძილს რომ მივალწია, მუხლები აუკანაყალდა, სუნთქვა შეუფერხებლად და ვერც აქ, ამ ცარიელ სანაპიროზე ვერ მოსწყვიტა მიწას ფეხი, თითქოს ასფალტს მიეწებო.

ჩაუარა, კარგა მანძილით გაცდა და მერეღა მობრუნდა უკან. ნახევარი გზაც არ გაველო, უცნობი მოაჯირს მოსცილდა, მოტრიალდა და მისკენ გამოემართა. ნელა, დინჯად ჩაუარა ყარამანს, მისთვის ზედაც არ შეუხედავს, ერთი ზორზობი ვინმე იყო, თავიდან არ ეტყობოდა.

— ეეჰ, ყარამანი მაინც არ გერქვას. — უთხრა თავის თავს ყვედრებით ყარამანმა. — რა დაგემართა, სულ მთლად წაბდი? აი ცარიელ სანაპიროზე რილასი გეშინია?

სიგარეტი ღრმად მოქაჩა, ცოტათი დამშვიდდა და ისევ გააგრძელა სეირნობა. ჭერჭერობით არავინ არ ჩანდა შესაფერის პოზაში მდგარი, ანდა ბევრნი იყვნენ ერთად. ზოგიერთები თევზაობდნენ ჭებირებზე შემომსხდარნი, ისინი სათვალავში ჩასაგდებნი არ იყვნენ; აბა, როგორ ამოარტყამ პანლურს მჭდომარე ადამიანს? — მთელი სერიოზულობით ფიქრობდა ყარამანი.

მერე გამოჩნდა ვილაც შესაფერისი, აუჩქარებლად მოსეირნობდა პალტოს საყულოაწეული. მერე მდინარის მოაჯირს გადაეყუდა. ყარამანმა კრიტიკული თვალით შეათვალიერა; ჩემი ტანისაა, რამე რომ იყოს... პალტოც კი ჩემნაირი აცვია. სასაცილო კია, იქნებ ერთად ვიყიდეთ მე და მაგან ეს პალტოები, მაღაზიაში შევხვდით ერთმანეთს და ახლა ისევ ვხვდებით სულ სხვა სიტუაციაში. ვინ რა იცის, სად

როგორ შეგვახვედრებს ერთმანეთს ცხოვრების მღვრიე მდინარე?

აბა, ფილოსოფოსობდა ვილაც არ არის. — შეუძახა თავის თავს იმ წამსვე. — მოქმედება, მოქმედებაა საჭირო. ეს სწორედ ისაა, რაც მე მჭირდება, თითქოს საგანგებოდ ჩემთვის მოვლენილა ამ სანაპიროზე.

მართლაც, ძალიან მოხერხებულ პოზაში იყო ის ვილაცა. გამომწვევად უკანალგამოშვერილს თვალი მდინარისთვის გაეშტერებინა, მგონი ძალიან ჩანთქმული იყო საკუთარ ფიქრებში.

ყარამანი ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა. ირგვლივ კაციშვილი არ ქაჰანებდა. როცა მივალწია იმ კრიტიკულ მანძილს, რომელიც პანლურისთვის იყო საჭირო, გულმა ისევ აჩქარებით დაიწყო ძგერა, ოფლმა დაასხა და აკანკალებულმა ისე ჩაუარა უკან, შეჩერებაც კი ვერ შეძლო ერთი წამით.

რამდენიმე ნაბიჯით რომ გასცილდა, მხოლოდ მაშინ შეჩერდა და მძიმე ქაქანით მოითქვა სული. რისი გეშინია, შენ ახლა არაფრის უნდა გეშინოდეს. — უმტიციებდა თავის თავს და ცდილობდა ნერვიული კანკალი დაეოკებინა. — ზომ იცი, რომ სხვა გზა არა გაქვს, ან შენ, ან ის პანლური...

მოტრიალდა, ისევ მიუახლოვდა უცნობს, ნაბიჯი თანდათან შეანელა, შეჩერდა კიდევ... შეჩერდა ორიოდ წამით... და ისევ გააგრძელა სიარული, სიგარეტს მოუკიდა იმ შეჩერების დროს.

— რა მემართება ბოლოს და ბოლოს? — გაუბრაზდა თავის თავს მართლა გულმოსული, — მკვლევლობას ხომ არ ვაპირებ, ერთი პანლური, მხოლოდ ერთი, მეტი არაფერი.

კვამლი ისე ღრმად ჩაისუნთქა, მთელი ფილტვები აუწვა, მაგრამ ერთიც არ ამოუხველებია, მობრუნდა და სწრაფი ნაბიჯით გაემართა უცნობისკენ. სწრაფი ტემპი იმიტომ აიღო თავიდანვე, შიშს რომ ვერ მოეწერა მისი დაჯახნა. დაახლოებით შუა გზაზე იყო, როცა უცნობი მოსცილდა მოა-

ჯირს, წელში გაიმართა და ნელნელა სეირნობით გაუყვა ტროტუარს.

გამწარებულმა ყარამანმა თავის თავს შეუკურთხა. რას ვუყურებდი ამდენ ხანს? ასეთ მოხერხებულ შემთხვევას როდისღა წავაწყდები. სულ მთლად ცარიელი სახაპირო და „ის“ მოაჯირზე გადაყუდებული... მართლა ყველაფრის ღირსი ხარ. — თათხავდა თავის თავს. — მართლა სულ პანდურები უნდა უტრყან შენისთანა უტყინოს, შენზე ახია.

ორიოდე წრე დაარტყა აჩქარებული ნაბიჯებით და მერე თვითონვე გადაეყუდა მოაჯირს. მღვრიე, ტალახისფერ მდინარეს შეჰყურებდა, გამხმარ ფოთლებს და ათასნაირ ნაგაეს რომ მოაცილებდა, მაგრამ ვერაფერს ამჩნევდა. ახია ჩემზე ყველაფერი, ახი. — ისევ ილანძღებოდა გუნებაში. — ახია, ახლა რომ მართლა ამომარტყას ვინმემ პანდური, ხომ მოხერხებულ პოზაში ვარ, ა?

ამის გაფიქრება იყო და ზურგიდან ნაბიჯების ხმა შემოესმა. მთელი ტანით დაიძაბა. ყური მიუგდო. თითქოს გულმავე შეწყვიტა ძგერა, ისე გაიღურსა. აჰა, უკვე სულ ახლოს არის, სულ ახლოს... და ისევე მიწყდა ნაბიჯების ხმა. გზა გააგრძელა, არ შეჩერებულა.

ჯერ გაბედა ვითომ? თუ... თუ არც აპირებდა. რა ეიცო, მე ახლა ისე მეჩვენებოდა, თითქოს ყველა პანდურის ამორტყმას მიპირებდეს, ვინც კი ახლოს ჩამივლის.

შორს არ წასულა, აქვე დასეირნობს. ისევე გამოემართა მისკენ. მოახლოვდა, მოახლოვდა... კიდევ ცოტაც და... ნაბიჯების ხმა შეწყდა. შეჩერდა, არსად არ მიდის...

ოჰ, ერთი მართლა ამომარტყას ახლა პანდური, მიკტი არაფერი მინდა. რას ვუზამ საბაგიეროდ? მეც არ ვიცი, ნამდვილად არ ვიცი.

არ ამორტყამს სიგარეტის სუნიცა, მერე ისევ ნაბიჯების ხმა მოესმა და მიხვდა, ისიც ჩემსავით სიგარეტის მოსაკიდებლად შეჩერებულაო, ჩემსავით? შეეკითხა თავის თავს და ნათელიანად ჩაეცინა. — რა ვიცი, მართლა რას გაიგებ, პალტოს საყელო მეც კი მაქვს აწეული, ცივა და იმიტომ.

ნელნელა დასეირნობს, თითქოს აქაურობა არ ეთმობაო. არც მე ეთმობა, სასეირნოდ მშვენიერი საღამოა, ცაზე

ვარსკვლავები ერთიმეორის მივიღებ-ბით ინთებიან. ქალაქის ნათურები მდინარეში ციმციმებენ და ვერცეურ ვარსკვლავებს უწევს შეტოქეობას. რა სილამაზეა. აქვე ჩემს გვერდით მანქანების ნიაღვარი მოედინება შეუწყვეტელი გუგუნით, მათი შხამიანი სუნთქვა ახლა ისე შემაწუხებელი აღარაა, როგორც ზაფხულში.

წავიდა? არა. ისევ იქაა... ყველაზე ხელსაყრელ პოზაში. კიდევ უფრო გადაყუდება მოაჯირს, თითქოს წყალში არეკილ ნათურებს ითვლიდეს.

ორიოდე ნაბიჯიც და მყისიერად შემდგარმა მთელი ძალით მოიქნია ფეხი. ამ მოძრაობას იმხელა სიმძიმე ვაატანა თან, თითქოს ის მაქალაქუნა, რაც ამდენ ხანს გულზე აწვა, ერთი დაკვრით მოიშორა თავიდანო. „აჰა, ეგაც შენ, მიიღე თუ არა“. ეს სიტყვები გულში თქვა, ხმამაღლა კი ერთი ამოისუნთქა მხოლოდ, ამოისუნთქა შევებით, ღრმად და გულიანად. რამდენი ბოლმა ამოაყოლა იმ ერთ ამოსუნთქვას.

ახლა კი აღარაფერს დავეძებ, კიდევ რომ მომკლან, ნაუწუნაუწუ დამეკაონ, სრულებით არ მენალვლება, ტყვილსაც კი ვერ ვიგრძნობ. ოღონდ ჯერ სახე... სახე უნდა ვნახო შენი, მრავალსახა უსახობის, მოხარხარე უსახობის სახე. ახლა ხომ მაინც მოიხედავ.

მართლა მოიხედა იმ ვილაცამ, ერთი ხმამალალი შეყვირების შემდეგ მაშინვე მოტრიალდა. და იმან, რაც თვალში ეცა გასაქცევად მომართულ ყარამანს, ადგილზე მიაჯაჭვა. უკიდურესად ნაცნობმა სახემ, მისმა საყუთარმა თვალებმა შემოხედეს, შიშით, წყენით და გაბოროტებით სავსე თვალებმა. და პარიკი... რა თქმა უნდა, პარიკი იყო, ოღონდ შებრუნებულად ეხურა. იმ ვილაცას თმა ჰქონდა ქლილი, წვერულვაში კი — კუბრივით შავი. ულვაშის ერთი ბოლო აძარბოვდა თითქოს საგანგებოდ, მის არაბუნებრივობაში რომ დაერწმუნებინა მნახველი.

ტავუ მკურნიშვილი

თვითონ მაქვს

ტოროლასავეით წყრიალა
რომ მესმის ხმა სალამურის,
სხეულში ერეოლა კი არა,
დამივლის თვითონ მამული.

რომ მტეხს და მანჯღრევს იარა
და ხსნას და საშველს არ ვეძებ,
მაშინ ცრემლები კი არა,
სამშობლო მადგას თვალებზე.

რომ ვერ ვიკარებ გვიან ძილს —
მამლის მესამე ყივილზეც,
მე უძილობა კი არ მჭირს,
მჭირს საქართველოს სიფხიზლე.

მეც გმირობაზე ბოდებით
გული და სული მეღევა...
და ვნატრობ,
როცა მოგვედები.
შენს თვალს დავდინდე ცრემლებად.

მწამს

მეუბნები: არ გაბრაზდე,
ყველაფერი ჩაივლის,
შენ რა იცი, ბრაალად რას მდებს
ჭორის ბნელი ჩხავეილი.
აღბათ როსმე ჭორის ავდარს
შეცვლის მართლის ამინდი...
მწამს:
მტერი რომ მომიმრავლდა,
საქმე ცუდად არ მიმდის.

მიკვირს



მოგონებამ ამოხეტია ჭავლივით
და გაცოცხლდა წელი ერთი ჩავლილი.

მაშინ ვიგრძენ სიყვარული პირველი —
ერთდროულად მხსნელიც და
გამწირველიც

საკუთარ თავს ათასჯერ რომ მერჩია,
სიკვდილს თურმე იგი ამოერჩია.

მერე საფლავს — იმ გლოვის სიანკარე—
ცრემლი, როგორც ყვავილები, ვაყარე.

მიკვირს: ცრემლი — ჩემში მგოსნის
შვობელი —
როგორ არის დღემდე დაუშრობელი.

..გზის პოვნაა ეს ცხოვრება

სინათლედ რომ ჩაგვეყარი
გულში,
აღსდექე სამარიდან,
ბედმა გზაზე ნარ-ეკალი
არც ხატყოფილს აგარიდა.

ეს საწუთრო არის დავა
სიმდაბლის და სიდიადის,

ერთი მიხედვ-მოხედვაა
სიცოცხლიდან სიკვდილამდის.

შენი გზისკენ მომავალი
გზის პოვნაა ეს ცხოვრება,
მოხდილი აქვს მპოვნელს ვალი,
მეტი არც მოეთხოვება.



თეზურ ჩხატიანი

სინათლის ჩაქრობამდე

1. ეს არის კარგი ბავშვების ღედა —
ორი პატარა საწოლს შორის:
ჭერ ერთთან მიდის,
მერე — მეორესთან;
ფრთხილად უკეცავს საბანს,
ფრთხილად ეხება კულულებზე,
ლიმილით ასწორებს სკამზე
გადაკიდულ პაწია შარვალს;
იღებს იატაკზე დაგდებულ სათამაშოს
და მერე, უკვე კართან მისული
კიდევ ერთხელ გადმოხედავს
საყვარელ სახეებს —
სინათლის ჩაქრობამდე.
2. ეს სულ სხვა ვინმეა —
მარტოხელაა და ოთახშიც მარტოა:
ეს-ესაა გადაიცივა ღამის პერანგი
და ახლა სარკეში უმზერს
თავის ორეულს.
ნაღვლიანია და ჭერ კიდევ ღამაში.
დაუხარჯავი ტუჩები... მხრები...
პოდა, დგას ასე,
3. ეს კი მოხუცი ბატონი გაბლავთ —
უკვე ლოგინშია ჩაწოლილი
(არც გაემტყუნება — ის ხომ
მოხუცია),
საწოლთან უდგას მაგიდის ნათურა
და რალაც წიგნს ჩაშტერებია...
კითხვას თავს ანებებს
და ერთხანს ფიქრობს,
მერე კი იჭვე, წიგნზე სტოვებს
ხელში შერჩენილ გაბზარულ
სათვალეს —
სინათლის ჩაქრობამდე.
4. რაც შემეხება მე, —
მე მხოლოდ ამის თქმა მინდოდა
თქვენთვის...
სინათლის ჩაქრობამდე.

მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდე

არა მაინცდამაინც ვინმეს დასაწახად,
არამედ იმიტომ, რომ
შენ მართლაც ასეთი ხარ
და სხვაგვარად მოქცევა არ შეგიძლია,
გადადგამ ხოლმე ამნაირ ნაბიჯს.

ნაბიჯს, რომელიც
ხალხის ნაკადისგან გამოგარჩევს,
ტროტუარის კუთხესთან მიგიყვანს,
რათა ვინმე დავრდომილ მათხოვარს
ფული ჩაუღო.



არა მაინც მაინც ვინმეს დასანახად,
 არამედ იმიტომ, რომ
 შენ მართლაც ასეთი ხარ
 და სხვაგვარად მოქცევა არ შეგიძლია,
 გადადგამ ხოლმე ამნაირ ნაბიჯს.

და შეიძლება ვერც კი ხვდებოდე,
 რომ რაღაც ზღვარზე გაიარე,
 რაღაც ბილიკზე,
 რომლის მიღმაც შენს სიკეთეს
 გადახედვა არ შეუძლია.

ეს შენი სათნოების საზღვარია,
 მიჯნა, რომელსაც ვერ გადასცდები,
 საიდანაც უნდა გაბრუნდე
 და გზა განაგრძო.

და არც არავინ არ გაგამტყუნებს, —
 გულწრფელი იყო მისი „მადლობაც“
 და მაინც ერთხელ
 ისიცაა მოსალოდნელი,
 ირონიულად გადმოგხედოს ვინმე
 გამვლელმა.

სიკეთის ქმნამაც იცის შეტყუება,
 იცის გაბრუნება,
 და შეიძლება ისეც მოხდეს,
 რომ ჩაგითრიოს
 და წაგიღოს სადღაც ფსკერისკენ, —

თვითვე გაქციოს შესაბრალოდ
 და საწყალობლად...
 ეპიკურული
 გიგლინიძე

იტყვიან ხოლმე:
 ბავშვს თუ გაუცინებ,
 უკანაღს გიჩვენებსო.
 ამას, რასაკვირველია, არა უშავს
 (ბავშვისა ხომ ყველაფერი
 საყვარელია!),

მაგრამ იმ მათხოვარს,
 შენ რომ დაუნანებლად ფული აჩუქე
 და სიბრაღულით გადააქნიე ლამაზი
 თავი,

ხო შეიძლება სხვა რამ სურდეს
 იმ ფულზე მეტად? —
 ან ხელის სითბო,
 ან შენი კალთა — ცრემლის
 დასაცლელად...

მაგრამ აქეთვე
 შენი ფიქრი აღარ წამოვა,
 შენ იმის კუჭყს ვერ მიიკარებ,
 და აქ დაესმის წერტილი შენს
 სულგრძობობასაც,
 რადგან მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდე
 შეგიძლია იყო ასეთი
 და არ ექცე შენსავ თავს ვნებად...

ჩვენ მეტი არც მოგვეკითხება,
 და არც ცხოვრება არ არის მოწყობილი
 უმტკივნეულოდ.



საკვატიო სტუმარი

ლამიანი მიწა ჯავარიანად მოსდევს თოხს. ყრუდ რეკავს კენჭს ან ქვას ანაზღად მოხვედრილი ფოლადი. მაგრამ ამოიღებ თუ არა რკინას მიწიდან, ზრიალი წყრილით იცვლება. ლებე მონუსხულივით უგდებს ყურს, თითქოს ამ ხმის გაგონება იყოს საქმიანობის თავი და თავი მიზანი. ისე, გემრიელი ფიჭვი იცის თოხნამ, მრავალწახნაგოვანი, თავდავიწყებამდე გამტაცებული. ზოგჯერ ფილოსოფიური განსჯის ჭიაც ახიციანდება, უმაღლეს მატერიებსაც შეგაკვიდებს, თუმცა დიდი ხნით ვერაფერთან ჩერდება ფიჭვის ბორბალი. რაღაცნაირად მსუბუქი და თამაშით სიამის მიმნიჭებელია ეს სრბოლა, ხან ცხოვრებასავით ბრძენი და მძიმე.

სამოროდო ყანა, რა თქმა უნდა, ხელსწორი არ არის, აქ რომ თვალსატაცი ძირია, იქვე ფსიოტი და ჩია ბოგინობს, მაგრამ საერთო განლაგების მიხედვით მთოხნელმა სწორედ ის კარგი უნდა გამოხშიროს. ლებეს მგრძობიარე არსება კმუნვით და ოხვრით აღასრულებს თავის ვალს და ხშირავს იმ კარგს, საერთო განლაგების მსხვერპლს, მიწას უფხვიერებს და ბალახს აცლის დაჩიავებულს. თუ პირიქით მოხდა და ართვალის გამოჭრა მოითხოვა ყანამ, ლებე ისევ საგონებელში ვარდება...

— ეჰ, ასეა ცხოვრება! — ჩუმიად ხენეშის და ყური იმ ანაზღიელი ზა-

რის ხმას იჭერს, მალლა აწეული თოხი რომ გამოსცემს.

ლებე მეზობლის ობოლი გოგოს ყანას თოხნის. გოგოს ღია ჰქვია. ღიამ ინსტიტუტი დაამთავრა და ქალაქში არჩია დარჩენა. ოჯახს მისი შინაბერა მამიდა მზრუნველობს, თვითონ მისახედი და საპატრონო თეო. გოგოს ჩამოსვლიდან ჩამოსვლამდე თეო ხორაგით დამძიმებულ კალათას უგზავნის, მატარებლის გამცილებლის ხელით.

ისე... კვლავ სამეზობლოში ტრიალებს ლებეს განსჯის თვალი:— უნდა ჩამოსულიყო, ამხელა სოფელში აგრონომი ქალი რავე მოკვდებოდა შიმშილით. იქნებ ამ ჩიჩილაკებივით ჩამომხმარი თუთებისთვის მიეხედა, რავე გადაშენდნენ ერთბაშად. ეჰ, რა ბეოლა იცოდა აქ! თეთრი ბეოლა, ქლალი ბეოლა, შავი ბეოლა. მაინც, რავე მარტო ბეოლას დაერია ის შეჩვენებული ჭირი? არა და მისწრება არ იყო მოროდობისას ბეოლა? ახლა რომ აღმა გაუბრბის თვალი სადილის მოლოდინში, მიდგებოდა აგერ ხე რომაა, იმასთან...

ლებე თავს აქიციანებს, წყრება, ბეოლის კეკლისთვის რავე ვიკლავ თავსო. აქი სხვა საფიქრალი ვაებლანდა წელან...

ჰო, ისაა აგერ, ახალი ზოოტექნიკოსი, არ ჩანს ურიგო კაცი, ძაან შინაურულია, თითქოს აქაური იყოს, უყვარს ყველას, სიტყვა გინდა, პასუხი გინდა. აბა, გული რომ შესტიკვა ხალხის ჭირ-

ვარამზე ხომ ჩანს და ჩანს, შუალამეზე არ დაგზარდება და წამოგყვება ბლუნკი ხმოს სამკურნალოდ.

ლებე თვალს ავლებს ზეზეურად ჩამომხმარ თუთის ზეებს, გირლიანდებივით რომ ჩამოჰყიდებიან მალღარის ხშირფოთლებიანი ლერწები. პატრონი რომ ყავდეს, ამ მალღარს ბოძებს დაუსობდა და მავთულს გაუბამდა. მთელს სოფელში ასე აქვთ ახლა ვენახი. ხმელი ზის ეზოში გაჩერებაც ცოდვად ითვლება. ერთი სამი დღე დასჭირდება ამ საქმეს. ყანას რომ აიღებენ, აჩეხავს პირწმინდად ამ ჩამომჰკნარ თუთებს და გადასხეპავს ბოძებად, მერე მავთულებით დაქსელავს...

— აქვთ ამოხვალ, ლებე, თუ მე ჩამოვიდე?

სერზე თეო დგას მომცრო კალათით ხელში.

დაბერდა თეო. ლებე სულ მდინარის პირას სადილობს, როცა ამ ყანას თოხნის, რალას ეკითხება ახლა? ხმას არ სცემს, იმიტომ კი არა, რომ გაბრაზდა. არა, თავის თავს უწყობდა: ქვეყნის ფიჭვებს გადაყვა და სადილობამდე გასაკეთებელი ვერ მოათავა. თეო კაკლისკენ წავიდა.

— მოდი, ბიჭო! — დაუძახა. — კარგად კი გიმუშავნია.

— გათავდა, — ეხმიანება ლებე. — ამის მეტად ამ ყანაში თოხის დამკვრელი არა ვარ, იცოდე.

— შარშანაც ასე არ დაგვექაღნე? — უღიმის თეო.

— შარშან სხვა იყო. წელს მორჩა. — ლებემ თვითონაც არ იცის, რატომ წყრება. შარშანაც თქვა ეს სიტყვები, მაგრამ ბრაზი არ ხლებია შარშანდელ ნათქვამს.

— კარგი, ლებე, ღმერთით გაისამდე გავატანო და...

— არ ვიცი მე. გათხოვდეს და პატრონი მოუნახოს ამ ეზო-მიდამოს.

— ჰოდა, ასეა ახლა საქმე, გვეშველა მგონი, — თეო შეთქმულივით უდაბლებს ხმას.

ლებე ხელებს იშრალებს ხალათის ბოლოთი.

— რაო, თქვა რამე? — მდებარეობს მემდეგ.

— არ დაგინახავს? ჩამოვიდა, ისეთი ახალი ავტო ჰყავს, უცხოურიაო, — კვლავ ჩურჩულით ამბობს თეო და დაზაფრულივით იხედება. — პროფესორივით ნასწავლი ყოფილა. იცი შენ, მაგისი არაფერი გამეგება, მაგრამ თვალტანად არა უშავს.

ლებე არაფერს ამბობს, ჯდება და ჭამას იწყებს. ენად გაკრფილი თეო უცხოური მანქანით ჩამოსულ, პროფესორივით ნასწავლ სტუმარს აქებს.

— მაკალე, შე მამაცხონებულო, ლუკმის გადაყლაპვა. — ცხარობს ლებე და ახველებს. მერე ღვინიან დოქს იღებს და ჩვეულებრივ კი არ ილოცება, ჩვენს დღევანდელ საქმიანობას გაუმარჯოს, კეთილად მოგახმაროთო, პირდაპირ სევამს, — კინალამ არ დავიღრჩვი. — დასძენს და დოქს დგამს.

იცის თეომ ლებეს ახირებული ხასიათის, მაგრამ ლიას გათხოვებას ისე ეშურებოდა და შენატროდა, თითქოს მამა ან უფროსი ძმა ყოფილიყო მისი და რა ბზიკმა უქბინა, რატომ გაბრაზდა?

— მოგეწონება, ისეთი კაცია! — ასკენის თეო.

— როდის ჩამოვიდა? — როგორც იქნა, მშვიდად იკითხა ლებემ.

— დილით, ძროხა რომ გავდენე და მოვბრუნდი, შინ დაბვდი. მთელი ღამე უვლია და დიძინა ნამგზავრმა.

— დილას აქვთ ძინავს? — ამრებით იკითხა ლებემ.

თეომ ჩუმი დაცინვა იგრძნო ლებეს ნათქვამში. არ მოეწონა. ლიას საქმრო თუ ლებეს არ დაუჯდა ჰკუაში, სოფელიც აითვალისწინებს. ლებეს სიტყვას, როგორი ახირებულიც არ უნდა იყოს, ფასი აქვს მეზობლებში.

— რავა ძინავს, შე კაცო, სახლის წინ მაგიდა და გრძელი სკამი რომაა ისინი შეაკეთა. ხომ გახსოვს, მორაყეული იყო ერთიც და მეორეც.

— კუმ, — ამბობს ლებე და ისევ იყუდებს დოქს.

— ამას რომ მოვრჩები, კიბეს მოაჯირს გამოვუცვლი, გატეხილიაო. მერე...

— სახლის სახურავის შეცვლა მართკამ არ დაიწყოს, თეო. — ახლა ამკარად დაცინის ლებე, — უცადი კაცი ყოფილა, არ ჩამოვარდეს.

აიფოფრა თეო, რა ჭია შეუჯდა ამ ლებეს, რა დაემართა?..

ბმას არ იღებენ. თეოს ერთი სული აქვს, როდის მორჩება ლებე ლეკვას, ალაგებს მერე ამ თეფშებს და გაეცლება, თუ არა...

— ლიამ რაო? — მოგვიანებით ეკითხება ლებე.

— ზღვაზე უნდა წავყვეო?

— მერე?

— არ ვიცი. ლია დიდი გოგოა, თავისი...

— კაი ამბავია. — ამბობს ლებე.

— რა ვიცი, რა, — ფრთამოტეხილივით ფართხალებს დედაბრის სიტყვა.

ლებე წამოდგა, პაპიროსის მოწვევაც კი დაავიწყდა, ისე დაუბრუნდა სამუშაოს. თოხი ზანტად მოიქნია. წყრილის ხმაე კი შემოესმა, მაგრამ ყური არ ათხოვა, ერთგან კი, გამოშენებული სიმიინდი რომ შემოქრა, გაყოფდა: — რა გინდა, შე დამთხვეულო ლებეია? ცხონებული მინაგოს გოგოს აბეჯუნად ხომ არ დაუნიშინხარ? ის კი არა, ლიას დედას სულაც არ ეხატებოდი გულზე, ლენჩს გეძახდა, — შეუტია თავს ლებემ. — გათხოვდეს მერე ის გოგო, რა შენი ჭკუის საქმეა, მაგი, პროფესორივით ნასწავლს გაყვება თუ იმ ახლადმოსულ ზოოტექნიკოსს...

დაიჭირა ლებემ აღრენის მიზეზი. აკი უკვირდა, რატომ გამახსენდა ახალი ზოოტექნიკოსისი და აგერ, ხედავ შენ?.. უძახონ ლებეს ზოგიერთებმა ლენჩი. კი ბატონო, მაგრამ ის პროფესორივით ნასწავლი კაცი თუ ახალ ზოოტექნიკოსს ნახევრად მაინც მიუდგება, თავს

მოიჭრის. ასე ირწმუნა ლებემ და რა ქნას?

გაასწორა სვრელი ლებემ, მაშინ თოხი, მაგრამ ხელს რომ წამდასწუმინაცვლებდა და ჩქარობდა, ეს არ ეკაშნიკა. მშვიდი მიყოლა უყვარს თოხს, ფეხდინჯი, მონაქნევი ზომიერი თუ არ დარჩა, პირწმინდა არ გამოვა ნახელავი, ოროშ-მორაში და წათარებული ნამუშევარი კი ლებეს არ ეკადრება.

ეჩხუბობ და იმის ბრალია ეს! — ასკენის ლებე, ჩერდება, ჯიბიდან პაპიროსს იღებს, აბოლებს და თუთუნის ბოლს ატანს აფორიაქებულ ფიქრებს. პაპიროსის ჩაწვამდე დამშვიდდა ლებე, მომდევნო ათი წუთის შემდეგ კი სულ დაავიწყდა ყველაფერი — ლიაც, ახალი ზოოტექნიკოსიც, ის პროფესორივით ნასწავლი კაციც და ენად გაჩრედილი თეოც.

ახლა სხვა საფიქრალი აუტრიალდა. წუხელ ტელევიზორში ვიეტნამელი გლეხები აჩვენეს. ასე მასავით იღგნენ ბრინჯის ყანაში, სამყურა, გაპარკყული თოხებით ხელში და სულ ზევით იხედებოდნენ, — ცაში თვითმფრინავები გუგუნებდნენ.

— არ აცლიან მამამაღლები მუშაობას ხალხს, — თქვა მაშინ ლებემ.

— უშენოდაც გაარკვევენ მაგ ამბავს, გამოთიშე ტელევიზორი, ბავშვებს სძინავთ! — გაუბრაზდა ცოლი.

— ჩემი საქმე რომ არ იყოს, არც მაჩვენებდნენ მაშინ, ბიჭოს! — გაცხარდა ლებე.

ქალმა ისევ თქვა რადაც. ლებემ ყური არ ათხოვა. ტელევიზორის ეკრანზე უკვე სხვა კადრებს უჩვენებდნენ: დიდ მოედანზე აზვირთებული ხალხი ვილაც თეთრწვერა კაცის სურათებს აფრიალებდა.

კაი რამე კია თოხნა, — ფიქრობს ლებე და კენჭს წამოდებული თოხის წყრილს უგდებს ყურს, — იფიქრე რაც გსურს, ეკამათე ვისაც გინდა, თუ ჭკუაში დაგიჯდება აგერ თავმჯდომარესაც გააჭიპებ, ცოტა კილი და ხინჯი მოენახება თუ? სამან-საზომ დადე-

ბული სამასი ჰექტარის ნაცვლად ხუთასი რომ მოხნა და დათესა, საბუთებში კი მიინც სამასი აქვს გატარებული, ვითომც და საჰექტარო მოსავლის სარეკორდო მაჩვენებლის მისაღწევად, ვის უხვევს მაგი თვალებს? ხუთქიმიან ვარსკვლავს რომ ეთიბვილავება და სოფლის საქონელს დრუნჩის დასადები არ დაუტოვებ საქმეა აგი? ახლა რომ კრება იქნება ლებე ქვას ქვაზე არ დატოვებს. მთავრობა მის მხარეზეა. ტელევიზორში სულ იმას ამბობენ, გლახს დავებმართთ საქარმიდამო მეურნეობის უკეთ მოწყობაშიო. კი ბატონო, იტყვის ყველაფერს, ყურების გამოფხეკა ჭირდება თავმჯდომარეს.

კრებაზე სათქმელი სიტყვა რომ გამოჩანდა და გამოაკობიტა, გაშალაშინებას აღარ დაელოდა, სხვა საფიქრალს გაუნასკვა ყური: ნეტა მართლა ისე უპატრონო და უცოდინარია იმ სახელმწიფოს ხალხი... — ლებემ კარგა ხანს ვერ მოიგონა ტელევიზორში ნახი რომელიდაც ქვეყნის სახელი, მშიერ-ტიტველი ბავშვები რომ დალასლასებდნენ ქალაქის მოედანზე. — ჩამოიყვანონ აგერ ის ცოდვიშვილები, ყოველდღე საცივსა და ჩახოზბილს თუ ვერ მიართმევენ, მჭადს ხომ აჭმევენ, ისიც თუ არ ეყოფათ, ხილი აგერ არ არის? თვითონ პანტის კეკლით გაიზარდა. ძალა არა აქვს თუ ღონე, ან ხილი სად იყო მაშინ ამდენი?

ლებეს დედულეთი ამოუცურდა მესიერებაში. ომი ახალდამთავრებული იყო მაშინ. თვითონ ათი-თორმეტი წლისა იქნებოდა. მისი ტოლი ბიჭები ნახილს მწყემსავდნენ სოფლის ახლოს. ლებეს პანტა ჰქონდა ამოჩემებული. შაქარივით ნაყოფი ესხა, ჭორფლიანი, ყვითლად დაწინწყლული. ლებემ მეზობლის ბიჭს აჩვენა პანტა. ბიჭი ისე იყო გამსლეული შიმშილისაგან, ლებეს შეეცოდა და იმიტომ ასწავლა იმ ბიჭს ასავალ-დასავალიც მეორე დღეს; ლებემ ერთიანად გაკრეფილი და ტოტებდამტყრეული ნახა პანტა. გამოედევნა ლენტორიას (ასე ეძახდნენ იმ

ბიჭს), პატარა ჭკუის სწავლებას უბირებდა, თორემ ხომ არ მთკვლავდა პანტისათვის. გამოეცოდა და მწყურველ ლენტორიე. გამოუდგა ლებე. ირბინეს. ძან კი ვარბოდა ის ვირისთავი ლენტორიე, ლობეს რომ არ გადაყროდნენ...

ლებე რომ ლობესთან მივიდა და გადაიხედა, მეორე მხარეს ბალახებში ლენტორიე ეგდო, სახე სისხლით ჰქონდა მოსერილი. შეცბა ლებე, ერთი პირობა გაქცევაც კი დააპირა, მაგრამ რალაცამ შებოჭა და ფეხი არ მოაცვლევინა. მერე წელმოწყვეტილი გადავიდა ლობეზე, ლენტორიას მკერდზე ყური დაადო, — სუნთქავდა.

— არ მოკვდეს, ლენტორია! — დაუცაცხანა ლებემ. ათრთოლებული ხელებით შემოიხიზა ხალათი. ისე ძალიან კი უყვარდა ის ხალათი — ჭერ ერთი რომ, იმის მეტი არაფერი მოეძებოდა ჩასაცმელი და იმისთვის, მეორეც მთელი ზადხული თხა უმწყემსა მეზობელს იმ ხალათის საფასურად. შემოითხლიშა ხალათი და მოწმინდა ლენტორიას სისხლი. ლობეზე გადახტომისას ბიჭს სარის გადანატეხი მოხვედროდა ქუთუთოში. ხელის კანკალით ამოუსტფთავა ლებემ იარა, მერე ამოიღო ქისა, ახალი დაწყებული ჰქონდა მაშინ თუთუნის წვევა და ვაჟკაცობდა იმით. ამოიღო ქისიდან ერთი გახვევა თუთუნის და დაადო ჭრილობაზე...

გადარჩა ლენტორიე. ნაიარევიც არ დარჩენია, მაგრამ ლებემ ამოიკვეთა დედულეთიდან, იმ შემოდგომას ბეზიაც გარდაიცვალა და ვისთან წასულიყო?..

მისწრება არ არის თოხნა? — რას არ გაიხსენებს კაცი თოხნისას, ღიმილი ვრევა ლებეს. ნეტა რაც მას ყანები უთოხნია, თოხის პირს რომ გაპყოლოდა, დედამიწას თუ შემოუვლიდა გარშემო? ეს მართლა საინტერესოა. ამაღამ უფროს ბიჭს კითხავს, რამდენი კილომეტრია დედამიწის გარშემოწერილობა. იცის იმ მამაძაღლმა ასეთი რამეები, სულ წიგნებში იჩიჩქნება. ვის დაემსგავსა ნეტავი? მანძილს

რომ გაიგებს, კილომეტრების მეტრებად გადაქცევა არაა ძნელი საქმე. მეტრში კი ალბათ კაი მონაქნევი ათითხუთმეტრი თოხისპირი იქნება. მერე ისევ უნდა გადაიყვანოს მეტრები კილომეტრებში... არა, ამას ბიჭი თუ იანგარიშებს ისევ, თორემ...

— ლებე, აღარ ამოხვალ აწი, თეომ თქვა ცოტა დარჩაო! — მოისმა ლიას ხმა. ლებემ მაღლა აიხედა.

ლია სახლის უკან იდგა მაღალ ახალგაზრდა კაცთან ერთად. ალბათ ის იყო პროფესორივით ნაწივლი სასიძო.

— ბევრს არ გალოდინებთ, ამოვალ! — მკვირცხლად ასძახა ლებემ.

მოუჩქარა თოხნას, მაგრამ აფორი-აქებულად კი არა, სიბარულისას იცოდა ასეთი თავწაღუნული მუშაობა, ფიჭრებსაც შემოიფერებოდა ხოლმე. საფიქრალს მაინც წაქარავდა გონების ყურს. კაი მამა ჰყავდა ლიას, აკარგინი, გამტანი და მოყვასი, სანაქებო ოჯახი ჰქონდა, პურმარილიანი, პატიოსანი. არც დედამისი იყო ურიგო ქალი, ის წალაპარაკება სულ უბრალო რამეზე მოუვიდათ. ეპ, ვაბრაზებულზე რას იტყვის ადამიანი, არც კი ღირდა იმ ამბის ასე ღრძობდ დახსოვება...

დიდსულოვანია ლებე. წვრილმანების გულში ჩაბვევა რა ვაყკაცის საქმეა. ნეტა ეს გოგო კარგ ბედს ეწიოს...

ერთი-ორი მოიქნია კიდევ და შემოდანა ყანა ხელში. წაივლია მდინარეზე ლებე. რჯულზე იბანავა. ტანსაცმელი რომ დაიბერტყა და ჩაიყვა, ფეხსაცმელებიც შეიწმინდა, თოხი გულდაგულ გარეცხა და შეუყვა აღმართს.

ლია და უცხო კაცი სოფელს გასცქეროდნენ, თეო ეზოში შლიდა სუფრას. თუ ლებეს რაიმე გაეგება, შესანიშნავი წყვილი დადგება ლიასა და იმ კაცისაგან. ტანსრულ ლიას სწორედ ისეთი კაცი შეეფერება მისი აზრით. აბა ის რა წყვილია აღვისხესავით ქალს ქინძის ბარჯგი კაცი რომ ამოუდგება გვერდით და ნიკაპამდეც ვერ წვდება

მანდილოსანს, ან და პირიქით, ქალია კრუხისპალო და კაცი კვლავ უღია. — ეპ, მინაგოს დაანახვა ვეღარ შეიძლება!

— კაი გამარჯობა თქვენი! — თოხის ტარზე დაყრდნობილი ლებე შორიხლო დგება.

ლია შემობრუნდა, ლებესკენ წამოვიდა, მკლავში ხელი მოჰკიდა და უცხო კაცს წარუდგინა.

— ეს არის ლებე, — თქვა მან. სიტყვა თბილად იყო ნათქვამი, ყოვლისმომცველად.

კაცმა ხელი ჩამოართვა ლებეს და გაუღიმა. უხდებოდა ღიმილი ამ თეთრგვრემან, მაღალშუბლიან კაცს.

— ტყებით არა ჩვენი სოფლის ცქერით, დიხაც რომ კარგი სანახავია, — თქვა ლებემ.

— მოსწონს კოტეს ჩვენი სოფელი. — ლიას სიწითლე შეეპარა სახეზე.

— დიხა, მაგრამ მოსაბერებელია საერთოდ სოფელი. დღისით არა უშავს რა, საღამოს კი მოსაწყენი იქნება, — იმნაირად თქვა კოტემ, შეკამათებას რომ ვერ შებედავდი.

— დღისით რომ დეიღლები მუშაობით, მოწყენისთვის ველარ მოიცილი, — გაიცინა ლებემ. — ხანდახან ტელევიზორსაც ველარ ვუყურებ, მეძინება...

— წვიმაშია სოფელი აუტანელი. ატალახდება ყველაფერი, აიგლისება...

— სწორი ბრძანებაა, ჩემო ბატონო, იცის ტალახი. — ლებე მეგობრულად უღიმიის კოტეს.

თეომ სუფრასთან მიიხმო ისინი, ლიამ თამაღობა დაავალა ლებეს.

მიეძალა ღვინოს ლებე. ამ ოჯახში სანაქებო ღვინო იცოდა. თეოც ხელმადლიანი გამოდგა ამ საქმეში. სასიძომაც მოიწონა ღვინო.

— ჭურია, ბატონო ღვინის ავკარგი. შეიდ-რვაჯერ შეურეცხავ ჭურში რომ ღვინოს ჩაასხამ, წახდება იგი, — გაბადრული ამბობს სასიძოს შექებით ნასიამოვნები თეო. თუმცა ქება ისე არ ახარებს მოხუცს, როგორც ის, ამ

პროფესორივით ნასწავლ კაცს ღვინის ყადრიც რო სკოდნია.

— ღვინო, ჩემო ბატონო, — წელავდა საღერღელაშლილი ლებე და აბეზარ ბზიეს იგერიებდა. — ღვინო თუ გვივარგა ძაან საპატიო უცხო სტუმრისაც არ შეგეშინდება...

— გადასაყოლო შრომა უნდა, თორემ ღვინო... — კოტემ არ დააბოლოვა თავისი შენიშვნა.

— არც დასალევიაა იოლი. ვერ უძლებს ზოგიერთი. — ბზიეს ბზუილმა არ მოასვენა და თქვა ლებემ. — ყოფილხართ რთველში არა, ბატონო კოტიკო?

— აბა როდის, ბავშვობა რომ სოფელში გამეტარებინა ლიასავით კიდეც კი. სწავლა, ძიება. ზაფხულობით აბიტურიენტებთან ჭახირი. სოფელი...

— ა, ბატონო აგერ. — ხელეზი გაშალა თეომ. — მოსასვლელი ძალიანი არის, ლია...

წამოწითლებულმა ლიამ რაღაც თვალით ანიშნა თეოს. დადუმდა დედაბერი.

ლებე ქათმის ბარკალს იღმურძლებოდა, წყლით და რიგით ახლა სტუმარი უნდა ადღეგრძელოს. თეომ ისიც კი უჩურჩულა ერთად ადღეგრძელე ლია და ისაო. მაგრამ არ მოდის ლარში ლებეს ასეთი რამ. დასაოჯახებელი წყვილის შერჩევა სიმინდის მოზშირვაზე კოტა ძნელი საქმეა, სწორედ.

— მე და ლია ალბათ გავყიდით სოფელს. — ლოდევით გადმოაგორა კოტემ. — წავიყვანთ მამიდა თეოს ქალაქში...

— აჰ, არა, შენ შემოგველე, ქალაქში წასაყვანად ვვარგვივარ აწი მე?! — ხელეზი გაასავსავა თეომ.

— რატომ, დეიდა თეო, შვილიშვილების გაზრდა...

— კარგი რა, კოტე. — გადაფითრებულმა ლიამ ძლივს ჩაურთო სიტყვა. — მოეშვი მამიდას.

— აბა, ამ ტალახში და წუმბეში ჩაილჩოს ადამიანი? — სიბრალულს გული ამოაყოლა კოტემ.

ლებემ ახალი სადღეგრძელო თქვა. ვახშიმი რომ ჩამწარდა ამ მსხვერპლის წყალობით, ნაღია, მსხვერპლი დასვეს კიდე შეიძლებოდა ჭერ.

კოტე თავის წარმატებებს აცნობდა თანამესუფრეებს. იგი საფრანგეთში ყოფილიყო მიწვეული. საფრანგეთი დიდებული ქვეყანაა. მართალია ორისამი თვე მის გასაცნობად წარმოუდგენლად მცირე დროა, მაგრამ რას იზამ, კოტე ზომ სახელმწიფო საქმეზე იყო მიწვეული და არა ტურისტად. ეგლა აკლდა მისი მდგომარეობის კაცს ტურისტისთვის ზურგჩანთაში მოკიდებულმა ირბინოს ევროპის ქალაქებში. ისედაც ამ ზაფხულს მოსწავლეების აყვანა ჩაეშალა. ალბათ წელს უნდა შეურიგდეს ამ დანაქარს.

— ა, ლია? მოვერევი თუ ამ ზარალს, თავს გავიტანთ როგორმე, — სიცილით ამბობს კოტე და თავნაქაფი ღვინით წათამამებული გოგოს მხარზე ადებს ხელს.

ქალიშვილმა უხერხულად მოიცოლა კოტეს ხელი. თეო წამოდგა, სუფრიდან რაღაც აიღო, სამზადისკენ წაფარფატდა. მერე დაბრუნდა და რაღაც შემოამატა სუფრას, თუმცა ამის საჭიროება სულაც არ იყო. ლებე დიდხანს, ძალიან დიდხანს აესებდა სასმისებს.

— ახლა კი, — ზარზოში ხმით ამბობს კოტე. — ჩავვდეთ ჩემს მერსედესში, ავიტროლ-ჩავიტროლოთ სოფელში, დავუყენოთ მტერს თვალი.

— არ ყავს, კოტე ბატონო, ამ ოჯახს მტერი. — წყენას არ მალავს ლებე, — ეს გოგო შვილივით გვიყვარს ყველას. თვითონ არ ინდომა და არ დაგვიბრუნდა თუ არა, ცივ ნიავს არ მივაკარებდით...

— ეს სიტყვის მასალაა, ბიძია ლებე, — ენას მოუკიდა კოტემ. — მტერი რა შუაშია. ახლა შენი სადღეგრძელო... — კოტემ ჭიქას ხელი მოკიდა და ფეხზე წამოდგა.

— უჰ! — დაიძაბა ლებემ უეცრად. — დავლიოთ! — და გადაჰკრა ღვინო.

შეერთნენ ქალები, კოტემ სასმისიანი ხელი დაბლა დასწია.

— სულ არ გადამავეიწყდა, ამ დილით პატარა სვრელი დავტოვე გაუთოხნავი ლელისპირთან, ძალიან ლამიანი იყო, ცოტას წაშრება და მერე გამოვთოხნი-მეთქი და არ გადამავეიწყდა?

წამოდგა ლებე ამ სიტყვებით, ბოდიში მოიხადა და წავიდა, თოხნი იქვე კორკიმელის ხეზე ჰქონდა მიყუდებული.

— აბა არ გავისეირნოთ? — დაადევნა კოტემ.

ლებეს არ მოუხედავს.

— ნუ, კოტე, ახლა ნუ, — უმწეოდ შეეპასუხა ლიბა.

— მანქანა ხომ უნდა გავრეცხო, ისეა მოსვრილი... — იპოვნა მიზეზი კოტემ, სუფრას მოსცილდა, მიმავალ ლებეს დაეწია და ხელი გადადო, მანქანა სად გავრეცხოო ჰკითხა.

— აგერ, ჩემო ბატონო. — ხელი გაიშვირა მდინარისკენ ლებემ. გამოჰყევი ამ შუკას და მიხვალ აი იქ, იფანს ხომ ხედავ? თუ არ იცი, კოტიკო, ბატონო, რომელია იფანი? ქალაქელ კაცს...

— როგორ არ ვიცი. რა შუაშია ქალაქელობა. ის არ არის?! — ახლა კოტემ გაიშვირა ხელი იფნისკენ.

— მეტად კარგი, ჩემო ბატონო, თუ იცი. იფანთან ჩასასვლელია, ასე ვთქვათ — ფონია, ჩემო ბატონო.

კოტე მანქანაში ჩაჯდა. ლებე გასულიც არ იყო ყანის ბოლოში, რომ იფანთან დღემილით საყვირის რისხეებით და წიოკით მიავლო კოტემ თავისი, ნუ იტყვით და მართლაც ლამაზი მანქანა.

— მიყევი საურამეს, ე, მასე... — დაუძახა ლებემ.

მანქანამ რწევით ჩაირბინა ოღრო-ჩოღრო ფერდობი და მდინარეში შესულმა შხეფების ქაველი ატყორცნა მაღლა.

— დადექ, კაცო, მანდა, დადექ! — შეშფოთებით დაიძახა ლებემ. მანქანა მორევს უახლოვდებოდა. კოტე გცინოდა და შხეფების შადრევანში მიაგელვებდა რკინის რაშს.

— ბიჭოს! — დაიძახა ლებემ და თოხანწეული გაიქცა, — გააჩერე კა...

სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ მანქანამ დგვეფა მოადინა მორღვეში. ჩაქრა ძრავა, ნელნელა დადრკენ აქაფებული ტალღები.

— ეს რა მიყავი, შე ლენჩო ლებეია?! — აყვირდა მანქანის საარკმელში სიმწრით გამოჩრილი, გაწუწული კოტე.

ლებე ღიმილით მიუახლოვდა მდინარეს.

— მიცანი აბა, დიდად პარტეცემულო პროფესორივით განსწავლულო ბატონო ლენტორ! ღმერთო დიდებულო! რამხელა ბედნიერებბაა, კაცო!

— არ უნდა მაპატიო, იუდავ! ჩეძირება მანქანა.

ლებემ დინჯად განსჭვრიტა მდგომარეობა, პატრონსა და, რაც მთავარია, მანქანას დიდი საფრთხე არ ემუქრებოდა.

— გევისო მანქანა წყლით! — ისევ იყვირა ნირწამხდარმა კოტემ. — მიშველე რაცხა ლებეია!

— აუ, ძლივს არ აღაპარაყდა ჩვენებურად! — გაიბადრა ლებე. — ბატონო ლენტორ-კოტიკო, ჭერ ის მიბრძანეთ, რა ჰქვია სწავლულთა ენაზე შენს საქციელს, მერე ამოძვერი მაქედან, გეისარჯე პატარა და ამოათრიე მაგ შენი ხვითო. იმის კი ნამდვილად ნუ შეგეშინდება, არაფერს ვეტყვი ლიბას, ცოდოა გოგო, გული გაუსკდება.

შებრუნდა ლებე, გაეშურა დარჩენილი სვრელის გამოსათავებლად.

იღვა თავით ფეხამდე გაწუწული კოტე ნაპირზე და სევდიანად გააყურებდა მიმავალ ლებეს.

ბლოღელეს

მაჭვს სასაუბრო, ბლოღელევ, შენთან,
შენ მიცისკროვნებ დღეებს მარადის
და ჩემი გულიც შენი მზით ფეთქავს,
შენთან ვხნავდი და
შენთან ვბარავდი.

შენს ძუძუს ვწოვდი,
შენს ბალახს ვძოვდი,

შენი შალშავით მე ვარ გაზრდილი,
ნეტავი კიდევ გიხილავ როდის,
როდის ახდება გულისწადილი...

რამდენი რამ მაჭვს სათქმელი შენთვის,
ამაღლდა სული შენზე ფიქრებით,
ქვეყნად ყველას ჰყავს თავისი ღმერთი,
შენ ჩემი ღმერთი ხარ და იქნები.

გორდის ბილიკზე

მზის ჩქერია თუ ქავლი წყაროთა,
რომ აფორიალებს შუბებს ფერადებს,
გაშალა ფარჩა მთების თაროდან
და გადმოფინა გორდის ველამდე.

სოფელს უხდება ცის სიახლოვე,
წელზე იმშვენებს აღმართ-დაღმართებს,
ღმერთის მიწაზე კაცნი სახლობენ,
დღეო, იქნება აღარ დაღამდე...

მეფერებიან შენი თვალები,
თვალებია თუ ცელქი იები,

გალაღდი, გახსენ გულის კარები,
შენს გულთან გულის სიმით მივები.

ქედმა ცაცხვების ჩრდილში გაგვხვია
და აღულუნდა ცაცხვზე ქედანი,
ცეცხლზე შემავდე,
ჩემზე ახია,
როდემდე ვიყო გაუბედავი...

გაწყდა მოთმენის ძაფი, პირიმზევ,
სიყვარულის მზემ ფრთები გაშალა,
გადავირიე გორდის ბილიკზე
და დამავიწყდა ყველა გზა-შარა...

წყალტუბოს გზაზე

წყალტუბოსაკენ მზე მიმაცილებს,
სხივებით მიშრობს შარას ნაწვიმარს,
გელათს ვაჩუქე გულის ნაწილი,
მან სიყვარული გამინაწილა.

მერე ბაგრატის ვლოცე ტაძარი
და ქუთაისის ვარდმაისობა,
რიონზე ლექსის ტივი დავძარი,
მივენდე რითმის ჭადოს, მისნობას.

ლამაზმანების გულთა სიწრფელე
 იყო ზღაპარი,
 იყო შირაქი,
 მოხიბლული ვარ,
 თუ არ მიწყენენ,
 აღერსითა და სითბო-სინაზით...

მივდივარ,
 თვალთა შუქი მაცილებს
 წყალტუბოს გზაზე ფოქურ მემლები;
 დღეს ისეთ ფეხზე ამყვა მაცილი,
 ვიცი, სიყვარულს გადავეყრები.



გამარჯობა, დამშ!

სისხამ დილით, შოუგანი მთქნარე-
ბით გამოვიდა თავისი აშენებული სა-
ხლის აივანზე. ერთგულ ძალს, დამშს,
მთელი დამის განმავლობაში მონატრე-
ბოდა პატრონი და ახლა ფეხებთან გა-
უგორდა, თვინიერად აწყმუტუნდა,
კუდი მკვირცხლად ააქიციანა, უკანა
თათებზე შედგა, წინა თათები შოუ-
განს მკერდზე მიიბჯინა და სუნთქვა-
გახშირებულმა, ერთგულმა ძალმა
აღამიანს თვალეზში ჩახედა.

— ვაპ, მომამორე ეს თათები, შე
ყურბანტურა, ქურთუკს გამითხვრი!
გამიშვი-მეთქი, საქმე მაქვს, — თბი-
ლად უთხრა პატრონმა საყვარელ
დამშს. შემდეგ დრუნჩზე მოუთათუნა
ხელი და კიბეზე დაეშვა. ძალი ფეხ-
დაფეხ მიჰყვებოდა. შოუგანი ჩაფიჭ-
რებული შეჩერდა ეზოში, ტოტებგაშ-
ლილ თუთის ხეს მიუახლოვდა და მას-
ზე აშვებულ შავი ყურძნის საყვ მტე-
ვნებს დაუწყო თვლიერება. დამში
აწრიალდა და აშკარად ცდილობდა თა-
ვიდაც მისწვდომოდა მტევნებს.

დილის გრილმა ნიავმა, ვაზის შეყვი-
თლებულ ფოთლებში რომ დაჭროდა,
შოუგანს სქელი თმა აუწეწა და ძალ-
ლის ბეწვსაც გადაუარა. დამშიმა პატ-
რონის შეყოვნებით ისარგებლა, წინა
თათები კვლავ მუხლებზე მიიბჯინა და
კუდი მხიარულად ააქიციანა. თავისი
საქციელთ, იგი აღამიანისადმი უსაზ-
ღვრო სიყვარულს გამოხატავდა და

წმინდა ძალღური ერთგულებით მას
ფეხდაფეხ დასდევდა. ეს არც იყო გა-
საყვირი, რადგან გაჩენის დღიდანვე
დამში მუდამ შოუგანს ხედავდა, შო-
უგანს, რომელმაც გაზარდა და გამო-
კვება იგი. კაცს ბავშვობიდანვე უყვა-
რდა ეს ცხოველები, უვლიდა, საქმლის
ნარჩენები მიჰქონდა, კრილობებს მკუ-
რნალობდა, შემდეგ კი ხალისიანად და-
რბოდა მათთან ერთად. სიმართლე რომ
იოქვას, ისინი კაცს არარსებულ და-
ძმობას უწევდნენ. ამიტომაც იყო, რომ
მთელი უბნის ძალეებს, (მათ შორის
შოუგანის მამის, კირანტუხის უშვე-
ლებელ, შავ, მონადირე ძალს, ხუ-
დიშსაც კი) უყვარდათ ბიჭი და ყველ-
გან თან დასდევდნენ.

დრო გადიოდა და ძალების სიყვა-
რულმა ისე ღრმად გაიდგა ფესვი შო-
უგანის სულში, რომ მთელ თავისუ-
ფალ დროს სკოლის შემდეგ იგი ოთხ-
ფეხა მეგობრებს უთმობდა. მათთან
ერთად მჩქეფარე ოტაპში ბანაობდა,
გასწრებზე ცურავდა, ციკაბო ფლა-
ტედან წყნარ ყურეში ზტებოდა და
წყლიდან ერთგული თანამგზავრებით
გარშემორტყმული ამოდიოდა. სკოლა-
შიც კი მუდამ სამი-ოთხი ძალის თან-
ხლებით მიდიოდა. ძალები სკოლის
გვერდზე, ხის ჩრდილში სხდებოდნენ
და გაკვეთილების დამთავრებას მოთ-
მინებით უცდიდნენ. რამდენჯერ გაუ-
გია შოუგანს საწყენი ზედმეტსახელი,

თანატოლები რომ ავიღლოვებდნენ; მაგრამ შედგრად იტანდა დაცინვას და ძალებთან კვლავ განუყრელად მეგობრობდა.

დრო, როგორც ცნობილია, მხოლოდ ადამიანთა კი არა, ცხოველთა ზნე-ჩვეულებასაც ცვლის. დრომ მამაკაცებად აქცია შოუგანი და მისი ყოყოჩი თანატოლები. ერთნი ქალაქმა გადაყლაპა, მეორენი საშოვრისთვის ციმბირში გაემგზავრნენ. შოუგანმა კი, თავის დროზე ყურად იღო მამის, კირანტუხის (ნათელი დაადგეს!) ბრძნული სიტყვები და შინ დარჩა, ძველი, დაბრეცილი ქოხის ნაცვლად, მამისაგან მემკვიდრეობით რომ მიიღო, შოუგანმა ორსართულიანი, კაპიტალური სახლი წამოკიმა, შორიდან მტრედისფერ ლაინერს რომ ჰგავდა. მარჯვნივ, სახლთან ახლოს, სამზადი ააგო; წაგრძელებულ, ნატიფ შენობას ელშაველის ფორმა ჰქონდა და ღია წითელი კრამიტით იყო გადახურული. სათნო დედის, ხილკანის სიტყვები: „გლეხის გემოვნება მის ეზოს ეტყობაო“, კეთილ მოწოდებად რომ ზმინაობდა მის სულში, შოუგანმა საჭმედ აქცია. მის ეზოს გარს აკურატულად გადაბედილი ციტრუსოვანი მცენარეები ერტყა. მათ გასწვრივ კი მჭიდრო რიგებად თხმელისა და თუთის ხეები იყო ჩარგული, რაც ვაზისათვის საიმედო საყრდენი ქაბლდათ. ქიბახ მას შეეძლო თავისი ეზოთი, მისი რბილი, მბრწყინავ-ზურმუხტოვანი ბალახითა და მოვლილი ხეხილის რიგებით ეამაყა. კაცი მყარად იდგა ფეხზე და მოუღლელი მარჯვენითა და ანგარიშიანი გონებით შექმნილი ღონიერი მეურნეობის პატრონი გახლდათ. დროთა განმავლობაში, მეზობლებსა და ნათესაებს მან მრავალი ჭიშინი ძალი დაურჩია, თავისთვის კი კობტა დამში დაიტოვა, სულს რომ ერჩია.

თანასოფლელები მას ბედნიერ კაცად თვლიდნენ და ეს აღერსიანი, ჩასკვნილი მამაკაცი, რომელსაც გაფარჩხული უღვაში, ცოცხალი, სიცოცხლისმოყვარე თვალები და წი-

თელი ლოყები ჰქონდა, ფერმართალი ქალაქელების მისაბამ მეგობრად დადიქცა.

ზიხლანიშვი

დროთა განმავლობაში კი მის სახეზე იღუმალი დარდის კვალი შეიპარა და კაცი ზშირად ჩუმი და გულჩათხრობილი ხდებოდა... როგორც ჩანს, რალაც გამოუთქმელი აზრი აწუხებდა და ბუნებით კეთილი შოუგანი, როცა ტყვილი გაუსაძლისი ხდებოდა, თავის მომზიბლავ, ცისფერთვალა სირმას საყვედურობდა, ერთი ბავშვიც კი ვერ აჩუქებ ჩემს კერასო. ჩვეულებრივ, იგი დაახლოებით ასეთი სიტყვებით ამკობდა მეუღლეს: „შენი ძუნწი მამა რომ არა, ლენით რომ დამათრო და შენი თავი შემომაჩეჩა, ახლა, ამ ეზოში, დამშთან ერთად, ჩემი შვილიშვილები ირბენდნენ უკვე...“

წყნარი სირმა, თუმცა გული ეწურებოდა, უპასუხოდ ტოვებდა ჰმრის სიტყვებს, სახლის მოფარებულ კუთხეში მიდიოდა და ჩუმად ჭვითინებდა. მაგრამ შოუგანს გამყოლი გული არ ჰქონდა. ჩვეულებრივ, იგი რამდენიმე წუთში ამჩნევდა ცოლის არ ყოფნას, გული ეთუთქებოდა და მისკენ მიიჩქაროდა. იგი პოულობდა საცოდავ სირმას, გულში იკრავდა, აწყნარებდა და დიდხანს იდგნენ ასე გადახვეულნი და ორივე თავისას ფიქრობდა... კაცი უკვე ორმოცდაექვსი წლის გახდა, ქალი ოცდაცხრამეტის და თუმცა კაცს შვილის ყოლა ოცნებად ჰქონდა გადაქცეული, ცოლი ეცოდებოდა და არასოდეს მიუცია ქალისთვის მის ერთგულებაში დაექვევის მიზეზი... გარდა ამისა, იგი მთლად დარწმუნებული არ გახლდათ, რომ მათი უშვილობა მხოლოდ ქალის ბრალი იყო და ამიტომ თავისი სიყვარული და სიკეთე ორ ნაწილად გაჰყო — ერთი სირმას ეკუთვნოდა, მეორე დამშს. ცოლი და ძალი, შოუგანმა თავის ჭკუაზე აღზარდა. რაც შეეხება სირმას, ამ ნორჩ მეუღლეს მხოლოდ მომზიბვლელი გარეგნობა ჰქონდა და ღომის ამოღესვის გარდა არაფერი იცოდა. თანდათან, შოუ-

განის ხელმძღვანელობით, ცოლი მშვენიერ, სტუმართმოყვარე დიასახლისად გადაიქცა და გემრიელ, მრავალფეროვან საჭმელს ამზადებდა. არანაკლები ენერგიულობითა და მზრუნველობით წვრთნიდა შოუგანი თავის დამშს, რომლის წინაპართა არა ერთი თაობა აღიზარდა ამ სახლში. და ისიც მშვენიერი მოდარაჯე და მონადირე ძაღლი დადგა.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ, შოუგანს არ ჰქონია მისწრაფება დიპლომს დაუფლებოდა, მაგრამ ბევრს კითხულობდა და რაც ინტერესებდა, ყველაფერს კარგად იმახსოვრებდა. სოფელში იშვიათად თუ ვინმე გაბედავდა მასთან კამათს. შოუგანს მხოლოდ კაცობრიობის ისტორია და ხალხთა ურთიერთკავშირი როდი აინტერესებდა, მან ჩიტების, ცხოველებისა და მცენარეების წარმოშობაზეც ბევრი წიგნი წაიკითხა. განსაკუთრებული ყურადღებით კი, იგი ძაღლების გენეოლოგიას სწავლობდა. ახლა იცოდა, რომ ადამიანმა და ძაღლმა ჭერ კიდევ მილიონი წლის წინ შეჰფიცეს ერთმანეთს მეგობრობა, ერთგულება და ურთიერთდახმარება და გაოცებული მიხვდა, რომ ასე გაიარეს ცხოვრების გზა დასაბამიდან დღემდე. რამდენი ათასწლეული გავიდა მას შემდეგ, რაც ძაღლი ადამიანის ძმა, მისი ფარის, სახლისა და ქონების დამცველი გახდა. ქონების გამო და ძმას წაიკიდებია, მამა — შვილს; ძაღლი და ადამიანი კი კვლავ უანგაროდ ერთგულნი არიან...

წაკითხული წიგნებიდან, შოუგანმა ბევრი საინტერესო ამბავი გაიგო. მაგალითად, ძაღლს შეუძლია ათასი წლის წინანდელი სუნის იკრას. ხანდახან, თავისი ძაღლით გაამაყებული შოუგანი ხუმრობით ამბობდა: „დამშს, თავისი ბლაგვი ცხვირით შეუძლია ღრმა სიძველის სუნის იკრას, ჩემი სირმა კი, თავისი კობტა ცხვირით, დამწვარი ქათმის სუნსაც ვერ გრძნობს“. ისიც იცოდა, რომ ძაღლს ყნოსვის გა-

რდა განსაკუთრებული სმენაც გააჩნია და რომ საყვარელი პატრონის ხმას იგი ათას ხმაში გამოარჩევს. ყოველთვის დროს, მუცელზე ხელუშმბარააკრული ძაღლები ტანკებს უვარდებოდნენ. მიწისძვრისა და ვულკანის ამოფრქვევის მოახლოვებას კი, იგი ადამიანზე ადრე გრძნობს, ალღელებული, პატრონის ირგვლივ იწყებს წრიალს და საფრთხის მოახლოვებას ამცნობს. გარდა ამისა, ეს უკვე საკუთარი გამოცდილებით იცოდა, ძაღლი. სხვა ქვეყანაშიც რომ წაიყვანო და დატოვო, მინც შინ დაბრუნდება, თუნდაც ამისთვის წლები დასჭირდეს. შოუგანი ხუმრობდა: „მეზობელთან გასულ სირმას სახლში დაბრუნება ავიწყდება, ხოლო დამში ერთხელ სოხუმში დაკვარვ და შინ ჩემზე ადრე დაბრუნდით“. კიდევ ბევრი, წიგნებში ამოკითხული, საინტერესო ამბავი იცოდა შოუგანმა. ცხოვრებაში კი თავად დარწმუნდა რა ზუსტად გრძნობს ძაღლი თავისი პატრონის გუნებასა და ჭანმრთელობას.

ერთხელ, იგი დიდ, მაგარ ხეს ჭრიდა და ასხლექილმა ნაფოტმა შუბლი გაუხეთქა. ამოსკდა სისხლაც; შოუგანმა გონება დაკარგა და მიწაზე დაეცა. როცა გონს მოეგო, სირმას შეწუხებული სახე და გახალისებული დამში დაინახა, წინა თათებს მოუთმენლად რომ აბაკუნებდა და გრძელი, წითელი ენაც გადმოეგლო. მოგვიანებით, ცოლმა უამბო, როგორ მოიბრინა ეხლში ძაღლმა და ქალი განაკაფში, პატრონისაკენ გაჰქანა. ამ დღის შემდეგ, შოუგანი მუდამ იმეორებდა: „ცოცხალი დამში-სა და სირმას შემწეობით ვარო“.

ერთი სიტყვით, შოუგანს უყვარდა და ენდობოდა დამშს, რადგან იცოდა — ძაღლი ყველაფერს აიტანს, შიმშილსა და არაადამიანურ მოპყრობასაც კი. საეჭვოა, კიდევ მოიძებნოს ძაღლივით კეთილი და მომთმენი ცხოველი. მშობლების გარდა ვისკენ გაიშვერს, მაგალითად, ახლადფეხადგმული ბავშვი ხელებს? ცხადია, ძაღლისკენ. ბავშვს შეუძლია, მას ყური აუწიოს,

ხაზაში მუქი ჩასწაროს, ჯოხი დაარტყას, საყელოზე მოქაჩოს და ყელში წაუჭიროს... ძალი უფლებას მისცემს, როგორც უნდა ისე მოექცეს და მაინც დაინდობს ბავშვს.

რატომ აქვს მაგალითად, ძალს ცივი ცხვირი? თიკნებს, ხბობს, კვიცებს და სხვა ცხოველებს კი — ნაზი და თბილი? ერთ საინტერესო ლეგენდაში ასეთი რამ ამოიკითხა:

„მსოფლიო წარღვნის დროს, მცხოვანმა ნოემ ცხოველთა სამყაროს სხვადასხვა ჯიშები შეკრიბა, თავის აშენებულ ხის კილობანში ჩასვა რომ არ დახოცილიყვნენ და არარატის მწვერვალისაქენ გაემართა. გზად, ერთი ფიცარი გატყდა და კილობანში წყალი შემოიჭრა. გემზე არეულობა დაიწყო, ცხოველები თავგზაბნეული დაბობდნენ აქეთ-იქით, ერთმანეთს აწყდებოდნენ და თელავდნენ... მცხოვანი ნოე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მოულოდნელად, კუთხეში მჭადში ძალი წამოხტა, გარღვეულ ადგილთან მიცურდა, ჩაყვინთა და თავისი ცხვირით დაახშო იგი. წყალი შეწყდა და ყველა გადაარჩა. ამის შემდეგ, ძალს მუდამ ცივი ცხვირი აქვს, სხვა ცხოველებს კი, უშიშრად რომ გრძობდნენ თავს კილობანში, სანამ ძალი წყალს აკავებდა, როგორც ჰქონდათ, ისევე დარჩათ თბილი ცხვირები“.

შოუგანს სწამდა, რომ სამყაროს ყველა ცხოველს მუხლი უნდა მოეყარა ძალის წინაშე, რადგან ძალს არამც თუ არ შეეძლო ღალატი, პირველი თავად ესხმოდა თავს მოღალატეს. ხანდახან, შოუგანი ხუმრობდა: „თუ შემთხვევა მიეცა, ცოლიც გიღალატებს, თუნდაც გაგიყვებით გიყვარდეს და აღმერთებდე. აი, ძალი კი, თავად თუ გამოზრდი არასოდეს დაგთმობს“. თავის უბის წიგნაკში შოუგანმა შეკრიბა, მისი აზრით ცნობილი, საუკეთესო გამოთქმები, რაც კი ძალეობზე უთქვამთ ციცირონიდან მოყოლებული ეიგუათი დამთავრებული, მხო-

ლოდ სოფელ კაციხაბლს შემარგორენში რომ იცნობდნენ.

იგი გვიან ლამემდგომი იმეორებდა წიგნებს ძალეობზე, სირმას კი, ამ დროს, მაგრად ეძინა და მისი მონოტონური ბუტბუტი სულ არ აწუხებდა. დამშვიცხედავდა სიზმრებს, რომელშიც თვალდაკუსულ კურდღლებს დასდევდა, არც ფეხები რომ ჰქონდათ და არც სხეული და მხოლოდ დაკვეტილი ყურები მოუჩანდათ... მისდევს ძალი ელამს, მისდევს და ძილში იღრინება. პო, კურდღლებს რაც შეეხება. ფხიზელი დამშის დახმარებით, შოუგანს იმდენი კურდღელი ჰყავდა დახოცილი, რამდენი ბეწვიც ჰქონდა ალბათ ხშირ თმაში, რადგან არანაკლები ვნებით უყვარდა ნადირობა და მას ცხოვრების სხვა არცერთ სიმამრებაზე არ გააცლიდა.

მუდამ, როცა დამშთან ერთად სანადიროდ მიეშურებოდა, შოუგანი სოფელ უატიაცვას გაივლიდა, სოფელ ახილას გვერდს აუტყვევდა და ლაშქინდარის მთაზე ადიოდა. ეს მისი უსაყვარლესი ადგილი გახლდათ. ისტორია კი ამ მთის შესახებ ლეგენდად გვიამბობს, რომ „ოდესღაც, შორეულ წარსულში, ერთგული ძალის საპატივცემულოდ აფხაზებმა აქ ტაძარი ააგეს“. შოუგანი, ტყიან ფერდობზე ადიოდა, ნაბდის ქუდს იხდიდა, სირამ რომ შეკერა ოსტატურად დამშის სამეურვეო ბატკნის ტყავისგან და ძეგლს თავს მდაბლად უკრავდა. შემდეგ მომტრო, თეთრ კაპარზე ჯდებოდა და დიდხანს გასცქეროდა ტაძრის თაღზე დამაგრებულ ბარელიეფს, ერთმანეთის პირისპირ მდგარი ორი ძალი რომ იყო გამოსახული. ფიქრით კი, მუდამ მადლობას სწირავდა ხალხს, ასეთ მიუვალ ადგილას რომ ააგეს ტაძარი და ადამიანის ერთგული ცხოველი გამოსახეს.

„ძველი ხალხი ბრძენი იყო, — ფიქრობდა იგი. — ამიტომაც უყვარდათ და აფასებდნენ თავის ცხოვრების თანამგზავს“.

ამ ძეგლს აფხაზებმა, დედამიწაზე მცხოვრებ სხვა ერთა შორის პირვე-

ლებმა უწოდეს ლაშქინდარი, ძალღების მფარველი თავისი ღვთაების პატრივსაცემად.

დამში პატრონის განწყობას გრძობდა და თვალმილულული წყნარად იწვა მის ფეხებთან. ცოტა ხნის შემდეგ, შოუგანი სინამდვილეს უბრუნდებოდა, მბზინავ ბეწვზე ხელს მსუბუქად უსვამდა, დამშს გზნებით რომ ეხმაურებოდა პატრონის ალერსს და ხმამალლა, აღფრთოვანებით უამბობდა ერთგულ ცხოველს ტაძრის ისტორიას. დამში თავს გვერდზე გადახრიდა, პატრონს ყურადღებით შესცქეროდა და მისი ჰკვიანი გამოხედვა შოუგანს არწმუნებდა, რომ ძალს ესმოდა რას უამბობდნენ.

ადამიანი და ძალის ისვენებდნენ, შემდეგ წყაროს წყალს შესვამდნენ, მთის დამრეც ფერდობზე აუჩქარებლად დაეშვებოდნენ, ინადირებდნენ და ბოლოს, ერთად ყოფნით ბედნიერნი და გვარიანად დაღლილნი შინისაკენ გასწევდნენ.

ასე ზომიერად და მშვიდად მიედინებოდა შოუგანის ცხოვრება სწორედ იმ დღემდე, მოთხრობის დასაწყისში რომ იყო აღწერილი.

...ამგვარად, შოუგანი ცოტა ხანს შეჩერდა ხის ქვეშ და ნელა გავიდა ეზოდან. დამში უხმაუროდ დაედევნა. მცირე მანძილის გავლის შემდეგ კაცს გაახსენდა რომ ცული არ წამოუღია, შეჩერდა, ძალს მიუბრუნდა და აგრძნობინა ცული არ მაქვსო. დამში რამდენიმე ნახტომით მიბრუნდა ალაყაფთან, ზედა ძელს გადაეკვლი, ასევე ჩქარა მოიბრინა უკან და კბილებით ცული მოაბრუნინა. შოუგანმა თავი ვერ შეიკავა და ძალს ცივ ცხვირზე აკოცა. დამშმა კი, ამ დროს მოასწრო და სახე აულოკა პატრონს. შემდეგ მათ ერთად განაგრძეს გზა. გზაზე მეზობლები ხვდებოდნენ, ან კუტიკარიდან გამოსცქეროდნენ, რა ამაყად თავაწეული მიაბიჯებდნენ ადამიანი და ძალის. კარგა გზა განვლეს, როცა მოულოდნელად ძაღლების შემზარავი ყეფა გაი-

სმა და აქამდე ჩუმი სოფელი მთავარი ლავ-ლავით აავსო. დამშმა გაშინდა და ურები ცქვიტა და დაიძვინკვინდა. შმაგი და საცოდავი, ხრინწიანი და სულის გამყინავი ყეფა ახლოვდებოდა...

დამში წინ გაიჭრა, შემდეგ შეჩერდა, ყურები ცქვიტა, კული აპრიხა, მკერდი წინ წამოსწია და იქით გაიხედა ხრინწიანი ღრენა რომ ისმოდა. ერთ წამში შოუგანსა და დამშს თვალანთებული ხროვა. დაესხა თავს. კბილებდაკრეკილი ძაღლები, ლაშქინდანი ნერწყვი რომ სდიოდათ, უცებ შემოეხვიენ შოუგანს და მის დასაგლეჯად შეიბართნენ. ამ მოულოდნელი თავდასხმით დაბნეული შოუგანი ზურგით მოწულ ღობეს მიეყრდნო, ცული გააფრთხილდა მოიქნია და მათი მოგერიება სცადა. ადგილობრივი ჯიშის ნასუქსა და ავ ძაღლებს კი ანთებული მუგუზალიც ვერ შეაშინებდა. ახლა მათ ბეწვი ყალზე ჰქონდათ შემდგარი და სულ უფრო და უფრო გაშმაგებით უტევდნენ კაცს. დამშმა ამ დროს კული ამოიძეა, დიდი კუნძის ქვეშ შეძვრა და იქიდან საცოდავად გამოხედა პატრონს...

თავდასხმელთაგან ყველაზე დიდმა, სახედრისხელა, რუხმა ძაღლმა ყურადღება არც მიაქცია, რომ თავში ცულის ყუა ხვდებოდა, უფრო მეტი გააყვებით შეუტია შოუგანს, მის რეზინის ჩექმას კბილი ჩაასო და წალის ყელი ძირამდე გაფხრიწა. კაცი გვერდზე გახტა, მავრამ გახეული ჩექმა ფეხიდან წასძვრა და კოჭლობით კვლავ ღობეს აეკრა, თუმცა გავეშებული ძაღლებისათვის ცულის ქნევა არ შეუწყვეტია...

ორი სხვა ძალის უფრო გააყვებით იღრინებოდა. რუხი ძალის კი კვლავ უტევდა გაფრთხილებულ შოუგანს, თითქოს თავში მოხვედრილი ცულისათვის იძიებს შურსო და მალე მის მარცხენა ჩექმას მარჯვენის ბედი ეწია — ძაღლებმა ნაფლეთებად აქციეს იგი. ახლა შოუგანი ლაფშიამოვლებული, თეთრი, შალის წინდების ამარა იდგა

თემშარაზე და გამალებით ფიქრობდა, რა გზას დასდგომოდა... ბოლოს, მოხერხებული დრო შეარჩია, გაბედა, ზურგი შეაქცია ძაღლებს, მარგილებს ხელი ჩასჭიდა, ზამბარასავით გაიჭიმა და ერთი ნახტომით ღობეზე შემოჯდა. ძაღლებმა დრუნჩები ასწიეს, კვლავ ხრინწიანად აყეფდნენ, პაერში შეხტნენ და შოუგანის ჩამოთრევა სცადეს. ყოველი შემთხვევისათვის, კაცმა ფეხები აიკაპიწა და მათ ზემოთ მოეწყო. დროდადრო, იგი უკუღმით იგერიებდა ყველაზე თავგამოდებულ ქოფაკებს და ელოდა როდის დაიღლებოდნენ და აქედან წაეთრეოდნენ. მაგრამ შოუგანის იმედს აღსრულება არ ეწერა. თითქოს მის აზრებს დასცინაო, რუხი ძაღლი ახალი გაავეებით შეეხეთქა ღობეს, ვეებერთელა თათებით ძირმომპალ მარგილებს დაეჯაჯურა და შოუგანმა იგრძნო, როგორ შეიჩხა და აჭრიალდა იგი.

თავშესაფრიდან გამომძვრალი დამში შორიახლო შეჩერდა, აცხცახნდა და ისე საცოდავად აწკმუტუნდა, თითქოს პატრონის მდგომარეობა ესმოდა და ამ უბედურებაში მარტო ვერ ტოვებდა...

ამ დროს, რუხ ძაღლს გაავეებული ყეფისაგან მოულოდნელად სული შეუგუბდა, განზე გახტა და დრუნჩზე თათი ჩამოირტყა. როგორც კი სული მოითქვა დამში შენიშნა და გაავებულმა, ახლა მის ძაღლს შეუტია. სწრაფი ნახტომით წამოეწია და კისერში სწვდა მას. დამში საცოდავად აწკმუტუნდა, ძირს დაეცა, ფუმფულა კუდი კი გამალებით ახლა მიწას. ძაღლის განწირული კივილი გულზე მოხვდა შოუგანს, თუმცა ღობიდან არ ჩამოსულა და ზედახორას უძლური გაავეებით გახვდა, თან იმედოვნებდა დამში როგორმე თავს დაიხსნის და გაიტყვევო.

ის იყო კაცს მოეჩვენა დამში ხროტიანი დაიწყო, რომ რუხი ძაღლი მოულოდნელად მოეშვა მის კისერს და ახლა უკანა ფეხზე წაეტანა. დამშიმა მცირე თავისუფლება იგრძნო თუ არა,

წინა ფეხებზე წამოიწია, შოუგანისაკენ გახიზნა და რუხი, გაღვლეკანი დაითრია. კაცი ხედავდა, რა ღონისძიება დაიწყო და ძაღლი და თვალზე ცრემლი მოადგა. შემდეგ, რუხმა ძაღლმა ყბები მოადუნა და დამშიმა პატრონთან ახტომა სცადა, დაწულ ღობეს ცხვირით შეეხალა, გულაღმა გაიშხლართა, კვლავ შეხტა, შოუგანმა კი ამ დროს მისი წინა თათები დაიჭირა და მთელი ძალით მოსწია, მაგრამ... ქვემოდან საცოდავი დამში ფეხით მაგრად ეჭირა ისევ იმ რუხ ძაღლს; შემდეგ მას ორი სხვაე შეუერთდა, გაჭუტულ კუდს რომ ჩაასვეს კბილი. გაოფლილ შოუგანს მაგრად ეჭირა ძაღლის წინა თათები, სამი გავეშებული ძაღლი კი მას ქვემოთ ეწეოდა და მათი ძაღდატანებისაგან ღობე აჭრიალდა...

ცოტა ხანს, რაღაც დახშული სიჩუმე ჩამოწვა, რადგან თავდამსხმელებს ხანა დაკავებული ჰქონდათ და ყველა არ შეეძლოთ, შოუგანი უსიტყვოდ იბრძოდა და დამებული ზენეშოდა მხოლოდ, უბედური დამშის წკმუტუნე კი ჩვილის ტირილს ჰგავდა. ბოლოს, ღობემ ველარ გაუძლო ასეთ დაწოლას და ხმაურით გადაწვა. შოუგანი და დამში თავდაყირა გადმოეშვნენ და პირდაპირ ძაღლების ხროვანში აღმოჩნდნენ. ადამიანის ყვირილი, ძაღლების ხრინწიანი ყეფა ერთმანეთში აირია და უტეც წარმოუდგენელი მოხდა: დამში შოუგანის პერანგს ჩაეჭიდა, ერთი მოჭმევით წელამდე ჩაფხრიწა და პატრონის სხეულს პირი ვაჰკრა. ამოხეთქა სისხლმა უფრო რომ გააავა ძაღლი და მან ადამიანი დაეჭინა, ადამიანი ჯერ კიდევ დილით ცივ ცხვირს რომ უკოცინდა მას...

...გასაროლის ხმა გაისმა და დამშის თავდასხმაც შესუსტდა; ძაღლმა ერთი დაიკვლა, მოდუნდა და ადამიანს თავი მიანებდა. შემდეგ წამოხტა და დანარჩენ ძაღლებთან ერთად თავპირისმტკრევით გაქანდა...

ქარზე უსწრაფესად მიქროდა დამში და ვერც კი ამჩნევდა, რომ უკანა ფე-

ხზე, ნატყვიარიდან სისხლი სდიოდა. მიქროდა დამში, თავადაც არ იცოდა საით, უკან კი გასისხლიანებულ და დაკბენილ პატრონს ტოვებდა...

გადარჩენილი შოუგანი ბასიატმა ზურგზე მოიგდო და მხოლოდ შუადლისას მიაღწია საავადმყოფომდე, სადაც ორი ხანგრძლივი თვის გატარება მოუხდა კაცს. სოფელში ჭრელი აზრი შეიქმნა. ერთი თუ საგანგებო შემთხვევად თვლიდა ამ ამბავს, მეორე უბრალოდ დასცინოდა შოუგანს და როგორც ხალხური ანდაზა ბრძანებს, წაქეულს მუდამ დასცინიან, გინდ რწყილი იყო და გინდაც ხელმწიფე.

როგორც კი ჭრილობები შეუხორცდა, შოუგანი შინ დაბრუნდა...

დილიდან გვიან საღამომდე იჯდა იგი თავის სახლის აივანზე და დამშის უცნაურ საქციელზე ფიქრობდა...

იმ ავბედითი დღის შემდეგ, დამში ეზოში აღარ გამოჩენილა, სოფელში დაწანწალეზდა, სადაც მოხვდებოდა იქ ეძინა და ნასუფრალით იკვებებოდა... იგი უკვე მაწანწალა ძალღად იქცა, ნატყვიარი ფეხის თრევით დადიოდა სოფელში და ხალხთან შეხვედრას გაურბოდა, რადგან უკივილებდნენ, „მოლაღატეს“ ეძახდნენ და ქვის სროლით აძევებდნენ. მიუხედავად ამდენი წვალებისა ძალი მაინც არ ბრუნდებოდა შინ, სადაც დაიბადა და გაიზარდა. ბასიატის თქმის არ იყოს, ალბათ, „სინდისი აწუხებდა“.

იმ წელიწადს მკაცრი ზამთარი დაიჭირა. ნაურმალითა და ცხენის ჩლიქებით წარმოქმნილი გუბეები მზზინავმა ყინულმა დაფარა. გამჭოლი ქარი ქროდა. თბილად ჩაცმული შოუგანი კი კვლავ სახლის აივანზე იდგა და დიდხანს ფიქრობდა...

ერთხელ, სირმას სთხოვა სოფელში დამში მოეტანა და სახლში მოეყვანა. ცოლი არ შეპასუხებია, მხოლოდ ამოიხობრა და ერთი დღე ძაღლის საძებნელად გაეშურა. დამში, თითქოს მიწამ უყო პირიო, არსად ჩანდა. რამდენიმე დღე უშედეგოდ ეძებდა ქალი ძაღლს,

მაგრამ შოუგანი ისე მუდარით შეტკეპროდა ცოლს და ისე ოხრავდა, რომ ქალი კვლავ დგებოდა. და უსრუტულად გადიოდა სახლიდან. სიძაოთლე რომ ითქვას, სირმამ არაერთხელ ნახა დამში, მის დანახვაზე დამნაშავედ რომ წიკმუტუნებდა და უწესრიგოდ იქნევდა ერთ დროს ფუმფულა კუდს. მაგრამ საკმარისი იყო ერთი ნაბიჯი გადაედგა ქალს მისკენ, რომ ძაღლი ადგილს სწყდებოდა და გარბოდა.

ასე გავიდა ზამთარი და გაზაფხული შემოიჭრა. აქა-იქ ალუჩისა და ატმის ხეები აფეთქდა, თეთრ და ვარდისფერ ღრუბელს დაემგვანა და ბაღები გააფერადა. მოკეთებული და მოღონიერებული შოუგანი გაზაფხულის სამუშაოებისათვის მოემზადა.

ერთხელ, თბილნარში გარდევულ მწვანე ღობეს ქოლავდა და სულის მოსათქმელად ძელზე ჩამოვდა. ამ დროს უკნიდან სირმა წამოეპარა და თვალბზე ხელი ააფარა.

— რა პატარა ბავშვივით იქცევი, — გაიკვირვა შოუგანმა და უხერხულად შეიშმუშნა. სირმამ მზიარულად გაიცინა და ქმარს უპასუხა: — მე არა ვარ პატარა, პატარა შოუგანი კი მალე გვეყოლება.

— მართლა? — გაოგნებული შოუგანი ფეხზე წამოხტა. სირმა კი კვლავ ილიმებოდა და ქმარს ეშმაკურად შესცქეროდა.

— შენ... ზომ არ ხუმრობ, სირმა?
— შენ თავს ვფიცავ, შოუგანი!
— ამას ყველა ქალი გრძნობს, გარდა ამისა, ექიმთან ვიყავი და ექიმმაც მითხრა...

— რა, რა გითხრა?
— მითხრა, რომ ბავშვი გვეყოლება, ჩვენი ბავშვი, ძვირფასო!

შოუგანმა ფრთხილად მიიზიდა ცოლი და ერთმანეთს მდუმარედ გადაეხვივნენ. შემდეგ, ქალს გონს მოსვლა არც კი აცადა, ისე აიტაცა ხელში, სახლისკენ გააქანა, ტოტებგაშლილი კაკლის ქვეშ ფანჩატურში შეიყვანა, დასვა და თავადაც გვერდით მიუჭდა.

გული საბუდრიდან ამოტომას ლამობდა, სიხარულისგან ყვირილი უნდოდა შოუგანს, მაგრამ ერიდებოდა. რა უნდა ეთქვა, მის ყვირილზე მეზობლები რომ მოცვივდებოდნენ...

ეტიკარი აჭრიალდა და ეზოში ჭერთავე, შემდეგ კი თავად დამში გამოჩნდა... იღვა ძალი და ისე შესცქეროდა ქალსა და მამაკაცს, თითქოს განაჩენს ელოდა. გაოგნებულმა შოუგანმა თვალებს არ დაუჭერა, სირმაც მიჩუმდა. ასე გავიდა ერთი წუთი, მერე — მეორე... ბოლოს შოუგანი წამოდგა და დამშისაკენ გაემართა. თავჩალუნული ძალიც კოჭლობით შემოეგება და როცა ერთმანეთს მიუახლოვდნენ ორივე შეჩერდა.

— მამატიე, საწყალო დამში იმ დღეს რუხმა ძალმა მიწას რომ გაგაქრა და კინალამ დაგფლითა, ლობიდან უხდა ჩამოვსულიყავი და მისთვის თავში ჩამერტყა; ამდენს არც შენ დაიტანჯებოდი და არც მე; მაგრამ შეეშინდი და მამატიეო, — თქვა შოუგანმა, მერე, როცა ძალმა თათები ძველებურად მკერდზე მიაწყო და სახეში ჩახედა, ძალმა კაცის თვალეში ცრემლი შენიშნა...

ადამიანი უსიტყვოდ ეფერებოდა გაწამებულ ცხოველს ძლიერ, მამაკაცური ხელებით.

— გამარჯობა, დამში

— თარგმანა მანანა მძიმეაძი



მედიკი სპეციალისტი

ნეტავი გვერი გაზარდოს...

მაგიდაზე ოცდერთი განცხადება იდო. მათი ავტორები სამსახურიდან განთავისუფლებას ითხოვდნენ. ოცდერთი სახეგამებზედული მამაკაცი გაუნძრევლად იჭდა და თვალმოუშორებლად მისჩერებოდა ოთახის კუთხეში მაგიდასთან მჯდომ ადამიანს, რომლის ნებასურვილზეც იყო ახლა დამოკიდებული მათი ერთობლივი სათხოვარის საბოლოო განჩინება. მაგრამ იგი უოცმანობდა.

წუთი წუთს მისდევდა. იმ წუთებს საკუთარი მაქისციქმასავით ითვლიდა თითოეული დარაკა მაგიდასთან მჯდომიდან დანარჩენებს მწერა გაუნწორა, სამსახურიდან განთავისუფლების მოსურნე იმ ოცდერთმა მამაკაცმა იმ ერთის თვალში პატივების მუდარა წაიკითხა.

— ბოდიშს ვიბღო ვაუგებობისათვის. გთხოვთ, მე მამაკითხეთ... — ძალიან დაბალი ხმით თქვა კარგა ხნის დუმილის შემდეგ იმ კაცმა.

„ვაუგებობა“ კი იმაში გამოიხატებოდა, რომ იმ ხანებში დასახლებაში საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა. ნებით წასულები ან სამსახურიდან განთავისუფლებულები ბინების დაკლავზე უარს აცხადებდნენ და სამუშაოზე მათ შემდეგ მიღებულები დამის გასათვის გარეშე რჩებოდნენ. სამმართველოს უფროსის მოადგილეს საკითხის სასწრაფო მოგვარება დაევალა. ისიც თავისებური უჭიკითხით და განუყოფლობით შეუდგა საქმეს. რაკი ბინადართ ვერ პოულობდა, კარებს უციხხავად აღებდა და ხშირად უპატიოდ გამოქონდა ხაბაკ-ხუბაკი ვაიშენებლებისა, რომელთაც, ეტყობოდათ, რომ ღრობით იყვნენ სამუშაოდ მოსულეები და ამიტომაც არც ბინის მოწყობაზე ეფიქრათ.

თამარ ომანაძემ შეუდგის დეკემა მიიღო: ბევრი ძალიან მძინედა და სასწრაფოდ ჩა-

მოდიო. ბიჭებმა გააცოდეს. იმავე საღამოს გრაფიკი შეადგინეს, ვინ როდის ვასულებო მის მაგივრად ცვლაში. რამდენიმე დღის შემდეგ შემოთავალა თამარმა: „მდგომარეობა ისევ ცუდიაო“. იცოდნენ მისი სიტყვაქართობის ამბავი და იმ დამით იქით ჩაიხიხა გადაწყვეტის დარდუმოყრილმა ამხანაგებმა, ეგებ რამეში ვჭირდებოთო.

მერე ველარაფრით ვერ გაიხსენეს, მეორე დღით პირველად ვინ ატება განგაში, ომანაძეებს ბარგს გარეთ უყრიანო...

გიფებოვით გაცვოდნენ. ამდენ ხალხს იმ ნივთების დაბინავება როგორ გაუჭირდებოდა, მაგრამ...

ბიჭები ომანაძისას მიცვივდნენ. საღარბაზოში შეუდგული მმართველის მოადგილე და მისი ხალხი ნივთების სიას ადგენდნენ (ამჭერად აქტის შედგენაზე ეწარუნათ). გარეთ დარჩენილ საკიან კარადას და ბავშვის საწოლს უღმერთოდ აწვიმდა — საწოლში ჩაფენილი, კახელი ბებოის შეტერილი, ცისფერწოლიან პირში ჩასმული, შატლის შავალი ლეიბი, რომლის პატრონი ანგლოზივით ლაშაში, ენატოქტია გოგო იმ წუთებში სატანიშაძის ოთახში სიკვდილს ებრძოდა, ერთიან დასველებულიყო.

ამ სურათის დანახვაზე სულიყო ღომამშვილი ახლუქუნდა (ის პაწაწინა გოგო მათი კოლეკტივისათვის ქერქერობით ერთადერთი „შვილობილი“ იყო).

და აი, იმავე საღამოს მიღელი ამ უსულგულობისა და განუყოფლობისათვის მოადგილის დასჯა მოსთხოვეს სამმართველოს უფროსს. არადა... არადა, ოცდერთი ერთნაირი განცხადება დაიწერა... ოცდერთივე ინსტიტუტის მიერ იყო აქ განაწილებით გამოგზავ-

ნილი და სამ წელზე ადრე მათი აქედან წასვლა არასდროებით არ შეიძლებოდა.

— ...მე შაპატიეთ, ის ბრძანება ჩემი გაცემული იყო და მისი შეტრულებებისათვის სხვისი დასჯა ვაუკაცობაში არ ჩამომერთმევა, — თქვა სამმართველოს უფროსმა.

ამ დეპანულ წუთებში ეს ერთადერთი უწყალო სვლა იყო და სწორედ ის უპარანა გამოცდილებამ.

მერე გვიან, შეღამებულზე სახლისკენ მიმავალი, ვერაფრით ვერ პოულობდა პასუხს კითხვანზე: როდის მოასწერს, რამ შეერა, რამ გაურთიარაანა ასე ეს ლაწირაკები? — უპანასკნელმა სიტყვამ სიბოლო ჩაუღვარა გულში, — მაგათ რომ სამუშაოს მიმართ გამოიჩინონ ასეთი ერთსულაყენება ზომ ავშენდებითო. მაინც რა გაუხდათ ეს ომანაძე, თითქოს ქაღალში ნახშირის ვერ არჩევდა და...

(თვით ომანაძეებმა თავიანთი გამოსახლება შესახლების ამავეი კარგა ხნის შემდეგ, ვილაციის მიერ შემთხვევით, ანგარიშმოუცეზლად დათქვამიან გაიგეს).

მეორე დღეს, სამმართველოს უფროსმა ენგურმესის მიწისქვეშა სადგურის მშენებლობის უბნის უფროსს, მოველი ჰაავას დაურჯავა: — შენთან რომ ომანაძე მუშაობს, რა კაციაო?

ჰაავა ვინმეს ქებაზე მწყურადად გახლდათ, ქება ვასათხოვარი ქალისა გამოგიაო (თვითონ, ხუთი ერთმანეთზე უკეთესი გოგოს მამა იყო მაშინ. მერე მეექვსე ბიჭი შეეძინა).

თვითონ მოველმა მიწისქვეშა უძენელის და ურთულესი ელექტროსადგურის მშენებლობა ისე დაიწყო და ისე დაამთავრა, თხოუმეტ წელზე მეტი იმ უცნეთში ისე იმუშავა, ინვიარობიდან უბნის უფროსობამდე გზა ისე გაიარა, ერთხელ წელაკვი (მიწისქვეშეულების დაუნდობელი შტრი) არ ვასდგომა, წუწუნის არ დასცდენია, საათი არ გაუცდენია. აი, ამიტომაც იპაურობენ გაშპლეობის ეტალონად გამოცხადდა, გამძლეობისა და კიდევ... სიმკაცრისა...

— რად კითხულობთ? თუ დაწინაურება ვინდათ, ცოდვას ვერ დავიდებ, მაგრამ თუ სხვა უბანზე გადაგვავთ — მის წამუყანს ჩემთან ექნება საქმე.

— ვითომ, რადაო?
— მარტო რომ მიუშვა, თუნდა აგრეგატს დაგინტარენებს, კვირაში ერთხელ მიაკითხე ოდონდ. ნახას დედანასათო კითხულობს, ინჟინრულად შესანიშნავად აწროვებს, ეს არის, ცოტა ენამუწქია...

— ეგვეც ღირსება?
— კაცისათვის, მით უმეტეს ინჟინრისათვის, დღეო. ღაუბობანზე დასკარგ დროს საქმეზე ფიქრს ანდამებს.

თამაზ ომანაძე ცაგერის რაიონის სოფელ ზუბიდან 1966 წელს ჩამოვიდა კომაროვის სა-

ხელობის მათემატიკურ სკოლაში მოაწყობდა. თან მამა ჩამოხუვა. მეორეჯერ მამამ მაშინ ჩამოაკითხა, საქართველოს პარლამენტის ინსტიტუტში ჰიდროტექნიკურ უაღრესტზე მისაღებ გამოცდებს არ ამარებდა მათემატიკაში. საგამოცდოდ განუთენილი სამი საათი გარეთ მომლოდინე მშობლებისათვის საუყუნეს ეტოლებოდა. თამაზი ნახევარ საათში გამოვიდა. გულშოკულმა მშობელმა ცრემლმორთული თვალი აარიდა, ჩაჭრილაო, და უსიტყვოდ შებრუნდა. ძლივს წამოეწია შვილი. მანქანის მიერ დაწერილი ზუთიანი აჩვენა; იმ ერთს მეორე მოხუვა, მეორეს — მესამე...

— თამაზ, რაღა ჰიდროტექნიკური სპეციალობა აირჩიე, იმ სკოლადამთავრებულს ზომ უველგან გზახსნილი გქონდა? — ჩემს შეითხვანზე ქერ გაცოცდა (ახლა ვეღარ წარმოუდგენია სხვა სპეციალობა), მერე გულუბრყვილოდ გაიღმა:

— წყალი მიყვარდა, მისი დეკანა მეამაყებოდა. ადიდებულ ცხენისწყალს ვაღმაგამოღმა რომ ვაუცურავდი, მიხაროდა.

დამთავრებულმა, სპეციალობის ასარჩევად საკმაოდ მიამიტური საფუძველია, მაგრამ უმრავ სკოლადამთავრებულთა შორის, სამწუხაროდ, აღბათ, არცთუ მაინცდამაინც დიდია იმათი რიცხვა, ვინც თავიდანვე მიაცნო საკუთარ თავს, საკუთარ საქმეს, რომლის კეთებაც მთელი სიცოცხლის მანძილზე სიხარული და კმაყოფილების გრძნობას მიანიჭებდა, საკუთარი არტბობის აუცილებლობაში დაარწმუნებდა. არადა, რანაირც არ უნდა იყოს ის „საკუთარი“ და მაშინადამე საუვარედი საქმე (თუ, რაღა თქმა უნდა, აღმაინების საწინააღმდეგოდ არ არის მიმართული), შენ ზომ გამაღლებს და გაკეთილშობილებს, თავისთავად, თითქმის შეუშინველად, ძალდაუტანებლად ბადებს ირგველიე მუოფთა უებრო პატივისცემას შენდამი.

ჰიდროტექნიკოსობა თამაზ ომანაძისთვის საკუთარი და საუვარელი საქმეა.

მშენებელთა უმარტო სპეციალობათა შორის ჰიდროტექნიკა ერთერთი ურთულესია და ნამდვილ ჰიდროტექნიკოსად ჩამოყალიბება მისი თეორიის საგულდაგულოდ შესწავლის გარეშე შეუძლებელია. რამდენ მშენებელს მთელი სიცოცხლე ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობისათვის შეუღეცია, მაგრამ ჰემემატიკ ჰიდროტექნიკოსად მაინც ვერ ქცეულა.

თამაზ ომანაძე ინსტიტუტშიაც გამოირჩეოდა გულისურობით, მუყაითობით და ბუნებრივი ნიჭერებით. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გამანაწილებელმა კომისიამ მელორაციისა და წყალთა მეურნეობის წნარის მშენებლობაზე გაამწესა. დღესაც ძნელად და-



ფარული სიხარულით ჰყვება, ის დაშარღე-
ბულ-დაპლაშებული ხრიკი და გამოუყენე-
ბელი მოწები აზოცემენტის საგანგებო მი-
ღებიდან დაწვიმებითა თუ სხვა საშუალებე-
ბით როგორ გადაიქცა ლორთქო ბალახით
აბზინებულ საძოვრებად, სადაც ახლა შე-
ხოვედულობის ვეება კომსალუქსის მშენებლო-
ბაა გათვალისწინებული.

— პირველივე ზაფხულს ორი მოსავლის
აღება მოვასწარიო. შემოდგომაზე კუინტ სი-
მინდს იქვე მინდორში ვწვავდით და ვამრი-
ლად შევექცეოდით.

მაგრამ უმარჯობიდანვე წყლის დაქაბნაზე
შეოცნებე ბიჭის აქ გული არ გავუჩერდა, მოხ-
კიდა ხელი თავის ახლადშერთულ ცოლს
და ენგურქესს მიაშურა, ჩემი ადგილი აქ არის
და თქვენთან მამუშავეთო.

ენგურქესის ჰიდროკვანძის მშენებლობა,
რომელიც თავის თავში თითქმის უყლა სახე-
ობას აერთიანებდა, ახლავარდა ჰიდროტექ-
ნიკოსინათვის უსერიოზულესი სკოლა იუ-
ტუილად კი არ ოზუნჯობდნენ აქაურები:
აქედან, რომელიც გინდა მშენებლობაზე
უყუდნაც რომ გიხროლონ, მაინც ფეხზე და-
დგებიო კიდევ ნამდვილი ადამიანურა ურთი-
ერთობის, გვერდში დაგომისა და კუმშობის
ღირებულებათა შეცნობა-დაფასების სკოლა
იყო ენგურქესა. განსაკუთრებით მისი გაშუე-
ბის წელს, როცა პირადული საერთოდ და-
ვიწყებულ იქნა და ერთი მიზნისთვის, ვადაზე
დამთავრებისათვის, ღამის ერთ კაცად შენივ-
თდა ამოდებს კოდექტივს.

კიდევ უღრუბლო სიხარულს, მცირედით
დაჰმარჯობდები, ერთი შეხედვით უმნიშვნე-
ლოში დაღის აღმოჩენისა, ბედნიერების მოშ-
ნიკებელი იყო ის წლები: როცა ერთ ომა-
ნაძეს პამიდურის მწნილი გამოქონდა სახლი-
დან, მანანა ლომთათიძეს კარტოფილი — „რაც
ჩემი ქმრის თვალსაც გადაურჩა, სულ წა-
მოვიღო“ (შედულების ქაბჭაბა ხინათლე მის
მეუღლეს თვალის ისეთ ანთებას უჩენდა,
მთელ ღამეს აკვლავებდა და ცოლი გათენებამ-
დე გათილი კარტოფილებს უცვლიდა თვა-
ლებზეც), მედიო თიბილდაშვილის ჩასმულ ჭედს
გამოცობას არ აცდადნენ, ერთმანეთს ხელში
აყლიდნენ და ისეთი ზორზოცი და ჩარუ-
ხანა გაქონდათ, შორიდან მაყურებელს გაუ-
თავებელი ქვიფი და დროსტარება ეგონებო-
და. როცა ცვლის დამთავრების შემდეგ ერთ-
მანეთს ცვლიდნენ, მაგრამ არ იცულებოდნენ,
იქვე ჩრებოდნენ, ეგება რამეში ხელი კიდევ
წავუტარო ერთმანეთს; უფროსების წინაშე
კი თავის წარმოჩენას, ისევ ერთმანეთის გამო-
ჩრევას ამტკობინებდნენ, როცა იმდღევანდელი
დღე ვარდისფერი ეტყუებოდათ და მეორე
ღღის საიმედობისა სტეროდით.

მას შემდეგ პირველმა ათეულმა წელმა

ენგურის წყალივით შეუმჩვენადა ჩაიარა-
ყოფილი ენგურბუნების ეტრება ნაწილმა
შემდეგში ვაგარის შემოსავლელად ჩრქვენი
ბის გასაყვან მშენებლობაზე მოიყარა თავი და
მას შერე თითქმის ყოველ წელიწადს, ავჯის-
ტოს ყოველ მეორე კვირას ორი თემური გუ-
ქაბიძე, თენგიზ რუსთაშვილი, ოლეგ ჭან-
ტურია, ანზორ ფიჩხაძე, გურამ ქაყოჩია და
სხვები გაგარაში იყრიან თავს. რათა იმ დღეთა
განწყობილება ერთხელ კიდევ განიცადონ,
ერთმანეთთან ურთიერთობით თუ სიახლო-
ვით გაიხარონ, ის სიხარული მთელი წლის
საგზადაც წამობდონ და კიდევ, რაც მთავა-
რია, ის ორნი, ამ ქვეყნიდან უღროდ წასუ-
ლნი, გაიხსენონ...

თამაზ ომანაძე, ოთხიოდე წლის შემდეგ
ტექნიკურ განყოფილებაში ქერ მოადგილედ,
შემდეგ უფროსად დანიშნეს. აქ მუშაობამ გა-
ახივრებინა არა მხოლოდ ძალოვანი კვან-
ძის შესრულებულ-შესასრულებელი სამუშა-
ები, არამედ მთელი ჰიდროკვანძის გრანდიო-
ზული სქემაც და უდიდესი თაღოვანი კაშხ-
ლის ურთულესი მშენებლობაც. ათასზე მეტი
ნახაზის არსებობა უნდა სცოდნოდა, ასზე
მეტად — ზეპირად. ხშირად რომელიმე კვანძი,
თითქოს უკვე დამთავრებულია, თვალდაბუ-
კულს ისე ნათლად წარმოუდგებოდა, რო-
გორც ზუბში მიტოვებული მშობლიურ აივ-
ნის ჩუქურთმიან სვეტებთან მიშენებული მე-
რცხლის ბუდეები. იმ კვანძების მშენებლო-
ბის მხოლოდ ტექნიკურ მხარეების ცოდნას
კი არა, სამუშაოთა ორგანიზაციულ პროექტე-
ბის შესწავლასაც ივადლებულა, ქვარში
დიდ თათბირებსაც ესწრებოდა და სულ მალე
მთელი ჰიდროკვანძის წვრალმან-მსხვილმანში
ჩაბედულ და გარკვეულ კაცად იქცა.

წვრალმანში... ჰიდროტექნიკაში წვრალმა-
ნები არ არსებობს. უყურადღებოდ დატოვ-
ებულმა ენგურმა უმნიშვნელო დებაღმა,
მნიშვნელოვანი კატასტროფა შეიძლება გამო-
იწვიოს.

და მაინც, უინვალოში გადმოხარგებულმა,
ყველაფერი თავიდან დაიწყო. საკუთარი
შრომით შექმნილი უმწიკველო ბიოგრაფია
ისეთი უშაშვლის და პროტექტორის როლს
უწევდა, არჩევან მასზე იყო, მაგრამ მიწის-
ქვეშა ელექტროსადგურს ვერა და ვერ შე-
ეღია.

— ბიჭო, რა მაგნიტი აქვს მაგ ქვეყნულს,
ანდამატივით რომ გიზიდავს ეგ უსინათლო
ქაოქბითი? — ქაოქობდა ცოლი.

ერთ ომანაძე „უჩაღლანას პერანგში“ დაი-
ხადა. ძალიან ენერგიული, პრაქტიკული ვაჟ-
კაცივით გაბედული, გოგო იყო, მაგრამ... ქერ
იყო და დარბაისელი ბებოის განწყუვებელი
შეგონებანი ამზარებებდა მის სითამამეს:
„შვილო, კალი მოკრძალებით და თავშეკაცე-“

ბით ფასდებოა" და მერე, რაღა თქმა უნდა, კმრის საყვარელი და პატვიისცემა.

მის ხაზღადარსი ორი მშენიერი ბარტი წის. თაფლისფერთვალეზა გავოს წერც რამეს აქმეც. წერც ასმეც — ფანქრები და სადებავები მიეცი მხოლოდ. შავტუზა გივას კი ეზოდან ნუ ამოიუვან, ომობანას და უჩაღობანას ნუ შიატოვებინებ.

— ნუ მხეხავ ამდენს, ეს კუჭევი კი არა, ჩემი შავი მუხლიაო, — უკველ საღამოს უხხინის, მაგრამ ვერ აჭერებს იგი დედას. თუმცა დედამისის მხეხიერება (ერთი კადრების განყოფილებაში მუშაობს), მამის ამხანაგებს სახალისო სათამაშოდ აქვთ გადაქცეული. საქმარისია, რომელიმე მუშის გვარი დასახელონ, ეთერი უშეცდომოდ იმახსოვრებს მის სახელს, მამის სახელს თუ სხვა მონაცემებს.

ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობა კოლექტიური შემოქმედებაა და ერთი კაცის წვლილისა თუ დეაწლის გამოყოფა ძნელი საქმეა. შეუძლებელია იმ ზღვარის გავლება, სადაც რეჟისორის როლი თავდება და მსახიობის ინდივიდუალური, ჰშირად ინტოვიციური შემოქმედება იწყება. ან სადაც წერტილი ემსება სცენარის ქვეტექსტს და რეჟისორის ფანტაზიას თავისუფალი ნაწარდის საშუალება ეძლევა.

ჩვეულებრივ მშენებლობაში დამპროექტებლებმა პროექტი დამუშავეს, შესაბამის ინტსაციებში განიხილეს, დაამტკიცეს, მოდელი და აშენე მშენებელმა. ჰიდროტექნიკაშიც ასე რომ იყოს, ანეთი დიდი ჯაფა აღარ დაადგებოდით ეიწვალის ჰიდროკანონის დამპროექტებლებს და მუშა-პროექტისა და საავტორო ზედამხედველობის ჭგუფის უფროსის გვიო თაბუკაშვილს და მის თანამშრომლებს.

ხან გეოლოგიის, ხან თვითონ წულის, ხან ათასი რაგინდარას მიერ შემოტანილი კორექტივები საჩქარო რეაგირებას მოითხოვენ და გადაწყვეტილებათა მიღებაში დამკვეთის თუ დამპროექტებლის ან მშენებლის როლი, მათი ფუნქციების ზღვარი, მათი პასუხისმგებლობის სხვადასხვაგვარობაც კი შილიანად იწლება და ერთმანეთში ირევა. საქმე საერთოა და უველას უველაფერი ევალება, უველას უველაფერი ეკითხება.

თამაზ ომანაძეს საოცარი თვისება აქვს — მუდამ „ხელთ იყოს“. თავისი უბანი, თავისი საკეთებელი მუდამ ზემდემწვეთი იცის და ზუსტი ინფორმაციის შისაცემად, სატკივრის განსაზღვრა-ჩამოსაყალიბებლად, რამდენიმე სიტყუას სჭერდება. საწარმოო თათბირებზე ამხანაგების თავრილობებზე ჩუმად, შეუმჩნეველად შემოდის, ცდლობს უფრადლება არ შიაქციოს, მაგრამ, როცა ვაღბს, უსათუოდ თვალში გაკლდება, რადგან ძნელად ვინმემ

მასავით დროულად საქირი ცნობა მოგაწოდოს, სამსახურად საკუთარი თავი შემოგთავაზოს.



მეწისქვეშეთის არსებობის საკუთარი თავისი მოულოდნელი შემოტყუებით მიანც წუალი და სამთო წნევის განვითარება. ელექტროსადგურის თალი, ზევიდან, წრებაზთან გავლებული მხეხეზავით, წვრილი ქაბურღილებით დასერეს, თაღის თავზე წულის მოგროვების ბოროტ განზრზებას ბელი შეუშაღეს, გასატორთავად იოლი გზა-სავალი შეუქმნეს და სადგურის კედლებთან გარედან ჩაყოლებულ საგანგებო გაღერებში გადაადგეს. მაგრამ წუალი რის წუალი იქნებოდა, მიანც შიგ არ შემქმარალყო და ზოგან წვეთ-წვეთად, ზოგან წვრილ ჩალიჩად არ ჩამოდენილიყო. ახლა შიგნიდან გაუყეთეს მეორედი თალი და მეორედი კედლები. ზევიდან და გვერდებიდან ჩამოდენილი წუალი ვიწრო არხებში მოამწყვდიეს და გარეთ მისცეს გზა...

ელექტროსადგურში სამი ტურბინა არმატურის არტახებში წის უკვე. მეოთხე განზე განდგარა და მოთინებით უყდის ასოტორინაში აშვე წიწვალასავით როდეს აიტაცებს და მისთვის საგანგებოდ დატოვებულ ბუდეში როდეს ჩასვამს დასაბეტონებლად.

ამ სადგურის დასამთავრებლად თითებზე ჩამოსაოღული თვეებიღა დარჩა. აქაურობა ზღაპრული ჭოჭოხეთის ცეცხა დარბაზს წავაგვს ახლა, სადაც უველაფერი უწინსიგოდაა თავმოყრილი. გვერდითა გვირახს ჭერ ისევ თხრიან, მომცრო ვაგონები ქანს ეწიღებან ზვეით. საშაქანო დანადგარების სართულზე კი ერთმანეთთან ახლოს კაშკაშა ცეცხლის ალი ბრიალებს წარაშარა — მემონტაჟეების მიერ შედღებებისა დაკვირვებული ალი. ერთ შეჭგუფული არმატურები, შამბუსს სტეცივით გაუვალ ტვედ აზიდულან.

მემონტაჟეები ხაღბს თხოულობენ, ადგილობრივი კადრი მოგვამაგრეთო ახლავე, თორემ ჩვენ რომ წვათო, ვინმე ხომ უნდა დაგვრეთ, ვისაც აგრეგატების სამსახური თავდაწვე ცხოვრებინა.

ჩვენ რომ წვათოთ. აი, ვის არ ეღვგომება ერთ ადგილზე. ერთი სადგურის მონტაჟი არ დაუშოვრებიათ, მეორეზე იწვევენ დეკემოთ. ლამის მთელ ქვეყანას უყლიან. შინ თუ გარეთ აშენებულ უველა ელექტროსადგურის მეწისქვეშეთში, უშუალოდ კაშხალთან მიმდებარებს თუ მიწის ზვეით, უველა ტურბინას ესენი ამონტაჟებენ...

თამაზ ომანაძეს იმ „უხინათლო ჭოჭოხეთში“, რომელიც მართლაც საოცარი ძალით იზიდავდა, ორ წულისა არ დააცალიეს უშუალო მუშაობა. შეამჩნია არ მისი მუდამ „ხელთ ყოფნის“ თვისება, მშენებლობის უფროსმა ავთანდილ ჩალაძემ გენსადგურის, და

ქვესადგურის და ტექნოლოგიური კორპუსების მშენებლობათა მეთრევეობა დააკისრა (სამაგიეროდ ცოლი აწუწუნდა: „ბიჭო, ერთი ძლე მინც ჩაადე, ქალაღებთ ზელდაშვენებული არ გამოცხადდე სახლში და შუაღამეშდე არ იმუშაო“). ამ ახალი მოვალეობის თავის გართმევა ენგურჭისის ტექნიკურ განყოფილებაში მიღებულმა გამოცდილებამ გაუადვილა.

მეორე ომანაძეს — როდანდს „ნატარა“ წლოვანების გამო ჰქვია, თორემ უფროსს ზევიდან დაჰყურებს. იგიც ძმის კვალს გაჰყვა, ენგურელი დაირქვა, იქ მუშად იმუშავა, მერყ მიდროტექნიკური ფაკულტეტი დაამთავრა და იმანაც ეინვალჭისის მშენებლობას მოაშურა. მათი ერთადერთი და წყაღტუბოში მუშაობს.

დაზარდეს შვილები ვუფუნა და ნიკო ომანაძეებმა, დააფრინეს ბუდიდან და ახლა ერთ-

მანეთის თვალში შეეყურენი დღეცისმარე მათი მომლოდინენი არიან. და თუმცა თვალები გზაზე აწუღებთ, საყვედური არ წამოსცდებთ. არ წამოსცდებთ, იმითაჲ, რომ იმ სველი სიმღერისა არ იყოს, „ნეტავი ბევრი დაზარდონ, შვილები თქვენისთანაო“. ამ მარტოობაშიც ბევრი ჰყავთ შემნატრებელი.

და, აი, ზღვაღქცეულმა არაგვმა უშველებელი სარკეობა იკისრა. ისე გადახატა მწვანე მთებო, ლურჯი ზეცა და ქულა-ქულა ღრუბლები, ტყუილ-მართალი ძნელი გასარჩევი გახდა.

ასეა საღამომდე.

ვადრე ღამის წყვილიანი შთანთქავს აქაურობას.

მაღე კი იგიც დაკარგავს თავის პირველყოფილებას — ეინვალჭისის ნათურები შვისფერად მოავარაყებენ გარემოს.

აპოლონ ცანავა

თამაზ ბიბილურის ახალი რომანი

გამომცემლობა „მერანია“ 1984 წელს გამოაქვეყნა თამაზ ბიბილურის ახალი რომანი „შვიდი ხმისა და ტორადასათვის“; ისევე, როგორც ავტორის პირველი რომანი — („თან კითხულისა“), ეს ნაწარმოებები მრავალგანზომილებიანია და რთულ სიუჟეტურ სტრუქტურას ემუარება. მისი ძირითადი მიზანდასახულობაა გადაარჩინოს ადამიანი ამაღლებული და პოეტური; აჩვენოს საზოგადოებისა და პიროვნების, ეროვნული ტრადიციებისა და თანამედროვეობის ხანიშნო მორალურ-ეთიკური ასპექტები.

რომანში შვიდი კეთილი ცდომილი მოქმედებს. შვიდაც ტრაგიკული ბედის ადამიანია. თავსდატბილი სხვადასხვა უბედურების გამო, მათ სამკვიდრო მიუტოვებიათ და ცალ ცალკე მიმგზავრებიან „ქვეყნის დასაღიერში“, „ცას გაქრულ“ სოფელში, რომელსაც ჩალაური ჰქვია.

ჩალაური მწერლის მიერ მოაზრებულია ცოდვამდელ „ედემის ბაღად“. ცდომილები სხვადასხვა ასაკის, საზოგადოებრივი მდგომარეობის, ხასიათისა და მიწარაფებების გამოხატვლები არიან, მათ, ადიღებული მდინარის ნაპირას, ერთმანეთთან გზა ახვედრებთ. ეს გზა მარადი გზაა, რომელიც უველა ადამიანსა საკუთრად უნდა გაიაროს.

„ისხდნენ ადიღებულ მდინარის პირას და რადაცა ელოდნენ — ადიღებული წყლის ჩავლას, მგზურის გამოჩენას თუ სულაც სასწაულს... ისხდნენ დადიღლი და ძალას ატრებდნენ, რომ ეკლავ გზას გახდგომოდნენ“ (5). შვიდი ადამიანის აფორიაქებული სული ჩავის, შველას ითხოვს, საკუთარ სიმართლეს ეტებს. „აღარ აშინებთ არც ისხნეღე, არც ადიღებული მდინარე, არც მანძილი. ისინი უველგან არიან. ფიქრად ქცეულნი მთელ უსაზღვრო სამყაროს სწავდებიან“ (422). ცდო-

მილები თავის ხმაზე მოსოქვამენ და ჩივიან. ამ შვიდ ხმას „ტოროლა ბოლოს შეუერთდება... გააგრძელებს და დაახლოებს შვიდი ხმის ქორის, უკვე დაშლილს, დაქუცმაცებულს“ (5).

პროლოგში „შეთხზული ამის ავტორი“ მხოლოდ მიგვანიშნებს ამ შვიდ ხმაზე, შემდეგ კი, ცალკეული თავების მიხედვით, ახდენს ამ მინიშნებათა მხატვრულ ზორცუებს.

სიუჟეტური ქარგა რომანისა ზღაპრული შეფერილობისაა. ადიღებული მდინარე, ქობს ტუეში, ცას გაქრული ჩალაური და სხვა, ქართულ ხალხურ ჯადოსნურ ზღაპრებთან მოულოდენ ანოცირებას. ასევე გამოყენებულია უკვდავების მძიებელი კაბუის სტრუქტურა („მინა თავისა მოთხოვს“). პაროდირებაც, უმთავრესად, ზღაპრულ პრინციპს ემუარება. ამ მხრივ კაქკაჰის სახეა მეტად საინტერესო. თბრობის მანერა აშკარად მიგვანიშნებს მწერლისეული ლაიადარული სტილის ზღაპრულ შეფერილობაზე: „მზაური სწორად იქ წაიქცა, სადაც ჩალაურის მიღმა გაწოლილი უსაზღვრო და უძირო სივრცე იშლება... აქედან ის გზა იწყება, რომელზეც წამსვლელი ბევრი გვინახავს, ამის მომტანი კი აღარავინ“ (477), ანდა: „ამის მოხვედრა გინებას ევედრება, რომ უველაფერა უბრალად და ბუნებრივად მოხდეს... უველაფერი კეთილად დასრულდეს... როგორც ბევრჯერ მომხდარა: კიბი „იქ“ იყოს, ღბინი „აქა“ (308).

რომანის ცალკეულ თავში თითქოსდა უბრალო, ჩვეულებრივი საუფავებოვრებო თუ სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებული ისეთი ამბავია მოთბრობილი, რომელიც შეიძლება უველა ჩვენგანს ენახოს, გავგოს ან მოესმინოს, მაგრამ მწერალი ამ ჩვეულებრივ

ამხავს ისეთი განწოშილებითა და მხატვრული ძალისხმევით წარმოსახავს, ისეთ მორალურ და ეთიკურ საფარულს უდებს, რომ მკითხველს წარუდგინებელ საჭრუნავსა და საფაქრალს უჩენს.

თამაზ ბიხილიძის რომანში თანამედროვე, სამამულლო ომის შემდგომი პერიოდის ადამიანები მოქმედებენ. ისინი სხვადასხვა სოფელსა და ქალაქში ცხოვრობენ. აქ აწულებიან ისეთ გულცივობასა და განუყოფლობას, რომელთა დაძლევა არ შეუძლიათ, ამის გამო ტოვებენ სამკვიდროს და მიდიან „დედოქალ“ სოფელ ჩალაურში. რომანში ადამიანის მორალურ-ეთიკური წარმების მხატვრულად წარმოსახვა თავისუფალია შტამებისა და შინაგული ადგილისაგან. მწერალი მინიშნებებითა და ქვეტექსტებით ყოველთვის ზოგადზე, წარუვალ ფახელობებზე ამხვილებს ყურადღებას, რაც ადამიანური სიკეთისქმნადობასთანაა შერწყმული და შენივთებული.

ადიდებულ მდინარის ნაპირთან „გაქრულ სურათში“ პირველი ადგილი აბრია მახაურს უკავია, რადგან ყველაზე ადრე აქ ის მოვიდა. დანარჩენები თანდათანობით იკავებენ კუთვნილ ადგილს მწერლის მიერ დაბატულ ზღაპრულ სურათზე.

აბრია მახაური ტრადიციული ოჯახის მეთაურია. შრომისმოყვარე ცოლთან, ანიკოსთან ერთად, შექმნა მან დღუღაბივით შეკრული ოჯახი, საკუთარი სახლი, რომელიც ახლა უკვე არც შეიღბა და არც ახალ მოყვანილ რძალს აღარ აკმაყოფილებს. მოხუცი აბრია წინასწარ გრძნობს, რომ ძველი სახლის დანგრევას, ახლის აშენებამდე მარანში ერთად ცხოვრებას, მაიკო ვერ ატანდა და თან გადასვენებოდა. „თუ დანგრევა უნდოდათ, მოცუდათ დალოცვილებს, ვიდრე საიქიოს გზაზე დამდგარი ბებრები... წაიბდიდენ და მერე რაც სურდათ ის ექნათ“ (51). მახაურისაგან ეს ძველი სახლი უკველადერი იყო, ამ სახლში ცხოვრობდნენ ოდესღაც მახაურის შშობლები, აქ უყვარდათ მახაურსა და მაიკოს ერთმანეთი, ამ სახლში დაბობდნენ ბიჭები და აქედან წვაიდა გავა სამამულლო ომში. „ეს თუ არაფრად აღირს, მანინ არც მთელი ცხოვრება აღირებულა რამედ“ (52). რძალსა და შვილს არც კი ესმოდათ, თუ რატომ უკაცუნებდა ასე ძლიერ აბრია მახაური: — „რადგანა მამი, რათ გვიდებოა წინაო... ამ სახლის დანგრევა შეიღბისთვის ყველაფერი გამხდარიყო. სხვა დანარჩენს აზრი წარსმოვდა“ (52). აბრია მახაური მთლიანი, მონოლითური, გაუტყებელი სულის ადამიანია. ის ძალზე შორს იყურება და მოდის აუოლოდ რძალსა და შვილს ოდნავადაც არ აგრძნობინებს თავის უყურებელ გულისტკივლს. „თქვენნი ნებაა... ეუბნება შვილს, — აქვართა თქვენია, ჩვენ მალე წავალთ“. მახაურის ბუდეს

ანგრევა ვიდაც. — ამატებს „შეთხზული ამბის ავტორი“, — და არცა ფიქრობდა, რომ „იმ წუთში დედამის ზურგზე მხედველი უხედურება არაფერი ხდებოდა“ (56) ეუბნებოდა და აბრუნებულმა მახაურმა, სახლის დანგრევები რომ ნახა, ერთბაშად, შურისძიება გადაწყვიტა („მამს მაინც არ გააბიებთო“), მაგრამ მას აბრია ცოლების ჩადენისგან შეინიშნული გავა გაეფარა.

გავა (იგივე ვიორგი) აბრია მახაურის უფროსი ვაჟის ნიკოს შვილია. სამამულლო ომში მახაურის ორი ვაჟი, გავა და ნიკო, წავიდა. გავა, რომელიც გამოჩენილი უყვარდა მახაურს, ბრძოლაში დაიღუპა, ნიკო კი დაბრუნდა და სახლში არასასურველი რძალი მოუყვანა. ნიკომ პირველ შვილს დაღუპული ძმის სახელი დაარქვა. ის ეხლა 18 წლისა იყო. დედაბრძოლი სახე ჰქონდა. აბრიას სალოცავ ხატად მიიჩნდა. უნდოდა, რომ საყვდილის წინ მისთვის ეყურებინა.

ჭაბუკი გავა აბრია მახაურის უკვდავი მოდგმის შემდგომი გაგრძელებაა. მან, კითხული ბაღიაურის შვილის, თეთრ ცხენზე ამხედრებული ვიორგის მსგავსად, მხოლოდ სიკეთე უნდა აკეთოს, ბოროტება კი დაიჭრუნოს. ზღაპრულ ასექტში მოაზრებულე ჭაბუკი ვიორგი მახაური, ვიორგი ბაღიაურივით, რამდენიმეჯერ გამოჩნდება რომანში, ისინი არცერთ სიტყვას არ ამბობენ. ვიორგი ბაღიაური კლავს ბოროტ (ეშმაკულ) ბარჩლას და გაუჩინარდება, ხალხი ხანდახან ნახულობს მას თეთრ ცხენზე ამხედრებულს, როგორც მომავლის იმედს. ვიორგი მსაქობის სამუოფე წმინდა ადგილი ჩალაურია. სიკვდილის წინ აბრია მახაური სწორედ ჩალაურში მიდის, რათა დედაბრძოლი სახის შვილიშვილს უყურებს და ისე მოყვდენ. თამაზ ბიხილიძის მხატვრული ხედვა უადრესად ზუსტია და მხოლოდ მთავარ სთქმულზეა პროცირებული. აბრიას გამრჩე, მრავალჭირნახული მეუღლე „მაიკო მანინ მოყვდა, პირველი სართულის კედლები რომ ამოიყვანეს და კოჭები დალაგეს. მოყვდა მარანში, უღრმესიველად, ქმრის გვერდით მწოლარე... ამ ქვეყნიდან ჩუმად გაპარულიყო“ (56). აბრია მახაურმა მეგობარი ნიკა ჭაბუკი (სიკვდილთან შეხვედრა რომ აშინებდა) სახლიდან დაითხოვა და მიცვალებული, ოთარანთ ქვრივივით, მარტომ დაიკარა. ჭაბუკისაგან განსხვავებით, მახაური სიკვდილს ურაცდება. „მიხედა, რომ ყველაფერი თურქურ ისე უბრალოდ ხდება, როგორც შშის ამოსვლა ან შშის ჩასვლა“ (71).

ლაკონური, მინიშნებითა და ქვეტექსტებით გაქრებული დიალოგები თამაზ ბიხილიძის მხატვრული სტილის საერთო თვისებას შეადგენს. აქვე გინდა აღვნიშნოთ, რომ მწერალს ბოროტების, მანიკერებას, ნეგატიური მოყვდენების მხილებსა და დაგმობის თავისუ-



ბურთი თვალთახედვად გააჩნია. იგი არ ახდენს მომხდარ ბორბტების, მანქანური მოვლენის დაწვრთვებით აღწერას, ბოლომდე გამოიყვანება, რამაც შეიძლება არასასურველი ემოციები აღძრას მკითხველში. მწერალი მანქანებისა და ბორბტების მთავარ ნაწილებს ახსენებს. ყურადღებას, მინიშნებებითა და კვებებებში, მხატვრული დამატებლობით, ზოგჯერ პაროდირების პრინციპის გამოყენებით, აკნინებს, არააღ აქცევს მას და ამით უფრო მეტ მხატვრულ-ემოციურ და ზნეობრივ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე.

მდინარის ნაპირთან „გაგრძელი სურათის“ მეორე წერტილ ტრაგიკული ბედის ახალგაზრდა ქალაქელი ელასია. ამ თავს მწერალი — „შოპენის ხალადან“ უწოდებს, მაგრამ იგი ნაწილობრივ გამოხატავს აქ მოთხრობილი ამბის ძირითად შინაარსს.

ელისო მართლაც განტევების ვაჟია. ქალაქიდან მოუარდა ფაფარული უღაუბრო, თანამედროვე ახალგაზრდა დონ ფრანს, შეადგინა სოფელი მეოცნებე, ამაღლებული პოეტური სულით მთავარნებული გოგონა და სწრაფად გაქრა. მისი არც სახელი ვიცი, არც გვარი, მაგრამ ძალზე გამოკეთილადაა წარმოსახული ამ „ქალაქელი ბიჭის“ ვერაგობა, უყვითურო საქციელი.

დასაწყისშივე მწერალი ისეთ გამჭვირვალე პარადიგმას გთავაზობს, რომ უველაფერი; რაც უნდა მოხდეს, თითქოს წინასწარ, ბედსწერილი იყო განსაზღვრული: „ამხვი ფაფარული უღაუბრს მკვდა. ელისოს ბედი ვიდაცას ამ უღაუბროსთვის მიენდო და მერე თავი დაენებებინა, ახლა რაც ვინდა, ის ჰქენიო. უღაუბრო მიაქენებდა, ელისოს გადამოტრამა უნდოდა, ყვარილი და მოხმობა შველელია, მაგრამ ვერავის უხმობდა. ბოლოს დამორჩილდა, ბედისწერას მენდო და უველაფერი ერთბაშად დასრულდა. გოგო ტრიალ მინდორზე დარჩა, უღაუბრო სადღაც გამქრალიყო... გოგონებულმა გოგამ არ იცოდა, რა გზას დასდგომოდა“ (98).

მწერალი ფსიქოლოგიური დამატებლობით ავტორის ქალაქელი ბიჭის ყველა ვერაგულ წრახვას, მან მარტო ნაშუისს ახლა არ აქმარა ელისოს და თავისი „საგმირო საქმე“ გააქვეყნა.

„გოგამ საკუთარი სინდისის დასამწვიდებლად ზეცას რომ უოხრა („ბედნიერი ვარ“), ბიჭმა სოფლის შარაზე ამოუად გამოიტანა... რა აზრი ჰქონდა იმ ძმევიანში მომხდარ ამბავს, თუ სოფლის შარაზე ერთი-ორი ვაწმე მინც არ გაიგებდა და ამბის გმიროც ამოუად არ გადებდავდა თავის საშუისს“. ეს რომ არა, გოგო ხმის ამოღებები არ იყო, „ტრკვილს სარტეში ჩაიტანდა და მთელი ცხოვრება იცოტრებდა ვალმობილივით“ (188).

შეუბორებულ ჭრილობად რჩება მკითხვე-

ლის ცნობიერებაში ქალაქელი ბიჭის საოცრად თავბედური და ცინიკური უფრთხილებლობა სათნო და კეთილშობილური ბიჭის იქნაში გაიზარდა „ის ბიჭი“, რა საზოგადოებაში, ვინ ასწავლიდა ან რას ასწავლიდნენ. ელისოს მეხსიერებიდან არ შორდებოდა ბიჭის ნათქვამი სიტყვები: „ნუ გეშინია, არავის ვეატყვი... ქვეყანა ფეხზე შედინაო“. ელისოს შაშინ არ შეეძლო განესაქა ახალგაზრდა კაცის მიერ ასე თავბედურად ნათქვამი სიტყვები.

ამ ქალაქელ ბიჭზე რომანში მხოლოდ ისაა მინიშნებული, რომ ის სოფელში მამიდასთან ჩამოვიდა სტუმრად, „საგმირო ამბავი“ ჩაიღინა და შემდეგ, შეშინებულმა მამიდამ ურჩია გარიდებოდა სოფელს: „ყველაფერი უბრალოდ მოხდა. ბიჭს შეეშინდა და წავიდა წავიდა, რცა მამიდამ ურჩია... გაერიდე აქურობას, სოფლის უბაში არ ჩამოადლო“ (188). მამიდას სოფლის უბაში ჩავარდნა ადარდებს, სხვებს კიდევ სხვა და ელისო კი არავის აგონდება. ქალაქელმა ბიჭმა მას სოფელში დარჩენის ყველა გზა მოუჭრა. ყველასაგან მატოვებულ ელისოს თანაქლასელი, ახლა მინქანის მძღოლი ავთო ეცხენება. ავთოს უყვარდა ელისო. ელისო კი ხედვისწერის მსხვერპლად გახდა. ავთომ ელისო ჩალაურში მიწავალი საბილიკო გზამდე მიაყვანა. აქ დაშორდნენ ერთმანეთს:

რომანში არ ჩანს, იქნა თუ არა შური ავთომ ქალაქელ დონ ფრანზე, არც ისაა ნათქვამი, შემდეგში მდინარის ნაპირიდან გაუჩინარებული ელისო სად წავიდა, ავთოსთან დაბრუნდა თუ დადევნებულ ლელა დუდუშაურის შეიღმევილს ზეზას გახუვა ქალაქში. მწერალი დიდი ტაქტიითა და მხატვრული დამატებლობით ქმნის სასურველი პერსპექტივის ილუზიას, მაგრამ გადაჭრით არაფერს გვეუბნება. მკითხველს საშუალებას აძლევს თავის წარმოდგენაში გააგრძელოს დამთავრებული ამბავი.

რომანში, პაროდირების პრინციპის გამოყენებით, ჩაწვენება ის ადამიანები, გარემო, სადაც გულგრილობას, განუცოხობობასა და ეგოისტურ წრახვებს საკეთე, პატიოსნება, ადამიანური ღირსება ძალზე შეუფაროვებია და დაუცინებია. ადრე, ელისოს სოფელში „მედიის ტაბტიდან ჩამოგდების ამბავი რომ გამოვთავი, ათიოდე კაცი სოფლის მოედანზე გაშორდნიდა და ყოფების ბათია-ბუთქით თავად ჩოლოკაშვილის სახლი იერიშით აუღიათ. თავადი მარტოხელა ბერბივა იყო და წინა დამით ამ ათივესთან ექვიფა“. ნაქვერები დილაადრინად რომ მოუციოდნენ, ასე გვონება, „ნახაშუსტევე გამოსვლა უნდათ და კენების უფქვას, იეგე, შეაღვია არაუი და ჩაცეხლებით“ (100). აქანებულუმმა თავადის ქონების ხელში ჩაგდება და ხალხისთვის გა-

დაცემა მოითხოვებს, „თავადს კი ერთი ვიტარის შვტი არაფერი ეხადა“. სახლი განჩრავს, არაფი დღეღეს, ვიტარა წაიღეს და „თავადს მიეფარენ“. კარგა ხანს ისმოდა სოფლის ეკლესიიდან წარბეის რეკვა, „ეოდრე აქანუებულუმბა წარიც არ ჩამოხნეს სმარეკლოდან და მიწაზე არ დასცეს, როგორც სიმბოლო უკველივე ძველია“ (იქვე). შუადღისას აქანუებულუმბა მარაში კაცი აფრანეს და აცნობეს: „თავადი ჩოლოყაშვილი განარადებული გყავს, მისი ქონება კი ხალხის საკუთრება ვახდაო“.

ჩოლოყაშვილი ვინც მაშინ მოეგო, როცა თავის ტყივლიშა ვადუარა და „სიმღერის ხასიათზე მოდგა“. ვიტარა რომ ვერ ხაზა, ძენა დაუწყო. ვიდაცამ უთხრა სოფლის კანცელარიაში წაიღესო. „კანცელარიის კარს დიდი კლბმი ეღო, იქვე, მდენით სახელდახელოდ ეწერა: „გაგმარქოს რეკოლუციასი“ ჩოლოყაშვილი ფანტორიდან ვადამქა და „სანუკარი ვიტარა ზელში ჩაიგდო. მას შემდეგ ის ვიტარა ცამ ჩაუღაა თუ მიწამ, ვერავინ ვაგო. ჩოლოყაშვილი ხალხის ქონების მითვისებისათვის დაპირეს“ (109).

მრავალი წლის შემდეგ, სოფლას მუზეუმის დირექტორის ძიებით დადისტორია, რომ ჩოლოყაშვილი თურქი ვიტარა ჭანდიერებს ვაუგუზავა, ჭანდიერებმა ანდრონიკაშვილებს აჩუქეს, ანდრონიკაშვილებმა ვარჩაიებეს. შერეკელი ქრებოდა. მუზეუმის დირექტორის რაოდენმა ხარატიშვილის დრმა რწმენით „გვიტარა ვიდაც „ახალიშა თავადში“ ჩაიგდო ზელში, ან დამატებდა, ან არ აჩენს“, არ სურს ვაამდირის მუზეუმში, რომელიც „ჩოლოყაშვილის სახლშია ვახსნილი“ (110). შემდეგში, „ახალი თავადის“ მემკვიდრე — სოფლის საბჭოს თავმჯდომარე „წყველით ინტიტუტის შერეკარგამოშორული“ ელისოსათვის „ფოსტაში, წერაღების დამხარისებლის ადვალბაც“ არ იმეტებს, „თავის მოგვარის შვილი მიადებინა და ამახაც კი ათასი მანეთი ვამოართვა“ (99).

ელისოს ტრავეღია სხვადასხვა ასპექტით ისეთ მორალურ-ეთიკურ და სოციალურ პარობლებებს ეფუძნება, რომელთა ვანსჯა ერთი ზელის დეკრით არ შეიძლება, მწერალი სერიოზულ საფიქრელსა და საწარუნავს უჩენს მკითხველს. მხატვრული ქმნილების დანიშნულებაც სწორედ ეხაა.

შეიშინე შეჭიდებული დედაკაცის უჩვეულო თავდადასავალია მოთხრობილი რომანის შეხამე თავში. ძალი კობაძემ, შემდეგში „გარსოს დედად“ წოდებულმა, ქმარი სამაშულო ომში დეარტა. ობლად დარჩენილი ერთი წლის ვარსევანი ისეთი სახელოვანი შვილი ვაზარდა, რომ ძილას ვეღო „გარსოს დედას“ ეძახდა. გარსოს დედას სახლი არაფრად ვამოუკვტია სიდაც არ უნდა წანულიყო, სიდაშოს უხათუოდ შინ ბრუნდებოდა, თავის მარჩენალ ხა-

რებს — ნიშასა და წაბლას მთელი რეკოდა, ვამოკლასარაკებოდა და შერე იძინებდა. „უხაროდ ამ ქალს ერთი დღიც ვერ უფუფრედიქმას შერე, რაც ქმარი დამარტეკეტილენენ მისი მარჩენალიც და შვარკევიც“ (154). ამდენად, „ის ხარები მისთვის მარტო ხარები არ იყვნენ... გარსოს დედა ისე შერკვოდა ამათ, რომ წართმევა სახლის დანგრევის... მიწიდან მოშორების, აურასა და ვადასახლებას ნიშნავდა“. ხარის წამართმევი „ცივი და ავათვალეებით იუტრებოდენ... ერთხანად ჩაცმული და ერთხანად შორალნი, დედაკაცს მუღამ ენიშოდა ამ ვანურჩევილი, უფერო და უსისხლო თვალბისა და ბოლოს შიშს ზიზღიც დედაშა“ (155). ხარები „უველამ უნდა ჩავგებაროთ“, უთხრეს გარსოს დედას, მაგრამ გარსოს დედა „უველა“ არ იყო.

„გარსოს დედამ იყოდა, თუ ამ ხარებს ჩამოართმევენ, ამაზე უარესი აღარაფერი მოხდებოდა“ (154). ამიტომ ვადამწევა სიკუთარი ხარების მოპარვა და ჩალაურში ვათხოვად თავის მოგვარე ცოქალა ბალიურთან მათი ვადამშევა. თუმცა ზეირიანად არც იყოდა, „ისევ არი თუ არა ის უცნობი ჩალაური. ისევ უღვას თუ არა სული ჩალაურს ვათხოვილ ცოქალში“ (155).

ხარების დანარჩუნებლად ომში დედუღული მეუღლის სახელის ვამოყენებაც სცადა ქმრის სახელს იმდენად უფრთხილდებოდა, რომ „შეღთანაც კი ათასში ერთხელ ასხენებდა“, შით უფრო სხვებთან, მაგრამ არა მარტო „უცხოელ მოსულმა კაცებმა“, არამედ „შითელმა უველამ იყოდა, რომ ამ დედაკაცის ქმარი ომში წავიდა და აღარ დაბრუნებულა“ (156).

გარსოს დედა იძულებულია მივიდეს „იმ კაცთან“, რომელშიც „სხვა კაცები მოიყვანა. სხვა კაცებმა კიდეც სხვა კაცი და ერთხელად უთხრეს: ხარები უნდა ჩავგებაროთ“ (157). „იმ კაცს“ გარსოს დედამ უთხრა: „შენი ტოლი იყო... ამხანაგები იუაფით...

— ვიზე მეუბნები? — იკითხა მაშინ იმ კაცმა.

— ჩემ ქმარზე, სხვაზე ვისზე ვეტყვი? ამის თქმისა მაინც შერცხვა გარსოს დედას და მაშინვე უკან ვამობრუნდა. მაინც მოხდა მოსახდენი მაინც შეავედრა ქმრის სახელი ევალბას, მაინც ამოიღო ის ვადამიღული ხანალი, მაგრამ ვერც ვერავინ შეამალა, ვერც მამულში ჩააგდო, ვერც ეგული აუჩვილა“ (157). გარსოს დედა მოქაღუოლულ წრეში ხედება. არავის აინტერესებს მისი დედუღული ქმრის სახელი, კანონი კანონია, „ხარები უნდა ჩავგებაროს“, მაგრამ გარსოს დედა სიოცრავა დარწმუნებული თავის სიმართლეში: „ვიც ვამატყუნებს, ჭერ დამაქროს, რომ მტყუნანი ვარ, შერე თუნდაც ცეცხლზე დამწვას, აღარაფრისა შემეშინდებაო“ (158). გარსოს დედა

საბოლოო გადაწყვეტილებას დებულობს: „დედუკაცი თავის ორ ხარს, რომლებიც სახლადან შოუღამისას, მაშლის პარკელი ყვილინს დროს უნდა გაეყვანა, საკუთარ თავს, საკუთარ ოჯახს პარადო“ (164). დედადუკმა ხარებს ზურგზე გადაუსვა ხელი. ხარებიც მზად იყვნენ თუნდაც ქვეყნის დასალიერს გახულოდნენ „ამ ქალს, რომელსაც თავისი ბრტყელი, უბნის ხელებით, დიდი მოყვრება შექმლო“ (166).

რომანის ეს თავი ძალზე საინტერესო ფსიქოლოგიური განცდებისა და მხატვრული სახეების რეალისტურად წარმოსახვის თვალსაზრისით. ღამით, ტყეში მარტოდმარტო დარჩენილ გარსოს დედას ქმრისაღმე საყვედურს ეკადრება წამოსცდა: „არ გაიხარე ჩემი ცოდვით, ავი მიხედე გაუბარებლად ვადაიარე თუ შევეთხი ამირებდი წასვლას, რაღად დაიდე ჩემი ცოდვა, რათ გაიხეუნე ქალიშვილი“ (167).

ამის თქმავს იქვე, ხარების ფეხებთან ჩაქდა, მიწას დაეშხო და ტირილი დაიწყო (217-218).

გარსოს დედა მდინარის ნაპირთან სხვა ცდომილებს შეუერთდა. ცდომილების ქონში ცხოვრებას ვიღაცა თვალ-უწარს ადევნებდა. უცხო კაცი უკვლადღე ტყიდან გამოდიოდა და ქობისკენ აუბრუნებოდა, თვალს არ აშორებდა ბოლოს ხუთის ვახდენ და ქობისკენ გამოსწიეს. „ის კაცი, ამ ხუთს რომ მოუძღვის, პირდაპირ ქობისკენ მოლაქებს და ოთხნიც მოარჩილად და საქმიანად მოხუცებია. ქუდები უყვლას წარბებზე ჩამოუხატავს. ერთი დედამისი შეკლებულით უყვლან ერთმანეთს ჰგვანან. ქობის წინ ჩერდებიან... გასაყვებული გარსოს დედა ხარებს ეხვევა.

— გამარჯობა მაინც გეტყვათ!
— ვინ ხარო, აქ რა გინდაო?... ხამი დღეა აქ დასაზღვრით... ეს ხარება მაინც ვინ მოგცაო? რა ოჯახს ხარო, რა ხარო ერთმანეთისა?... რომელი ციდან ჩამოვინდითო? ამ საბჭო არ იცით, ან თავმჯდომარე, ან მთავრობა?“ (457-458).

გარსოს დედას ტრაგედია ამოგავს აღწევს, როცა მდინარეს გადალახავენ და „ქედის თავზე მოკვეთილ ველზე“ ე. ი. ჩაღურში მივლენ. აქ ორი ცხენოსანი წამოყვანილი ცდომილებს. ორივე „საბურთო, ცხენის ფედაკვების თქარა-თქურით და ქოფაკების ყეფით მოდიან“:

— გარსოს დედა, უჩაითი დედადუკი ხარო რა გვგონა, ვეღარ შევებდებოდითო?
გაოცებული მახაური გარსოს დედას შეესტკირის... ამ წუთში მარტო ეს დედადუკიღა თავისი დედრონი თვალებით, ისეთი ნაღვლიანი თვლებით მის ხარებს რომ აქვთ, თავისი ბრტყელი, ნაჭაფი ხელიებით და თავისი დიმილით, ახლად რომ დედას ეხვება, ამ ცხენოსნების

დანახვავზე, თავის ორ ხარს შორის მახადა ჩამდგარს და ლოდინით შეპურბობის.
— თქო, რამე, დედადუკო... უნდა გეხარებო...
დედადუკი თავისთვის ჩუმად ამბობს:
— ეს ჩვენი თავმჯდომარე... მეორეს ვერა ცენობ...
დედადუკი ისევ იღიმება.

— როგორ დამშვენდა დიმილი... — ფიქრობს მახაური. დედადუკი კვლავ იღიმება და ისე მშვიდად, თითქმის არც ამოდენა გზა გამოეცდოს და არც ამოდენა შიში გამოეცდოს, თავისთვის ამბობს:
— დეგროთი მაღალი, მარტო ჩემი ხარებისთვის მოუცლიათ... შერე ხარებს ხელს გაუშვებს, მახაურისკენ მიდის, მის წინ ჩერდება და თითქმის მარტო მას ეუბნება:
— როცა ეხენი შინ იყვნენ, ახე მეგონა, ოჯახში კაცები ტრიალებენ-შეთქო“ (473-474). ასე დათავრდა გარსოს დედის, ერთ-ერთი ცდომილის, გოლოთის გზა.

„შვილთა თემის“ მეოთხე წევრის პელოს (იგივე კაქაქაძის) თავგადასავლის გადმოცემით იწყება კომედია, რომელსაც პირობითად ასეთი სათაური აქვს: „კაქაქაძი დედადუკის, მისი ქმრის — მიხასი და სხვათა ამბავი“ (221). მწერალი მკითხველს აუბრუნებებს: „კაქაქაძი დედადუკი თავის ამბებსა ჰყვება და არავინ უწინას ამ ამბებში რომელია ტყუილი, რომელი მართალი... იკაქანოს, რამდენიც უნდა ერთი ღობემჭვრალა დედაბრის ნათქვამისა, რაც უნდა სიმატოდ გვათხრას ან სულაც ცილი დაგვწამოსო, ამოდენა ხალხს, რასაც საზოგადოებას ვეძახით, არ უნდა გვეშინოდეს“ (221).

კაქაქაძი პელოს სახე სიცოცხლის უწყვეტი აღორძინების, გამარჯვებისა და უკვდავების სიმბოლოა. იგი მუდამ მომღიწარი, მოქილიკე, ამბულბული, პირში მოქმედი და დაუწოგველია, მაგრამ კეთილი და თანამდგომი მწერალი სულაღობს ტონით გვახატავს ამ უტყუო ნებისყოფის მოზუცი ქალის სახეს.

პელომ და მიხამ საკუთარი ოთხი და ობლად დარჩენილი პელოს ორი დისშვილი გაზარდეს. მიხას გარდაცვალების შემდეგ, მათი ნაგარამი თვრამეტ სულს შეადგენდა. პელომ არ მოშლია ძველი, ქმრისეული სახლი, მართალია, პელო კაქაქაძი, თითქმისდა სასაყვილოს ნიღბით გვევლინება, მაგრამ სიჭკვიანის თან დედადუკისეული მოყვადობის აღსრულება, რაც მარტოობის მარადიული ტყვილის დაძლევისთანაა დაკავშირებული, რომანში ისეთი ფსიქოლოგიური დამაჩერებლობითა და მხატვრული ძალისხმევითაა წარმოსახული, რომ მკითხველი განცვიფრებული რჩება. პელო ერთ ღამეს თავის გარდაცვლილ დისშვილთან უშანგის ოჯახში ათევს. მას უყვლა თავზე ევლება: „შენზე ბედნიერი ქალი ვინ არიო,



ეცხი შეილის დედა ხარ, თუ ჩვენც შეილე-
ბათა ვყოფილი. ახლა გული ამაზე ამომიჭე-
და, როდის გამოვარჩიეთ შეილებში, თქვე
წყველდებო-მეთო? მერევო? შეილიშვილებს
ხო ვეღარცა სთვლიათ? ხო-მეთოქი, ევრეა-მე-
თოქი, ბედნიერა ვარ-მეთოქი, მაგრამ ცრემლები
მინც ღაპა-ღუპით ჩამომდის, მეც არ მინდა
და მინც ჩამომდის. ამ წუთში ჩემი პატარა
სახლი მენატრება, ჩაბნელებული და გამოცე-
ტილი, ჩემი მიხას სახლი (არავის დავანგრე-
ვიან, ევრე უნდა დარჩეს-მეთოქი, აქ ვიცოცხ-
ლე, აქ დავზარდეთ და აქვე უნდა მოვკვდე-
მეთოქი). მენატრება ჩემი მოქობაშეხებული კარ-
მიდამო, ჩემი მონაგარი და ჩუმად ვაშობს,
შინ წამოყვანეთ-მეთოქი“ (282).

წიუბედავად ახეთი შინაგანი ტკივლებისა,
პელო ბოლომდე აშადლებული, სიცოცხლისა და
სიხარულის ეტალონად რჩება. ერთხელ პელო
იგონებს, თუ რატომ არ მიიღეს კომპაჟიორ-
ში, თურმე მიხას დააბრალეს, „ის არ იყო,
სუღარში ხატი რომ ეჭირა ბოლომე? ხო, ის
იყო-მეთოქი მერევო? შენ კომპაჟიორში რა ვი-
ნოვსო?.. რთა მჭობიხარა-მეთოქი? არ გამოთ-
ლდა ჩემი სიტყვა?.. ომი რომ დაიწყო და გე-
რმანია ლეკის მთასთან მოვიდა, ვინც მე კო-
მპაჟიორში არ მიმიღო, უჩაღად ვაქარდა, შე
კა, ამოდენა შეილის დედამ, ტანკების ასაშენ-
ბლად ხუთასი თუმანი შევიტანე“ (283).

ამას მოსდევს პენსის ამბავი, რის გამოც
კაქკაი ჩალაურში მიემგზავრება. „სად ჩალა-
ური და სად პენსიაო? ეც არი თავი და თავი.
ყველაფერზე ჩემმა ნუცამ ამტება: ვინდა თუ
არა, ცხოვრებული მაშინგის პენსია შენ გეცუ-
თნის და საბჭოში მიდიო“ (287).

პელო საბჭოში ერთხელ მივადა, მერევერე,
მესამევერე. მერე დაიხარეს და უთხრეს: „ის
კალატოში მიხა ნამუდგელარა (ეხეც გაუხსე-
ნეს) მართლა შენი ქმარი იყო“ (288). დავ-
თარა დაკარგული, სად ვეძებოთ. „მომე შენ
და იშოვო, ვინც ნამდვილად დავემოწმება,
რომ მიხა შენი ქმარი იყო. ამას მარტო ხა-
სამართლო უშველიოს“ (289). პელომ სასამა-
რთლოში შეილები წაიყვანა მოწმეებად, მაგ-
რამ „კანონის ძალით შეილები მოწმედ არ
გამოდგებიან“ (285).

ამას მოსდევს შეთხზული ამბის ავტორის
ჩანართი, რომ ის შეეცდებო მოვითხროს კაქ-
კაქზე, მის შეილებსა და შეილიშვილებზე რას
ჰყვებოდა ხალხი პენსიის დანიშნის ამბავთან
დაკავშირებით, რაც მართალი არ არის. ხალხს
უყვარს გაზვიადება... „ამაში ფარული სურვი-
ლი ძვეს: ამ მოსაწევნ წუთობილედში ცოტა
ვატრეს და თავი შეატყობს, მაგრამ ერთი
კაქკაქ დედებერს კთხეთ, ვახართობად თუ
ჰქონდა საჭმე“ (267). ამბავი ასე ვითარდება:
პატარა, პროვინციული ქალაქის მთავარ ქუჩამ
ზე კოლონა მოდის. კოლონას შავით მოხილი
ქვრავი (კაქკაქი) მოუძღვის. უკან შეილები

მოდიან, კაცებს ქალები მოსდევენ, კალკების
უკან ხალხები, სულ თერამები — დღის და
პატარა. „ნაბოლარას, კია...“
ვისაც უჩინას, თავის ცხარეხელს...
ხარისმო ჩასმული, გადიდებული სურათი უჩი-
რავს. უფრო მოზრდილს მუყარს ქალადი,
რომელზედაც მსხვილი ასობითაა დაწერილი
„დავინიშნეთ პენსია“ (268). ხალხი გამოსუ-
ლა სიერის საყურებლად „თითქოს დაქვრილი
არცნადა ყანალი მოჰყავთ“.

მელიციის უფროსი უტიაშვილი საგონებ-
ლში ჩავარდა. პარდაპირ დედებერთან მიდის
და ეჩხუბება: „ამდენი შეილებისა და შეილი-
შვილების გაზრდელს, ასეთი ხულოვნობა არ
ეკადრება...“ (269). უტიაშვილი ვადებულა
ახლავე დაშლონს დემონსტრაცია, დედაკაცი
კი, სულ სამი დღით მინც დააკავოს, მაგრამ
ყველაფერი თავისით ჩაიშალა: „შუა გზაზე,
ზედ ხალხის თვალწინ, პატარა ტარელამ გან-
სვენებული პაპის პორტრეტი რომ ეჭირა და
დემონსტრანტებს რომ მოუძღოდა, ზევეურაა
ჩაისვარა... ბელო მავარდა... ბაქს ყველაფერ
მოუსლუთავა და... ცხოვრებული მიხას ოქახე
შინსკენ დაიძრა. მაშიდებმა თქვეს, რომ ბიჭს
ნაყინა აყუინაო“ (272).

პელომ მეჭვარე ბაბადე კორკატაშვილი წა-
იყვანა სასამართლოში, მაგრამ მოწმემ, მიხის
გამო, შენობაში შესვლა ვერ შეძლო. გულში
მუტუნა. ახლა კი ჩალაურში მიდის წყალ-
ურზე გათხოვილ მერევ მეჭვარესთან — დუ-
ღანასთან, ეგებ მისი წამოყვანა შესძლოს სა-
სამართლოში.

რომანის მეხუთე თავში მოთხრობილია
„შვილთა თემის“ დანარჩენი წევრების —
ლელა და ზაზა ღუღუშაურების თავგადასავა-
ლი. ლელა და მისი მეუღლე ჩალაურის ჰევი-
დრები იყვნენ. აქ შეეძინათ შათ ვაჟიშვილი
ბერდია. ქმარი შემდეგ სამამულო ომში და-
ღუბა. უშაშოდ დარჩენილი ბერდია ქვრივმა
სულაოვანი შეილი გაზარდა, მაგრამ, მისდა
სამწუხაროდ, ქალაქში დარჩა. ძალიად დააცე-
ვანეს დისერტაცია ქართულ ფოლკლორში,
მერე, უკვე დოცენტმა, თავის სტუდენტო შე-
ირთო ცოლად, გაუჩნდათ შვილი. მის დასაზო-
რელად ბერდიას დედამისი ჩალაურიდან თბი-
ლისში ჩამოყვას, „ამისთვის ჩამოგყვანე-
დელი, ეს უნდა მოქცეო ცადად“ (278). ლე-
ლა პარტიულად იყო ქალაქში. „ქალაქი ურჩხულს
მგავდა, როჰელსაც არც თავი უჩინდა, არც
ბოლო. ეს ურჩხული ბორგავდა. თავის ხორ-
კლან სხეულზე მიწებებულ ადამიანებს არ
მშორებდა და ადამიანებზე ერთმანეთს თვა-
ლებში ზიზღით უტკეპოლდენ... ეს გაიფიქრა
ლელა ღუღუშაურმა როგორც კი ქალაქში ჩა-
მოვიდა და ამოდენა ვეშაპს ზემოდან გადებე-
და“ (277). ლელა არ შეეცდარა „ღუღუშაუ-
რების ოქახში ყველანი თითქოს ცალ-ცალკე
ცხოვრობდნენ. ოქახში ყველაფერი რაგზე

იყო. ხმას არავინ აუწევდა. ერთმანეთი უყვარათ... მაგრამ მამა ცალკე იყო, დედა — ცალკე, შვილიშვილი — ცალკე. დიდება ხომ მართლაც ცალკე, ყველაზეან გარკვეული, თავის ფიქრში წახულია, თითქმის „თავისი ჩალაურის გზაზე თუ ბილაგზე დამდგარა, მიდის, მიდის, ეს ბილიკი კი არა და აღარ მთავრდება“ (278).

ფოლკლორისტი ბერდია დუღუშაური მეოცნებე და პათოსანი კაცია, მაგრამ მანაც ცდომილია. იგი ორბიტიდან გამოიყვანა უნივერსიტეტის პროფესორმა ფოლკლორისტიკაში მდგეა კალაძემ. მას სოფელ ჩალაურთან ექსპედიციის დროს პროფესორ ჩახლაძეთან გაატარებულ ტყეში დღეები აკავშირებდა. ამ სოფლის შვიდარი ბერდია, რომელსაც შემდეგში მდგეა „მთის შვილს“ ეძახდა, უნივერსიტეტის რექტორს „უგამოდოდ ჩაერთხა, იქნებ ეს მანაც არ დარჩეს ქალაქში და პალატოში არ გაიქეთოს, იმ გადაკარგულ ჩალაურში დაბრუნდეს და ოთხწლიანი მანაც ვახსნასო“ (288), მაგრამ რექტორის ეს კეთილშობილური ვარაუდი პროფესორმა მდგეა კალაძემ ერთი ზეღის დაკრით გააქარწყლა. „მთის შვილს“ პირველი კურსიდანვე მომავალი ასპირანტი შეარქვა და, მიუხედავად წინააღმდეგობისა, თავისი გაიტანა, ასპირანტურაში დაიტოვა, ბერდიას დისერტაციის თემა უშერჩიეს. შემდეგში დაცვა უმდგა. თუ მდგეა კალაძის დაუჭერბით, დაცვა ბრწყინვალედ ჩაიარა, მაგრამ სინამდვილეში დაცვა ჩვეულებრივი იყო, „რომლის მსგავსი თითქმის ყოველდღე ეწყობოდა. სწორედ ეს ჩვეულებრიობა არ იყო საშიში. საშიში ის იქნებოდა არაჩვეულებრივი რომ ყოფილიყო“ (287). თვით ბერდია სულ სხვა წიგნის დაწერაზე ოცნებობდა — „კუთ-ფშეველა, როგორც მთის შვილი“. „ამ წიგნის დარდი დოცენტმა ბერდია დუღუშაურმა სამარეში წაიღო“. ცდომილი ბერდია „გულში სიცარიელედ გრძნობდა“. ბედნიერი მანინ იყო, როცა თანაში ერთხელ კვლავ ჩალაურის გზას დაადგებოდა. აქ ჩალაურში „გაწყვეტალი ძაფი ისევე მთლიანდებოდა“. აქედან წავიდა მამა ომში, აქ ცხოვრობდა დედა, აქ იწყებოდა და მთავარ დებოდა მთელი სამყარო. ავონდებოდა დედის სიტყვებით, რომელიც ჩალაურის დატოვებისას უთხრა: „ბედნიერია მამაშენი, რომ ომში მოკვდა და ამ დღეს ვერ მოესწრო“... (291). დედა დუღუშაური თავს ევლებოდა შვილიშვილს — ზაზას, ზრდიდა ისე, როგორც შვილმა სთხოვა, მაგრამ გული უყვებოდა, როცა ბერდიას სევდიან და ავადმყოფურ სახეს შეხედავდა, „უცოდო, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო, ხეს რომ გადაგვავ, ადრე თუ გვიან, ვახშედა... ყოფილიყო ამ ჩალაურში, ეწყვესა ბრბობები, ჯანსაღი მანაც იქნებოდაო“ (298). ბერდია სასწავლებლიდან მუდამ

შეგერთალი, წიღში მოხრილი და დარცხვნილი ბრუნდებოდა — „სხვას ადგილს ხომ არ ვიკავებო, იქნებ ის სხვა რამე უწყვეტე იქნებოდა და ახალგაზრდების სტრუქტურაში ვიწვლიდა“ (299). ახალგაზრდების სტრუქტურაში დუღუშაური „უფრო იცვლებოდა, უფრო ბერდებოდა, სახე უქმნებოდა და უფრო დებოდა“ (299). აუღიტირიაში შეხვდა უკვე აღარ შეიძლება. სულ სხვა ახალგაზრდობა მოვიდა, აღარაფერი წყაბით, აღარაფერი სჭერათ. „ერთი ნაწილი თავზედა, სიტყვას ვერ ეტყვი, ნიშნის ვერ დაუყვებ... ათაქერ მებტ მოითხოვს ვიდრე ეკუთვნის, მეორე ნაწილი სრულიად უყვითა... ვერც მას დაუწერ ცოდ ნიშნის, შეიძლება ქვეყანა, გამოცდიანდებ დეკანატიში, მოგვიზავნიან ყველაზე ახლო მეგობარს... მავანისა და მავანის შოფრის შვილიაო“ (300). ბერდიამ ერთი დისერტაციის დაცვაზედაც სცადა პროტესტის გამოხატვა, მაგრამ ისევ სევდა დაეღუღლა, თან ფიქრობდა: მართლა რა იქნება, რომ მივტოვო ყველაფერი, დედაჩემთან და ცოლ-შვილითან ერთად ჩალაურში წავიდე. „რად უნდა იყოს ეს სიციფე? თუ ჩემს ცოლს მართლა ვუყვარვარ... დაეტავს აკურობას და წამოვაო“ (301). ეს მხოლოდ ცდომილი ბერდიას კეთილი ოცნება იყო. ბერდიას ორი დღით გაიპარა ჩალაურში სიკვდილის წინ, დაბრუნებულს შვილი ეკითხება: „რას აკეთებდი მამა იმ ჩალაურში? რა არის ეს ჩალაური? მართლა არსებობს თუ ზღაპარია?“ მამამ შვილს სვეტი-სვეტიშობი, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჰუბრა: „ჩალაური არსებობს და იარსებებს მანამდე, სანამ არსებობს კაცთა მოდგმა... ჩალაური ყველაფერია: ჩვენი ხსოვნა, ჩვენი მოგონება, ჩვენი წარსული. ვიდრე ჩალაური გვახსოვს, არაფრისა არ უნდა გვეშინოდეს. სიკვდილიც კი...“

ყველას თავისი ჩალაური აქვს, ყველამ ჩვენ ჩვენი ჩალაურიდან მოკვდავართ... ბოლოს ყველანი, ფიქრით მანაც, აუცილებლად, ისევ ჩალაურში ებრუნდებით“ (308).

ბერდიას სიკვდილის შემდეგ, როცა დედა დუღუშაური დარწმუნდა, რომ ცხედარს არ გაატანდნენ, შვილიშვილითან ერთად გაუდგა გზას ჩალაურისაკენ. ადიდებული მდინარის ნაპირას მათ მებუთე და შეიქვსე ადგილი დააკავეს. ზაზამ, როგორც კი ეღისოს შეხედა, გულში თქვა: „რა დამაზიო“. დედა დუღუშაურმა ეს ქვეშეცემილად იგრძნო და სახე მოედღუშა. ზაზა ეღისოს თვალს არ ამორბედი. მდინარის ნაპირას „გაქრული სურათის“ ზატა მთავრდება, რადგან ამ სურათის მეშვიდე წიკრი ცხრაშეტი წლის გელაც გამოჩნდა. გელა პირველქმნილ სიწმინდეს, კეთილშობილებასა და პათოსისგან განსაზღვრებს. მას ზღაპრულად უყვარს თანწრდელი სახედარი, რომელიც, ადრე, დედის დაფინების მიუ-

ხედავდ, მაშა, სოფლის შევედიდ რომ მუ-
შაობდა, არ გაუიდა. ბიჭისთვის „ეს სოფელი,
მერე ეს ქვეყანა და ბოლოს მთელი დედამი-
წა ამ სახეობის იწყებოდა... ამას ვერაფერს
ტყუოდა... მის ნათქვამს ვერაფერს ვაყვებდა“
(848). სხვებისთვის სასაცილო სახედარზე ეუ-
ენივით ვადაძქვარი გელა სოფლის შარაზე
ისე ამაყად ჩამოვიდა „თითქოს მოლა ნას-
რედანი ხუხარაში შედისო“ (847). ასეთ პი-
რველქმინილ სიწმინდეს გელა შალე კარგავს.
გოგია შოფერი მის თავის „პომოწინიად“ აიუ-
ვანს და ნამდვილ ცხოვრებას დანახებებს, რო-
მელიც თავზარს დანცემს ჰაბუკს და თავიში
პირველქმინილი სიწმინდის დახარბუნებლად
ჩალაურში გარბის, სადაც მისი სახედარია წა-
სული თუ ვადაძქვარი.

გელამ შალე შეიცნო „კამეჩის მსგავსი“
გოგია შოფერის ცხოვრების წესი, დამცირე-
ბული და განკიცხული ქალიშვილის ყოფა,
რომლებთანაც გოგია შოფერი ატარებდა
დროს და ხარკავდა იმ ფულს, რომელსაც
კოლმეურნეობის მანქანის თვითნებური გა-
მოყენებით იღებდა და ნახევარს კი თავმჯდო-
მარის უნაწილებდა. ეს მტკივნეული ასპექტი,
თითქოს, უხრადო ქვეტექსტშია გამოვლენილ-
ლი. შუალაშის სახლში მოსულ გოგიას დედა
ეუბნება: „თავმჯდომარე დღესაც ვეძებდა.
შენი ბათრი, თორემ აქამდე ცხრაჯერ ვავა-
დებდიო. — ის კარგია, რომ ჩავიჭობავ ხოლ-
მეო“ (880). ამ ვადაქრულ პასუხში ბევრი
რამაა ნათქვამი. ერთ-ერთი სადგურთან გო-
გია შოფერი სოფლის ვენახის ქობში ტრა-
ვალული ბედიან მტკიანი გოგო წამოიყვანა. ეს
გოგო ვალეშილ, „კამეჩის ტოლა“ გოგია შო-
ფერს ქობში ცემს და ლოგინზე დაგადებს.
ქობიდან გამოსული გოგო ბუღულებზე წა-
მოწოლილ გელასთან მიდის, გვერდით მიუწ-
ვება და დაიხატოტრება. თან ეუბნება: „მწა-
ღანი მშობრები ხართ, ვაჟაკი ჭერ არ შეშ-
ხვდებო“-ო. შეძრწუნებული გელა დღით
მდინარეს მიაშურებს, განიბანება უწმინდო-
რებისაგან და ჩალაურისაკენ ვახსრებს. იწყება
უპილოცი ჩალაურში (რომანის ბოლო თავი).

„შვიდთა თემის“ წევრები დაილაღნენ ლო-
დნით. ერთმანეთთან უოფნისა და ლამარჯის
სურვალი დასრა. ათასში ერთმელ თითო სი-
ტყუას თუ იტყუიან. „სიიდანაც თავივით
ვაძქვარა უკან გაბრუნების თუ შვიდთა თე-
მის დაშლის... სურვილი“ (482). გაურბინარე-
ბულ ტლისოს წაწევი მიყუა. ღელა ღულეშა-
ურის ტრაგედია აპოკავს აღწევს. იგი პირველი

ვადალაშავს მდინარეს და ჩალაურის გზას და-
ადგება, დარჩენილებს კი არაორაზროვნად
უბარებს: „იყოღეთ, თუ ჩალაურში მშობი-
დეთ და ველარ მნახოთ, ქვედა არ დაიწყეთ...
თუ ჩემი ბიჭი სადმე შეგხვდეთ, უხარით...
ვაპატია-თქო“ (452).

დარჩენილი წევრები შალე ვაჟებთან ლე-
ლა ღულეშაურის გზას. ვადალაშავნ მდინა-
რეს, თან კაჭკაქის კაჟის უსმენენ: „ოჰ, ერ-
თი ჩემი მოსამართლე ვადალაშავდებინა აქა“-ო.
სულ ცოტა ვაიარეს და ნახეს, რომ მდინარეს
ქალის ცხედარი მოჰქონდა. ეს ღელა ღულეშ-
აური იყო.

მხაბური წინაწარ აფრთხილებს გელას, თუ
რამე მოხდეს გზაზე, მაშინვე გაიქციე სოფე-
ლში, ჩემი შვილიშვილი გიორგი იკითხე და
მოიყვანე, ერთხელ თვალი შევაკლოო.

მხაბური კვდებოდა. ამ დროს ცაში ერთი
ტორილა ტრაალებდა, ისიც მოახლოებულ
სიკვდილს ებრძოდა, ფიქრობდა ცაში მომკ-
ვდარიყო და მერე დაეცემულიყო დედამიწა-
ზე. ტორილა სიკვდილის სიმღერას მღერო-
და, მაგრამ მან „ეს არ იყოღა, მხოლოდ ხმას
გამოსცემდა და არ უწყოდა, რომ მის ხმას
ქვეყანაზე ვინმე უსმენდა, თუ ეს ხმა ვინმეს
სჭირდებოდა, თუ ამ ხმას ვინმე ეტებდა. ტო-
რილამ არ იცოდა რისთვის მოვიდა ქვეყნად
და რისთვის ეთხოვებოდა სიმღერით... აბრია
მხაბურს, სიკვდილს რომ ხვედებოდა, ტორო-
ლას ვაღობა ჩავსოდა. ამ წუთში კი, მზის
ერთ პლანეტა დედამიწაზე, ამაზე უფრო
მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა“ (478-479).
გაწილებული კაჭკაქი პელო და გელა, სახე-
დარზე შემოხსდარანი, ტოვებენ ჩალაურს
და მხაბურული ბაისთ ბრუნდებიან შინ.

ასე მოაჭრდება თამაზ ბიზილურის უაღრ-
ხად საინტერესო და მრავალმხრივ საყურად-
ღებო რომანი. აქ მხატვრული დამაჭრებლო-
ბით, ქვეტექსტებითა და მინიშნებებით სად-
ღისო პრობლემების იმდენი ეთიკურ-მორალ-
ლურ და სოციალურ ასპექტზეა ყურადღება
გამოვალებული, რომ მას უფრო ღრმა და-
ვირვება სჭირდება. ჩვენ მხოლოდ ნაწილობ-
რივ განვიხილეთ რომანის საერთო მიზანდა-
სახულობა და სიუჟეტური სტრუქტურის ზო-
გიერთი ასპექტი.

თამაზ ბიზილურის ახალი რომანი უდავოდ
კარგი შენაძენია თანამედროვე ქართულ პრო-
ზაში და მის შესახებ ალბათ კიდევ სხვა სა-
ყურადღებო წერილებიც დაიწერება.



რომე მებრძული

„დამმარხეთ საქართველოში...“

გასაღები მიხეილ საბინინის ცხოვრებიდან

1900 წლის 18 მაისს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ მოკრძალებულად აღიარებდა უპირობო განცხადებას, რომ „მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი გამოცემელი „საქართველოს სამოთხისა“, „საქართველოს დიდებისა“ და სხვა ისტორიულ თხზულებათა საქართველოს შესახებ მიხეილ (გობრონ) საბინინი“.

მიხეილ საბინინი ფილტვების ანთებით გარდაიცვალა 1900 წლის 10 მაისს, მოსკოვში, დაკრძალა იქვე.

მიხეილ საბინინის გარდაცვალებას მწუხარებით შეხვდნენ საქართველოში. 15, 16 და 17 მაისს შუაღობის მონასტერში პანაშვიდი გადაუხდიათ მისი სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი იქნა გადახდილი აგრეთვე თეთრი წმ. გიორგის მონასტერში (კახეთში). 27 მაისს ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ყოვლად საძლველო ეპისკოპოსს კირიონს გადაუხდია წირვა და პანაშვიდი („ცნობის ფურცელი, 1900 წ., 27 მაისი, № 1186).

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე იგი თავისი მძიმე მდგომარეობის შესახებ დავით კარაქაშვილს სწერდა

«...Сердечно уважаемый и любимейший Давид Григорьевич!

...Болею и очень серьезно — но прежде сделалась со мною нервная горячка, чуть не отправился к праотцам и немного лучше и хочу совсем забыть-ся и все позабыть и всю рукопись свою выслать Вам в библиотеку, до-вольню проработал и пусть докончат лучше другие, не завидую никому — на здоровье. Молю Вас, передайте всем мой поклон — целую Вас — и

желаю Вам здоровья и благословения неба.

Уважающий Вас сердечно, Ваш всепокорнейший слуга грешный всеми обиженный Михаил Павлович Сабинин.

Москва, 16 февр. 1898г.ა.

ეს „ცოდვილი“ და „უველასგან დაქვნილი“ პიროვნება გახლდათ საქართველოს სიძველეებისა და ეკლესიის ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი, მკართული მაგიოგრაფიული ძეგლების რუსულ ენაზე მთარგმნელი და გამომწვეურებელი, „საქართველოს სამოთხის“ შემდგენელი და დამსურათებელ-გამომცემელი და სხვა მრავალი სასიკეთო საქმის შემოქმედი მიხეილ (გობრონ) საბინინი.

მიხეილ საბინინი დაიბადა 1845 წელს. მისი მამა პავლე საბინინი ტვერის ეპარქიის მღვდელი იყო. იგი შეუდგენია საქართველოში დასახლებულა და ცოლიც კართველი — მირზა-აშვილის ქალი — ჰყოლია. მიხეილს ოცამეტი ქართული აღზრდა მიუღია. მას წარმატებით დაუშთავრებია თბილისის კლასიკური გიმნაზია. გიმნაზიაში სწავლის პერიოდშივე მიუქცევია უროადლება საქართველოს სახლიერო ისტორიისათვის. მ. საბინინს შეუსწავლია საქართველოს ეკლესია-მონასტრებში დაყოფილი ქართული ბელნაწერები, დანტერესებულა ხატებით, წმინდანთა საფლავებით, ჩაუწერია სხვადასხვა თქმულება-გადმოცემანი, გიმნაზიის წლებში წაუთხოვს პლატონ იოსელიანის შრომები და გასცნობია მის მიერ გამოცემული ძველი ქართული მწერლობის ძეგლებს.

მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლების პეტერბურგი მოწინავე რუსული კულტურის ქეშმარიტი ცენტრი იყო და დანტერესებულა სწავლამოწვეურებულ ახალგაზრდას ბე-

ერი რაისი მიღება შეეძლო. მიხეილ საბინინი იმთავითვე დაუხლოვდა პეტერბურგის მიტროპოლიტის ისიდორე ნიკოლსკისა (1844 წ. 12. XI-დან — 1858 წლის 1. III-მდე საქართველოს ეგზარქოსი იყო) და იოანე გრიგოლის ძე ვახუშტისა. იოანე გრიგოლის ძე ქართველი სახელმწიფო მოღვაწის, განმანათლებელ-ენციკლოპედისტის, მწერლის, მეცნიერისა და ლექსიკოგრაფის იოანე ბატონიშვილის (ქართლ-კახეთის უყანასკნელი მეფის გიორგი მეთორმეტის შვილი) შვილიშვილია იყო. მის ქართული ხელნაწერების შრიდარი ბიბლიოთეკა მქონდა და მიხეილ შეუწოდებდა სარგებლობდა ამ ბიბლიოთეკაში.

მ. საბინინი პეტერბურგში გაეცნო გამოჩენილ ქართველოლოგებს — მ. ბროსესა და დ. ზუბინასშვილს. მათთან ურთიერთობამ და კონსულტაციებმა კი მნიშვნელოვანდ განაპირობებს ახალგაზრდა მეცნიერის წარმატებას.

1871-78 წლებში მ. საბინინმა გამოსცა საქართველოს ეკლესიის წმინდანთა სრული აღწერილობა (სამი წიგნი), რომელიც უძველესი რუსეთის იმპერატორის მემკვიდრის, დიდი მთავრის ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის ხსოვნას.

პეტერბურგის სასულიერო აკადემია მიხეილმა 1875 წელს დაამთავრა აქვე მთავრობის მეთაურების კანდიდატის ხარისხი — თბულებიხისათვის „საქართველოს ეკლესიის ისტორია VI საუკუნის ბოლომდე“. აქედან მოყოლებული მტკაღ ნეოფიტური იყო მიხეილ საბინინის მოღვაწეობა საქართველოსა და რუსეთში. მისი დიდი ღვაწლი შეუმჩნევია არ დარჩენიათ თანამედროვეებს. ნიშანდობლივია, რომ 1898 წელს (მ. საბინინის სიცოცხლეშივე) გამოცემული „ენციკლოპედიათ რუსიკისაჲს“ XVIII ტომში სავანებო სტატიაა მ. საბინინის შესახებ. ახ ისიც:

«САБИНИН (Михаил Павлович, Геброн) — историк грузинской церкви, по происхождению грузин. По окончании Тифлисской гимназии, поступил вольнослушателем в СПб духовную академию и получил степень кандидата за сочинение: «История грузинской церкви до конца VI в.» (СПб., 1877). Еще ранее, в 1871 г., он издал «Полное жизнеописание святых грузинской церкви до конца VI в.». Оба сочинения писаны по грузинским первоисточникам, почему излагают предмет с гораздо большею подробностью, чем предшествовавшие ему издатели, напр., Иоселиани. Главный и наиболее ценный труд С.: «Древние акты грузинской церкви», извлеченные из рукописей и на грузинском языке, с русским переводом С., изданные академией наук».

ერთი შეხედვით, თითქოს აღიარებულმა მიხეილ საბინინმა ცხოვრების *„სურათები“* განავლო. როგორც მისი პეტრედიწერილობიდან ირკვევა, მეცნიერს არაერთი დაბრკოლება გადაეღობა წინ, როგორც იმდროინდელი ქართული საზოგადოების მტრულად განწყობილი ნაწილისაგან, ასევე რუსეთის მოწინავე წრეების ზოგიერთი მესხვეურისაგანაც. ამ მხრივ მტკაღ საგულბისხმოა მიხეილ საბინინის წერილი ზაქარია კვიციანიანადმი:

„ძეო ზაქარიაჲ!

...მე დედისაგან საშინელი გოდების წიგნი მივიღე. ფრიალ გაკირვებული არის. მეც ეხლა შეკირება. არ ვცივი რა ვქმნა. ერთი-ორი წიგნი გაუადე, თუ ღმერთი გვამს და ფული ჩააბარე. და აგრეთვე წმ. ნინოს ხატი ორ-ორ ახაზად მიეცე; მოხვედენი იქნებიან, ხელი გამომართე მამაშვილობას. ძეო ზაქარია, თუ განდა პორტრეტის ფული ჩააბარე დედას და მოწერე. მე აქ გავაყოფებ და გამოგავაწვნი, რომელიც დაკვირდება...“

რუსებში მქექნიან, რომ მათი — ქართველების მხარე გაიკრავსო და ქართველები, ვითა რუსების აგენტო არისო. არ ვაყი ვის რა ვუყავი... ორივე პირთა ფრიალ შემაწუხებს...“

სინამდვილეში მიხეილ საბინინი განასახიერებდა ამ ორი ხალხის — რუსებისა და ქართველების ურღვევ ძმობას, იგი კემშარტი ინტერნაციონალისტი იყო და პირთფენილად ემსახურებოდა ამ საქმეს.

მის ნაღაწეს, ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილის მიერ ხელის გამართობისთან ერთად, ზოგიერთი, რომ ვარკვეული შურით შეხვდა და უოველგვარად ხელს უშლიდნენ მეცნიერს, ათლად ჩანს „საქართველოს სამოთხის“ წინასიტყვაობიდან, რომელიც მიხეილ საბინინის მიერაა დაწერილი. აქ ზვენ ვიგებთ, რომ მასაღების შეკრება მეცნიერს თბლისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის წლებში დაუწყია. „იქვე შეუღებ მე ამ ფრიალ ძნელა და შეუძლებელსა საქმეს; ამბოხეს აღრვე შეუღებ ზუნის ეკლესიებისა და მონასტრების მოხილვასა და არა რაა განეპარებოდა თუათა ჩემოა, რაცა შეებებოდა ზემს სურავლსა და არსა — მრავალი დარჩომილი კეთილი ვნახე, მრავალი სიწმიდე მოვილოცე, მრავალი პატრიარქი ქართული პირი ვნახე, ვისწავე და ვირგე მათგან და რომელთა კეთილად მოვიხსენ მარად და აგრეთვე მრავალ უცეთურს და მეძავს და განაწუნილ გონებით კაცს შევხვდი — მეღლნი ტუავთა შინა ცხუართისა, — რომელთა ვერადღები მარად და რომელნი მამლო მისუარეობით, მოღუწებობით ჩვენის საცოდავ ეკლესიისათვის და უოველისფრივ მხახურებით იქებენ თავთა თხუთა — სიტყვით ძლიერნი, მოქმედებით მცირენი“.

შვილი წელი მოუნდა მ. საბინინი მასაღების

შეგროვებას და, როგორც თვითონ აღნიშნავს აქამდე (ე. ი. 1882 წლამდე) უნდა გამოცვა მგვრამ „ზემო თქმული პირნი, საქართველოს მეფეშაყენი იყვნენ დამარტყობენელი ჩემნი. აღმტყენებს სახულიერო და სამოქალაქო მთავრობა, უკვლის ღონისძიებით ცდილობდნენ, რათა დამისწონ ყველგან კარი, უკვლათა უწესობით შემამკლ, რამეთუ თვით არარაბ კეთილი მიუძღვით, გარდა მანქანებისა. მცხებრობისა და ცხობლობისა და რომელთა მომიძულეს ცუდათ, ამით შემკულნი და მოქარგულნი იგანი ვითარ ვთქვამ, უკვლის ღონისძიებით ცდილობდნენ, რათა დაეზარალებინათ წმიდა და ღუთის საუფარელი ხაქმე ეტე...“¹⁰

მ. საბინინმა „საქართველოს სამოთხის“ გამოცემით ფასდაუდებელი დეწული დახლო ძველი ქართული მწერლობის შესწავლა-კვლევას. ეს იყო ქართული სასულიერო-მწერლობის ფაქტობრივად სრულყოფილი კრებული, რომლის მსგავსი მანამდე არ იყო და ქართულში საზოგადოებამ კარგად ესმოდა რვით მ. საბინინსაც, რომ „...რათა სადა იპოვებს ასრე ვრცელი და შეგახმული მწუხენიერთა მხატვრობებითა, ვითარ წიგნი ეტე“.¹¹ კრებულში შეტანილი მასალები შეცნიერს მიუკვლევი პეტრობურგის სამიწერატორო სამეცნიერო აკადემიისა და საზოგადო საწიგნობელებში. ძვირფასი ხელნაწერები, როგორც აღნიშნავდა მ. საბინინი, „...დარჩომილნი ბატონისშვილთაგან — რომელნიმე მთავანი მერვე, მეცხრე, მეათე და ჩამოთავალთა საუფუნეთა არიან. აგრეთვე პარტის სამეფო საწიგნობელითაგან — მოსკოვის დიდი ბატონისშვილისა და რუმინცივის საწიგნობელთა ხელნაწერთა წიგნთაგან...“¹² აქ მ. საბინინი გაცნობია არსენ იუალოვლის ხელნაწერებს, კათალიკოსებს: ვახუშტის, ბესარიონისა და ანტონ პირველის შრომებს. იგი აღნიშნავს, რომ შესაძლებელი იყო ამ კათალიკოსთა შრომების ცალ-ცალკე დაბეჭდვა, მაგრამ გამოერებას მოკრიდე და არც ჩემს მიზანს შეადგენდაო („ჩემს პროგრამაში არა იყო ცალ-ცალკის შრომის დაბეჭდვა“).¹³

„საქართველოს სამოთხეში“ მ. საბინინმა შეიტანა ქართული ისტორიული ლიტერატურის ორმოცდაათი უძვირფასესი ძეგლი (მოთხრობა მიძინებისა უ-დ წმიდისა ღუთის მშობლისა, ანდრია მოციქულის ქადაგება, წამება წმ. მთავარმოწამისა გიორგისი, ცხოვრება წმ. ნინოსი, ცხოვრება იოანე ღვთაშეწმლისა, ცხოვრება და წამება წმ. მოწამისა კონსტანტინე მთავარისა, ცხოვრება ღირსი შამის ილარიონ ქართველისა, ანდრძი გიორგი მთაწმინდელისა, ცხოვრება წმ. დიდებულისა მეფისა დავით III აღმაშენებლისა, ანდრძი წმ. მეფისა დავითისა და გალობა სინანულისა მისივე,

სიტყვისგება ბერისა ეფთვიმე გარქვალისა, სოსონის მიმართ სომეხთ მოძღუარისა (და სხვ.) და გარკვეული ქრონოლოგიური პარაკლით დალაგა. ამასთან, თითოეული წიგნის შემტანა, შეცნიერის აზრით, მიზნობრივი დაწინაურებებით იყო განაზრებული „ღუთის-მშობლის მიძინებისა, — ამისათვის ვითარმედ ჩუენი გყლენია წიხბდომილია უკვლად უბიწოასა და მარადეს ქალწულისა დედოფლისა მარიაშისა, მოთხრობა ანდრია მოციქულისა, რამეთუ მან სანატრელმან, პირუდლად ჰქადაგა სიტყუა ღუთისა ქუთუთანასა ჩუენსა. მოთხრობა წმ. გიორგისა, რამეთუ დიდი გიორგი, ახლო წათხსავ იყო წმ. ნინოსი...“¹⁴ და ა. შ.

ზაგასასმელია, რომ ეს დიდი წიგნი, რომელიც მამ-მდე გვერდს შეიცავს და ფორმატაც საქმიად შთამბეჭდავი აქვს, ერთ საუფუნე მეტი ზნის წინ დაიხტამა და, ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ რთული იქნებოდა მისი პოლიგრაფიულია ესოდენ მაღალ დონეზე შესრულება. „მხატვრობები, — წერს მ. საბინინი, — ზოგიერთი გადმოვიღე წმ. სუტის ცხოვლის კედლიდგან, ზოგნი მრავალმთის დაზგრულის მონასტრების კედლებიდგან, ზოგი მიხობა კინაზმან გრაგორი გრივორის ძემ გაგარანან — და ზოგიერთი ბატონისშვილის ხელნაწერთაგან და სხვ.“¹⁵ სურათები არ იყო იმ დონეზე შესრულებული, რომ წიგნში შეტანილყო, ამიტომ მ. საბინინის სამხატვრო აკადემიის სხვადასხვა მხატვრისათვის მიუმართავს და მასალა „სრულუქმნია“. დიდი ხაჭირეებით შეუდგენია და გამოუცია წიგნი მეცნიერს. ხელისწეურობის ნაცვლად ბევრ წინააღმდეგობასა და დაზრკობებს შეხვედრია. მ. საბინინი შეძრწუნებული წერს: „დიდი ჭიარ და იწროება ენახე მე ამ წიგნის შედგენასა შინა და უმეტეს დაბეჭდვასა შინა, ვერ აღუბრკობა უკვლეთა, ვითარ კაცი შეძრწუნდი და ღამის სასწარკვეთილებას არ მივეცი თავი ჩემი — არა ვინ მუხანდა ქართულთაგან შემწედი და გულ დამწველი, არამედ მრავალნი მტრად და მომიძულეს ცუდადი.“¹⁶ მაგრამ ჭეშმარიტი მოღვაწე და საქართველოს ისტორიულ წარსულზე, მის კულტურაზე უსაზღვროდ შეყვარებული და მის შესწავლაზე დღენადაც მზრუნველი მიხეილ საბინინი თავს იმით ამშვიდებდა, რომ კარგად ესმოდა „საქართველოს სამოთხის“ გამოცემის ფასი და მნიშვნელობა („რათა არა წაიჩუუნას წმ. ენა ჩუენი და წმ. მამათა მოსხენებული და აღჭურვილი სულიერთა გონებითა და ტრფილებითა, რათა არა დაგვიარგოდა საქართველოთა წმიდათა ცხოვრება“).¹⁷

მართლაც, დღეს საკამათო აღარ არის ის დიდი მნიშვნელობა, რაც მ. საბინინმა ქართული წერლობითი წყაროების შეკრებითა და მათი გამოცემით გააკეთა. იმთავითვე დადუ-

ბოთად შეფასებს ეს მოვლენა მოწინავე ქართველი საზოგადოების წარმომადგენლებმა.

«Могу смело сказать, что книга эта со временем может занять самое почетное место как по своему содержанию, так и по своей аккуратности в издании» —

— ასე წერდა „საქართველოს სამოთხის“ შესახებ დავით ჩუბინაშვილი. მაგრამ გამოჩნდნენ ავის მოქმედებიც. სასულიერო ცენტრში მ. ხელაძემ, რომელიც, როგორც ჩანს, სასულიერო ისტორიის ცოდნით არ გამოირჩეოდა, უარყოფითი შეფასება მიხცა წიგნს და დაასკვნა:

«Так как подстрочные замечания в книге почти на каждом шагу содержат слова и выражения резкие и оскорбительные для нынешних Грузин и Армян... книга эта не может быть рекомендована для приобретения духовенством грузинского экзархата, в настоящем ее виде» („შრომა“, 1882, № 47).

აღნიშნულ შეფასებას 1882 წლის 1 დეკემბერს მოჰყვა გაზეთ „შრომაში“ ფელეტონი (ეს ციტატი, სწორედ ამ ფელეტონიდან გვაქვს მოტანილი), რომელსაც ხელს აწერდა „მწეაერი კაცი“. ავტორი „საქართველოს სამოთხის“ გამოცემას უდიდესი მნიშვნელობის ფაქტად მიიჩნევდა. ჩვენს სასულიერო ლიტერატურას ვაცხადებთ საძირკველი: ჩვენს სამღვდელთებს, რომლისთვისაც საქართველოში სტამბის გახსნის შემდეგ, ორი კლამი არ მოხსნულა ქართულად, დღეს გაუჩნდა საკითხავი წიგნი, საიდანაც მას შეუძლია აიღოს ცოცხალი მაგალითი ღვთისა და კაცობოყვარების, მოყვასთათვის თავგანწირულებისა და ათას ნაირის სხვა კეთილ-წინაობისა.¹⁸

ავტორი ამბობს რეცენზენტს, ააშკარავებს მ. ხელიძის უხუსურ ბრალდებებს და დაასკვნის, ისეთი ვერაფერი ვნახეთ, რომ წიგნს ღირსებას ართმევდეს და სასულიერო წესდებისათვის სათაყილო იყოს; „მწეაერი კაცი“ სრულად მართებულია მიიჩნევს წიგნში აღწერილი საქართველოს მონასტრების მდგომარეობას და თვითონაც უმატებს: მრავალი ჩვენი მონასტერი, სადაც სარწმუნოება წმინდად უნდა იყოს დაცულ-შენახული, „ვირების ქართად“ გადაიქცნო. ეს ნამდვილი კრწმარობაა. ამას არც ერთი ქართველი უღირს შეურაცხებად არ მიიღებს, არამედ პირაქით აღიარებს, რომ იმგვარი სწმინდენი, როგორც დავით აღმაშენებლის სამარხი, დღეს ოსტყვობა ქართად შექმნილა და ამ ქართის კარებად დარბანდის კარებია, რომელნიც ჩვენი მკლავბაღის ნათად უნდა ითვლებო-

დეს.¹⁹ ფელეტონის ავტორი მ. ხელიძეს უკეთინებს, რომ თუ ეგი ქართველთა პატიოსნებასა და სარწმუნოებას იცავს „ერთიერთ-მისიც გაირჩებოდა და ორიოდე წიგნავს შეადგენდა საქართველოს ეკლესიის შესახებ... ზოგიერთი სხოლიო სომხებს შეეხება და შეეხება იმდენად, რამდენადაც ჩვენი სარწმუნოება შათისგან განირჩევა...»

ავტე ბატ. რეცენზენტო, სხოლიოები დავიწურავთ და წიგნის ღირსება, შინაარსი და მნიშვნელობა დღეშა დომივით გადავიკლავავთ.²⁰

მეტად საგულისხმა გაზეთ „დროებაში“ ცუქოქვეყნებული დიმიტრი ჩანაშვილის რეცენზია „საქართველოს სამოთხის“ შესახებ. ეს წერილი გაზეთის 1882 წლის 24 (№ 245), 25 (№ 246) და 26 (№ 247) ნოემბრის ნომრებში გამოქვეყნდა. ავტორი წულიით აღნიშნავს, რომ ქართული საერო და საეკლესიო მატიაენი სხვადასხვა მონასტრებისა და ეკლესიების წიგნთსაცავებშია გაბნეული, არა მარტო საქართველოში, არამედ შის ფარგლებს გარეთაც — რუსეთში, საფრანგეთში, არშში. არის შემთხვევები, როცა ქართული ზღაწერები ლონდონის, თეირანისა თუ სტამბოლის ბაზრებზე იყიდება.

დომ. ჩანაშვილი დაუდევრობად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ქართველობაში არ მოიპოვება ისეთი პირი, რომელმაც საქართველოს ეკლესიის ისტორია ზედმიწევნით იცოდეს და შემოთებულა იმის გამო, რომ მ. სამინის „საქართველოს სამოთხე“ არც ერთ მღვდელს იმდროისათვის არ გამოუწერია. ამის მიწვეად კორესპონდენციის ავტორი სამღვდელთებს მოშლილობას მიიჩნევს: „ახლანდელ სამღვდელთებს, დაუდევრობისა გამო, აღარა აქვს ისეთი სასოება, ღვთისმოყვარეობა და გულთათვი სუკვილა გაავრცელოს ხალხში წმინდა მამათა ცხოვრებისად მაგალითება სათნო ცხოვრებისა... ის იქამდე გულგრილია თავის მოვალეობაზე, რომ იშვიათად იპოვით მღვდელს, რომელმაც იცოდეს ზედმიწევნით წმ. ნინოს ცხოვრება შიანს“.²¹

დომ. ჩანაშვილი „საქართველოს სამოთხის“ ავტორს დიდ დამსახურებად თვლის, რომ მან პირველია მოქმენა და შეკრიბა „ქვეყნის პირზე მოყენილი ზღაწაწერები“. ავტორს ესმის ის სირთულე, რაც ასე დიდი წიგნის გამოცემასთან არის ორი დაკავშირებული: „წიგნი... სიდიდით არის ორი სახარებისოდეტი. ამოღენა წიგნის გამოცემაზე მ. სამინის ისრეთი ბეკითი მეცადინეობა გაუწევია, რომ ის სრულიად უნაკლულად არის დასტამბული. სხვა არა იყოს რა, მარტო შისი გარეგანი შებედულების ხილვა შეტისმეტად სასიამოვნოა. კრწმარიტად, რომ ის დიდს ჭვირფასს საუწყებს შეადგენს ჩვენი ისტორიულ ლიტერატურას“.²²

დომ. ჭანაშვილი „საქართველოს სამოთხის“ თავისი მნიშვნელობით „ქართლის ცხოვრებას“ უტოლებს. მისი აზრით, პირველი ანბანს შერაცხ. აქ ისეთი ახალი ცნობებია, რომელიც სხვაგან არასდროს მოიპოვება; ნათქვამია საღმრთო და საეკლესიო წიგნების მთარგმნელებზე, ევსტატი ეპისკოპოსის მოსვლაზე ანტიოქიიდან საქართველოში, წმ. ნინოს თხოვნით (გვ. 98), ქართველთა უსწავლელობასა და დაუდევრობაზე (გვ. 104-105), კიზიუის დედოფალ სუტიზე, რომელიც წ. ნინომ გამოგზავნა კიზიუიდან მონიან მფრხისთვის კახეთის გაქრისტიანების მისალოცად, რისის ეკლესიაზე, რომლის ეპისკოპოსი და ეპარქია თამარ მფრხის დედის ბურღუნის მზრუნველობაში იყო (გვ. 111), ათონის მთაზე მონასტრების აშენებაზე, იქაური ბერების მოღვაწეობაზე, გიორგი მთაწმიდელის ბაზაზე ანტიოქიის პატრიარქთან საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის შესახებ (გვ. 388-488) და სხვ.²³

დომ. ჭანაშვილი განცვიფრებულია იმათი მოქმედებით, ვინც „საქართველოს სამოთხის“ გავრცელებას ეწინააღმდეგებოდა იმ მიზეზით. რომ თითქმის მ. საბინინს ზედნაწერები გადაწერისას დაემხინწებინოს. იგი ასახულებს „წინაშეული აზრის უსაფუძვლობას, ხაზს უსვამს, რომ საბინინს წიგნი ძლიერ სინდისიერად არის შედგენილი და გამოცემული და რომ მ. საბინინი ღრმა მადლობის ღირსია ასეთი შესაშინავი განძის შეტრების, შედგენისა და გამოცემისათვის. ნაშანდობლივად, რომ წერალი ასეთი განცხადებით მთავრდებოდა: „ესი წიგნისა გამოწერით 17 მანეთია“.

თვით მ. საბინინისათვის არსებითი იყო „საქართველოს სამოთხის“-ს გაუადვიეს საკითხი. ეს მას მომავალთან, სასიცოცხლო პრობლემათაგან იყო დაკავშირებული. მეცნიერმა 1882 წლის 15 დეკემბერს საქარია კიბინაძეს სწერდა:

„საპატარალო ძმარ ზაპარიაში“

დიდი ხანა შენგან არა რაი ამბავი მაქვს. მოგალოცავ წმ. დედისწაულთა. აი ძმარ მე ჩემი წიგნი გავათავე და ახლა შენგადაც არის დაშოკებული მისი გაუადვი. ამ წიგნსა 17 მანეთად ვუდი და ამას გარდა უკველი შეიძლება შემდეგ დაბეჭდვისა უფასოდ მიიღებს „მწამეტკველებს“ კათალ. ანტონ პირველსა და მოთხრობასა კათალ. ანტონ პირველსა. სრულიად მზადა მაქვს მაგრამ უფულობის გამოთ ისე მიწუვიან და გასუადულობს ფულით მინდა ქაღალდი ვიყიდო და სტამბის ფასი მივცე. ამა თუ შეგიძლიან შემეწეო ეხლა. ერთს წიგნს უფასოდ მიიღებ, თუ ათორდენის ფულსა შეგკრებამ და ფოტოთი გამოვიგზავნა...

შენი ძმა და მეგობარი მიხაილ საბინინა“. სამწუხაროდ, როგორც ზემოთაღნიშნა,

მიხეილ საბინინსა და მის კრებულს ბევრი მტერი გამოუჩნდა, „საქართველურს-საგლობურს“ ბოიკოტი გამოუცხადეს და უწყველად მტრად მოიხსენიებოდა. სასოწარკვეთილი მ. საბინინი ზ. კიბინაძეს სწერს: ტფილისიდან მომხივდა ფრიალ უსამოვნო წერილი, ვთამო ჩემი წიგნები სრულიად არ იყიდება და ამის გარდა გამოგზავნის ვალი 180 მანეთიც არ იციან საიდან აიღონო. გულნაკლული მეცნიერი შემწეობას ითხოვს და თან მწარედ განაცდის მისი შრომის დაუფასებლობას. „...სრულიად არ მეგონა, რომ მე ამ უბედურებას შევემობოვოდი, თორემ სამსახურში შევადოდი და გარდა ჩემი თავისა არა მეცოდინებოდა რა. ქუა-ქუაზედაც ნუ იქმნებოდა. განა ჩემზედ მტერი ქართველები არაინ არიან — რატომ იხინი არა ფაქრობენ თავიანთ სამშობლოსათვის“.²⁴ აქ მტლად საგულისხმოა, რომ მიხეილ საბინინი თავს ქართველად სთვლიდა („...ჩემზედ მტერი ქართველები არაინ არიან“), ამასთან იგი კე-შმარატი ქართველი პატრიოტი იყო.

როგორც ჩანს, საზოგადოების ერთი (განსაკუთრებით სასულიერო) ნაწილისაგან მტლად მძიმე მდგომარეობაში ჩაყენებულ მიხეილ საბინინს თანუგატანობდა გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი და მწერალი ზაქარია კიბინაძე. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ მეცნიერის გულისტკივლით დაწერილი ბევრი ბარათის ადრესატი სწორედ ზ. კიბინაძეა. მას მისწერს მ. საბინინმა, რომ შეგიტყვე ჩემს მტრებს უოკვამთ „თუ საბინინ აქ ჩამოვა უფოლდ მოკვლამთო. თუ მოამკლამენ დიდ რამეს არ წაიღებენ? მე კი სასუფუვლს მტერძოვს გაშხდიან“.²⁵

საერთოდ, მ. საბინინის კეთილი საქმეებისადმი უდიერი დამოყიდებულება მიტრამეტი საუკუნის ბოლო ოცწლეულის ვადაგვარებულ საზღვდებლოებთან მოდიოდა. საზღვდებლოების გაყდენა კი ქვეყანაში დიდი იყო და მისი ამგვარი პოზიცია არც იმ დროის ზოგიერთი საშოქალაქო პარისათვის იყო უცხო.

1897 წლის 25 ივლისს „ცნობის ფურცელი“ (№ 264) საზოგადოებას აუწყებდა სამწუხარო შემთხვევის შესახებ: „შეშინ შუადლისისას ერევის მოედანზე გ. უ-მა მოქმედებით შეურაცხყო ცნობილი მიხეილ საბინინი, რაღაც მიზეზის გამო. საქმე სწარმოებს“.

ორიოდე დღის შემდეგ, 28 ივლისს იგივე გაზეთში (№ 268) დაბეჭდა მიხეილ საბინინის წერილი მისა შეურაცხყოფის გამო. საქმე ასე იყო. 24 ივლისს თამაშევის ქარვასლიდან გამოსული მ. საბინინი განოვის ქუჩაზე მიდიოდა. უცებ მას შემოესმა ვიღაც „ჩერკესიანი“ პარისიგან ძახილი: „ეო, დაგლექოლო მღვდლო, აქ მოდი საქპაროდ!“ მ. საბინინმა უფრო არ ათხოვა და გზა განაგრძო. მას ვიღაცამ ზედი სტყვა და სასტიკი ხმით შემუვარა: „შე

არ გესმის ჩემი ხმა, რატომ არ მოხვედ, რომ გეძახოდინი“ შეშინებულმა მ. საბინინმა ანაზ-დად მიუგო—„უაპრაყად, მე თქვენ არ გიცნობთ, გოხოვთ თავი დამანებოთო“. მომხდურმა მთელი ძალით ხილა გააწნა. მ. საბინინს ღურჭი სათვალე ჩამეტკრა და შუშის ნამსხვრევმა ცხვირი გაუტრა. იგი საშველად კოლაიის „უპრაყდენიაში“ შევარდა, მაგრამ იქ არაფერ დახვდა. შემდეგ ერთ ოჯახოლომნიკთან მიიჩინა და შემწევობა სთხოვა. მან მშვიდად უპასუხა: შეგიძლიათ იჩივლოთო. მ. საბინინს შეურაცხყოფელი მილიციის-პრაპორშნიკი გიორგი დავითის ძე უაზბეგი იყო. ეს სახელი და გვარი მანამდე სრულიად უცნობი იყო მ. საბინინისათვის. იგი მწუხარებით წერდა: „მე ოცდაშვიდი წელი ვემხარებები საქართველოს და ბრწყინვალე კარიერა, რომელიც მეძლეოდა ხელში ამას შევწირე და ამითა უოველთათვის გარდა უბედურობისა და შეურაცხყოფობისა არა რა მოვიღე... ამ... შემთხვევამ მარცხენა თვალი მომგვრია და წამბინა და ბნელი წყალი მომგვრია... რაღა მე ბატონს უაზბეგს არ ვიცნობ და არც სადღე მინახავს, არ მქონია შემთხვევა ღაპარაკისა, ჩემის აზრით, ესენი არ არიან დამანაშავენი ამ ჩემის უბედურობისა, არამედ სხვა ვინმე უნდა იყოს მდომი ჩემი შეურაცხყოფობისა...“

მ. საბინინს ექვია არ უნდა იყოს მოკლდებული საღ აზრს. ამტრანდელი სინამდვილი, რეალური საზოგადოებრივი ვითარება იძლეოდა ამგვარი ფიქრის საფუძველს. ამ მხრივ ნიშანდობლივია გამოჩენილი ქართველ მოღვაწეთა პოლიტიკა მეტერამეტე საყურის მერტე ნახევრის სამღვდელეობის გადაგვარებული ნაწილის მიმართ. გაცრით შევხებით აქაც წერეთლის ლექსს „ფარისეველი“, რომელიც 1882 წელს პეტერბურგში დააწერა. საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ 1888 წელს ეს ლექსი პოეტს გადაუწერია, სათაური დაუნაშნავს და ქვეშ მიუწერია „ვუძღვნი მ. საბინინს“.²⁶

ლექსში „ფარისეველი“ მკაცრადაა გამოთარახებული და საუკარაოზე გამოტანილი მამონდელი. სამღვდელეობის ფარისევლური ქცევები:

„შებდეთ ფარისეველსა,
ლოცეთა ღამის მთველსა,
ცხადად ბოროტის დამგომოსა,
ჩემად კი ცოდვის მღველსა“.

ფარისევლები „წაშის-წამ“ უფალს ახსენებენ და ამ თვალთმაქციობით ატყუებენ საზოგადოებას:

„მე და ეგ ვიცნობთ ერთმანეთს!
ეგ რომ მუშტებით იმტერეცს მკერდს,

არ იცით, რომ თქვენც ვატყუებდა და ეცრუება თვითონ ღმერთს? ვიცანი გაიძვერა, მე, მარტინული და მისთვის მიწურებას ვუტყუებ, უღმერთობას მტრამ მწამობს და მეძახის „რუსეთუმე!“

ამ ლექსის მიძღვნით მიხეილ საბინინს შენაგანად თანაგრძობა გამოუცხადა დიდმა მგოსანმა და ეს ერთგვარი გამხსნელება იყო მეცნიერისა.

საგულისხმოა, რომ „ფარისეველს“ მნიშვნელოვანი გამოხმარება მქონია საზოგადოებაში. თვით აქაც იგონებს: „როცა ეს ლექსი დაეწერე, კერძოდ მხედველობაში არავი მყოლია... საზოგადო ტაბი იყო, უველამ კექითომე წერეთელს მიაწერა. მე ამ ექვითიმეს ვიცნობდი და კარგის მხართაც. სხვებს იმის ეამტობინებდი, მაგრამ იმ შემდღარმა აზრმა იმე მტაცადე გაიადგა საზოგადოებაში ბიჭი, რომ თვით ექვითიმეც დაიფრცა და სამღვრავი მოგვევიდა. ახლა როდესაც ნახევარმა საუღუნემ გააარა და ისიც განსვენებულია, აღვაარებ, რომ ეს ლექსი ექვითიმეს არ შეეხება. საზოგადო იყო იმ დროში, რაც უნდა დაწერილიყო საზოგადო ტაბად, გამოჩნდებოდნენ მისათვები, რომ თავის-თავზე აღებდნენ, ატყუებოდა ერთი ვაი-უშველბუბები და ჩამოვარდებოდა ხოლმე სამარადისო მტრობა. ჩემი მტრებიც თანდათან მრავლდებოდნენ, მაგრამ ქალებისა და ბავშვების სიუარული მიბრუნებდა გულს“.²⁷

მიხეილ საბინინი დიდად აფასებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობას. მან 1898 წელს საზოგადოებას შესწორა ივანე ბატონიშვილისაგან ნაბოძები რიგი ხელნაწერები. საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულია მ. საბინინის წერილი, რომელშიც იგი უმოჩილესად სთხოვს საზოგადოებას, რომ მისგან გადაეცემა „წერილები“ დაიყვან, თან დასძენს: „ეს წერილები ბატონიშვილის ივანესაგან მქონდა ნაბოძები და აქმომამდე ვინახავდი — და ამის პირი გადავწერე ჩემს ავტობიოგრაფიას შენა — დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიისათვის“.²⁸

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადაუწვავთია მიხეილ საბინინისაგან შექმნილი „საქართველოს საზოგადოება“ დაბეჭდილი კლუსტრაციების კლესებები 600 მანეთად. მეცნიერს 25 სურათის კლესე გადაურჩევია. ამის შესახებ იგი დავით კარიჭაშვილს სწერს:

«...Из числа сих досок сколько рисунков в вышеназванной книге я выбрал самые сложные и просил Юрганова, имеющего здесь известную нот-

ную фабрику — на всю Россию — сделать мне по три оттиска — чтобы доказать и представить Вам, что доски вполне сохранились и невредимы — коих присылаю Вам, для обозрения, прилагая при сем и бумаги Юргансона в доказательство — Цены этого очень дороги — и не стоит у него заказывать, лучше я Вам дам адрес в гор. Лейпциге в Германии, где сделают гораздо дешевле — именно та фирма которая их и гравировала — и получите без всяких пошлин — только надо показать их таможенному чиновнику — или заявить в это правление что доски для... России... Мне жаль их продавать, но что делать, когда я вынужден... Сделайте милость порешите поскорее дело и дайте мне знать хоть телеграммой. Я немедленно вышлю их наложенным платежом... и будет приложена бумага, в коей будет сказано, что я предоставляю полное право и свободу эксплуатировать их и отказываюсь от издания сих досок навсегда. Пожалуйста, ускорьте решение сего дела — и поставьте меня в известность, вот и адрес мой, для письма Москва Угол Большой Никитской и Брюссовского переулка д. Вельтищевской номера Горшковой М. П. Сабинину».

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ აღნიშნული კლიშეების თაობაზე მ. საბინინს საგანგებო წერილი გაუგზავნა.

„ბ-ნს საბინინს

№ 92

29 აპრილს 1898 წ. მოწუალო ბელწიფევი მიხეილ პავლეს ძევი თქვენს წერილსა გამო 10 აპრილიდან 1898 წ., წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების გამგეობამ დაადგინა გეოგოვოსი თქვენ და დიპტრი აღქვანდრეს ძე ფაულენიშვილს, რათა გამოეყოთ ერთად ყველა კლიშეები, ასწეროთ საფუძვლიანად და ისე ჩააბაროთ ტრანსპორტის კომპანიას ფასდაღებით გამოსაგზავნად, ხოლო შემოწმებული აღწერა კლიშეებისა ცალკე გამოგზავნოთ გამგეობას. ასეთი შემოწმება და აღწერა საჭიროა იმისთვის, რომ თუ ვინცოცა გზავნი გაფუჭდეს კლიშეები, გამგეობას ჰქონდეს უფლება მოსთხოვოს წარალი ტრანსპორტის კომპანიას.

ამის შესახებ ცალკე წერილი ეგზავნება ფაულენიშვილსაც.

ამას გარდა საჭიროა გამოგზავნოთ გამგეობას ნოტარიული პირობა, როგორც უკვე

მოგვხსენებთ, რომ თქვენ ამისთვის არ გამოსცემთ ამ სურათებს და უკეთეს გამოსცემთ. ჩარიბას გადაუხდით საზოგადოების საშოცს თუმანს. იმდენივე ჩარიბა უნდა მისცეთ საზოგადოებას, უკეთეს აღმოჩნდება, რომ თქვენ უკვე დაბეჭდილი გაქვსთ ეს სურათები და გახეილი მათ.

როდესაც შემოწმებული აღწერა კლიშეებისა და ეს ნოტარიული პირობა მოუვა გამგეობას, მაშინ გადაიხდის იგი კლიშეების ფასს».

აღნიშნულ კლიშეების შემოწმების თაობაზე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას დ. ფაულენიშვილისთვისაც მიუზარაფს, რაზეც მას წერილობითი პასუხი მიუცია საზოგადოებისათვის

«25 V-1889 № 85/20 მაი 1898 გ. Москва

В Правление общества распространения грамотности среди грузинского населения.

Милостивные Государя!

Данное Вами мне от 29 пр./м. поручение мною, к сожалению, в исполнение не приведено.

Дело в том, что, так как я не специалист и приглашенное в качестве эксперта лицо (один из служащих в типо-литографии, которая исполняет заказы Д. З. Сараджева) отказалось дать какое-либо заключение по поводу клише. Сабининным было предложено отправить их без наложенного платежа и экспертизу предоставить Вам. Выработав (словесно) совместно с Сабининным обязательство его, которое, по-моему, вполне гарантировало Общество, я немедленно отправил по Вашему адресу от имени Сабинина через Российское Общество I ящик клише (25 шт.) и ждал обязательства Сабинина, чтоб выслать Вам вместе с ним и квитанцию. Обязательство было доставлено мне 15 с.м., но текст его расходился на столько и выработанным с вами, как я сказал выше, что принять его я счел себя не в праве и квитанцию на отправленный Вам ящик клише выдал Сабинину.

Сабинин, говорю с его слов, квитанцию и это обязательство перешлет свящ. Кончозу, которому и поручает покончить с Вами дело, причем, если обязательство будет Вами признано не

удовлетворительным, клише будут или выгребованы обратно.

Считаю нужным добавить, что вышесказанный эксперт заявил, что едва ли в Москве найдется лицо, которое согласилось бы дать свое заключение по поводу стальных клише, так как такие выше здесь не делаются.

На всякий случай прилагаю обязательство, которое должен был дать Сабинин.

С совершенным к Вам почтением
кн. Дм. Павленов³¹.

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულია მ. საბინინის ვაღდებულება „საქართველოს სამოთხის“ ილუსტრატორთა კლასებზე საისტორიო უფლებათა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის გადაცემის შესახებ:
«19/V-1898 გ.

Я, нижеподписавшийся, продаю Обществу распространения грамотности среди грузинского народа, двадцать пять стальных клише, лицевых изображений святых грузинской церкви — за шестьсот рублей. С этих клише сделано только одно издание, которое приложено было моему труду «Рай грузинской церкви» и других оттисков мною не сделано никаких изображений их не было и нет.

Вместе с клише, я передаю названному Обществу свои авторские права и привилегии — и оно вправе эксплуатировать по своему усмотрению, как найдет для себя удобным и полезным, так как не намерен снова издавать эти клише; в случае, если Общество где-нибудь найдет в продаже или альбомом или отдельными оттисками воспроизведенные с них клише, сделанные с моей стороны, то я обязуюсь отвечать сему Обществу законою от ответственности. КАНДИДАТ МИХАИЛ ПАВЛОВИЧ САВИНИН.

Я, нижеподписавшийся, удостоверяю, что предстоящая подпись на сем признана передо мною, Яковом Андреевичем Калашниковым, Московским Нотариусом, имеющим контору Тверской части на Воскресенской площади в доме Корзинкина, сделанною собственноручно кандидатом Михаилом Павловичем Сабининым, живущим в Москве, Тверской части 2 уч. в доме Вель-

тичевой, неизвестной лично лично, представивший удостоверение о выдаче ему из Управления Тифлиского полицмейстера 15 мая 1897 года за № 1205. 1898 года мая 19 дня по реестру № 1065.

Нотариус Я. Калашников³².

როგორც იკვევა, კლიშეების ბრუნვა სონებში ეჭვით შეუტანიათ და გარკვეული პრეტენზიები გამოუთქვამთ, რის გამოც ძალზე აღშფოთებულა მიხეილ საბინინი. მის წერილებში დ. კარაბაშვილისადმი ასეა აღ ჩანს დადი გულისწერა. იგი შემწერალი იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისაგან გამოუფილ რწმუნებულის დ. ფაულენშვილის (დამიტრი აღქსანდრეს ძე ფაულენშვილს დაავლებული მქონდა კლასების განსწავა და აღწერა. ასევე სათანადო დაქვანის მიცემა მათი შეძენის მიზანშეწონილობის შესახებ მამართავ, რომელიც, მიუხედავად იმისა, ხელს უშლიდა საქმეს.

დაცულია დავით ფაულენშვილის ერთი საინტერესო წერილი დ. კარაბაშვილისადმი:

„ძეო დათქო!
საბინინმა საქმე გამოიარა, მოხევენება არ მიძღვებ, თუ ღმერთი გწამთ, პასუხა მოეცით რამ, ან კლიშეები დაუბრუნეთ და მომავრცეთ. შენი დ. ფაულენშვილი“.³⁴

საბოლოოდ მ. საბინინისა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის ურთიერთობა მოგვარებული იქნა. გამგეობამ შეძინა უფელ კლიშე და დათქმული საფასურაც გადაიღო.³⁵

მიხეილ საბინინმა ჭირ კიდევ 1899 წელს შესწავლა ქართულთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავს სურათი „დადგმა საქართველოს ეკლესიისა“.³⁶ არაერთ კულტურულ დაწესებულებას შესწავლა „საქართველოს სამოთხე“. ამის სახებ ცნობები დაცულია მეცხრამეტე საუკუნის ბლოკ ოქწილულის პარტის ფურცლებზე ვაჭობა „ივერიამ“ 1899 წლის 18 მაისს (№ 102) მოათავსა კავკასის ქართული სკოლის ხაზინადრის აღარიონ გიორგიძე ბაქრაძის მადლობის წერილი: „ნება მიზიძეთ თქვენის ვაჭობის საშუალებით მადლობა გამოუცხადო მან მიხეილ პავლეს ძე საბინინს, რომელმაც შესწავლა კავკასის ქართული სკოლის წიგნთსაცავს თავისი წიგნი „სამოთხე“ „მწყეშის“ (1898 წლის № 19) შეიძველს აწვდის ცნობას, რომ მ. საბინინმა საიმპერატორს საზოგადოების წიგნთსაცავს შესწავრა XI-XII საუკუნეების „მწვენიერად მორთული და დაწერილი ქართული სახარება შესანიშნავი მინიატურებით“. ვაჭობა აქვე სვამს შეკითხვას: „საინტერესოა შეიტყოს კაცმა

თუ საიდან მოიპოვა ბ. საბინინმა ეს ძველი და ჩვენი ისტორიისათვის შეხანიშნავი ნაშთი?"

მ. საბინინი უველგან კრებდა საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებულ მასალებს. მას ერთი მეწვრილმანისგან შეუძენია სიგელ-გუჯრები, სამეფო განაჩინება, საეკლესიო გადაწყვეტილება და სხვ.; მასალები საქართველოში კათოლიკობის გავრცელების, ანტონ კათალიკოსის, ზაქარია გაბაშვილის და სხვ. შესახებ. ამ მასალათჲ მულობელი თავის დროზე პლატონ აოსებლიანი უყოფილა. მისი სიკვდილის შემდეგ კი შემოსხენებულ მეწვრილმანეს ჩაუბრუნა ხელთ.³⁷

მიხეილ საბინინს სახელთან არის დაკავშირებული ბოძების ტაძრის განახლება და მასთან რუსი და ქართველი მონაზვნებისათვის დედათა მონასტრის დაარსება. მან ფული შეაგროვა და სთხოვა საქართველოს ეგზარქოსს პალაღის და უწოდეს სინოდს ნება დერითთ ბოძებში დედათა მონასტრის დაარსებისა და მასთან სახელსაქმო სკოლის გახსნისა.³⁸ გაწვითი „მწვემისი“ ამგვარ წამოწყებას ვარკვეული პესიმიზმით შეხედა: „დემეტოჲ კეთილი ჰქნას, მაგრამ ჩვენ ძალიან ეპვი გვაქვს, რომ ამ კეთილი საქმისათვის ბ. საბინინს იმდენი ფულიები ჰქონდეს შეკრებილი, რომ ამ ფულით შეიძლებოდეს მონასტრის და სკოლის დაარსება“.³⁹ მ. საბინინის დიდი მოქალაქეობრივი ეპყაცობა სწორედ ასა, რომ მან უველა წამოწყებული საქმე, მიუხედავად მრავალშროვი წინააღმდეგობისა, ბოლომდე მიიყვანა. ასე მოხდა შემოსხენებული საქმის მიმართაჲ. ამის შესახებ წერდნენ „ნოვოე ვრემია“ და „ივერია“.

„მწვემისი“ (1888 წლის № 5) აუწყებდა მკითხველს: „რუსული გაზეთი „ნოვოე ვრემია“ იუწყება, რომ მ. საბინინის თხოვნა შეუწყურებელი იყო. სინოდს, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იცინან, ბ. საბინინმა სთხოვა უწმ. სინოდს ნებასთვა, რომ სიღნაღის მარაში დაარსებული კოფილიყო დედათა მონასტერი რუსი და ქართველ მონაზონებისათვის და ამ მონასტერთან სახელსაქმო სკოლა ამ მარაში მკვიდრთა დარბო უმარწილებისათვის. უწმოდეს სინოდს ნება მიუცია, რომ ამ საქმისათვის მოყარბობს შეწირულებანი“. გაზეთი აქაც ხაზგასმული პესიმიზმით ხედება ამ გადაწყვეტილებას და დასძინს: „დემეტოჲ ჰქნას, რომ ეს შეწირულებანი მოხმარებული იყოს დანიშნულებისამებრ“.

მიხეილ საბინინს მცდელობით შეგროვდა ბოძების ტაძრის კუთვნილი დიდძალი ძეგრფასი ნივთები, რომლებიც სიონის წინ იქნა გამოფენილი. შემდეგ, წესისამებრ, ისინი აკურთხენ და დაუბრუნეს ძველ ადრესატს. ტაძრის სამრეკლოს გუმბათი დიდგა და და-

უბრუნდა ცხრამეტწუთიანი ჯვარი, მოწესრიგდა წმ. ნინოს საფლავი და გაღმავდა ეზო, რომელიც ადრე პირუტყვის სამრეკლო იყო გადაქცეული. უოველივე მონაზონებისგან დიდი დღესასწაული გაიმართა, რომელსაც დიდძალი ხალხი დასწრებდა. დამწრეთა შორის იმდროინდელი პრესა მოახსენიებს: „მარის მმართველს თავისი ქვეშევრდომებით, მარისსავე მსაქულს, ადგილობრივი პარკურობითა და თანამშრომლებით“.

მიხეილ საბინინის წველილი საყოველთაოდ იქნა აღიარებული.

ცალკე უნდა აღინიშნოს მ. საბინინის მიერ გაწეული შრომა გარეჯის მონასტრის მოვლა-მოწესრიგებისათვის. მონასტერში ჩაიტანა შეწირული ფულით პეტერბურგსა და მოსკოვში შექმნილი ძეგრფასი ნივთები, რომელთა შორის გამოირჩეოდა ამერიკელი ნიკევის მოკრული და მომინაწკრებულა კანკელი, დავით გარეჯელის საფლავის საფარი-შესამოსელი, ჭერები, სხვადასხვა საეკლესიო ტურტელი, ხაღბავი და სხვ. მას გაუთხრია წმ. დოდოს საფლავი, რომელიც უსურადღებოდ უყოფილა მიტოვებული და გადაუსვენება დავითის მონასტერში. მ. საბინინის ამგვარ მოქმედებას საზოგადოების ერთი ნაწილის უმყოფილება გამოუწყვია. ივანე ბერძენოვი „დროებაში“ აღუფოთებული წერდა: „არ ვციცი, რაოდენათ უნდა იყო ვასალოებული ამგვარი საქმე უველასთვის... ვინც მივა წმინდის გრძობით მამადავითის საფლავის თაყვანის-საცემულად და ერთბაშად დინახავს იქვე წმ. დოდოს კუბოსს“⁴⁰

ორიოდე კვირის შემდეგ ივანე „დროებაში“ დაბეჭდა მ. საბინინის პასუხი, რომელშიც მკითხვერის რისხვა გამოსჭვივის არა მარტო ი. ბერძენოვის, არამედ უველა უმადურის მიმართ. საერთოდ დიდი ტაქტის მ. საბინინი „პასუხში“ დაუფარავად წერს: „უველაზე უწინარეს მიიღეთ ჩემგან მცირე დარბიგება და შეითვისეთ, რომ ვინც კი ვიციტ რაოდენიმე ჭაბუნა, წარა-მარათ როდე უნდა დაუწყოთ მარტენე და მარცხნივ ლაპარაკი“.⁴¹ თქვენ ფრიალ უმარწულურად მოაქციეთო — მიმართავს მ. საბინინი და ასაუთებნ წმ. დოდოს ძელებს გადასვენების აუცილებლობას, „მამიხიც ისე უნდა დეარგულიყო, როგორც დეიკარგნენ საფლავნი წმინდათა გარემქნისათა ლუკიანესი, პავლესი, თეოდოსესი, არსენისი, იოანესი, შოთა-ახლისა და სხვათა“.⁴² მეცნიერი მოაგონებს, რომ გარეჯის მონასტერში არსებული ერთადერთი ეგზემლარი წიგნისა „ქვარ შემოსილი“, „ეთიარცა მმარაჲა წარმოიღეთ სხვა წიგნთა თანა უღბნოდგან... და იარმუცებში ჰეიდიოთ ხოლმე. ამის გამო არამც თუ საუყუროდ დეკარგეთ წმ. გარემსკელთა საფლავნი, არამედ მათი ხსენებაც“.⁴³

2. საბინინი მთელი სიმკაცრით ამხელს ამდროინდელი ქართული საზოგადოების ერთი ნაწილის დაუდევრობას, თვით უმოქმედებას და სხვისი ზეღის შეზღიანებას სწრაფვას. „...მიკობანებს, ციკრებს, კალუჩის ბალებს, მუსტაოდებს და მისხის თანმხლებს მტოდებს რაღა ვადაურჩა? განა თვით წინამძღვრები არა ცდილობენ მონასტრების მოსპობასა?... ვინ ვაუქმა წმ. შიოს ღაცრა? ვინ ვაუქმა წმ. სტეფან ბირხელის მონასტერი? ვინა მსაობს ქვათბევის მონასტერს?“ — ასეთი ხარბილებით მიმართავს მეცნიერია საზოგადოებას. არ შეიძლება მ. საბინინის საქმიანობაში არ დავინახოთ მისი სულიერი სიახლოვე „ოთრგდალუღებთან“, კერძოდ ილია ჭავჭავაძეა და აკაკი წერეთელთან.

მიხეილ საბინინი მოსკოვში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალა. მისი ოცნება იყო საქართველოში დეკრძალუღი, გარეწის მონასტრში. მისი მუდარა „ღამშარხეთ საქართველოში“ აუსრულებელი დარჩა. 1904 წლის 27 ოქტომბერს მღვდელ-მონაწონი ტარახი „ივერიაში“ წერდა საქართველოს ისტორიისათვის მოსკოვის დიდი მნიშვნელობის შესახებ

და გულისტკივილით აღნიშნავდა: „საბინინის უპატრონოდ და ობლად დარჩენილი საუღავო ვნახე და ტირილი მომივიღა...“ უმოქმედებას, გუღუნოდა იმ კაცს, სურველია მათი მსახის, მღირსებოდა... მონასტრში (გარეწის მონასტერია მხედველობაში, რ. 2.) სამი არწინი ცაღი დეღამიწა. მაგრამ ვინ არის სად არის, რომ დღეს უფასებდნენ ადამიანს ან საქმეს და ან შრომას“.

წარმოშობით რუსი მიხეილ (გობრონ) პავღეს ძე საბინინი ჭეშმარიტად დიდი ქართული საქმეების უმოქმედი აუო, აგი, მიუხედავად წინააღმდეგობებისა და მრავალი ხიართულისა, შეუპოვრად აყვღედა საქართველოს ეღღების ისტორიას, კრება და აქვეყნებდა პირველწეაროებს, რომელთაც დღესაც უფადაუღებელი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს ისტორიისათვის. მეცნიერის ღეწლის შესახებ დებეღილია ცაღეღული სტატიები (ქ. ცხაღაძე, ვ. გურგენიძე), მაგრამ აგი, ვითარცა საქართველოსათვის დამაშეარალი, მეტს იმსახურებს. მიხეილ საბინინის ცხოვრება და მოღვაწეობა უთოღ მონოგრაფიული შესწავლის საგანი უნდა ვახებდ.

ბიბლიოგრაფია:

1 სესსა, ფონ. 481, აღწ. 1, საქ. 600, ფურ. 1.
 2 Г. (М) Сабинин (Ивериец), История Грузинской церкви до конца VI века, СПб., 1877.
 3 Полное жизнеописание святых грузинской церкви, составил с грузинских подлинников Ивериец Михаил Сабинин, СПб.(6), 1873.
 4 საქართველოს სამოთხე, სრული აღწერა ღეწლთა და ვნებათა საქართველოს წმიღათა, შეკრებილი ზრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურღის სასულიერო აკადემიის კანდიდატრს ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავღის ძის საბინინის მიერ, პეტერბურღი, ჩუბე (1882) წელსა.
 5 ქ. ცხაღაძე, „შეშანიის წამების“ პირველი გამოცემის ისტორიადან, კრებ., შეშანიის წამება, თბ., 1978, გვ. 170.
 6 Энциклопедический словарь, издатели: Ф. А. Брокгауз (Лейпциг), И. А. Ефрон (С.-Петербург), т. XXVIII, С.-Петербург, 1899, стр. 14.
 7 მხედველობაშია „საქართველოს სამოთხე“, რომღის გაყიდვასაც ითხოვის მ. საბინინი
 8 გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მეზღეუმის არქივი, ფონდი 5144-ბ.
 9 საქართველოს სამოთხე, წინასიტყვაობა, 83-ა-ბ.
 10 საქართველოს სამოთხე, გვ. ბ.
 11 იქვე.

12 იქვე.
 13 იქვე, გვ. ბ.
 14 საქართველოს სამოთხე, გვ. ბ.
 15 იქვე, გვ. ბ.
 16 საქართველოს სამოთხე, გვ. დ.
 17 იქვე, გვ. დ.
 18 მგზავრი კაკო, საეღღესო თხზუღება ჩუენში და მისი რეცენზენტი, ვახ. „შრომა“, 1882, 1 დეკემბერი, № 47.
 19 იქვე.
 20 იქვე.
 21 „ღროება“, 1882 წ., № 245.
 22 „ღროება“, 1882 წ., № 246.
 23 „ღროება“, 1882 წ., № 247.
 24 მ. საბინინის წერილი ზ. ტიღინაძისადმი (1883 წ. 1 მაისი), გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურული მეზღეუმის არქივი, ფონდი 5145-ბ.
 25 გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურული მეზღეუმის არქივი, ფონდი 5147-ბ.
 26 ა. გრიშაშვიღის ბიბლიოთეკა-მეზღეუმის კატაღოგი, 1, თბ., 1977, გვ. 269.
 27 აკაკი წერეთელი, თხზუღებათა სრული კრებელი შეიღ ტომად, ტ. 1, თბ., 1940, გვ. 858.
 28 სესსა, ფონ. 481, აღწ. 1, საქ. 368.
 29 მ. საბინინის წერილი დავით კარიჭაშვიღისადმი (1898 წ. 3 მარტი), სესსა, ფონ. 481, აღწ. 1, საქ. 600.
 30 ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცეღებელი საზოგადოების გამგეობის წე-

რილი მ. საბინისადმი (1898 წ. 29 აპრილი).

სცსა, ფონ. 481, აღწ. 1, საქ. 600 ფურ. 4.

31 სცსა, ფონ. 481, აღწ. 1, საქ. 600, ფურც. 7.

32 სცსა, ფონ. 481, აღწ. 1, საქ. 600, ფურ. 12.

33 წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წერილი დ. ა. ფაღღანიშვილისადმი (1898 წ. 29 აპრილი), სცსა, ფონ. 481, აღწ. 1, საქ. 600, ფურ. 8.

34 სცსა, ფონ. 481, აღწ. 1, საქ. 600, ფურც. 21.

35 ქ. შ. წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წერილი (1898 წ. 19 სექტემბერი) მ. საბინისადმი, სცსა, ფონ. 481, აღწ. 1, საქ. 600, ფურც. 19.

36 „ივერია“. 1889, 23 დეკემბერი, № 279.

37 „ივერია“. 1888, 22 სექტემბერი, № 198.

38 მწვეში, 1888, № 3.

39 იქვე.

40 „დროება“, 1881, 10 ივნისი № 118.

41 „დროება“, 1881, 27 ივნისი № 133.

42 იქვე.

43 იქვე.

თაყანა ამავესი

„...რამდენადაც ეთნოგრაფია ხალხთა წარსულს სწავლობს მისი წარმოშობის დღემდე, და მისი ცვლადი ობიექტი განუსაზღვრელია დროში და სივრცეში, ამდენად იგი, ისტორიის დამხმარე მეცნიერება კი არაა, არამედ ისტორიული მეცნიერება“.

„ეთნოგრაფი ქმნის ამა თუ იმ ხალხის (ეთნოსის) ყოფისა და კულტურის ისტორიული განვითარების სურათს“.

გ. ფ. იტსი

ფურხალ „ციხკარში“ (№ 12. 1984) დაიბეჭდა ისტორიკოს გერონტო გასვიანის წერილი — „საქართველოს მთიანეთის არქაიზების ნიმუში“. თავის ამ წერილში პატივცემული მეცნიერი სერიოზულ ბრალდებებს უყენებს „სვანეთის წყვდიადით მოცულობის“, „პირველყოფილობისა“ და „გვაროვნულობის“, „ჩამორჩენილობისა“ და „კარჩაკეტილობის“ უსივრცო მითითებით. „შიმდეკარ“ ზოგიერთ ჩვენს თანამემამულე მკვლევარს.

ავტორის მტკიცებით, ერთ-ერთი მათგანი გახლავთ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ცნობილი ეთნოგრაფი მხივლი ჩართოლანი. მთელი წერილი სწორედ მის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ მეცნიერულ ნაშრომთა კრიტიკას ეთმობა.

საქართველოს მთიანეთის ჩამორჩენილობისა და გვაროვნულობის თვალსაზრისის მესვეურად ავტორს გამოყვანილი მყავს ავრეთვე ქ. ჩხატარაიშვილი და სხვა მეცნიერები.

გ. გასვიანის აზრით, სწორედ ამ უსივრცო მეცნიერულ თეორიას ჩაბლაქვეთებულ მკვლევართა ნაშრომები, „სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც საფუძველსა და სტიმულს აძლევს საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის მრავალსაუკუნოვანი ჩამორჩენილობისა და პირველყოფილობის შეხედულების, რითაც ქართველი ხალხის წარსულში ძალაუფლებრივ დაპყრობულად და დამახინჩებულად წარმოგვიდგება“.

ერთი შეხედვით თითქმის ყველაფერი სარწმუნოდ გამოიყურება...

მართლაც და, მაგლობის მგები ვის რა ეთქმის ამ სატყვეობის ავტორის მიმართ — იდეურის ისტორიისა და კულტურის სადარაჯოზე, ეს ზომ უზენაესი მოვალეობა ყველა გომარობი მამულიშვილისათვის.

მეგრამ, სამწუხაროდ... მოვლენათა განვითარება თანდათანობით გვარწმუნებს იმაში, რომ აქ რაღაც მთლიან ისე ვერ არის საქმე. პატივცემული ოპონენტს ვერ უპატიებია მიხეილ ჩართოლანისათვის მეტისმეტი გატაცება ეთნოგრაფიული საქმიანობით, კერძოდ კი ის ამბავი, რომ იგი სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებს არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული რეაქციების როლს სვანეთის ისტორიის კვლევის საქმეში. ოპონენტი ხალხის თვალში არცხვეს მას თავისი გატაცებისა და გამო — პართოსნად, აღაღმართლად, რელიგოზურად აღნუსხოს ყველაფერი საინტერესო და საგულდისხმო ამ სფეროში — შთამომავლობის შემოღობვის მივარყებისა და გაქრობის პირის მისული სხვადასხვა ძველები, გადმოცემანი, ადგილ-ჩვეულებები, რწმენა-წარმოდგენებო ხალხის ლაგირვებები ბუნებასა და გარე საშაროზე, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც საქართველოს ზოგიერთი კუთხისაგან განსხვავებით აქაურ მკვიდრთა ცოცხალ ყოფისა და მახსოვრობაში ჭერ კიდევ შემონახულა და მის დროულ დაფიქსირებასა და აღნუსხვას

განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი ქვეყნის წარსულის შეცნობითი კვლევისათვის...

„საკვარცხელია, თუმცა ფაქტია, რომ ცარიზმის ოფიციალური ისტორიოგრაფიის ფუძისხმას აუოლიდობა, ჩვენი დროის ზოგიერთმა ეთნოგრაფმა სერიოზულად განიზრახა „დამტკიცოს (კვლავ ის ბნელეთის მოციქულით მტარებელის ინტონაცია მ. ზ.), რომ ისტორიის უმთავრეს და პირველხარისხიან წყაროს, მის უმთავრეს საშენ მასალას, საფუძვლათა-საფუძველს წარმოადგენს არა წერილობითი წყაროები, არამედ ეთნოგრაფიული მასალი“.

— წერს მ. ჩართოლანის ამ „გატაცებისთან“ დაკავშირებით გ. ვასვანი.

ამავე დროს რამდენადაც მ. ჩართოლანს ზოგიერთი მოსაზრებანი აღნიშნულ საქითებზე ჩემს წერილში — „ზოთასი კოშკის მხარეშია“ აქვს გამოვრებული, გ. ვასვიანი საუვედურს გამოთქვამს პუბლიცისტის, ესე იგი, ჩვენს მიმართაც. ესაო და რატომ ენდოო მეცნიერის „ეთნოგრაფიულ საბუთებსო“. შეორუგან კი ვცხრახავს იმისათვის, რომ რცხოდენტის ნათქვამს „ეიფორებით“ და ზოგერთ ჩვენს მოსაზრებას „კატეგორიულად ვაცხადებო“. მიხეილ ჩართოლანის ნყარანხებც „საფულდაფულად ვიწერო“. ბოლოს კი ზემოთ მოყვანილი ბრადღების — მიხეილ გავებით სვანეთის ჩამორჩენილობისა და პირველყოფილების მკადაგებელთა ხელშეწყობად და თანამოზიარედაც გვაცხადებც:

„იქმნება შთაბეჭდილება, რომ მ. ზერგვიანის პუბლიცისტური ნარკვევა დაიწერა შუა საუკუნეებისა და ახალი ხანის სვანეთის ეკონომიკური და უფლებრივი ერთფეროვნების, იქაური საზოგადოების ყველა ფენის ან თანახმორუფლებიანობის დისატკიცებლად — საქართველოს მოცემული კუთბის ისტორიის აქრატუნებისათვის“ (გ. ვასვიანი. „ციცყარი“, № 12. 1941 წ.).

რომეზა, რომელთა ავტორიც ერთი და იგივე პირი უნდა ყოფილიყო — შოთა რუსთველი ჩახრუხადე. ჩვენ უკომპრომისოდ გაეყარებოდა მარს ეს შეხედულება და, სხვათა შორის, იმასაც გაეუხვიო ხაზი, რომ მარმა თვითონვე გამოუთხარა ძირი თავის პაპოთეზას. მას „ეგრე წაჩხოვდვინა“ — ეწერდით ჩვენ, — რომ XII საუკუნეში, თამარის სამეფო ყარზე, ყოფილიყო ორი, ერთი და იმავე ძალის პატრონი გენოსი პოეტი, სხვადასხვა პირი... რაც შეეხება თამარის დროს ორი კონგენიალური პოეტის არსებობას, აქ გასაყვრი არაფერია. თამარის ყარზე და საერთოდ თამარის დროს სხვაც ბევრი დიდად გამოჩენილი მწერალი უნდა ყოფილიყო (როგორც ამას ამტკიცებს ვეფხისტყაოსნის პროლოგი, სხვა მოსაზრებებს რომ თავი დაეანებოთ), მაგრამ ერთა სიავემ წარბოცა მათი სახელი“ (ნარკვევები, III, 1956, გვ. 266). გენოსიად (თუ გენალურ პოეტად) ჩვენ კი არ ვთვლიდით ჩახრუხადეს, არამედ ნ. მარს. ჩვენ პრინციპული ასპექტით ესაგმდიოთ კითხვა, რატომ არ შეიძლება, რომ ერთ ქვეყანაში, ერთდროულად, ყოფილიყო ზედამეტებული, გინა გენოსი ორი პოეტი. თვითონ ჩახრუხადეს ჩვენ შედარებით თავშეკავებულად ეხასიათებო, ვამბობ, რომ: „თამარის კვლარ განვიხილავთ. როგორც ეწეროდ გაგებულ სახეობა პანეგორიკულ პოემას, რომლის დანიშნულება იქნებოდა ოფიციალური საჯარო წარწერის მხატვრული გამოყენების დაკმაყოფილება და ოფიციალური იდეების გამოხატვა“ (ნარკვევები, III, გვ. 248; ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1966, გვ. 126; აგრეთვე კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე — ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1954, გვ. 247; კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე — ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1969, გვ. 233). აღნიშნულის კვლობაზე შეძლებისდაგვარად ვიხილავთ თამარიანია ისტორიულ-ლიტერატურულსა და იდეურ-მხატვრულ მხარეებს (ძირითადად ვეზრდნობით ნ. მარის გამოკვლევას).

გ. ბარნოვი ერთი ავტორული ატეხა. აღბარამიძემ რუსთველი დააქცია, მას ჩახრუხადე გაეტოლავა. ეს მოგონილია. ამის მსგავსი რამ ჩვენ არასოდეს ფიქრად არ მოგვსენილია. თამარიანზე უკვე ვთქვით. რუსთველის თაობაზე ჩვენ გეოწვრია „მე-12 საუკუნის ქართული პოეტური კვლავების გვირგვინი და დღემდე და დღემდე მწვერვალია შოთა რუსთველის უკუდავი ვეფხისტყაოსანი“ (კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1969, გვ. 243); „კლასიკური პერიოდის ქართული პოეტური კვლავის მიღწევის მიღწევილია მწვერვალი და მსოფლიო პოეზიის შედევრია შოთა რუსთველის ვეფხისტყაოსანი“ (საქართველოს სსრ, ქვე სპეციალური გამოცემა,

თბ., 1981, გვ. 255. ერთივე კარგად შეხედა. — ა. ბ.) თუ რუსთველი „დაეჭვებოდა“ და მიუწევდა მწვერვალი, უკუწევდა მწვერვალი მას ჩახრუხადეს“ რუსთველი „დაეჭვებოდა“ მწვერვალი აქვს ქართული სულიერი კულტურის ისტორიაში და ჩახრუხადეს თავისა. იღონდ ვერასვით ვერ გაიზიარებთ მოსაზრებას, თითქმის „ვეფხისტყაოსანი და თამარიანი ისე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც ცა და დედამიწა“ (გ. ბარნოვი, გვ. 150).

ნათქვამი უმოწყალოდ განქცების ცდისა და ჩვენი შერისხვის შემდეგ გ. ბარნოვი მკითხველს სთავაზობს საცერტო ინფორმაციას: „ილიასეულ შეფასებას მოჰყვა თამარიანის „რეაბილიტაციის“ ცდები, რაც თავის მხრივ იქცა ვეფხისტყაოსნის უნებური ნიველირების მიზეზად. ამან ბუნებრივად მიგვიყვანა იქამდე, რომ „ვეფხისტყაოსანი“ „ძალისტყაოსანი“ კი შეუღღარეს („ძალისტყაოსანი“ ნახევრად ფოლკლორული პორნოგრაფიული პოემა). შეუღღარეს რა თქმა უნდა, არა ვეფხისტყაოსანი დამკირების, არამედ ძალისტყაოსნის მღალაი მხატვრული დონის ნათელყოფის კეთილი სურვილით და ასეთ დასკვნამდე მივიღდნენ: ...с точки зрения поэтического мастерства эти строки (ლაპარაკია „ძალისტყაოსნის“ პორნოგრაფიულ სტრიქონებზე — ა. ბ.) не уступают тем стихам, изменением и подражанием которых они являются вглубь вефхистყаოსანი — გ. ბ.)“ (გვ. 151. ერთივე ჩემია, — ა. ბ.). ეს ინფორმაცია იწვევს ორ ბუნებრივ კითხვას: ვინ არის (ან ვინ არიან; ბარნოვი ხმარობს მრავლობით ფორმას — „შეუღღარეს“ — ორჯერ, „მიუღღარეს“) „პორნოგრაფიული ძალისტყაოსნისა“ და ვეფხისტყაოსნის უმსგავსო შეპირისპირების ავტორი თუ ავტორები? რატომ არ არის მითითება წყაროზე?

გ. ბარნოვის განცხადება დააბნევს მკითხველს. დამოწმებული ინფორმაცია ზომ საბუნებრივად დასაბუთებულ ავტორს (ავტორებს). მთელი კატეგორიულობით ვაცხადებთ — „ძალისტყაოსანი“ „ბსოლუტურად არაფერი საერთო არ აქვს არც ნ. მარს და არც ამ სტრიქონების ავტორს. მოსაზრებანი „ძალისტყაოსანზე“ (და მოხმობილი ციტატა) სხვას ეუთვნოდა. როგორც ვთქვით, გ. ბარნოვი ოლიონურ ავტორს (ავტორებს) პირდაპირ არ ასახელებს და არც ჩვენ დაეასახელებთ. უნდა ვიყოდეთ, რომ ანონიმურად დარჩენილმა ავტორმა თავის შრომიდან დროულად ამოიღო და გააუქმა ყველაფერი, რაც შეეხებოდა „ძალისტყაოსანს“. გ. ბარნოვი მოიხმობ და გასაწყის საგანად აქცია ოფიციალურად არასახელები ოლიონური ლიტერატურული მასალა.

ასეთია გ. ბარნოვის პოლემიკური წერილის არასახარბიელო ხასიათი.

უძველესი ქართული თხზულება

ათასი წლის წინ, მეათე საუკუნის მეორე ნახევარში, იოანე-ზოსიმე საბაწმინდელმა ოთხ ცალად გადაწერა მის ხელთ არსებული ნაწარმოები, რომელიც ცნობილია სათაურით — „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“. თხზულებამ უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება მიიპყრო და სპეციალური შესწავლის საგნად იქცა. ამავე თემას მიეძღვნა ჩვენი წერილი, რომელიც გამოქვეყნდა ალმანახ „განთიადის“ 1984 წლის მე-6 ნომერში. მისი მიზანი იყო ყურადღების გამახვილება იმ არსებით განსხვავებაზე, რომლებიც გვხვდება ხელნაწერებში და მიუთითებს „ქებაჲ“-ს ადრექრისტიანულ პერიოდში შექმნაზე.

თხზულების კვლევის ამ ეტაპზე, ჩემი აზრით, მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ნაწარმოების დაწერის თარიღს, რადგან ეს მოგვცემს საშუალებას გაირკვეს „ქებაჲ“-ს მიზანდასახულობა და განისაზღვროს მისი კვლევითი ადგილი ქართულ ლიტერატურაში.

მკვლევართა მიერ გამოთქმულია თვალსაზრისი ნაწარმოების IV საუკუნეში შექმნის შესახებ. (ა. ბაქრაძე, რ. პატარიძე, ე. კელიძე). ამავე შეხედულების დამადასტურებელი ზოგიე-

რთი არგუმენტი მოყვანილი იყო ჩემს დასახელებულ წერილშიც.

ამჟამად მინდა შევჩერდე „ქებაჲ“-ს ზოგიერთ მომენტზე, რაც განსაზღვრავს თხზულების შექმნის ეპოქას და იძლევა საშუალებას მისი აბსოლუტური სიზუსტით დათარიღებისა.

1. ხელნაწერთა შესრულების ფორმა

წინამორბედ წერილში ჩატარებულმა ხელნაწერთა შედარებამ დაგვანახა, *Д* ნუსხა (სინური 6) უნდა წარმოადგენდეს თხზულების უძველესი ხელნაწერის ასლს. ამასთანავე დასაბუთდა, რომ იოანე-ზოსიმე არ არის ავტორი ნაწარმოებისა, რასაც ბივიონაც აღნიშნავს: *C* ხელნაწერის ანდერძი (სინური 32), რომელშიც იოანე მოხსენებულია როგორც „მჩხრეკალი“, „ქებაჲ“-სთან მისი დამოკიდებულების ნათელი გამომხატველია.

თხზულების ხელნაწერთა ოთხივე ვარიანტი შესაბამისი დასკვნებით გამოაქვეყნა რ. პატარიძემ ეურნალ „მნათობის“ 1985 წლის მე-6 ნომერში (გვ. 160-166).

პუნქტუაციის ნიშნების და მუხლებად დაყოფის განსხვავება ნუსხურით დაწერილ ABC ხელნაწერებში, ხოლო

ასომთავრულით შესრულებულ **Δ** ნუსხაში მათი არარსებობა მიუთითებს, რომ ნაწარმოების დედანში არც პუნქტუაციის ნიშნები არ იყო ნახმარი და არც მუხლებად არ იყო დაყოფილი თხზულება.

დღემდე მოღწეული უძველესი ქართული ხელნაწერები ადასტურებენ, რომ V საუკუნეში ქართულ წერილობით ძეგლებში უკვე გვაქვს სასვენი ნიშნების ხმარება (იხ. ლ. ქაჭაია. სადისერტაციო ნაშრომი „პუნქტუაცია V-XII საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში“, ამიტომ პუნქტუაციის გამოუყენებლობა, რაც „ქებაა“-ს ავტორის „უცოდინარობით“ არ აიხსნება, გამოწვეული უნდა იყოს იმ მიზეზით, რომ ნაწარმოების დაწერის დროს ქართულში სასვენი ნიშნების ხმარება ჯერ კიდევ შემოდებული არ იყო. (საკითხი ეხება ქრისტიანული ლიტერატურისათვის დამახასიათებელ პუნქტუაციას).

ამ ნიშნით „ქებაა“ თარიღდება როგორც V საუკუნის დასაწყისში, ან უფრო ადრეულ ხანაში შექმნილი ნაწარმოები.

თხზულების შინაარსის განხილვამდე მიზანშეწონილი იქნება ტექსტის დაყოფა დღევანდელი ნორმების შესაბამისად, რომ თავი დავიზღვიოთ წინადადებების ნებისმიერი გადაბმისა და აზრის ნებისმიერი განმარტებისაგან.

ამ შემთხვევაში არც ერთი ხელნაწერისეული დაყოფა არ გამოდგება, რადგან ის არაავტორისეულია და რამდენიმე საუკუნის შემდეგ არის ჩატარებული მართლწერის აღრინდელი კანონების გაუთვალისწინებლად, რამაც გამოიწვია არსებული განსხვავებები პუნქტუაციის ნიშნების ხმარებასა და მუხლებად დაყოფაში.

ნაწარმოების ცალკეული დამოკიდებული წინადადებების გამოყოფის დროს ყურადღება უნდა მიექცეს „და“ კავშირის ჰარბ ხმარებას მთელ თხზულებაში. ამ ვითარებას პ. ინგოროყვა ხსნიდა როგორც „თავედი ალიტერაციის მერჩულესეულ ფორმას“, მაგრამ

შემდგომ დადგინდა, რომ „და“-ს ავტორი ხმარება თავის დასაბამს ბიბლიური ტექსტებიდან იღებს და ძველმრავალი ენის ფენომენს წარმოადგენს.

„და“-ს ხმარების შემთხვევები უძველეს ქართულ ნაწარმოებებში და ბიბლიურ წიგნთა ძველ ქართულ რედაქციებში განიხილა კ. დანელიამ ნაშრომში. „უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში“. (მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“ № 3, 1979 .. ენისა და ლიტერატურის სერია. გვ. 90-98).

კ. დანელიას აღნიშნულ ნაშრომში გამოვლენილია „და“-ს ხმარების შემთხვევები: 1. „და“ კავშირი იხმარება ერთგვარ წევრთა დასაკავშირებლად მერჩუმულ წინადადებაში“. 2. „და“ კავშირი იხმარება სრულიად დამოუკიდებელი წინადადებების საზღვარზე“. 3. „და“ კავშირი იხმარება თხრობის დიდი პერიოდების შემადგენელ კომპონენტთა დასაკავშირებლად. ასეთი პერიოდები შეიძლება მოიცავდნენ 8-10 და მეტ მუხლს (ახალი დაყოფით).“

„და“-ს „მთავარი ფუნქცია... ის არის, რომ დააკავშიროს არა მარტო ერთგვარი წევრები და გრამატიკულად თანაბარი მნიშვნელობის წინადადებები, არამედ ნებისმიერი წინადადებები გადაბმას ერთმანეთს დიდ პერიოდებლად“, (იხ. იქვე, გვ. 94).

ე. ი. „და“-ს საშუალებით შეიძლება გამოიყოს ცალკეული წინადადებები და ჩატარდეს თხზულების აზრობრივი ანალიზი.

„და“-ს მიხედვით „ქებაა“-ს დაყოფა განახორციელა პ. ინგოროყვამ და მან 10 მუხლად დაჰყო თხზულება (იხ. პ. ინგოროყვა. თხზულებები, ტ. 111. გვ. 210-211). „და“ კავშირით ნაწარმოების დაყოფის ცდა უკვე მეთათე საუკუნეში განხორციელდა, რასაც ABC ხელნაწერები ადასტურებენ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძველი შემდეგ წინადადებებად იყოფა: 1. დამარბულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეროდ მოსლვისა მისისა სა-



ერი დასახელება ჰქონდა, საბოლოოდ XVII საუკუნიდან მას მიეცა ახალი განმასხვავებელი სახელი — „დისციპლინა არკანი“. ეს კანონი თავდაპირველად მოიცავდა რვა „საიდუმლო საგანს“: 1. ნათელდება, 2. მირონცხება, 3. ხელდასხმა, 4. ზიარება, 5. ლიტურჯია, 6. სწავლება წმ. სამების შესახებ, 7. ჭწმენის სიმბოლო და 8. უფლის ლოცვა ყველაფერი, რაც კი ეხებოდა ამ რვა „საიდუმლო საგანს“, გადაეცემოდათ მხოლოდ ზიარებულ ქრისტიანებს და „დისციპლინა არკანის“ დაცვა სავალდებულო იყო როგორც წერილობითი, ისე ზეპირი სწავლების დროს. აღნიშნულზე ბასილ დიდი წერდა: „ის, რაზე შეხედვაც კი აკრძალულია, განა დასაშვებია, რომ გამოტანილ იქნას ყველას დასახად წერილობით?“ (ა. ს. უვაროვი, იქვე, გვ. 4-6).

„საკირო გახდა მოძებნილი ყოფილიყო განსაკუთრებული, პირობითი ნიშნები და გამოთქმები, რომლებიც გადმოცემდნენ ზიარებულთათვის ცნობილ აზრს სავსებით ნათლად და ამავე დროს დარჩებოდნენ არაზიარებულთათვის საიდუმლოდ და გაუგებრად“ (იქვე, გვ. 6).

„სიმბოლურმა ენამ“ მაქსიმალურ „ბუნდოვანებას“ IV-V საუკუნეებში მიიღწია და მებუთე საუკუნის მეორე ნახევრიდან მისი გამარტივების და გადმოცემული აზრების უფრო ნათლად გამოხატვის ტენდენცია ჩნდება, რაც გამოწვეული იყო ქრისტიანობის გაბატონებით და მოსახლეობის უმეტესი ნაწილის გაქრისტიანებით.

„სიმბოლური ენის“ მთავარ საფუძველს შეადგენდნენ სახარების იგავები და ბიბლიურ წიგნთა ალეგორიული გამოთქმები. „ენას“ ჰქონდა ყველა ცნების გამოხატვის ორი საშუალება. ერთი შედგებოდა ცალკეული პირობითი სიტყვებისაგან, სახელწოდებებისაგან, განსაკუთრებული, მოკლე წინადადებებისაგან, რომლებიც სავსებით ნათელი იყო ქრისტიანთათვის;

მთთვის, ვინც იცნობდა რელიგიის ყველა რიტუალსა და ამსტრუქტურას; გაუგებარნი რჩებოდნენ მტკიცესტკიანებისათვის. მეორე საშუალება გამოხატვისა იყო პირობითი ნიშნები და გამოსახულებები, რომლებიც გვხვდება ქრისტიანულ ძეგლებზე და ამ „განსაკუთრებული. წმინდა ენის“ სიმბოლოებს წარმოადგენენ. გამოხატვის ეს ორივე საშუალება გამოიყენებოდა ერთად და ავსებდა ერთმანეთს. თვით ენის საფუძველს კი წარმოადგენდა ყველაფერი ის, რაც შედიოდა საეკლესიო რიტუალების შემადგენლობაში, (ა. ს. უვაროვი, დასახ. ნაშრ. გვ. 8-9).

გარდა დასახელებული წყაროებისა, პირველი საუკუნეების ქრისტიანები ფართოდ იყენებდნენ აგრეთვე წარმართულ ლიტერატურასაც, რომელიც შეიქმნა წინაქრისტიანულ პერიოდში. ანტიკური ხანის მოღვაწეები: პომპროსი, სოფოკლე, ესქილე, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, გალენი, ჰიპოკრატე ვერგილიუსი, ციცერონი, სენეკა და სხვ. ხშირად გვხვდება ლეთისმეტყველური ხასიათის შრომებში. ეს ვითარება გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ეკლესიის მესვეურები წარმართული კულტურის ძეგლებში „ხედავდნენ“ ქრისტეს, როგორც „მესიის“ მოვლენების მინიშნებას და წარმართულ თხზულებებს და სხვა ხასიათის ანტიკურ მემკვიდრეობას ამ თვალსაზრისით „აფასებდნენ“. (ა. ს. უვაროვი, დასახ. ნაშრ. გვ. 15-19).

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ „ქებაჲ“-ს „მისტიურ-სიმბოლური ენა“ არის ის ქრისტიანული „სიმბოლური ენა“, რომელიც შეიქმნა ქრისტიანობის დევნათა დროს, მეორე საუკუნის დასასრულს და თავისი ხასიათით შეესაბამება III-V საუკუნეების ქრისტიანულ ეკლესიაში საყოველთაოდ ხმარებულ მისტიურ სიმბოლიზმს, რაც გამოხატულია ამ საუკუნეებში შექმნილ ბე-

რძულ-ლათინურ საეკლესიო წიგნებში და ადრექრისტიანული საფლავების ეპიტაფიებში.

ეს ვარემოებაც ადასტურებს თხზულების უძველეს წარმოშობას და დაახლოებით განსაზღვრავს ნაწარმოების დაწერის დროს, როგორც არაუგვიანეს მეხუთე საუკუნის მეორე ნახევრისა. ამავე ვითარების გამო ხდება საჭირო რელიგიური ხასიათის წყაროების გამოყენება „ქებაჲ“-ში გადმოცემული ცნებების განმარტებისათვის.

თხზულებაში გამოხატული ქრისტიანული „საიდუმლოს“ დაფარვის საეკლესიო კანონი შემთხვევითი არ არის, ვინაიდან ამ ნაწარმოების შინაარსი ეხება ქრისტიანობის უმთავრეს რიტუალს — ნათლობას, ანუ ქართული ენის „ნათელდებას“.

თუ „ქებაჲ“-ს სიმბოლიზმს შევადარებთ იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამების“ ანალოგიურ ადგილებს, ანუ იმ რიტუალების აღწერას, რომლებიც ექვემდებარებოდნენ საეკლესიო „წესს“ საიდუმლოს დაცვის შესახებ (მაგ. შუშანიკის ლოცვის მომენტები), დავინახავთ, რომ ცურტაველის მიერ გადმოცემული სიტუაციები ნაკლებ ბუნდოვანია და მას ეს „წესი“ გაცილებით ნაკლები სიმკაცრით ექვს დაცული, ვიდრე „ქებაჲ“-ს ავტორს. „შუშანიკის წამებაში“ გამოხატული „გამარტივების“ ტენდენცია, რომელიც ქრისტიანულმა სიმბოლოებმა „ენამ“ ვანიცადა მეხუთე საუკუნის მეორე ნახევრიდან, ჭრთოლოგიურად აბსოლუტურად შეესაბამება ბერძნულ და ლათინურენოვან ეკლესიებში მიმდინარე ტენდენციებს და ამტკიცებს ამ ზოგად კანონზომიერებას ქართული ქრისტიანული ლიტერატურისათვისაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ „ქებაჲ“-ში გამოხატული „დისციპლინა არკანი“ გაცილებით მკაცრია, ვიდრე იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამებაში“, რის გამოც „ქებაჲ“ ქრთოლოგიურად საგრძნობლად უსწრებს ამ უკანასკნელს

და მასზე ადრეული წლებით თანადება.

თხზულებაში გამოხატული სიმბოლიზმი საშუალებას გვაძლევს პარალელურად გავავლოთ ანალოგიური ხასიათის ბერძნულ-ლათინურ წყაროებთან და ამ ზოგადი კანონზომიერებიდან გამომდინარე განვიხილოთ თხზულებაში გადმოცემული ცნებები.

III. „ახალი“ ნინო

ერთ-ერთი ავტორისეული არგუმენტი, რომელიც მოყვანილია ლაზარე-ქართული ენის იგივეობის დასამტკიცებლად, არის ნინოს და ელენეს შედარება სახარებისეული ლაზარეს დებთან — მართაჲს მარიამთან.

ამ წინადადებაში ყურადღება მიიპყრო ნინოს ხსენებამ „უჩვეულო“ წოდებით „ახალი“. ეს საკითხი განიხილეს ზ. კიკნაძემ, ნ. პაპუაშვილმა, თ. ჩხენკელმა, ე. ჭელიძემ.

„ახალი“ რომ წმ. ნინოს გულისხმობს, საკამათო არ უნდა იყოს, რადგან: „ფრაზაში „ახალმან“ ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან“ გაცხადებულია ისტორიული ფაქტი (ქართველი ერის მოქცევა) და დაწყვილებული არიან ერთმანეთის თანამედროვე ისტორიული პირები. საკმარისია, „ახალ ნინოში“ ვინმე სხვა პიროვნება ვიგულისხმოთ (ძნელი წარმოსადგენია, ის ქალი იყოს), რომ საფუძველი გამოეცალოს ამ დაწყვილებას“. (ზ. კიკნაძე. „ახალის“ გაგებისათვის „ქებაში“. „კრიტიკა“ № 1, 1958 წ. გვ. 142).

ამ შემთხვევაში უნდა გაირკვეს მიზეზი, თუ რატომ იწოდება ნინო „ახლად“, ნაცვლად მის მიმართ კანონიზებული წოდება „წმინდანისა“.

ქრისტიანული ლიტერატურის ძეგლებში წმინდანები სხვადასხვა წოდებებით იხსენებოდნენ (მაგ. წმინდა, ნეტარი, წამებული), შეიძლებაოდა პი-

როგნება მხოლოდ სახელით ყოფილიყო ხსენებული, ყოველგვარი წოდების გარეშე. მაგრამ ეს ხდებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც ესა თუ ის პირი რამდენჯერმე იყო დასახელებული ნაწარმოებში და მკითხველისთვის გასაგები იყო თხრობის ობიექტის ვინაობა. იმ შემთხვევებში კი, როდესაც რომელიმე წმინდანი მხოლოდ ერთხელ იყო დასახელებული მთელ ნაწარმოებში, მას ყოველთვის უმაღლესი წოდება ეძლეოდა — „წმინდა“, რომ არ მომხდარიყო ხსენებული პირის სხვა პიროვნებაში აღრევა.

ეს ქრისტიანული სიმბოლიზმის ძირითადი წესი იყო და მას ეკლესია საყოველთაოდ იცავდა რაც დასტურდება ანალოგიური ხასიათის წარწერებით ხატებზე, ფრესკებზე და ბარელიეფებზე. აგრეთვე მცირე მოცულობის წერილობითი წყაროებით: ეპისტოლეებით, ედიქტებით, ანდერძ-მინაწერებით და სხვ.

„ნინოს ცხოვრების“ ჩვენამდე მოღწეული უძველესი რედაქცია (მატბერდული) გადაწერილია 973 წელს და მის სათაურშივე ნინოს „წმინდას“ წოდება აქვს. ეს მიუთითებს, რომ მეათე საუკუნეში ნინოს წოდება „წმინდა“ ეკლესიის მიერ კანონიზებულია. ამ ვითარების გამო ვერც ერთი ქრისტიანი ავტორი (მითუმეტეს გადაწერილი) ვერ მისცემდა თავის თავს უფლებას, რომ ნებისმიერად შეეცვალა ეკლესიის მიერ კანონიზებული წოდება რაიმე სხვა ტერმინით. ნინოს მიმართ „წმინდას“ ხმარება არც ელენესთან დაპირისპირებას გამოიწვევდა, რადგან რომის იმპერატორ კონსტანტინეს დედა, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღოდა ქრისტიანობის მიმართ, უკვე V საუკუნის დასაწყისში იწოდებოდა „წმინდანად“. ე. ი. ავტორს შეეძლო დაეწერა „წმ. ნინო დი წმ. ელენე“. ამიტომ, მეათე საუკუნის მეორე ნახევარში იოანე-ზოსიმეს მიერ გადაწერილ ხელნაწერებში ნინოს წოდებად „ახალი“-ს არსებობა ანარე-

კლი უნდა იყოს იმ ეპოქისა, როდესაც ტერმინი „წმინდა“ ნინოს მიმართ არ იხმარებოდა.

ტერმინ „წმინდას“ ხმარება პირველებების მიმართ ქრისტიანული ეკლესიის მიერ კანონიზებულია მხოლოდ V საუკუნიდან: „თავდაპირველ ქრისტიანულ სიძველეთა ძეგლებში, IV ს. მეორე ნახევრამდე და თვით V საუკუნემდე, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქრისტიანების მიერ სიტყვა „წმინდანი“ — „აგიოს“, „სანკტუს“... სრულიად არ აღიქმებოდა ისე, როგორც ამჟამად კანონიზებული „წმინდა“. ანუ არც მოციქულებს, არც წამებულებს, არც საერთოდ პირებს, რომლებიც შემდეგ ამ სახელის მატარებელნი გახდნენ, როგორც ეკლესიის განსაკუთრებული პატივისცემის ობიექტები, ეს წოდება არ ეძლეოდათ. რომაულ კალენდარში, რომელიც მოიცავს ეკლესიის მიერ განსაკუთრებით პატივსაცემ პირთა სიას IV საუკუნის ჩათვლით, არც ერთხელ არა აქვთ მათთვის მიცემული წოდება „წმინდა“. მხოლოდ კართაგენის ეკლესიის III-IV სს. კალენდარში, ეკლესიის მიერ განსაკუთრებით პატივსაცემ გარდაცვლილთა მოხსენიებისას, სიტყვა „წმინდა“ ხშირად გვხვდება. პირველი კალენდარი, რომელშიც მუდმივად გვხვდება სიტყვა „წმინდა“, არის პოლელიუსის (V ს.) კალენდარი. ნაკლებ დაშორებულ ეპოქაში ეს სიტყვა ზოგჯერ გვხვდება მოციქულთა მოზაიკურ გამოსახულებებში, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის იოანე ნათლისმცემლის გამოსახულებაზე 451 წ. და გვხვდება ნათლისმცემლის სახელთან 472 წელს. მიზეზი, რის გამოც უძველესი ქრისტიანები გაურბოდნენ ეპითეტებს „სანკტუს“ და „სანკტისიმუს“, მდგომარეობს იმაში, რომ სიტყვა „სანკტუს“ ხშირად გამოიყენებოდა უპიკველად წარმართულ ნაწერებში, რომელთა მიბაძვა არ სურდათ ქრისტიანებს“. (ფ. ა. ბროკჰაუზი, ი. ა. ეფრონი. რუსული ენციკლოპედიური ლექსიკონი.

წიგ. 57. გვ. 269. იხ. აგრეთვე ა. ფრიკენი. „რომის კატაკომბები და უძველესი ქრისტიანული ხელოვნების ძეგლები. რუსულ ენაზე. მოსკოვი, 1877 წ. ნაწ. II. გვ. 25-26).

„წმინდანობის“ განსაზღვრა და მათ მიმართ ქრისტიანების დამოკიდებულება საბოლოო სახით ჩამოყალიბდა კართაგენის 418 წლის ადგილობრივი საეკლესიო კრების დადგენილებით მიღებულ ავგუსტინის მოძღვრებაში (იხ. რუს. ენციკლოპ. ლექს. წიგ. 28. გვ. 658), მაგრამ ამ ტერმინის კანონიზაცია მხოლოდ მსოფლიო საეკლესიო კრების კომპეტენციაში შედიოდა და როგორც ჩანს 451-472 წლებს შორის განხორციელდა. ასეთი კრება ამ წლებში მოწვეული იყო 451 წელს ქალკედონში (ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრება), რომელზეც მონოფიზიტობა ქრისტიანულ ერესად იყო გამოცხადებული. ამ კრების შესახებ არსებული, ჩვენთვის ხელმისაწვდომი, ყველა მასალა დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის მომხდარ განხეთქილებაზე მოგვითხრობს. ამიტომ, შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ „წმინდას“ კანონიზაციაც ქალკედონის საეკლესიო კრებაზე იყო განხორციელებული, მაგრამ არ აისახა უმთავრეს დადგენილებებში შიდასაეკლესიო განხეთქილებასთან შედარებით ნაკლები მნიშვნელობის გამო. ყოველ შემთხვევაში, 472 წელს ეს ტერმინი უკვე კანონიზებულია და საყოველთაოდ იხმარება. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პიროვნებათა მიმართ ტერმინი „წმინდა“ V საუკუნიდან გამოიყენებოდა არა მარტო დიოფიზიტების, არამედ მონოფიზიტების მიერაც.

ისტორიული წყაროებით დადასტურებულია, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ საქართველოს ეკლესია აქტიურად ჩაება მსოფლიო ქრისტიანულ მოძრაობაში და მისი წარმომადგენლები კონსტანტინოპოლის 381 წ. II მსოფლიო საეკლესიო კრებაზეც იყვნენ, რის შე-

მდეგ სისტემატურ მონაწილეობა იტყობინებდნენ ყველა მნიშვნელოვან საეკლესიო ფორუმში და ძირითადად იმ დროის კრებების და ორთოდოქსალური ხაზის მიმდევრებად გვევლინებიან. ამიტომ ტერმინ „წმინდას“ კანონიზაცია, ისევე როგორც სხვა მნიშვნელოვანი დადგენილებების, საქართველოში სხვა ქრისტიანული ქვეყნების პარალელურად და იმთავითვე განხორციელდებოდა.

ახლა საჭიროა გაირკვეს, თუ როდის გახდა ნინოს წოდება „წმინდა“.

„წმ. ნინოს ცხოვრებაში“ მოყვანილი მირიან მეფის სიტყვები წარმოადგენს ნინოს წოდებების ჩამოთვლას: „მოვიდა ნეტარი იგი დედაკაცი, მოციქული და მხარებელი ძისა ღმრთისაჲ, წმინდაჲ ნინო, პირველ ვითარცა ტყუე, ვითარცა უცხოჲ და ვითარცა მწირი, ვითარცა შეუწევნელი, ვითარცა უსმი და უტყჳ, რომელიცა აწ მექმნა ჩუენ ტყუე იგი დედოფალ, უცხოჲ იგი — დედა, შეუწევნელ-შესავედრებელ ყოველთა, და უტყჳ იგი — ქადაგ ძლიერ და მეცნიერ დაფარულთა ჩემთა გულის სიტყუათა. ამან წმინდამან აღანთო გულსა ჩემსა სანთელი...“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I. გვ. 158).

ადრექრისტიანული ტერმინოლოგიის გათვალისწინებით ნინოს ამ „ტიტულატურაში“ შეიძლება განირჩეს წოდებების ოთხი ჯგუფი:

1. „უცხოდ“ ნინო იწოდებოდა წარმართებისაგან, რასაც გელასი კესარიელი ადასტურებს: „უცხო ცხოვრება“, რომელსაც ნინო ეწეოდა იბერიაში (გეორგიკა I, გვ. 186), უჩვეულო იყო სწორედ წარმართებისათვის და არა ქრისტიანებისთვის. ამიტომ ეს ტერმინი ქართველი წარმართების დამოკიდებულებას უნდა გამოხატავდეს ნინოს მიმართ.

2. ზედწოდებები, რომლითაც ნინო საკუთარ თავს იხსენიებდა: ტყვე, მწირი, შეუწევნელი, უსმი და უტყვი.

ყველა ეს „წოდება“ ფართოდ იხმარებოდა პირველი ქრისტიანების მიერ საკუთარი „ამქვეყნიური ყოფის“ დასახასიათებლად.

„სავარაუდოა, რომ ზედმეტი თავმდაბლობის შედეგად მორწმუნენი იღებდნენ სხვადასხვა დამამკირებელ სახელებს. მაგ. „სერუეს“ — მონა, „ინიურიოზუს“ — სამარცხინო, „კალუმნიოზუს“ — ბილწი, „იმპორტუნუს“ — მამუზარი და მრავალი სხვა, რომელთა გამეორება ზოგჯერ არც კი შეიძლება“. (ა. ფრიკენი. დასახ. ნაშრ. გვ. 23. იხ. აგრეთვე ა. ს. უვაროვი, დასახ. ნაშრ. გვ. 2).

ნინოს ჩამოთვლილი წოდებები პარალელს პოვებენ შესაბამის ბერძნულ-ლათინურ ტერმინოლოგიათან: „სერუეს“ — მონა, ტყვე. „ფუგიტიუს“ — მწირი. „პროიექტუს“ — შეუწყვენილი. „ინფანს“ — ბალო, მუნჯი, უტყვი. „ალოგიუს“ — უგუნური, უსმი.

3. წოდებები, რომლითაც ნინოს მიმართავდნენ ქრისტიანები: მოციქული, მახარებელი, ნეტარი და დედოფალი. ტერმინი „დედოფალი“ (დედუფალი) იხმარებოდა ქრისტიანობაში. „წმინდანის“ კანონიზაციამდე: „დომინუს, დომინა, ანუ უფალი, მეუფე, დედოფალი, როგორც ჩანს, უსწრებდნენ სიტყვა „სანკტუს“ და შეიძლება ზოგჯერ იხმარებოდნენ „წამებულის“ ნაცვლად — „მარტირ“ — ბერძნული „მარტუს“ (თავდაპირველი მნიშვნელობით „მოწყალები“). (ა. ფრიკენი. დასახ. ნაშრ. გვ. 26).

4. „წმინდა“. ეს ტერმინი, როგორც დადასტურდა, ქრისტიანულ ეკლესიაში ხმარებაში შემოვიდა IV საუკუნის დასასრულიდან და კანონიზებულია მხოლოდ 451 წლის შემდეგ, ამიტომ მეოთხე საუკუნის ოცდაათიან წლებში მირიან მეფე ამ სიტყვის ვერ გამოიყენებდა ტექსტში მოყვანილი მნიშვნელობით. შესაბამისად, „წმინდანი“ შემდეგდროინდელ ჩანართს წარმოადგენს და მოგვიანებითი რედაქციის შედეგია.

თავის მხრივ, მოყვანილი აღრეკტრის-

ტიანული ტერმინები და განსაკუთრებით ნინოს „დამამკირებელი“ წოდებები არ შეიძლება, რომელიც მოციქულში „შეთხზულიყო“. ნინოს ნახევრადღეგნდარულ პიროვნებად იქცა. ეს ვითარება „ნინოს ცხოვრების“ პირველწყაროს უძველეს, ნინოს თანამედროვე ავტორის მიერ შექმნას ადასტურებს.

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ნინო, რომელიც სიცოცხლეში იწოდებოდა „მოციქულად“, „მახარებლად“ და „დედოფლად“ („წმინდას“ შესაბამისი ტერმინით), რომელსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღოდა აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებაში და ეკლესიის განსაკუთრებული პატივისცემის ობიექტს წარმოადგენდა, ერთ-ერთი პირველთაგანი იქნებოდა, ვისაც მიენიჭებოდა კანონიკური წოდება „წმინდა“.

„წმინდანებთან“ დამოკიდებულების საკითხი მოგვიანებით კვლავ იყო განხილული ნიკეის VII მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (787 წ.), მაგრამ ამ კრების წინაშე მდგარი ამოცანები ძირეულად განსხვავდებოდნენ ქრისტიანულ ეკლესიაში IV-V საუკუნეებში მიმდინარე მოვლენებისაგან. ამასთანავე, VII მსოფლიო საეკლესიო კრებაზე განხილული საკითხი ეხებოდა არა თვით ტერმინ „წმინდანი“, არამედ ამ ეგიდის მქონე პირებთან ქრისტიანების დამოკიდებულებას.

ნინოს წოდებად „ახალის“ ხსენება ადასტურებს „ქებაა“-ს ადრექრისტიანულ ეპოქაში შექმნას და მისი დაწერის დროს განსაზღვრავს როგორც არაუგვიანეს 451 წლისა.

„ახალი“, სავარაუდოა, რომ შინაარსით უკავშირდებოდეს ეეპარისტის (ზიარების) აღმნიშვნელ სიმბოლურ ტერმინს „რეფრიგერიუმ“ (განახლება, ძალების მოკრება, გაგრილება).

ყურადღებას იქცევს აგრეთვე ელენეს წოდება „დედუფალი“, რომელიც, შესაძლებელია, ამ კონტექსტში ნიშ-

ნავდეს არა სამეფო ოჯახის წარმომადგენლის ტიტულს, არამედ ქრისტიანულ ტერმინს „დომინა“ (დედუფალი), რომელიც გამოიყენებოდა სიტყვა „წმინდას“ ხმარებაში შემოსვლამდე. „დედუფალისა“ და „ახალის“ შესატყვისობაზე უნდა მიანიშნებდეს ავტორის დამოკიდებულება ამ ორი პიროვნების მიმართ, როდესაც ნინოს და ელენეს ლაზარეს დებს, მართასა და მარიამს აღარებს. მათი ამგვარი „გათანაბრება“, სავარაუდოა, რომ წოდებების შესაბამისობაზე მიუთითებდეს.

IV. „წერილი ზის რომელასოა არს...“

თხზულების მეშვიდე წინადადებაში ავტორი ქართული ანბანის ასო „წილს“, რომელიც მათეს სახარების დასაწყისია („წიგნი ზობისა...“), „მისტიურ“ მნიშვნელობას ანიჭებს. თან მის ორ მნიშვნელობას განასხვავებს: წინააღმდეგ შემთხვევაში არ დააკონკრეტებდა, რომ „წერილი... ასოა არს“. ე. ი. „წილს“, გარდა იმისა, რომ ქართული ანბანის ასოა, რიცხვითი მნიშვნელობით ოთხი ათასი, სხვა დანიშნულებაც ჰქონია, რაც „წერილის“ შინაარსში უნდა ვეძებოთ.

„წერილის“ უძველესი მნიშვნელობა განმარტა ე. ჰელიძემ: „წერილი“ და „ბეჭედი“ სინონიმურია გამოთქმებში: ჯვარი დაიბეჭდა, ჯვარი დაიწერა. ასევე საბა განმარტავს: „წერილი ეწოდების ყოველსა კალმითგან აღწერილსა, გინა ბეჭდისა ტფართა“. „ქებაჲ“ იმ უძველესი პერიოდის ნაშთია, როცა ჩვეულებრივი იყო „წერილის“ ბეჭდის მნიშვნელობით ხმარება. (ნოსელის „კაცისა შესაქმის“ უძველეს თარგმანში „წერილი“ დაბეჭდულს ნიშნავს). (ე. ჰელიძე. „გნოსტიკური ხასიათის ძეგლი“. „მნათობი“, № 12. 1983 წ. გვ. 132).

ილია აბულაძე „წერილს“ განმარტავდა როგორც „წიგნს“, „ხატს“ და „სახეს“. შესაბამისად, „მწერილს“ უძველესი მნიშვნელობა ითვალისწინებ-

და „ბეჭედს“ და ნიშანს. იგივეს ნიშნავს სიტყვა „წიგნი“, „წიგნი“ შესატყვისი ტერმინი, „ბეჭედი“ ლათინური სიტყვა „სიგნუმ“-იდან წარმომდგარად ითვლება. „სიგნუმ“, თავის მხრივ, ითარგმნება როგორც „ბეჭედი“ და „ნიშანი“.

ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს ასომთავრული „წილის“ გრაფიკას — R. ორი გრაფიკული გამოსახულებით — P და X (ან +) შეერთებით მიღებული ნიშანი ქრისტეს მონოგრამას ნიშნავდა და ჯვრის უძველეს გამოსახულებას წარმოადგენს. მოგვიანებით ხანაში მონოგრამას „წილქანი“ ან „ქანწილი“ ეწოდებოდა. ქართულ ხელნაწერებში დადასტურებულია ქრისტეს მონოგრამის სამი სახესხვაობა: * ⳨ ⳩ ⳪

ორი უკანააქველი მონოგრამა ბერძნულ-ლათინური წარმოშობისაა ქრისტიანულ ხმარებაში (იხ. ფ. ა. ბროკაუზი, ი. ა. ეფრონი. რუსული ენციკლოპედიური ლექსიკონი. წიგ. 38. გვ. 779-780. ა. ს. უვაროვი. დასახ. ნაშრომ. გვ. 75-76. ა. ფრიკენი. დასახ. ნაშრ. გვ. 132-153) და ქართულ ხელნაწერებში მხოლოდ IX საუკუნიდან გვხვდება (იხ. ლ. ქაჯია. დასახ. ნაშრ. გვ. 104).

შეგვიჩვენებს პირველ მონოგრამაზე, რომელიც ძლიერ წააგავს ქართულ ასომთავრულ „წილს“ და დასტურდება 864 წელს გადაწერილ სინურ „მრავალთავეში“. ეს მონოგრამა ამის შემდეგ ქართულ ხელნაწერებში აღარ გვხვდება და მის ადგილს იკავებენ ბერძნულ-ლათინური მონოგრამები. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ტექსტის დასაწყისი, უძველესი ტრადიციით, იყო სინგურით გაფორმებული ღიდი სახედაო ასო (დასაწყისის ამგვარი გაფორმება დღესაცაა შე-

* (დაწერილებით იხ. ლ. ქაჯია. „ორი ტექნიკური ნიშანი ძველ ქართულ ხელნაწერებში“. პალეოგრაფიული ძიებანი, 11. 1969 წ. გვ. 102-107).

ნარჩუნებული), მაშინ აქედან გამომდინარეობს, რომ ქართული მათეს სახარების დასაწყისი არის სინგურით შესრულებული სახედაო ასო „წილი“, რომელიც ძლიერ მსგავსებას ამჟღავნებს ქრისტეს მონოგრამასთან და სათანადო გაფორმების შემთხვევაში, ალბათ, იმეორებდა კიდევ მას (სახარების უძველეს ხელნაწერებში სახედაო ასოები უმრავლეს შემთხვევაში ჭკრით არიან გამოხატულნი).

ეს ვითარება განსაზღვრავს „წერილის“ მნიშვნელობას ასო-ნიშან „წილთან“ დაკავშირებით. ტერმინ „სიგნუმ“-ს („სფრაგის“), რომელიც ქართულად ბეჭედს და ნიშანს ნიშნავს, ქრისტიანულ სიმბოლიზმში ქრისტეს მონოგრამის სინონიმური მნიშვნელობა ჰქონდა: „ეპიტაფიებში ქრისტეს მონოგრამა ზოგჯერ წოდებულია როგორც „სიგნუმ დომინი“ — უფლის ნიშანი, ან უბრალოდ „სიგნუმ“, მონოგრამის ფიგურის დამატებით“. (ა. ფრიკენი. დასახ. ნაშრ. გვ. 142). „ძალზე ხშირად სიტყვა „კრუქ“-ის (ჯვარი) ნაცვლად იდგა სიტყვა „სიგნუმ“. (ა. ს. უვაროვი. დასახ. ნაშრ. გვ. 33).

სიტყვა „ჯვარი“ და მისი გამოსახულება პირველი სამი საუკუნის განმავლობაში მიეკუთვნებოდა „დისციპლინა არკანით“ დაკულ „საიდუმლოებას“ (ფ. ა. ბროკაუზი, ი. ა. ფერონი. რუსული ენციკ. ლექს. წიგ. 32, გვ. 656), რის გამოც პირველი ქრისტიანები მის ნაცვლად სხვადასხვა საგნებს გამოხატავდნენ, მაგ. ლუზას ანძას, სამკბილას, მონოგრამას (იხ. ა. ფრიკენი. დასახ. ნაშრ. გვ. 132-133. 137). ხოლო წერილობით ძეგლებში კი იხსენიებდნენ როგორც „ბეჭედს“ და „ნიშანს“. ქართულ ენაში „ჯვრის“ გამოსახვა „წერას“ უკავშირდება: მაგ. პირჯვარის გადაწერა, ჯვრის წერა (ქორწინება). საფიქრებელია, რომ ქართულში „ჯვრის“ „წერილთან“ დაკავშირება იმ უძველესი ტრადიციის შედეგია, რომელიც „დისციპლინა არკანთან“ იღებდა სათავეს.

ე. ი. ქართული მათეს სახარების დასაწყისი (და ოთხთავის საერთოდ) არის ქრისტეს მონოგრამა „წილი“, რასაც ადასტურებს სიტყვა „წერილის“ ხმარება არსებულ კონტექსტში.

„წმინდა წიგნების“ დაწერა და თარგმნა (მაგ. ბიბლიის თარგმნა ძველებრაულიდან ბერძნულად) „სული წმიდის“ მიერ „განხორციელებულ“ ქმედებად ითვლებოდა. ეს გარემოება ნათელს ხდის „ქებაა“-ს ავტორის მიზანს: ქართულის გარდა არც ერთი სხვაენოვანი სახარება ქრისტეს მონოგრამით არ იწყება. ამასთანავე ეს მონოგრამა ტექსტიკულია და სახარების დასაწყისის აღსანიშნავად გადაწერის დიერ კი არ არის დასმული (ასეთი ნიშნები არ იკითხება), არამედ „სული წმიდის“ მიერ, სახარების ქართულად თარგმნის დროს. ანუ ქართული ენა სახარების თარგმნის შედეგად „უფლის ბეჭედდასმულია“. ამ ფაქტს განმარტავს სიტყვები მეცხრე წინადადებისა: „ესე ენაა შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა“.

„უფლის ბეჭდის“ დასმა, ქრისტიანული სიმბოლიზმით, ნიშნავდა „მონათვლას“: „მირონცხების მესამე ნაწილი მღვთმარეობდა ახლადმონათულზე პირჯვარის გადაწერაში... თვით პირჯვარი იწოდებოდა „უფლის ბეჭედად“, „სფრაგის“, „სიგნუმ“ ან „სიგნაკულუმ“. (ა. ს. უვაროვი დასახ. ნაშრ. გვ. 32). ახლადმოკვეთულები მონათვლის შემდეგ იღებდნენ „რგოლს“, რომელსაც „ბეჭდის“ მნიშვნელობა ჰქონდა: „ტერტულიანი... წერდა, რომ წარმართები, ახალი რწმენის მიღების შემდეგ, მონათვლის დროს იღებდნენ რგოლს, როგორც ნიშანს მათი აღდგომისა და გარდაქმნისა, როგორც საწინდარს მესიის მიმართ მათი ერთგულებისა“. (ა. ფრიკენი. დასახ. ნაშრ. გვ. 89).

„ქებაა“-ს ავტორის აზრით ქართული ენა სახარების თარგმნით „მონათლა“ და უფლის ხელით პირჯვარი

„გადაეწერა“. „უფლის ნიშნის“ გრაფიკული გამოსახულება მათეს სახარების (ოთხთავის) დასაწყისში „განხორციელდა“.

„უფლის ხელით“ პირველის გადაწერა, ანუ „ბეჭდის“ დასმა, ლაზარეს მკვდრეთით აღდგომის სცენას უკავშირდება, რომელიც ქრისტიანობაში შემდეგნაირად გაიზარებოდა: „ქრისტიანი მხატვრების მიერ ეს სასწაული ასე გამოიხატებოდა: ლაზარე... მსგავსი პატარა მუმიისა, დგას შემალღებზე... ქრისტე მარჯვენა ხელს იწვდის აღმდგრისაკენ, ან ადებს მას თავზე“ (ა. ფრიკენი. იქვე. გვ. 208).

ლაზარეს „მკვდრეთით აღდგომის“ ამგვარი გამოსახვა, ქრისტიანული სიმბოლიზმით, ლაზარეზე „უფლის ხელით“ ჯვრის (ბეჭდის) გადაწერას ნიშნავდა.

შირონცების „საიდუმლოს“ ტერტულიანი შემდეგნაირად იხსენიებდა: „ხორცი განიზანება, ხორცი იცხება, ხორცი იბეჭდება, და დაიკვება სული“ (ა. ს. უეაროვი. დასახ. ნაშრ. გვ. 32).

„მონათელის“ შედეგად „ხორცის დაბეჭდვაზე“ მიუთითებს თხზულების სიტყვები: „დამარბული“ (1 წინ), „მძინარე“ (2) და „მასთანა დაფლული“ (8). ე. ი. ქართული ენა ლაზარესავით მკვდრეთით აღსდგა, რასაც ადასტურებს ავტორის მიერ მოყვანილი სიმბოლური ქრისტიანული ტერმინების ხმარება.

ქრისტეს მონოგრამის მსგავსი გამოსახულებების გამოყენება სხვადასხვა წარმართული კულტების რიტუალებში უძველესი დროიდან გვხვდება, მაგრამ ქრისტიანობა ამ გამოსახულებას სხვაგვარად უყურებდა და ბერძნული „X“ და „P“ შეერთების (პირველი ორი ასო სიტყვისა „ხრისტოს“ (შედეგად ან ლათინური სიტყვა „pax“-იდან (სასუფეველი) წარმომდგარად თვლიდა (იხ. მონოგრამასთან დაკავშირებით ზემოდდასახელებული წყაროები). V საუკუნეში შექმნილ სომხურ ანბანში მო-

ნოგრამამ „ქ“-ს მნიშვნელობა მიიღო (წ), როგორც პირველი მხრის მხრისა „ქრისტე“ (რ. პეტრიაშვილი. ასომთავრული. 1980 წ. გვ. 547).

V საუკუნემდე არსებულ არც ერთ ანბანში მონოგრამას დამოუკიდებელი ასოს მნიშვნელობა არა აქვს და ქრისტიანების მიერ იკითხებოდა როგორც „ქრისტე“. „წილი“ ქართულში არც ქრისტესთან დაკავშირებულ რაიმე ტერმინს (მაგ. მესია, მხსნელი, მაცხოვარი, ძე ღვთისა, უფალი) ემთხვევა და არც თვით იესო ქრისტეს“ სახელის შემადგენლობაში არ შედის. ამიტომ აქ გრაფიკულ მიმსგავსებასთან უნდა გვექონდეს საქმე.

ქრისტეს მონოგრამის (ჯვრის) დასმა სხვადასხვა ხასიათის თხზულებების და ოფიციალური დოკუმენტების დასაწყისის აღსანიშნავად ქრისტიანულ ქვეყნებში მხოლოდ V საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო (რუსული ენციკლექს. წიგ. 32. გვ. 657), ამიტომ „ქება“-ს ავტორის მიერ ქართული ენის „ნათელღების“ ნიშნად მათეს სახარების დასაწყისში არსებული მონოგრამის მიჩნევა, ანარეკლი უნდა იყოს იმ ეპოქისა, როდესაც ქრისტეს მონოგრამა ქრისტიანულ მწერლობაში დასაწყისის აღსანიშნავად ჯერ არ გამოიყენებოდა. ეს ნიშანი თხზულებას IV-V საუკუნეების მიჯნით ათარილებს.

V. „ქება“-ს „ხილიაზმი“.

ავტორის მიზანი — ენის „მისია“ ქრისტეს მეორედ მოსვლას“ დაუკავშიროს — პირველივე წინადადებაშია გაცხადებული.

„ჰიმნის... საერთო შინაარსი და მიზანდასახულობა ნათელია: ქართული ენა უფლის ენაა... განკითხვის დღეს მესია ქართულად იმეტყველებს. ეს იმთავითვე ასე განმარტეს ალექსანდრე ცაგარელმა, კორნელი კეკელიძემ და პავლე ინგოროყვამ და დიდი ხანია ცნობილია“. (ა. ბაქრაძე. „ქებაი და დიდებაი“. ცისკარი, № 6. 1971 წ. გვ. 141).

„მეორედ მოსვლის“ მოლოდინი და „ამქვეყნიური“ გაჭირვებისაგან განთავისუფლების იმედი დამახასიათებელი იყო დევნებისდროინდელი ქრისტიანული ღვთისმეტყველებისთვის და ცნობილია „ხილიაზმის“ სახელწოდებით (ბერძნული „ხილიაზმოს“-იდან — „ათასწლოელი“).

ეს იყო სწავლება დედამიწაზე ქრისტეს მომავალი „ხორციელი“ მეუფების დამყარების შესახებ. „ხილიასტებს“ ჰქონდათ იმედი, რომ მოახლოებულია „მეორედ მოსვლის“ და დედამიწაზე ქრისტეს „ათასწლოვანი სამეფოს“ დაფუძნების დრო. „ათასწლოვანი სამეფო“ ქრისტიან ღვთისმეტყველებს წარმოდგენილი ჰქონდათ როგორც სამოთხე, როგორც ყველა წმინდანის უშვოთველი თანაცხოვრება ქრისტესთან ერთად, სადაც შეწყდებოდა ყველა გაჭირვება, გაქრებოდა ცოდვის შესაძლებლობა და დამყარდებოდა სრული პარმონია. ეს „ათასწლოელი“ მათ ესახებოდათ არა როგორც დასასრული დედამიწაზე „უფლის მეფობისა“, არამედ როგორც საშუალო იმეამდ არსებულ დამცირებულ მდგომარეობასა და მომავალ „განიდებას“ შორის. ქრისტიანობის საწინააღმდეგო [დევნები აძლიერებდნენ მორწმუნეებში ხილიასტიურ შეხედულებებს, რომ მათი დამცირებული და გაჭირვებული მდგომარეობა სრულიად შეწყდებოდა უახლოეს მომავალში და დედამიწაზე, სადაც ისინი ამდენ უბედურებასა და დევნას განიცდიდნენ, იმეფებდნენ ქრისტესთან და წმინდანებთან ერთად.

ხილიაზმის მიმდევრები „მეორედ მოსვლის“ გამართლებას ხედავდნენ ბიბლიის, სახარებების და პავლე მოციქულის ეპისტოლეების ზოგიერთ მონაკვეთებში. განსაკუთრებული „ნდობით“ ეყიდებოდნენ აპოკალიპსის XX თავს, სადაც საუბარია სატანის „ათასწლოვანი შებოჰვის“ შესახებ. აღნიშნული რელიგიური თხზულებები განსაკუთრებით აძლიერებდნენ, მათ წარმოსახვაში, უახლოეს მომავალში „მე-

ორედ მოსვლის“ გარდუვალობის იმედი.

IV საუკუნის დასაწყისში (313 წ.) მსოფლიო საეკლესიო კრისტეანულმა ეკლესიამ თავი დააღწია დევნას და გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა, ხილიასტების ოცნებები დედამიწაზე მომავალი „ათასწლოვანი სამეფოს“ შესახებ თავისთავად გაქრა. (დაწერილებით იხ. რუსული ენციკლ. ლექსიკ. წიგ. 73. გვ. 196-198. „ხილიაზმი“).

ორთოდოქსალური ქრისტიანობის გარდა ხილიასტიური შეხედულებები ჰქონდათ ასევე ევიონიტების, მონტანისტების და გნოსტიკოსების სექტებს. თხზულების ავტორის მართლმადიდებლური პოზიცია თვით ნაწარმოებშია დადასტურებული. ნინო და ელენე, რომელიც მას ქართული ენის „ღებად“ ესახება, საქართველოში სწორედ ორთოდოქსალური ქრისტიანობის შემოტანები იყვნენ. მირიან მეფის გაქრისტიანებით საქართველოში „ზოგადი“ ქრისტიანობა კი არ შემოსულა, არამედ ნიკეის 325 წ. საეკლესიო კრებაზე გამარჯვებული ეპისკოპალური ეკლესიის ორთოდოქსალური მიმართულება. ნინოს და ელენეს მიმართ „ქებაჲ“-ს ავტორის დამოკიდებულება ზუსტად განსაზღვრავს მის ორთოდოქსალობას.

ქრისტიანული ეკლესიის გაბატონების შემდეგ „ხილიასტიური“ სწავლება მართლმადიდებლობიდან თანდათან განიდევნა. აღმოსავლეთში მის წინააღმდეგ გამოვიდნენ გრიგოლ ღვთისმეტყველი და ეფრემ ასური, ხოლო დასავლეთში — ავგუსტინი. აღმოსავლეთის ქრისტიანულ ეკლესიაში ეს კამათი IV საუკუნეშივე შეწყდა, ხოლო დასავლეთში — ავგუსტინის სიკვდილის შემდეგ (430 წ.). V საუკუნის პირველ ნახევარში „ხილიაზმი“ საბოლოოდ გაქრა და ხელახლა აღმოცენდა X საუკუნის დასასრულს, დასავლეთ ევროპაში და კათოლიციზმის წიაღში, სრულიად განსხვავებული ფორმითა და შინაარსით. (იხ. იქვე).

„ქებაჲ“-ს ავტორის ხილიასტიური შეხედულებები გამოვლენილია პირველივე წინადადებაში: „დამარხულ არს ენაჲ ქართული დღედმდე მეორედ მოსლვისა მისისა საწამებელად რაჲთა ყოველსა ენასა ლმერთმან ამხილოს ამით ენითა“. ამ აზრს იმეორებს მეტყველი და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა მდაბალი და დაწუნებული მოელის დღესა მას მეორედ მოსლვასა უფლისასა“.

სიმბოლურად იგივეა გაცხადებული მეექვსე წინადადებაში: „წელი ათასი ვითარცა ერთ დღეჲ“, რაც „მეორედ მოსვლაზე“ და მის შემდეგ დამყარებულ „ათასწლოვან სამეფოზე“ მიანიშნებს.

„ორთოდოქსალური ხილიაზმე“, რომელიც წითელ ხაზად გასდევს თხზულებას, მნიშვნელოვანი მომენტი და თარიღებისათვის: ამ ნიშნით „ქებაჲ“-ს დაწერის დრო IV საუკუნით განისაზღვრება.

„ხილიაზმი“ გვაძლევს აგრეთვე საშუალებას ავხსნათ „94 წლის“ მნიშვნელობა.

VI. „და სხვაჲლად ესე აქუს...“

94 წელი, რომელსაც „ქებაჲ“-ს ავტორი „უმეტესობის“ ნიშნად მიიჩნევს, უნდა განსაზღვრავდეს თვით თხზულების დაწერის დროს.

ეს რიცხვი ნაწარმოების კვლევის დაწვებისთანავე ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ალექსანდრე ცაგარელმა ექვით შეხედა 94-ს, ახსნა როგორც წელთაღრიცხვის მეტობა, მაგრამ მისი განმარტება აღარ უცდია. კორნელი კეკელიძე არ შეეზო ოთხმოცდაათობეტს. პაულე ინგოროყვამ, გამომდინარე იმ მოსაზრებიდან, რომ ქართული წელთაღრიცხვა არცერთ სხვა წელთაღრიცხვას 94-ით არ აღემატება, ეს რიცხვი 104-ით შეცვალა თავის რედაქციაში. (ა. ბაქრაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 145).

104-ის წაიკითხვა გაიზიარა რამაზ

პატარიძემ და საკუთარ რედაქციას ამ ცვლილებით გამოაქვეყნა.

ოთხმოცდაათობეტის წელთაღრიცხვასთან კავშირი აშკარაა, რადგან წლების ათვლასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ნაწარმოების ტექსტში ამ ცვლილების შეტანა მაინც გაუმართლებელია. ხელნაწერთა ანალიზი შესწორების საფუძველს არ იძლევა და თხზულებაშიც საუბარია არა ერთ რომელიმე წელთაღრიცხვაზე (ანუ ამ წელთაღრიცხვის მქონე ენაზე), არამედ ყველა სხვა წელთაღრიცხვებზე. ავტორი არც მთელი წელთაღრიცხვის მეტობას გულისხმობს („დასაბამიდან“) და მხოლოდ „ქრისტეს მოსლვითგან“ ითვლის. „ქებაჲ“-ს ოთხივე ხელნაწერში გარკვევით იკითხება „ოთხმოც და ათობეტე“, რის გამოც ქართული ენის „ნიშანი“ ამ რიცხვით უნდა აიხსნას.

ედიშერ ჭელიძემ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ოთხმოცდაათობეტე აბსოლუტურ მეტობას გულისხმობს: „94 წელი არ არის მუდმივი სიდიდე. ძეგლის ავტორისათვის მნიშვნელოვანია არა ის, თუ რა რაოდენობის იქნება ქართული ენის ქრისტესთან ზიარებიდან „დღესამომდე“ გასული წლები, არამედ ის, რომ წელთა ეს რაოდენობა უმეტესი, უფრო ხანგრძლივი იყოს სხვა რომელიმე ქრისტიანული ენის ქრისტესთან ზიარებიდან „დღესამომდე“ გასულ წელთა რაოდენობაზე“. (ე. ჭელიძე. „მნათობი“, № 12. 1983 წ. გვ. 134).

მკვლევარმა ეს რიცხვი მეფე რეგ მართლის გაქრისტიანებას დაუკავშირა. იგივე მოსაზრება გავიზიარე წინამორბედ წერილში და „94“ ამ მეფის მიერ შესამე საუკუნის შუა წლებში განონმდებლობით გატარებულ ქრისტიანობის „დათმენა-შეწყნარებით“ ავხსენი.

„ქართლის ცხოვრების“ აღნიშნული ცნობა მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ მას, სავარაუდოა, რომ „ქებაჲ“-ს ავტორი არ გულისხმობს, რადგან ქარ-



თული ენის „მომაქცევლებად“ ნინოს და ელენეს მიიჩნევს, რაც მისი ორთოდოქსალური შეხედულების დამადასტურებელია. ამიტომ 94-ის მნიშვნელობა თავის განმარტებას აკლავ წელთაღრიცხვაში ჰპოვებს.

ე. ჭელიძემ ამავე წერილში გამოთქვა ძლიერ საინტერესო ჰიპოტეზა, მაგრამ აღარ დაასაბუთა თავისი მოსაზრება: „უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ რევ მართალის მეფობას ემთხვევა XI ქრონიკონის დასასრული (248 წ.); თუკი IVს. ქართლში უკვე ცნობილი იყო ქრონიკონული ანგარიში, შესაძლებელია „ქებაჲ“-ს ავტორი სწორედ 248 წლიდან ითვლიდეს წლებს. ეს აზრი შემაგრებულია იმით, რომ ქართველი ქრისტიანისათვის XI ქრონიკონის დასასრული შესაძლოა სიმბოლურად განასახიერებდეს XI ეპის დასასრულს, როცა მოვილინა ქრისტე („ქრისტეს მოსლვა“), ამასთან ათვლითი წერტილი „ქრისტეს მოსლვითგან“, რომელიც ჩვენ, მაგალითად, დავადასტურებთ სინ. 34-ის დამატებაში, სწორედ ქრონიკონს გულისხმობს: „და ქრისტეს მოსლვითგან ვიდრე დღევანდელად დღემდე... ქართულად რებ, რპბ“. ცოტა ზემოთ ასეთი თარიღია: „ქრონიკონი იყო რპბ“. აქედან ცხადია, რომ „ქრისტეს მოსლვითგან“ შეიძლება გულისხმობდეს ქრონიკონსაც. წარმოდგენილი აზრი ქრონიკონის შესახებ მხოლოდ ჰიპოტეზაა და ჩვენ მას ამჟერად რაიმე მნიშვნელობას არ ვანიჭებთ. ქრონიკონული ათვლით 94 წელი და ძეგლის თარიღი 342 წელში მოვიდოდა“: (იჭვე, გვ. 135-136).

ქრონიკონული ანგარიში, რომელიც 532 წლიან მოქცევებს ითვლის, ემყარება მთვარე-მზის წელიწდულს (28 წლიდან მზის ციკლი X 19 წლიან მთვარის ციკლზე = 532 წ.). იგი შემოღებული იყო ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებაზე და განისაზღვრა როგორც ერთდართი სისტემა უმთავრესი ქრისტიანული დღესასწაულის — აღდგომის დღის ყოველწლიური

გამოთვლისათვის. (იხ. ი. ა. კლიმჩი-ნი. „კალენდარი და ქრონოლოგია“. მოსკოვი. 1981 წ. რუსული ენაზე გვ. 104-106). ეკლესიის მიერ აღდგომის გამოანგარიშება დღესაც ამ პრინციპით ხდება.

ნიკეის 325 წ. საეკლესიო კრების შემდეგ მთვარე-მზის წელთაღრიცხვა გახდა ქრისტიანულ ეკლესიაში პასქალური ანგარიშის საფუძველი, ხოლო ყველა სხვა სისტემით აღდგომის დღის გამოთვლა აიკრძალა. მცირე აზრის ეკლესიების უმრავლესობა დამორჩილა ამ დადგენილებას. რიგი ეკლესიებისა, რომელთაც არ გაიზიარეს ეს გადაწყვეტილება და აღდგომის გამოანგარიშებას ძველებურად აგრძელებდნენ, ანტიოქიის 341 წ. საეკლესიო კრებაზე მოიკეთენენ მსოფლიო ეკლესიოდან. (იხ. რუსული ენაზე. ლექს. წიგნ. 44. გვ. 948).

ამ გარემოების გამო საქართველოში ქრონიკონული ანგარიში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისთანავე უნდა შემოღებულიყო (337 წ.), შეიძლება რამდენიმე წლით უფრო ადრეც (326-337 წ.წ.) და არაუგვიანეს 341 წლისა. ყველა სხვა ვითარება გამორიცხულია, რადგან პასქალური ანგარიში განსაზღვრავდა მოძრავი საეკლესიო დღესასწაულების და მათთან დაკავშირებული მარხვების თარიღებს. ამას გარდა, საქართველოს ეკლესია არც არასდროს მართლმადიდებლობიდან „მოკვეთილი“ არ ყოფილა, რასაც ისტორიული წყაროები და კონსტანტინოპოლის 381 წ. 11 მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მონაწილეობა ადასტურებს.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ არც ერთი ქრისტიანული წელთაღრიცხვით, გარდა ქრონიკონულისა და დიოკლეტიანეს ერისა. „ქრისტეს შობის“ შემდეგ არც ერთი წელი არ თარიღდება 94 წლით. წელთაღრიცხვები „დასაბამიდან“ რამდენიმე ათას წელს ითვლიან, ეპონიმიკური წელთაღრიცხვა მეფეთა ზეობის წლე-

ბით განისაზღვრება, ხოლო ინდიკაციური — 15 წლიანი ციკლით. ათწლია „ქრისტესით“, ანუ ჩვენი წელთაღრიცხვა, შემოღებულია დიონისე მცირეს მიერ 525-532 წლებში, ანუ „ქებაჲ“-ს დაწერის შემდეგ. ამასთანავე, ეს წელთაღრიცხვა მოგვიანებით გავრცელდა და მართლმადიდებლური ეკლესია იშვიათად იყენებდა, რადგან კამათი „ქრისტეს შობის“ თარიღზე XIV ს. გრძელდებოდა.

დოკუმენტაინეს ერა თხზულებას 378 წლით ათარიღებს, მაგრამ ქრისტიანობის ამ „მდევენელის“ წელთაღრიცხვა ამ შემთხვევაში გამოირიცხულია რამდენიმე მიზეზის გამო, რაზეც აღარ შევჩერდები.

ე. ი. 94 წელი ქრონიკონს უნდა ნიშნავდეს, მაგრამ არის თუ არა ეს რიცხვი ქართული ენის „მეტობის“ დამადასტურებელი „ქრისტეს მოსლვი-თგან“?

დღევანდელი მეცნიერული ცოდნის პირობებში ამგვარ კამათს აზრი არა აქვს. მითუმეტეს ისეთ თემაზე, რომელიც „უფლის მიერ“ სამყაროს შექმნას ეხება ძვ. წ. 5604 წელს, მაგრამ კაცობრიობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე წელთაღრიცხვას „დასაბამიდან“ საკრალური მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ ქრისტიანული სიმბოლიზმი და „უახლოეს მომავალში მეორედ მოსვლის გარდუვალობის“ რწმენა, რომელიც ახასიათებდათ პირველი საუკუნეების ქრისტიანებს.

წელთაღრიცხვა „დასაბამიდან“, რომელიც ქრისტიანული ქრონოლოგიის საფუძველს წარმოადგენს, ჩაისახა ქრისტიანობის დევნათა დროს და თავისი არსით ძირეულად განსხვავდებოდა სხვა რელიგიების მიერ გამოყენებული ასეთივე ხასიათის წელთაღრიცხვებისაგან. ქრისტიანული რწმენით სამყაროს გააჩნდა „დასაბამი“ და „დასასრული“. „ამქვეყნიური ყოფის“ დასასრული, რაც სამყაროს „შექმნიდან“ რამდენიმე ათასი წლის შემდეგ

უნდა მომხდარიყო“, ქრისტეს „მეორედ მოსვლას“ უკავშირდებოდა. ამის გამო წელთაღრიცხვას ქრისტიანული რაოდენობის ათწლია უკავშირდება — „დასაბამიდან ქვეყნის დასასრულამდე“ და თავდაპირველად მხოლოდ 12 მოქცევას ითვალისწინებდა: მეთორმეტე მოქცევის დასასრულს ქრისტეს მეორედ მოსვლა უნდა „ყოფილიყო“. ეს ხილიასტიური აზრი ნათლად გამოვლენილი IV ს. საეკლესიო მოღვაწის პილარიუს პიკტავიელის შეხედულებებში (იხ: ქვემოთ). V საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც „ხილიაზმი“ ეკლესიიდან საბოლოოდ განიდევნა, წელთაღრიცხვამ „დასაბამიდან“ თავდაპირველი მნიშვნელობა დაკარგა.

ქართული წელთაღრიცხვის აბსოლუტური მეტობა, ერთადღებულ ყველა სხვა წელთაღრიცხვაზე, შესაძლებელია მხოლოდ ქრონიკონული ანგარიშისას და გარკვეულ პერიოდში — იმ წლებში, როდესაც მთავრდება ერთი ქრონიკონული ციკლი და იწყება ახალი. არსებული წლების მეტობის გამო ქართული წელთაღრიცხვა თითქმის ასი წლის განმავლობაში ითვლის ახალ მოქცევას, მაშინ, როდესაც სხვა წელთაღრიცხვები ჯერ კიდევ წინამორბედი მოქცევის წლებს ითვლიან. ასე გრძელდება 96 წელი სანამ არ დამთავრდება ბიზანტიური წელთაღრიცხვის ძველი მოქცევა და არ დაიწყება ახალი. ქართული ქრონიკონის 97 წ. შემდეგ ეს აბსოლუტური მეტობა ისპობა და რჩება შეფარდებითი მეტობა სხვადასხვა წელთაღრიცხვებთან.

ქართული წელთაღრიცხვის ყოველი ახალი მოქცევის დასაწყისში ათვლილი წელი აბსოლუტურად მეტია სხვა წელთაღრიცხვებით ათვლილ შესაბამის წელზე. მაგ ქართული წელთაღრიცხვის მეცამეტე მოქცევა დამთავრდა 1312 წელს (წელთაღრიცხვა „დასაბამიდან ქრისტეს შობამდე“ ითვლის 5604 წელს) და 1313 წელს დაიწყო ახალი, მეთოთხმეტე მოქცევა. თუ ჩვ. წ. 1313 წელს სხვადასხვა წელთაღრი-

ცხეებზე გადაიყვანთ, გვექნება: ქართული წელთაღრიცხვის XIV მოქცევის პირველი წელი, იულიუს აფრიკელის წელთაღრიცხვის („დასაბამიდან ქრისტეს შობამდე“ 5508 წ.) XIII მოქცევის 437 წელი, იულიუს აფრიკელის წელთაღრიცხვის („დასაბამიდან ქრისტეს შობამდე“ 5500 წ.) XIII მოქცევის 429 წ., პანდორე ალექსანდრიელის წელთაღრიცხვის („დასაბამიდან ქრისტეს შობამდე“ 5492 წ.) XIII მოქცევის 421 წ. და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ჩვ. წ. 1313 წელს ქართული წელთაღრიცხვის მეთოთხმეტე მოქცევის პირველი წელი აბსოლუტურად აღემატება სხვა წელთაღრიცხვებით ათვლილ შესაბამის წელს: ქართული წელთაღრიცხვა მას მეთოთხმეტე 532 წლიან მოქცევაში ათავსებს, სხვა წელთაღრიცხვები — მეცამეტეში.

ამ ვითარებიდან გამომდინარე, 94 წლიანი აბსოლუტური მეტობა ქართული წელთაღრიცხვისა სხვა წელთაღრიცხვებზე, ქრისტიანულ პერიოდში და მათე საუკუნემდე, შესაძლებელია მხოლოდ ორ წელს — ჩვ. წ. 342 და 874 წლებში.

